

# საქართველო

2

1992

862 /  
1992/2



1992  
(1-4)



სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქი



CATHOLICOS-PATRIARCH  
OF ALL GEORGIA

380005, თბილისი-5, სიონის ქ. 4, ტელ. 99-69-30 • 4, SIONI STR. TBILISI-5, USSR. 380005. TEL. 99-69-30

ქობულაძის ვაჩი, რომ დაიწერა  
ყყინბლი "რელიგია".  
თანამედროვე ადამიანს ყველაზე უფრო  
სყლოყრთხა აქლია; და, თყ ქ ყყინბლი  
საწილითხრივ ჭიიყე ქსლიყელ ჭიყვასიხედი  
სიყვარული და ხსლბჭი ზეიბის აშლიყბს,  
ქსი ჭიზანი ჭილყელოდ ხიივლიყბა.  
ღეწიიწი დალოყილ ყყინბლი  
თანე მჭიიჭლი და ჭიიიხვილი.

ქრისტიანული სიყვარულით  
ქილია II.



## შინაარსი

ძვირფასო მკითხველო! . . . . . 3

### კოკულარული საუბრები რუმინაზე და ურუმუნოებაზე

ანდრე ბელომორსკი - მართლნი არიან რელიგიის უარყოფელნი? (ბრიუსელი, 1965 წ.) . . . . . 4

### რელიგია და გენეტიკა

ვ. რეხილაძე - რწმენის წანამძღვრები . . . . . (42)

### რელიგია და კულტურა

ჟან-პოლ-რევიმბალი - როკ-ენ-როლი: ძალადობა ცნობიერებაზე ქვეცნობიერი ვადაცემებით . . . . . 68

### ეკლესიის ისტორია

მაჰა მიხეილ თამარაშვილი - წმიდა ანდრია მოციქული საქართველოში . . . . . (73)

ბ. ლომინაძე - საქართველოს საპატრიარქო და მისი ავტოკეფალია . . . . . (86)

### სხვადასხვა

ბაბლიის შემსწავლელი საზოგადოება . . . . . (119)

თეიმურაზ ბატონიშვილის ერთი ხელნაწერი . . . . . 128



## მთავარი რედაქტორი ვიქტორ რცხილაძე

### ს ა რ ე დ ა ქ ტ ი ო კ ო ლ ე გ ი ა :

მეუფე კონსტანტინე (მელიქიძე) – სრულიად საქართველოს კათო-  
ლიკოს პატრიარქის ქორეპისკოპოსი, გიგლა აბღალაძე (პ/მგ. მდივანი),  
ოთარ გაბიძაშვილი, ვახტანგ გოგუაძე, რისმაგ გორდეზიანი, გურამ თევზა-  
ძე, ირაკლი კალანდია (მთ. რედ. მოადგილე), ზურაბ კიკნაძე, ვახტანგ  
როდონია, ზურაბ ფორაქიშვილი (მეცნ. კონსულტანტი), ნიკო ჭავჭავაძე.

### მხატვარი – ვახტანგ რურუა

წიგნი ვისაგარძი.

3800% თბილისი. მერაბ კოსტამას ქუჩა № 14.

### ტელეფონები:

მთავარი რედაქტორის მოადგილის – 99-87-37; პასუხისმგებელი მდივნის –  
92-29-19; საპარტოველოს მკლესიის ისტორიის განყოფილების – 93-47-72;  
პასუხისმგებელი მდივნის მოადგილის – 98-31-56.

### ქურნალი გაშვების თაობა ეროვნულ.

### მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ქურნალის უანი ანგერად 1-2 ნომრების გაერთიანების გაშვ.

« მანეთი და 70 კაპიტა.

გადაეცა ასაწყობად 23.01.92 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.02.92 წ.  
ქალაქის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>. ოფსეტური ბეჭდვა. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 8.  
№ 90. ტირაჟი 5 000.

საქართველოს ქურნალ-გაზეთების გამოცემლობა „საშობლოს“ სტამბა.



## ძვირფასო მკითხველო!

295 273

ჟურნალი „რელიგია“ დაარსდა ჟურნალ „პოლიტიკის“ ბაზაზე, რადგანაც ამ უკანასკნელმა სახელმწიფოს წინაშე პატარა ჟურნალისათვის შეუფერებლად დიდი ღვაწლიანების გამო შეწყვიტა არსებობა.

ჟურნალი „რელიგია“ მოწოდებულია, რათა ჩვენს, უმეტესად ირრელიგიურ, საზოგადოებაში შეავსოს ის ვაკუუმი, რომელიც აქამდე სუფევდა ამ მხრივ და წარმოაჩინოს ის ჭეშმარიტი სულიერება და რელიგიური სულისკვეთება, რომლისთვისაც უცხოა ყოველგვარი მტრობა, ზიზღი და არატოლერანტულობა სხვათა მიმართ. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მას არ ექნება თავისი პოზიცია. პირველყოვლისა, ჟურნალი მოწოდებული იქნება ებრძოლოს ათეიზმის ურჩხულს, რომელიც კომუნისტური რეჟიმის დროს უხეში ძალით იყო გაბატონებული, ზოლო ბოლო ჟამს ფარისევლური „მორწმუნის“ სამოსელში გაეხვია. ასევე, ჟურნალი შეეცდება, რომ უდიდესი ტაქტიკითა და მეცნიერული ობიექტურობით წარმოაჩინოს მსოფლიოში არსებული სხვადასხვა რელიგია, მაგრამ მათდამი მიდგომა და მათი შეფასება მოხდება ქრისტიანობის პოზიციიდან. ჟურნალი გვერდებს არ დაუთმობს ყალბ მისტიკას ან რელიგიის რომელიმე სუროგატს, როგორც ეს ხდება ამჟამად, მაგალითად, ჟურნალ „ნაუკა ი რელიგია“-ს ფურცლებზე; სადაც კონიუნქტურული მოსაზრებებით ბეჭდავენ თვით კარტზე მკითხაობის წესებს. ჟურნალი „რელიგია“ ეცდება, რომ მასში წარმოჩენილ მასალას მყარი მეცნიერული საფუძველი ჰქონდეს. ჟურნალი გააშუქებს ისეთ თემებს, როგორიც არის: რელიგიისა და მეცნიერების ურთიერთმიმართება, რელიგია და კულტურა, რელიგიის ფილოსოფია, რელიგიის ფსიქოლოგია, რელიგიათა შედარებითი კვლევა, ეკლესიის ისტორია, თეოლოგია და სხვა. დაბოლოს, ამ შესავალს, ძვირფასო მკითხველო, ჟან პაულის სიტყვებით დავასრულებ: „სადაც რელიგია სუფევს, იქ ადამიანები უყვართ, უყვართ ცხოველებიც და მთელი სამყაროც. ყოველი სიცოცხლე მოძრავი ტაძარია უხასრულონი“.

რედაქტორი

სტაროვილი  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა



ანდრეი ბელომორსკი

## პართალნი არიან რელიგიის უარყოფენი?

ბრიუსელი, 1965 წ.

### I ნაწილი

1. პართალნი არიან თუ არა რელიგიის უარყოფენი, როცა ამბობენ ღმერთი არ არსებობს, რადგან ეს მეცნიერების მიერაა დამტკიცებული.

**პასუხი:** ყველაფერს, რაც მეცნიერების მიერაა დამტკიცებული, აღიარებენ მთელი მსოფლიოს სწავლულნი, დამოუკიდებლად იმისაგან, თუ რა ეროვნების, სოციალური მდგომარეობის ან პოლიტიკური შეხედულებებისანი არიან. ასე მაგალითად, სხვადასხვა კანონი ფიზიკისა, მათემატიკური ფორმულები და ასტრონომიული მოვლენები მეცნიერების მიერაა დამტკიცებული და რომელი წიგნიც უნდა გადავშალოთ ნებისმიერ ქვეყანაში, მათში ყოველთვის ვიპოვით მეცნიერების მიერ დამტკიცებულ ჭეშმარიტებათა დადასტურებას.

მაგრამ ღმერთის არსებობასთან დაკავშირებით საქმე მაინცა და მაინც ასეა? სწორედ რომ პირიქით: სწავლულთა დიდი უმრავლესობა ღმერთის არსებობას აღიარებს. ყოველი მცდელობა ამ ფაქტის „სოციალური წარმოშობითა“ და „ბურჟუაზიული იდეოლოგიით“ ახსნისა სასაცილო და უსუსურია, რამდენადაც მეცნიერებისაგან დამტკიცებულ ფაქტებს, როგორცაა, მაგალითად, არქიმედისა და პასკალის კანონები, კანონი მსოფლიო

მიზიდულობისა მუდამ აღიარებდა ყოველი სწავლული, იმისაგან დამოუკიდებლად, თუ ვინ იყო წარმოშობით და რომელ იდეოლოგიას მისდევდა. გარდა ამისა, ახირებულია თავად ფორმულირებაც ამ მტკიცებისა: მეცნიერებას (ჩვეულებრივ ამ ტერმინში გულისხმობენ ზუსტ მეცნიერებებს) სრულიადაც არ შეუძლია ამტკიცოს ის, რაც მისი კვლევის სფეროში არ შედის. ამიტომ ყოველგვარი მსჯელობა იმის შესახებ, რომ ღმერთის არარსებობა მეცნიერების მიერაა დამტკიცებული—აბსურდულია. მაგალითად, როგორ შეეძლო ფიზიკას, რომელიც შეისწავლის მხოლოდ ნილულ, გრძნობათათვის მისაწვდომ სამყაროს, დაედგინა, რომ იმას იქით არ არსებობს სხვა სამყარო, ადამიანის შეგრძნებათათვის მიუწვდომელი? იგივე შეიძლება ითქვას ქიმიის, ბიოლოგიის, ბოტანიკისა და ა. შ. შესახებ. რანაირად შეუძლია მათემატიკას, რომელიც ციფრებით სარგებლობს, დაადგინოს, რომ არ არსებობენ სხვა კატეგორიები, რომელთა ასახვა ან ბოლომდე გამოკვლევა შეუძლებელი იყოს ციფრების საშუალებით? ეს იმას დაემსგავსებოდა, ზღვის წყლის მკვლევარებს, რომლებმაც თავიანთი ძიებისას ფსკერს ვერ მიაღწიეს, ემტკი-



ცებინათ ზღვას არავითარი ფსკერი არ გააჩნიათ.

ზემოთქმულიდან ნათელია, რომ ანტირელიგიური პროპაგანდის ყოველგვარი მტკიცება იმის შესახებ, რომ ღმერთის არარსებობა მეცნიერების მიერაა დამტკიცებული. არათუ მცდარი, არამედ საფუძველშივე ყალბია.

2. ღმერთი არ არის იმიტომ, რომ სამყარო ვითარდება ბუნების გარდაუვალი კანონებით და არავითარ შემქმნელსათუ დამცველს არ ხაჭირებს.

**პასუხი:** ამგვარი მტკიცება მათ მიმდევრებს უპირველეს ყოვლისა ისეთ ბირებად წარმოგვიჩინეს, რომელთაც ლოგიკა არ გააჩნიათ. ბუნებაში გარდაუვალი კანონების არსებობა, ლოგიკური აზროვნების თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა კანონმდებელს გვაგულვებინებს, რომელმაც დაადგინა ეს კანონები; მით უმეტეს, ისინი ისე ბრძნულადაა განწინებული, რომ სამყარო მათ მიხედვით არსებობს და ვითარდება აგერ უკვე რამდენი ხანია. თუკი რელიგიის უარყოფითათვის ძნელი საჯარაუღებელია ესოდენ ბრძენი სჯულმდებლის არსებობა, განა უფრო ძნელი არაა იმის წარმოლგენა, რომ ასეთი გზიანი კანონები თავისთავად შეიქმნა ან კიდევ ბრმა, უსულო, უკონო მატერიის დასაბამიერ თვისებას წარმოადგენს?

რას იტყვიან ისეთ ადამიანზე, რომელმაც პირველად იხილა საათი, აკვირდებოდა მას გარკვეული დროის განმავლობაში და ამ დაკვირვების საფუძველზე დაასკვნა, რომ საათის ისრები თავისთავად მოძრაობენ, მათთვის დამახასიათებელი კანონების მიხედვით, რამდენადაც მთელი იმ დროის განმავლობაში, სანამ იგი აკვირდებოდა, საათი არავის მოუძარტავს? განა ყველასათვის ნათელი არაა ამგვარი დასკვნის მცდარობა?

საკმარისია საათის მაგივრად მთელ სამყარო წარმოვიდგინოთ და შესაბამისად ამისა გაუზარდოთ მასზე დაკვირვების

დრო, რათა შევიცნოთ მცდარობა მტკიცებისა, თითქოს სამყარო არსებობს და ვითარდება თავისთავად, მისთვის ნიშანდობლივი კანონების შესაბამისად.

3. ღმერთი არ არის, რადგან ადამიანთაგან არავის უნახავს იგი და სწავლულემა, მთელ სამყაროს რომ იკვლევინ, ვერსად იპოვეს ის.

**პასუხი:** ერთი მოგზაური ასეთ ამბავს ყვება: ერთხელ ისე მოხდა, რომ მისი თანამგზავრები იყვნენ ურწმუნო პროფესორი და არაბი მეგზური. არაბი ხშირად აღაველენდა ღვთისაღმოსაფხვრის და ეს აღიზიანებდა პროფესორს. ერთხელ მან არაბს ჰკითხა:

— ოდესმე გინახავს ღმერთი?

— არა, — იყო პასუხი.

— გაგიგონია მისი ხმა, გისაუბრია მასთან?

— არა, არასოდეს.

— მაშ, როგორ შეიძლება იმდენად სულელი იყო, რომ გწამდეს ღმერთის არსებობა, თუკი არასოდეს გინახავს იგი და არ გსმენია მისი ხმა?

არაბმა არაფერი უპასუხა. მეორედ დილით პროფესორი კარვიდან გამოვიდა, ირგვლივ მიმოიხედა და თქვა:

— ღამით ჩემს კარავთან აქლემი მოსულა.

— შენ დანახე იგი? — ჰკითხა არაბმა.

— არა, — უპასუხა პროფესორმა.

— მაშ, მისი ხმა გაიგონე?

— არა, არ გამიგონია.

— აბა, როგორ ამბობ, რომ აქ აქლემია ნამყოფი?

— ნუთუ შენ აქლემის ნაფეხურებს ვერ ხედავ ქვიშაში? თუ ფიქრობ, რომ ეს ნაფეხურები თავისით გაჩნდნენ?

— არა, მე ასე არ ვფიქრობ, მაგრამ მე, ამასთანავე, ღვთიური ძალის ნაკვალევს ვხედავ ამ სამყაროში, — უთხრა არაბმა და ამომავალ მზეზე მიუთითა, — თუ შენ ფიქრობ, რომ მზე თავისით გაჩნდა?

ამჯერად პროფესორს მოუწია გაჩუმება.

ეს მონათხრობი გაგახსენდებათ უნებურად, როცა ღმერთის არსებობას უარყოფენ ახირებულად და ამას იმით ასაბუთებენ, რომ იგი არავის უნახავს. ნუთუ ეს უარყოფელი ფიქრობენ, რომ რამე ახალს ამბობენ? ბიბლიაც ხომ გარკვევით გვეუბნება: ღმერთი არასოდეს არავის უნახავს (1. იოანე 4, 12). მაგრამ იგივე ბიბლია უგუხურს უწოდებს ყველას, ვინც უარყოფს ღმერთის არსებობას (ფსალმუნი, 13, 1).

თუ ჩავთვლით, რომ „თვითგანვითარებადი“ მატერიისაგან თავისთავად, ღვთიური გონისა და ნების ჩაურევლად გაჩნდა მთელი სამყარო, მეცნიერებისა და ხელოვნების გენიალური წარმოშადგენლების ჩათვლით, მაშინ საერთოდ უარი უნდა ვთქვათ მიზეზობრიობის პრინციპზე, ე. ი. დებულებაზე, რომ ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს, ხოლო ამაზე უარის თქმა არაფრით არ სურთ მატერიალისტებს და დიდ წინააღმდეგობაში ვარდებიან.

4. ღმერთი არ არის, რადგან მეცნიერებამ სამყაროს მატერიალური განვითარება დაამტკიცა. წინათ, ხანამ ამის დამტკიცება არ შეეძლოთ, ღმერთს იმოწმებდნენ, რათა გაუგებარი მოვლენები აეხსნათ.

**პასუხი:** ამ პუნქტში უღმერთოები, ჩვეულებრივ, ორ მომენტს ურევენ ერთმანეთში და ამით ხშირად გზაკვალს უბნევენ მორწმუნეებს.

მართლაც, ზუსტ მეცნიერებებს (ფიზიკას, ქიმიას, ასტრონომიას, ბიოლოგიას...) დღეს შეუძლიათ ორგანული და არაორგანული სამყაროს სხვადასხვა სფეროს წარმოშობისა და განვითარების გაცილებით სრულყოფილი სურათი მოგვცენ, ვიდრე უწინდელ დროში, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ პასუხია კითხვაზე როგორ წარმოიშვა სამყარო და არაფერი აქვს საერთო კითხვასთან რატომ შეიქმნათებოდა სამყარო მაინცდამა-

ინც ამ გზით. უკანასკნელი საკითხი შეიძლება გადაიჭრას დღესაც, ისევე როგორც უწინ, ოღონდ თუკი ვალიარებთ, რომ სამყაროს განვითარებას წარმართავდა გონიერი ნება, ე. ი. ღვთიური საწყისი.

ყველა დანარჩენი პასუხი, როგორც დაც უნდა იმოწმებდნენ ისინი ბუნებრივ კანონზომიერებას, შემთხვევითობის აღიარებაა, რამდენადაც, უღმერთოთა მტკიცებით, მატერია იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო „მაღალგანვითარებული“ და არ ფლობდა „აზროვნების უნარს“. მართალია, რთული პროცესების ახსნა როგორც შემთხვევითისა, რომელთაც არ განაპირობებს არავითარი შეგნებულად წარმართველი ძალა, იქნებ პირველი შეხედვით შესაძლებელი გვეჩვენოს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დროის იმ მანძილს, მსოფლიო პროცესისთვის რომაა საჭირო, თუკი ამ გარემოებას გაეთვალისწინებთ, აღმოჩნდება, რომ ალბათობის თეორიის თანახმად, ამგვარი განვითარებისათვის საჭირო იქნებოდა დროის ისეთი მონაკვეთი, რაც მილიონჯერ მეტია დედამიწის ასაკზე.

ჩვეულებრივ, როცა უღმერთოები სამყაროს განვითარების პროცესს გადმოგვეცემენ, ცდილობენ ისე წარმოგვიჩინონ იგი, თითქოს ეს პროცესი თავად პასუხობს კითხვას, თუ რატომ წაყვია სამყარო მაინცდამაინც განვითარების ამ გზით. სინამდვილეში კი ისინი კითხვას უპასუხოდ ტოვებენ, რამდენადაც ეს უკანასკნელი საერთოდ არ შედის ზუსტ მეცნიერებათა კომპეტენციაში. ყველა კულტურული ადამიანისათვისაა გასაგები, რომ ზუსტ მეცნიერებათა პროგრესი ამ სფეროში არაფრით არ ასუსტებს იმის აუცილებლობას, რომ სამყაროს განვითარების გონივრული გზის ერთადერთ მიზეზად ღმერთი ვალიაროთ.

5. სამყაროში არაფერია ისეთი, ღმერთის არსებობაზე რომ მიუთითებდეს, მაშასადამე იგი არ არსებობს.



**პასუხი:** ცნობილმა ფრანგმა მოაზროვნემ და ფილოსოფოსმა ჟან ჟაკ რუსომ, რომელსაც დიდ ღვთისმოსაობას ვერავინ დასწამებდა, ერთხელ თქვა: საკმარისია მხოლოდ პეპელას ფრთას შეეხედოთ და ათეისტების ყველა მტკიცება საპნის ბუშტივით გაქრებაო. მართლაც და, როგორ უნდა ვუპასუხოთ კითხვას რატომ და რისთვის წარმოიქმნა პეპელას ესოდენ მშვენიერი ფრთა, თუკი სამყაროში სხვა არაფერი არსებობს მატერიის გარდა?

ჩაეიაროთ ზოლოდოური მუზეუმის დარბაზებში და დაეთვალიეროთ იქ თავმოყრილი კოლექცია პეპლებისა. როგორი არაჩვეულებრივი შეხამებაა, როგორი სიმდიდრეა ნათელი და ნაზი ფერებისა, როგორი სიფაქიზეა ნახაზისა! პეპელას ფრთებზე გამოყვანილი ეს უფაქიზე სისურათები თითქოს იგავიძეულმეწილი მხატვრის ნახელავია! რამდენი სახეობაა, რამდენი ვარიანტი, რამდენიაირი შეხამება და შეფერილობა! ან თუნდაც იმაზე დაფიქრდეთ, როგორი სიზუსტითაა გამოსახული თავის ქალა „მკვდარი თავი“-ს სახელწოდებით ცნობილი ღამის პეპელას ზურგზე. განა არა ჩანს, რომ ვიღაც უხილავმა მხატვარმა აღბეჭდა სასაფლაოთა ეს მუღმივი სტუმარი მკვდარი თავის ნიშნით? ან კიდევ, ტროპიკული ქვეყნების პეპელათა გიგანტური ზომები და ფერთა სიჭრელე! რატომ და რისთვისაა ყველაფერი ეს? ამ ფაქტზე არსებობსა წუთისოფელი ხომ ასე ხანმოკლეა?

რაოდენ უბადრუკი და ტენდენციურია იმის მცდელობა, მთელი ეს სილამაზე და ბრწყინვალეობა ახსნან სახეობათა არსებობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის აუცილებლობით. ამ ბრძოლის შედეგად, ეგრეთწოდებული „სქესობრივი შერჩევისას“ თითქოს არსებობას აგრძელებენ პეპელათა ის ჯიშები, რომლებიც თავიანთ მეტოქეებს მშვენიერებითა და ბრწყინვალეობით სჯობნიან. ამასთანავე მიცნირება გვახწავლის, რომ მწერების

თვალეები სრულიად არაა მოწყობილი ფორმათა სიმშვენიერისა და ფერების აღსაქმელად. ხოლო თუკი ისეა, როგორც მატერიალისტები ამტკიცებენ, მაშინ ისეთი უმნიშვნელო და შეუხედავი მწერი, როგორიც ბუზია, რატომ არავის ჩამორჩება გამრავლებაში და ამ მხრივ უმრავლესობას სჯობნის კიდევ?

ხილულ სამყაროში სილამაზის არსებობა გვიდასტურებს, რომ მისი გაგება სამყაროს შექმნამდე არსებობდა. სილამაზის იდეის მატარებელმა გონიერმა სულმა ბუნებას შთაბერა იგი. სილამაზის არსებობა ცოცხალი არსებებით დასახლებულ სამყაროში, არსებებისა, რომელთაც ამ სილამაზის აღქმა შეუძლიათ, ისევე სამყაროს შემოქმედის სიბრძნეზე მეტყველებს. ამავე მიზეზით ადამიანი, რომელიც სამყაროს შემოქმედის ხატად და სახედაა შექმნილი, შემძლებელია ამ სილამაზის შეგნებული აღქმისა. ამიტომ გახდა შესაძლებელი, რომ ადამიანთა შორის გაჩენილიყვენ პრაქსიტელე და ფიდიასი, ლეონარდო და ვინჩი და მიქელანჯელო, რემბრანდტი და ჰოლბაინი.

ჩვენს მიერ მოყვანილი მაგალითი პეპელას ფრთისა მხოლოდ მცირედი ილუსტრაციაა ხილული სამყაროს მშვენიერებისა, რომელიც მატერიალისტური თვალთახედვით უსარგებლო, ამოუხსნელი და ფუჭია, ხოლო რელიგიური თვალთახედვით უჩუქრად მიმნიშნებელი შემოქმედზე. მისთვის, ვინც კი წინასწარგანზრახულად არ უზურავს თავისი გულის კარს ყოველივეს, რაც ღმერთს მოაგონებს, თითოეული ყვაილის მდელოზე, თითოეული კარსკვლავი ცარგვალზე დამაჯერებლად ღაღადებდნენ მარადისობის შესახებ. ყურდაზმულთათვის არ არსებობს განსხვავება ბეთჰოვენის სონატასა და რომელიმე ინსტრუმენტის უაზრო ჟღარუნს შორის. თვალდაკვლთათვის არ არსებობს ფერწერული ნამუშევარი. ადამიანისათვის, რომელსაც ზურგი შეუქცევია ღმერთზე ფიქრისათ-

ვის, არაფერია ამ სამყაროში ისეთი, მის არსებობაზე რომ მიუთითებდეს.

6. ღმერთისადმი რწმენა უმეტრებაზეა დაფუძნებული, განათლებულ, სწავლულ ადამიანებს არ ხვერათ მისი არსებობა.

**პასუხი:** ეს აზრი საკვებით მცდარია, იგია მეტკვიდრობა გასული საუკუნის ზერელედ განათლებული ადამიანების შეხედულებებისა, რაც მარჯვედ გამოიყენა უღმერთობის თანამედროვე პროპაგანდამ. ამ აზრისანი შეიძლება იყვნენ მხოლოდ ის ადამიანები, რომელთაც წარმოდგენა არა აქვთ უდიდეს მეცნიერთა აზროვნების ზახიათზე. უძველესი დროიდან დღემდე, ყველაზე გამოჩენილ მეცნიერთა შორის მორწმუნეები ყოველთვის სჭარბობდნენ ურწმუნოებს. გასული საუკუნის შუახანებშიც კი, როცა მატერიალიზმმა განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია, მეცნიერების მწვერვალების უმეტესობა მორწმუნე სწავლულთ ეყვრათ. შეიძლება ყველა მათგანი არ იყო ქრისტიანული აღმსარებლობის მიმდევარი, მაგრამ აღიარებდნენ ღმერთს როგორც სამყაროს შემოქმედს. როცა მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებში მატერიალისტური იდეები ფართოდ გავრცელდა, ბევრს ეჩვენებოდა, რომ მატერიალიზმს ძალედა სამყაროს ყველა გამოცანის გადაწყვეტა, ყოველგვარი გაურკვევლობის ახსნა და ამით სამყაროს ერთ გიგანტურ მანქანად გადაქცევა, რომელსაც ადამიანის ნება წარმართავდა. ამგვარი შეხედულების გავრცელებას ხელი შეუწყო დროის შედარებით მცირე მონაკვეთში ტექნიკის არნახულმა განვითარებამ, რამაც შესაძლებელი გახადა ყველაზე თამამი ვარაუდების გამოთქმა მომავლის შესახებ, ყველაზე თამამი იმედების ჩასახვა. ამ დროს წერდნენ თავიანთ წიგნებს ისეთი ცნობილი მატერიალისტები, როგორებიც იყვნენ ფოგტი, ბიუნზერი, მოლეშოტი, წიგნებს, რომლებიც მაშინ ესოდენ ახლებურნი და საჭირონი ჩანდნენ, დღეს კი დაკარგული აქვთ

ყოველგვარი მნიშვნელობა. ამავე ხანას განეკუთვნება მარქსისა და ენგელსის უმთავრესი თხზულებები, რომელთა მატერიალისტური საფუძვლები ისევე მოქმედებულა, როგორც ზემოთ დასახელებულ ავტორთა შეხედულებები. მათმა ფილოსოფიურმა მსოფლმხედველობამ მნიშვნელობა მხოლოდ იმიტომ შეინარჩუნა, რომ გარკვეულ პოლიტიკურ მიმდინარეობებთან იყო დაკავშირებული, რომელთაც მრავალი მიმდევარი გაინიხეს და ამ მიმდევრებმა თავიანთ მოძღვართა მატერიალისტური შეხედულებები აითვისეს. გარდა ამისა, ეგრეთწოდებულ მარქსისტულ „დიალექტიკურ მატერიალიზმში“ მატერიალისტური არსი მოხერხებულად იყო შენიღბული იდეალისტ ჰეგელისაგან ნახესხები დიალექტიკური მეთოდით. ეს მეთოდი დიალექტიკური მატერიალიზმის მიმდევრებს საშუალებას აძლევს დღესაც კი დაიცვან თავიანთი თეორია, როცა მისი მატერიალისტური საფუძვლები, შეიძლება ითქვას, სანახევროდ დანგრეულია მე-19 საუკუნის მიწურულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის მეცნიერული განვითარებით, როცა თავად შესაძლებლობა მატერიალიზმის მეცნიერული დაცვისა ეჭვის ქვეშ აღმოჩნდა დაყენებული. ამით აიხსნება საბჭოთა ფილოსოფოსებისა და ბუნებისმეტყველთა გაფაციცებული მცდელობა უახლესი მეცნიერული მონაცემები მატერიალისტურ თეორიებს მიუსადაგონ.

ატომის გახლეჩა, მასის ენერჯიად გადაქცევის შესაძლებლობა, ე. ი. მოსპობა იმისა, რაც თანამიმდევრული მატერიალიზმის თვალსაზრისით მატერიალ, მთელი მატერიალისტური ფილოსოფიის ძირითად სუბსტანციად და ფუნდამენტად ითვლებოდა, ფარდობითობის თეორია, კლასიკური ფიზიკის შენობა რომ შეაზანზარა, და კიდევ მრავალი სხვა, — ყველაფერი ეს გასული საუკუნის მატერიალიზმის „კლასიკოსებს“, ალბათ, „მტრის ურდოების შემოსევად“ მოეჩვენებოდათ. გასაგებია, რომ მეცნიერების თანამედ-





როვე განვითარებას თან ახლდა მატერიალიზმისაგან სწავლულთა მასიური განდგომა, ვინაიდან ისინი დარწმუნდნენ, რომ მათი კერძი უძლური იყო წინ აღდგომოდა უახლესი მეცნიერული აღმოჩენების დაწოლას. ყოველ შემთხვევაში, ეს შეიძლება ითქვას მათზე, ვისაც აზროვნებისა და ქცევის თავისუფლება არ დაუკარგავს.

სულ სხვა ვითარებაა იმ სწავლულთა რიგებში, რომლებიც პარტიული დისციპლინით არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. მათთვის ხომ მატერიალისტური იდეოლოგია მარქსისტული პარტიის დოქტრინა და დოგმატია. მისი ნგრევა პარტიის ნგრევას გამოიწვევდა. ამიტომ მარქსისტთა წინაშე წამოიჭრა ამოცანა გადაერჩინათ თავიანთი პარტიანებისმიერი საშუალებით. ამ ამოცანის გადაჭრა იკისრა ლენინმა. 1909 წელს მან დაწერა წიგნი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“. სადაც ცდილობდა მატერიალისტთა პირუანდელი შეხედულება მატერიაზე შეეცვალა ახლით, რომელიც დამოკიდებული არ იქნებოდა ზუსტი მეცნიერებების განვითარებაზე. ლენინის მიხედვით, მატერიის ერთადერთი თვისებაა იყოს ობიექტური რეალობა, იარსებოს ჩვენი ცნობიერების მიღმა. მატერიის ამგვარი განსაზღვრისას ამ ცნებაში, მორწმუნე ადამიანის თვალსაზრისით, შეიძლება მოეპყციოთ მთელი სულიერი სამყარო და ლენინმა, გააფართოვა რა ეს ცნება შესაძლებლობის ზღვრამდე, ამით უჩუმრად უარყო მატერიის ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება — საგნობრიობა. პირუანდელი მატერიალისტების თვალსაზრისით, საგნობრიობა მატერიის ძირითადი თვისება იყო, მათთვის მხოლოდ ის არსებობდა, რისა აწონვა და გაზომვა შეიძლებოდა. ამგვარად, მატერიალიზმი როგორც მოძღვრება, რომელიც მეცნიერულ მონაცემებს ეყრდნობა, კარგა ხნის დამარბული უნდა იყოს. მაგრამ იგი დღემდე რჩება მარქსისტული პარტიის ოფიციალურ მსოფლ-

მხედველობად. გასაგებია, რომ იქ, სადაც ამ პარტიის დიქტატურაა, მატერიალიზმი გამოცხადებული ყველაზე მოწინავე და მეცნიერულ მსოფლმხედველობად და სხვანაირად არც შეიძლება იყოს მანამ, სანამ მარქსისტების დიქტატურა იარსებებს. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში ვერც ერთი საბჭოთა მეცნიერი ვერ გაბედავს აშკარად განაცხადოს თავისი რელიგიურობის შესახებ, შესახებ იმისა, რომ სწამს ღმერთი, ვითარცა სამყაროს შემოქმედი, და ამით მატერიალიზმს განუდგეს. ამას მხოლოდ უდიდესი მეცნიერები ბედავდნენ, რომელთაც მსოფლიო სახელი ჰქონდათ და ეს სახელი იფარავდა მათ, გარკვეულწილად, რეპრესიებისაგან. ასეთ მეცნიერთა შორის ყველაზე ცნობილია სახელგანთქმული ფიზიოლოგი ი. პ. პავლოვი (+ 1936 წ.). მისი სიკვდილის შემდეგ საბჭოთა პროპაგანდა უბადრუკი და დამილისმომგვრელი საშუალებებით ცდილობდა დაემტკიცებინა სწავლულის ათეისტობა და ღმერთისადმი ურწმუნობა, მაგრამ ყველამ, ვინც კი პავლოვს იცნობდა, იცოდა აგრეთვე მისი ღრმა ღვთისმოსაობის შესახებ, რაც სიკვდილამდე გაკავა\*.

მსგავსი შემთხვევები არტუთ ცოტაა მედიცინის ცნობილ პროფესორთა შორის, რომელთა განადგურებაც სასურველი არ იყო საბჭოთა რეჟიმისათვის. მათა ღვთისმოსაობა უბრალოდ მიჩნუმათებული იყო და ამის შესახებ უახლოესი ადამიანების გარდა არავინ იცოდა.

ათეისტურ-მატერიალისტურ მსოფლმხედველობის ჩამორჩენილობის შეგნების პროცესი, ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში მისი საფუძვლიანი კრაზის შემდეგ, თანდათან ვითარდება. საშუალო, უფრო ულ მეცნიერთა შორის ურწმუნოთა პროცენტია ჯერ კიდევ დიდია. მით უმეტეს, კიდევ უფრო დიდია ეს პროცენტი, ნახევრადმეცნიერებს, ნახევრადგანათლებულ ადამიანებს შორის, მაგრამ გადატრიალება მეცნიერულ წარმოდგენებში თანდათან ახლენს გავლენას მათზე.

შესანიშნავი, ყოვლისმომცველი გონება, გერმანელი მეცნიერი, ფილოსოფოსი, მათემატიკოსი და ფილოლოგი, ლაიბნიცი, თავის თხზულებაში „ბუნების აღსარება ათეისტების წინააღმდეგ“ ამბობს, რომ ზედაპირული მეცნიერული მოღვაწეობა ქმნის მაცდუნებელ წარმოდგენას თითქოს სწრაფად შეიძლება სამყაროს ყველა საიდუმლოს შეცნობა და ამაზე ფიქრი ადამიანს ღმერთისაგან აშორებს. მეცნიერებაში ჩადრმავეებს, პირიქით, ადამიანი მიჰყავს სამყაროს წარმართველი ღვთაებრივი გონების აღიარებამდე.

ამავე აზრის იყო ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსი ფრენსის ბეკონი. ჭეშმარიტად, საკმარისია მხოლოდ თვალი გადავავლოთ როგორც ძველი, ისე ახალი დროის ყველაზე გამოჩენილი მეცნიერების მხოლოდ სახელებს, რათა დაერწმუნდეთ, რომ მათი დიდზე დიდი უმეტესობა მორწმუნე ადამიანები იყვნენ, რომლებიც სამყაროს დასაბამად ღმერთს, სულიერ საწყისსა და უზენაეს გონებას აღიარებდნენ. რელიგიის თაობაზე უდიდეს სწავლულთა მრავალი მსჯელობისაგან მოვეუხმით მხოლოდ რამდენიმეს როგორც ნიმუშებს.

არისტოტელე, ძველი დროის უდიდესი გონება. ამბობს: „კაცობრიობის მთელი მოდგმის მოწმობით, ღმერთია ყველაფრის მიზეზი“ (მეტაფიზიკა, III, II, 820) პლატონი, არისტოტელეს მასწავლებელი, ამტკიცებს: „მზე, დედამიწა, მთელი სამყარო, წლის დროთა მონაცვლეობა ღვთაების არსებობას ადასტურებენ“ (კანონები, წიგნი IX).

ესაა ხმა ძველი დროის ორი უდიდესი გონებისა. ხოლო აი რას ამბობს თანამედროვე ასტრონომიის მამა ნიკოლოზ კოპერნიკი, რომლის მოძღვრებამაც, უღმერთოთა მტკიცებით, თითქოს გააბათილა ქრისტიანობის ჭეშმარიტება: „ვის შეუძლია უცქიროს სამყაროს საოცარ წესრიგს, ღმრთისაგან წარმართულს და არ იგრძნოს ღვთაება იხილოს უზენაესი

— თავად შემოქმედი“ (კოპერნიკი „ციურ მნათობთა მოძრაობის შესახებ“).

ამგვარსავე აზრებს გამოთქვამდა ერთი დიდი ასტრონომი კეპლერი.

ლუი პასტერი, რომელმაც შექმნა მეცნიერება ბაქტერიების შესახებ და თანამედროვე მედიცინას მეცნიერული საფუძველი დაუდო, თავად ამბობდა საკუთარი თავის შესახებ, რომ სწამს ღმერთი და ყოველი ღვთიური ჭეშმარიტება, როგორც უბრალო ბრეტონელ გლეხს. იგი ხაზს უსვამდა, რომ სწორედ მეცნიერული მოღვაწეობა უქმნიდა მას საფუძველს ღმერთის არსებობის ესოდენ ღრმად რწმენისას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ისეთი კაშკაშა მნათობები ფიზიკისა, როგორებიც არიან ნიუტონი, პასკალი, ფარადეი, ვოლტა და ამპერი ღრმად მორწმუნე ადამიანები იყვნენ. ნიუტონი ისეთ მოკრძალებას განიცდიდა ღმერთის წინაშე, რომ მისი სახელის გაგონებისას მუდამ მოწიწებით იხდიდა ქულს.

ცნობილ ბუნებისმეტყველებს ლინეისა და კიუვიეს ღმერთი სწამდათ, ისევე როგორც თანამედროვე გეოლოგიის მამას ლიაიელს. თავად დარვინიც კი, რომლის სახელითაც ასე ხშირად და ბოროტად სარგებლობენ უღმერთოები საკუთარი მიზნებისათვის, თავისი თეორიით სრულიადაც არ უარყოფდა ღმერთის არსებობას, პირიქით, მას თვლიდა ყველაფრის პირველმიზეზად, ახლად დაწყებული ევოლუციური განვითარების პირველ ბიძგად.

როგორც უკვე ვთქვით, თანამედროვე ბუძებრავ მეცნიერთა უმეტესობას ღმერთი სწამს (შევაღაროთ მეცნიერთა აზრები რელიგიის შესახებ, რომლებიც თავმოყრილია სხვადასხვა აპოლოგეტიკურ შრომებში; მაგალითად: Kneller Das Christentum und die Vertzeter der neueren Wissenschaft, Freiburg in Breisgau, 1903. Прот. Светлов. Христианское вероучение в апологетическом изложении, т. 1, Киев, 1912;

მათ შორის უნდა დავასახელოთ კიდევ ისეთი სახელები, როგორცაა: აინ-შტაინი, ბერგსონი, პლანკი, ჯინზი, ლოჯი... აქედან ჩანს, რომ ანტირელიგიური პროპაგანდის მტკიცება ღმერთისადმი რწმენისა და სწავლულობის შეუთავსებლობის შესახებ ყოველად უსაფუძვლოა.

7. დიალექტიკური მატერიალიზმი უარყოფს ღმერთის არსებობას და ყოველგვარ რელიგიურ იდეოლოგიას, არადა, დიალექტიკური მატერიალიზმი ხომ ყველაზე მოწინავე მსოფლმხედველობად ითვლება.

პასუხი: დიალექტიკური მატერიალიზმი თავს ასაღებს ყველაზე მოწინავე მსოფლმხედველობად და ერთადერთ ჭეშმარიტ მოძღვრებად, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მართლაც ასეთია. იგი რომ შეუმცდარი იყოს, მისი გამოყენება პრაქტიკაში, ადამიანთა საზოგადოებაში დაადასტურებდა ამ შეუმცდარობას, მაშინ როცა სინამდვილეში იგი მხოლოდ თეორიაში არსებობს.

დიალექტიკური მატერიალიზმის თეორიის მიხედვით, კომუნისტური რევოლუცია ათავისუფლებს მშრომელებს, ამ აღლებს მათ კეთილდღეობას, ხელს უწყობს მეცნიერების თავისუფალ განვითარებას და ა. შ. სინამდვილეში კი დიალექტიკური მატერიალიზმის მომხრეთა გამარჯვება მთელ ხალხებს სიდუხჭირეში ყრის, იმონებს მოსახლეობის ყველა ფენას, წარმოუდგენელ ბორკილებს ადებს მეცნიერებასა და ხელოვნებას, ითხოვს რა მათგან „პარტიულობას“, სოციალისტური შეკვეთის მიხედვით შესრულებულ ნამუშევრებს.

დიალექტიკური მატერიალიზმის თეორიის თანახმად, რომელიც ადამიანთა საზოგადოებასთანაა მისადაგებული, კომუნისტური რევოლუციები უნდა დაწყებულიყო უპირველეს ყოვლისა ტექნიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, სინამდვილეში კი რევოლუცია პირველად რუსეთში მოხდა, აგრარულ, ტექნიკურად

ჩამორჩენილ ქვეყანაში. დღესაც კი ყველაზე ხელსაყრელი ნიადაგი კომუნისტების გავრცელებისათვის ისეთ ქვეყნებშია, რომლებიც ტექნიკურად ჩამორჩენილი არიან, მაშინ როცა აშშ, ინგლისი, იაპონია... კომუნისტს საეკსპედიტო უარყოფენ.

მაგრამ ეს შენიშვნა, რა თქმა უნდა, საკითხის არსს მილიანად ვერ წყვეტს. ყველაზე მთავარი ისაა, რომ დიალექტიკური მატერიალიზმი თავის თავში მოიცავს უდრემეს პრინციპულ წინააღმდეგობებს, რომელთა მხოლოდ და მხოლოდ შენიღბვა შეუძლია მას და არა დაძლევა.

ამ მოძღვრების მიხედვით, საუკუნო ჭეშმარიტებანი არ არსებობენ, რამდენადაც ყველაფერი, რაც ადამიანური აზროვნებით იქმნება, მხოლოდ ეკონომიკური პირობების პროდუქტია, ხოლო ადამიანური შეგნების მიღმა არავითარი იდეა არ არსებობს.

ამგვარად, თავად დიალექტიკური მატერიალიზმი, მისივე მოძღვრების თანახმად, დროებით მოველენად წარმოგვიდგება, რომელიც ადამიანთა ურთიერთობის გარკვეულ პერიოდში აღმოცენდება. მაგრამ აქ, რატომღაც, გამონაკლისია დაშვებული. აღიარებენ რა დიალექტიკური მატერიალიზმის ჭეშმარიტებას და მარადისობას, მისი მიმდევრები თავიანთ მთავარ პრინციპთან გადაუჭრელ წინააღმდეგობას აწყდებიან.

მეორე ძირითადი დებულება დიალექტიკური მატერიალიზმისა ისაა, რომ ყველაფერი არსებული გამუდმებით იცვლება და ძველისა და ახლის ბრძოლაში შედარებით ძველი გამუდმებით უთმობს ადგილს ახალს. ეს ბრძოლა, დიალექტიკური მატერიალიზმის თანახმად, გვევლინება ყოველგვარი განვითარების მამოძრავებელ ძალად. აქ მომავალი კომუნისტური საზოგადოებისათვის ისევ თავისებური გამოჩენისა დაშვებული. როცა დისკუსია ამ საკითხს ეხება, დიალექტიკური მატერიალიზმის მომხრეები ბურუსით მოცულნი ხდებიან.

არანაკლებ ბუნდოვნად პასუხობენ კომუნისტები კითხვას ურთიერთდაპირისპირებულთა ბრძოლის როგორც საბჭოთა საზოგადოებასთან მიმართებაში მამოძრავებელი ძალის შესახებ. სტალინმა სცადა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, რისთვისაც მოიგონა, რომ ურთიერთდაპირისპირებულთა ბრძოლა სხვადასხვანაირია კლასობრივ და კომუნისტურ საზოგადოებებში. პირველში მას თან ახლავს ამბოხებები და გადატრიალებანი, ხოლო მეორეში ვითარდება ამგვარი რღვევის გარეშე. არ დავიწყებია აგრეთვე თანამედროვე საბჭოთა საზოგადოების მამოძრავებელი ძალების მოხსენიება: საბჭოთა ხალხის მორალური და პოლიტიკური მთლიანობა, საბჭოთა ხალხების მეგობრობა, საბჭოთა პატრიოტიზმი, კრიტიკა და თვითკრიტიკა. ყველასათვის, ვინც კი მეტნაკლებად იცნობს საბჭოთა სინამდვილეს, ამგვარი მსჯელობის ტენდენციურობა იმდენად ნათელია, რომ მის უარსა-ყოფად არავითარი საბუთი არ დასჭირდება კაცს. სიტყვებით ამგვარი ჟონგლიორობა რომ მხოლოდ ისეთ ქვეყანაშია შესაძლებელი, სადაც, გაუგონარი ტერორის გამო, სიტყვას ვერავენ შეუბრუნებს რეჟიმის მეთაურს, თავისთავად ნათელია.

ასევე ნათელია, რომ ყოველგვარი წინააღმდეგობა ნიშნავს ბრძოლას, ანტაგონიზმს; წინააღმდეგობა, რომელიც არაა ანტაგონისტური უკვე წინააღმდეგობა კი არაა, არამედ განსხვავება.

კიდევ ერთ ძირეულ წინააღმდეგობად დიალექტიკურ მატერიალიზმში გვევლინება ამ მოძღვრების მიერ მიღებული გაგება მატერიისა: ერთი მხრივ, მატერია მისთვის რაღაც აბსოლუტურია, საწყისი მომენტი ყველაფრისათვის, სხვა სიტყვებით, მატერიისაგან წარმოიშვა ყველაფერი, მეორე მხრივ, მატერია გამუდმებით მოძრაობს და იცვლება. მაგრამ როგორ შეიძლება აბსოლუტური გამუდმებით იცვლებოდეს?! თუკი მსოფლიო პროცესი საუკუნოდ გრძელდება,

მაშინ რატომ არ მიადწია თავის აპოგეას? თუკი სამყაროში ყველაფერი ცვალებადია, როგორღა ავხსნათ ადამიანისაგან საკუთარი პიროვნების შეცნობის უცვლელობა, უცვლელობა მათემატიკური კანონებისა და ა. შ.? საერთოდ როგორ შეიძლება ავხსნათ რაიმე უცვლელი, თუკი ყველაფერი დამოკიდებულია მატერიაზე, რომელიც მუდამ იცვლება?

უკანასკნელ ხანებში რუსეთში მიმდინარე მოვლენებიც თვალნათლივ გვიჩვენებენ, რომ კომუნისტური მსოფლმხედველობის ნორმები რამე მყარ მეცნიერულ ბაზას კი არ ეყრდნობიან, არამედ კომუნისტური პარტიის მმართველი ელიტის მოთხოვნებს ემორჩილებიან. სტალინის ნაშრომები მის სიცოცხლეში გამოცხადებული იყო როგორც ადამიანური გენიის უდიდესი ქმნილებანი, როგორც დიალექტიკური მატერიალიზმის ჭეშმარიტებათა კლასიკური გადმოცემა... როგორც კი იგი გარდაიცვალა, ეს ნაშრომები მაშინვე დიალექტიკური მატერიალიზმის დამახინჯებად გამოაცხადეს. გამოდის, რომ სინამდვილეში დიალექტიკური მატერიალიზმი სრულიადაც არ გვევლინება მეცნიერულ მსოფლმხედველობად, არამედ ტენდენციურ ფსევდომეცნიერებად, რათა გაამართლონ ყველა ძალადობა და ბოროტმოქმედება, მთელ მსოფლიოში კომუნისტების გამარჯვებისათვის რომ სწადიან. ყველაფერი ეს ამტკიცებს, რომ დიალექტიკურ მატერიალიზმს არავითარი უფლება არა აქვს ყველაზე მოწინავე და ჭეშმარიტ მოძღვრებად იწოდებოდეს.

8. რელიგია მეცნიერების მტერია. რელიგიის წარმომადგენლები, განსაკუთრებით კათოლიკური ეკლესიისა, მუდამ ვამ დევნიდნენ მეცნიერებას. მათ კოცონზე დაწვეს ჯორდანო ბრუნო, დევნიდნენ გალილეისა და კოპერნიკს, რადგან ისინი იცავდნენ მეცნიერულ ჭეშმარიტებას, რომ დედამიწა მზის ირგვლივ ბრუნავს.

**პასუხი:** რელიგია რომ მეცნიერების მტერი არაა, ეს ჩანს უკვე აღნიშნული



ფაქტიდან: სწავლულთა დიდზე დიდი უმრავლესობა არა მხოლოდ მორწმუნეები იყვნენ, არამედ რელიგიურ აღმსარებლობათა წარმომადგენლები. განსაკუთრებით ეს ითქმის კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებზე. შეგახსენებთ, რომ კათოლიკე მოძღვარნი და ბერები მსოფლიო გამოჩენილ ასტრონომთა მეთაუდს შეადგენენ. მათ შორისაა კათოლიკე ბერი, იეზუიტი მამა სეკი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ციური მნათობების ფიზიკური აგებულებისა და ქიმიური შემადგენლობის შესწავლულ მეცნიერებას, ასტრონომიის მნიშვნელოვან დარგს — ასტროფიზიკას.

იგივე სურათია მეცნიერების სხვა დარგებში. ისეთი თანამედროვე მეცნიერება, როგორცაა გენეტიკა, დაფუძნებულია კათოლიკე ღვთისმსახურის, წმიდა ავგუსტინეს ორდენის ბერის მამა მენდელის მიერ. ყველასათვის, ვინც კი სერიოზულად სწავლობს ზოოლოგიას, ცნობილია სახელი ვაისმანისა, ჭიანჭველებისა და ტერმიტების სამყაროს დიდი მცოდნისა. იგიც კათოლიკე ღვთისმსახური იყო, იეზუიტი. თანამედროვე ფილოლოგები კარგად იცნობენ ფრანგი კათოლიკე მოძღვრის რუსლოს სახელს, რომლის ნაშრომებია ფონეტიკაში საყოველთაოდაა აღიარებული. უბრწყინვალესი სწავლულის, შვეიცარიელი მისიონერის, შტაილერთა ორდენის ბერის ვილჰელმ შმიდტის მრავალტომიანმა ნაშრომებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს აფრიკის ხალხთა შესწავლის საქმეში და მრავალი მცდარი წარმოდგენა უკუაგდეს ეთნოლოგიის სფეროში.

ზემოთ ჩამოთვლილი სახელებით არ ამოიწურება ღმრთისმსახური სწავლულების სია. ამ ფაქტს, რომ შუა საუკუნეებში მონასტრები წარმოადგენდნენ სამეცნიერო საქმიანობის ცენტრებს, თვით ბოლშევიკებიც კი აღიარებენ. უღმერთოები საყვიდურობენ კიდევ ეკლესიას, მეცნიერების მონოპოლიზება მოახდინა და ამით მისი განვითარება დააბრკოლაო.

სინამდვილეში კი აღმოჩნდა, რომ სწორედ იმ ქვეყნებმა, სადაც მეცნიერება მონასტრებში იყო კონცენტრირებული, დიდად გაუსწრო სხვებს და ბრწყინვალე საფუძველი მოუმზადა შემდგომ მიღწევებს. რაც შეეხება ბრალდებას, რომ კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლები ამა თუ იმ მოაზროვნის შეხედულებების წინააღმდეგ იბრძოდნენ, ამაზე უფრო დაწვრილებითაა საჭირო შეჩერება.

ჯორდანო ბრუნი გაასამართლეს არა იმისათვის, რომ ჰელიოცენტრული სისტემის მიმდევარი იყო და უარყოფდა აზრს იმის შესახებ, რომ დედამიწაა სამყაროს ცენტრა, არამედ ქრისტიანული მოძღვრების ძირითადი საფუძვლების ხელყოფისათვის, როგორცაა მაგალითად, ქრისტეს ღვთაებრიობა, მის მიერ მოვლენილ სასწაულებში ეჭვის შეტანა და ა. შ. იმ დროს არა მხოლოდ კათოლიკები, არამედ პროტესტანტებიც მიმართავდნენ რებრესიებს ასეთი შეხედულებების გამწვრცელებელთა წინააღმდეგ. ამგვარი ქადაგება გახდა მიზეზი ყოფილი განდგომილი ბერის გასაწართლებისა და დაწვისა. ჩვენს დროში ეს, ბუნებრივია, აღშფოთებას იწვევს, მაგრამ ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ იმ დროის სასტიკი ჩვეულებები, რაც ჯერ კიდევ შემორჩენილი მემკვიდრეობა იყო წარმართი წინაპრების შეხედულებებისა და ჩვეულებებისა. ამგვარ ექსცესებს ადგილი ჰქონდა როგორც კათოლიკურ, ისე არაკათოლიკურ ქვეყნებში. რელიგია დიდად უწყობდა ხელს ამ ჩვეულებათა სისასტიკის შერბილებას, მაგრამ საუკუნეები გახდა საჭირო, რომ ამგვარ შრომას ნაყოფი გამოეღო.

ფაქტები, რომლებზედაც ვლაპარაკობთ, არანაირად არ ეხება რელიგიის არსს. ისტორია გვიჩვენებს, რომ უღმერთო მთავრობები გაცილებით დიდი სისასტიკით უსწორდებოან თავიანთ მოწინააღმდეგეებს. ხოლო მეცნიერული შეხედულებების დევნასთან ამ ფაქტებს საერთო არაფერი აქვთ.

კოპერნიკს, როგორც ცნობილია, თავისი მოძღვრებისათვის არავითარი რეპრესიები არ განუცდია. იგი თავად იყო კათოლიკე ღვთისმსახური და მალალ სასულიერო წრეებში პატივისცემით სარგებლობდა. მართო ეს ფაქტიც კმარა იმის უარსაყოფად, თითქოს მისი თეორია ქრისტიანულ მოძღვრებას ეწინააღმდეგებოდა. კოპერნიკის წიგნი პაპისადმი იყო მიძღვნილი და მანაც კეთილგანწყობით მიიღო იგი. მხოლოდ მოგვიანებით, როცა პროტესტანტების მიერ დაწყებულმა ბრძოლამ ჰელიოცენტრისტული შეხედულებების წინააღმდეგ კათოლიკურ სასულიერო წრეებშიც შეიძინა გავლენიანი მომხრეები, კოპერნიკის წიგნი დაგმეს. მასში არაფერი იყო ქრისტიანული მოძღვრების საწინააღმდეგო, მაგრამ რადგან განხეთქილება ჩამოვარდა და კამათი ატყდა, მისი ჩაცხრომა მოინდომეს. კოპერნიკის მოწინააღმდეგეები თვლიდნენ, რომ მისი შეხედულებები არ ემთხვეოდა წმიდა წერილის მაშინდელ გაგებას. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ მეცნიერების მაშინდელი დონის გამოისობით ბიბლია საკმაოდ პრიმიტიულად ესმოდათ, ხოლო ძველი ასტრონომიული სისტემის მომხრეები თავიანთი შეხედულებების დამტკიცებისას ბიბლიას იმორწმუნდნენ. თავის მხრივ, ჰელიოცენტრისტული შეხედულებების მომხრეებიც ბიბლიას იმორწმუნდნენ. სინამდვილეში ბიბლია სრულიადაც არ ისახავს მიზნად რაიმე ასტრონომიული სისტემის შექმნას, არამედ მისი თანამედროვე კაცობრიობისათვის გასაგები ხატებითა და ცნებებით საუბრობს სამყაროზე.

ჰელიოცენტრული სისტემის უარყოფა კათოლიკე სწავლულთა მიერ მე-16 და მე-17 საუკუნეებში, რა თქმა უნდა, მათი შეცდომა იყო, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ეს არ იყო ეკლესიის შეცდომა, რამდენადაც მეცნიერთა გადაწყვეტილებებს სრულიადაც არ გააჩნდათ ეკლესიური უცხოობა, თუმცა კი მათ ღვთისმეტყველება წარმოიქვამდნენ, რო-

მელთაც მალალი საეკლესიო თანამდებობები ეკავათ. მეცნიერთა შეცდომა არ არის იმის დამადასტურებელი საბუთი, რომ რელიგია ან ეკლესია მტრულად იყოს განწყობილი მეცნიერების და მეცნიერული პროგრესის წინააღმდეგ. ამასთანავე, კოპერნიკის სისტემა იმ დროისათვის მხოლოდ გენიალური მიხვედრა იყო და არა ზუსტი დამადასტურებელი ფაქტებით აღჭურვილი მეცნიერული ჭეშმარიტება. კოპერნიკის სისტემის მოწინააღმდეგენი სწორედ იმიტომ იბრძოდნენ მის წინააღმდეგ, რომ ძველ სისტემას მეცნიერულად დასაბუთებულად თვლიდნენ, ხოლო კოპერნიკის შეხედულებებს დაუსაბუთებელ ჰიპოთეზად. თავიანთი თვალსაზრისით, ისინი მეცნიერების განვითარებას კი არ აშუბრუჭებდნენ, არამედ იცავდნენ, როცა კოპერნიკის თეორია მეცნიერულად დადასტურდა, ეკლესიის არც ერთ წარმომადგენელს არ ამოუღია მის წინააღმდეგ ხმა. საერთოდ ახალი თეორიების ათვისება იშვიათად თუ ჩაივლის უმტკივნეულოდ, სწავლულთა უმეტესობას უჭირს ჩვეული წარმოდგენების უარყოფა, მათზე უარის თქმა და ხშირად ისინი ბეჯითად იცავენ ძველ შეხედულებებს, სანამ მათი ცდომილება უმჭველად არ დამტკიცდება. გავიხსენოთ თუნდაც ნახევარსაუკუნოვანი კამათი ფიზიკოსებს შორის საგანთა გათბობის შესახებ: ძველი თეორია გვასწავლიდა, რომ საგანთა გათბობა ხდება მსუბუქი ნივთიერების, თბომბადის მეშვეობით, ახალი თეორია კი ამტკიცებდა ამგვარი ნივთიერება არ არსებობსო. კამათი მხოლოდ მას შემდეგ შეწყდა, რაც ძველი თეორიის ცდომილება ცდებით დამტკიცდა (დნობა ყინულის ორი ნაჭრის ურთიერთხახუნით, როცა სიახლოვეს „თბომბადებით მდიდარი“ არავითარი საგანი არ იყო).

ცნობილ ბუნებისმეტყველ ლიბიხს დიდხანს არ უნდოდა ერწმუნა, პასტერის აღმოჩენები იმის შესახებ, რომ ადამიანის ავადმყოფობათა მიზეზი მიკრობებია. იგი პასტერის თეორიებს იმ აბსურდულ

შეხედულებასაც კი ადარებდა, რომელიც ამბობს, რომ წყალი მდინარეში წისქვილის ბორბლების ბრუნვისაგან მოძრაობს! არადა, სწორედ პასტერის აღმოჩენებმა მოკვცევს საშუალება მედიცინა ახალ საფუძველზე დაგვეყარებინა და უპირავე აღაშინოს სიცოცხლე გადაკვეთინა. უღმერთოთა თვალსაზრისით გამოდის, რომ ლიბიხიც მეცნიერების მტრებს მივათვალეთ, რომლებიც მის განვითარებას ამუხრუჭებენ. გალილეის დევნა მართლაც ისტორიული ფაქტია, მაგრამ ეკლესიის მტრები ამ ამბავს რომ გადმოსცემენ, ამბახინჯებენ მას. ისინი მოგვიტხოვრობენ, თითქოს გალილეის სასტიკად აწამებდნენ და ისე აიძულეს თავისი აზრების უარყოფა. მონათხრობს მეტი რომანტიკულობა და დრამატიზმი რომ შესძინონ, იმეორებენ ცნობილ ლეგენდას იმის შესახებ, რომ გალილემ თავისი შეხედულებებისაგან იძულებითი განდგომის შემდეგ შესძახა: „მანც ბრუნავს“-ო.

ასე წარმოუდგენიათ საქმე მათ, ვინც ისტორიულ ფაქტებს კი არ უგებებს ყურს, რომელთა შესწავლაც მძიმე და მოსაწყენი საქმეა. არამედ რომანებს, ლექსებს და ეკლესიის მტრების იაფფასიანი პროპაგანდის ათასნაირ მონაჭორს.

სინამდვილეში კი გალილეის მხოლოდ წინადადება მისცეს, შენი შეხედულებების პროპაგანდას ნუ ეწვევი, ამ ზომასაც ნაწილობრივ იმიტომ მიმართეს; რომ გალილემ დაუდგრომელი ხასიათისა იყო და ეკლესიის ხელისუფალთაგან თავისი მოწინააღმდეგეების დასჯას მოითხოვდა. იმის შესახებ, რომ გალილეის აწამებდნენ, არავითარი ფაქტი არ არსებობს. კამათი მხოლოდ იმაზე შეიძლება, ხომ არ ემუქრებოდნენ ამგვარი რამით. ხოლო ფრაზა „მანც ბრუნავს!“, რომელიც გალილეის მიეწერება, წმიდა წყლის გამოწვევითაა, საერთოდ კი, დღეს რომ ეკლესიას ვუსაყვედუროთ იმის გამო, რაც სამასი წლის წინათ ხდებოდა, ისეთივე არაკონკრეტული და არასამართლიანი იქ-

ნება, აშშ-ს დღევანდელ მთავრობას რომ ბრალი დაედოთ ზანგებებისადმი იმ სასტიკი მოპყრობის გამო, რასაც ადგილი ჰქონდა მონათმფლობელობის დროს ან ინგლისის ახლანდელი მთავრობა დაუდანაშაულოთ წარსული დროის სასტიკი ანტიკათოლიკური კანონებისათვის. ამის ყველაზე ნაკლები უფლება უღმერთობსა აქვთ, ვინაიდან იქ, სადაც ისინა ბატონობენ, მეცნიერებას მხოლოდ დასახული გზითა და ხაზით შეუძლია განვითარება, შეშინებული იცქირება აქეთ-იქით, რათა ისეთი არაფერი წამოცდეს, პოლიტიკურს განაწესსა და მითითებებს რომ არ მიესადაგება, პოლიტიკურისი, რომლის წვერებსაც არაფერი ესაქმებათ მეცნიერებასთან და არც არაფერი გაუგებათ მისი.

გავიხსენოთ არც ისე დიდი ხნის წინანდელი განცხადება საბჭოთა მეცნიერებარსკისა, რომელმაც მხოლოდ იმიტომ უარყო თავისი მეცნიერული შეხედულებები, რომ პარტიამ არ მოიწონა იგი. აი მისი განცხადება, რომელიც პრავდაში გამოქვეყნდა 1948 წლის 15 აგვისტოს: „...მე, როგორც პარტიის წევრი, შეუძლებლად ვივლი იმ პოზიციებზე დარჩენას, რომლებიც ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მცდარად მიიჩნია...“

საბრალო სწავლული იძულებულია გახდა სახალხო უარყო თავისი მეცნიერული შეხედულებები, რომელთაც მთელი ცხოვრება იცავდა, რადგან ეს შეხედულებები არ დაემოხვა პარტიის „ხაზს“.

სახელგანთქმულ მეცნიერებს, როგორც იყო, მაგალითად, აკადემიკოსი ნ. ი. ვავილოვი, ასამართლებდნენ და სპობდნენ, მიუხედავად დამსახურებისა, სწორედ იმის გამო, რომ მათი გამოკვლევები ეწინააღმდეგებოდნენ იმ დოქტრინას, პარტიას რომ სჭირდებოდა. რა თქმა უნდა, პარტიისათვის არასასურველი სწავლულების თავიდან მოშორებას შეითხოვნილი ბრალდებებით ხსნიდნენ. ეს რომ იცოდნენ, სხვა სწავლულები საკუთარ თავში იკეტებოდნენ და ფაქტობრივად

ჩამოშორდებოდნენ ხოლმე მეცნიერულ მოღვაწეობას.

ყოველივე ზემოთქმულიდან ნათელია, რომ გაბატონებული უღმერთობა გაცილებით ძლიერ აფერხებს მეცნიერების განვითარებას, ვიდრე ამას ოდესმე გაბატონებული რელიგია ჩადიოდა.

9. რელიგია მოგვიბრუნებს მრავალნაირ სასწაულებზე. მეცნიერებამ კი დამტკიცა, რომ არანაირი სასწაული არ მომხდარა და არც შეიძლება მოხდეს, რადგან ეს იქნებოდა ბუნების კანონების დარღვევა.

**პასუხი:** გადმოცემები სასწაულთა შესახებ, სხვადასხვა რელიგიაში რომ გვხვდება, ამ სასწაულებს განიზილავენ სწორედ როგორც გამოჩაყლის საერთო წესიდან, როგორც იშვიათ მოვლენებს, ბუნების კანონებზე დაფუძნებულ საგანთა ჩვეულებრივი წყობიდან გადახვევას.

სასწაულების შესაძლებლობის საკითხი ღმერთის, შემოქმედისა და უწინარესი გონების, მთელი სამყაროს მეუფის არსებობის საკითხთანაა დაკავშირებული. თუკი ჩვენ ღმერთის არსებობა არა გვწამს, მაშინ, რასაკვირველია, სასწაულების შეუძლებლობა უნდა ვაღიაროთ, რამდენადაც: მაშინ ვიღას შეეძლო ჩარეულიყო ბრმა ძალის ქმედებაში, რომელსაც თითქოს დასაბამიერი კანონები მართავს? ვის შეეძლო იძულებული გაეხადა ეს ძალა სამარადჟამოდ დამყარებული წესიდან გადახვითა? თუკი ჩვენ გვწამს ღმერთის არსებობა, — ზემოთ უკვე ვანკნეთ, რომ ღმერთის არსებობა მრავალსწავლულს სჯეროდა, — მაშინ გამოდის, რომ გვწამს იმის შესაძლებლობაც, რომ მას, როგორც ბუნების ყოვლისშემძლე მეუფეს მისი კანონებისა, შემოქმედს უფლება აქვს შეაჩეროს მისი მოქმედება ისეთ შემთხვევებში, როცა ეს საჭიროა ამა თუ იმ ადამიანის კეთილდღეობისათვის ან, საერთოდ, ურწმუნოთა დასარწმუნებლად და ჭკუის სასწავლად.

ზუსტი მეცნიერებანი არასოდეს არ ამტკიცებდნენ და არც შეუძლიათ დაამ-

ტკიცონ სასწაულთა შეუძლებლობა, რამდენადაც ისინი ბუნების წესებსა და კანონებს იკვლევენ და არა გამოჩაყლისებს ამ წესებიდან და კანონებიდან. როგორც ფილოლოგიაში არსებული გამოჩაყლისები არ ეწინააღმდეგებიან გრამატიკასა და ენის კანონებს, არამედ ავსებენ მათ, ზუსტად ასევე სასწაულები ბუნების კანონებს კი არ უარყოფენ, არამედ მათ მიღმა არსებობენ.

თუკი რომელიმე პატივსაცემი პიროვნების ავტომობილს უფლება აქვს გაიაროს იქ, სადაც სხვებს გავლა აკრძალული აქვთ, თუკი რკინიგზა ტრასაზე უშვებს სპეციალურ მატარებელს, ამით სრულიადაც არ უქმდება ქუჩაში მოძრაობის წესები ან მატარებლების მოძრაობის განრიგი.

სასწაულთა შესაძლებლობა რომ უარყოთ, უპირველეს ყოვლისა საჭიროა დაეამტკიცოთ, რომ ყველა სასწაული, რომელთა შესახებ უამრავი მოწმობა არსებობს, გამოჩაგონია და ტყუილი ყველა ამ შემთხვევაში სიცრუის ან თვითჩაგონების გულეება შეუძლია მხოლოდ ისეთ ადამიანს, რომელიც სრულიადაც ვერ ერკვევა ამ მოწმობათა უტყუარობაში. ყოფილა მრავალი შემთხვევა, როცა ურწმუნო ადამიანები, სასწაულთა მოწმენი, გულდასმითი ანალიზის შემდეგ, დარწმუნდებოდნენ რა, რომ მომხდარ მოვლენას არავითარი ბუნებრივი ახსნა არ მოეძებნებოდა, მორწმუნენი ხდებოდნენ და ასეთებად რჩებოდნენ სიცოცხლის ბოლომდე.

ამგვარად, გადმოცემები სასწაულებზე სრულიადაც არ უპირისპირებენ ერთმანეთს რელიგიასა და მეცნიერებას, რამდენადაც ჭეშმარიტი. თავისუფალი მეცნიერება არასოდეს არ უარყოფდა სასწაულების არსებობას.

10. რელიგიის მოძღვრების თანახმად, ადამიანი სულია და სხეულსაგან შედგება. თანამედროვე მეცნიერებამ ზედმიწევნით შეისწავლა ადამიანი და მასში ვერავითარი სული ვერ იპოვა. ჩვენს





დროში ყველასათვის ცნობილია, რომ ადამიანი კვდება მისი ორგანიზმის მნიშვნელოვანი ორგანოების მუშაობის შეწყვეტის გამო და არა იმიტომ, რომ სული ტოვებს სხეულს. სწავლულებს ზოგჯერ ადამიანები „გაუცოცხლებიათ“ კიდეც, ე. ი. აღუდგენიათ მათი ორგანოების შეწყვეტილი მოქმედება, ასე რომ, თუკი სული არსებობს, გამოდის, რომ მათ ეს სული დაუბრუნებიათ სხეულში.

**პასუხი:** სულის უარყოფის საკითხში მატერიალისტები ზუსტად ისევე იქცევიან, როგორც ღმერთის, სამყაროს შემოქმედისა და გამგებლის უარყოფისას. ისინი ეყრდნობიან მეცნიერების მიღწევებს, რომლებმაც საშუალება მოგვცეს უფრო ახლოდან დავაკვირდეთ ადამიანის სხეულში მიმდინარე პროცესებს, თითქოს ეს მიღწევები გვიდასტურებენ, რომ სული არ არსებობს და იგი, საერთოდ, საჭირო სულაც არაა.

ეს ისევე უსუსურია, როგორც ღმერთის უარყოფა ბუნების ზედაპირული შესწავლის საფუძველზე.

წარმოედგინოთ ასეთი მდგომარეობა: მწერალი მუშაობს წიგნზე, რომელშიც სურს განავითაროს და დაიცავს თავისი იდეები. ამისათვის იგი იკვლევს ძილს, დასვენებას, გართობას, საკვებსაც კი. ერთი სიტყვით ყველაფერს, რასაც უნდა ესწრაფვოდეს თავისი მატერიალური საწყისის ბუნებრივი დაკმაყოფილებისათვის. მას შესწევს ძალა თავისი არსების მატერიალური მხარე დაიმორჩილოს ნებისყოფის საშუალებით, გაიცნობიერებს რა გონების დახმარებით, რომ ასე უნდა მოიქცეს. მაგრამ მას შეუძლია ყური არ უგდოს გონებას და ნებისყოფა მიმართოს თავისი სხეულის მოთხოვნილებათა შესაბამისად, ე. ი. დაისვენოს, იძინოს, სვას, ჭამოს და არაფერზე არ იზრუნოს. სულია სწორედ ის, რაც გვაძლევს ძალას არაღ ჩაევაღდოთ მატერიალური მოთხოვნილებები.


მტკიცება, რომ სული არ არსებობს, რადგან მეცნიერებმა ვერ იპოვეს იგი ადამიანის

მიანის სხეულის დეტალური გამოკვლევისას, მიამიტურია და ულოგიკო. ასეთი მტკიცება, წინააღმდეგ მოძღვრებისა სულის არსებობის შესახებ, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, რელიგია რომ გვასწავლიდეს სულის მატერიალურობის შესახებ, შესახებ იმისა, რომ მას აქვს წონა, მოცულობა ან განსაკუთრებულად ფაქიზი სტრუქტურა, რისი აღმოჩენაც შეიძლება სპეციალური ხელსაწყოების დახმარებით. მაგრამ მსგავსი არაფერი ხდება; რელიგია, ყოველ შემთხვევაში, ქრისტიანობა მიანიჭებს, ადამიანის სულის თვლის არამატერიალურ სუბსტანციად და ასეთად თვლიდა მანამდეც, სანამ სრულყოფილი ხელსაწყოები გამოჩნდებოდა.

წმიდა წერილის გამონათქვამები, რომლებიც სულს თითქოს აიგივებენ ადამიანის სიცოცხლესთან ან სისხლთან, მხოლოდ იმ კავშირზე მიგვიითებენ, რომელიც ლოგიკურად არსებობს ამ ცნებებს შორის, რამდენადაც სისხლის ღირაოდენობით დაკარგვისას ადამიანი სიცოცხლეს ესაღმება, თითქოს და სულმა დატოვა სხეულიო, სისხლი თითქოს სულის სიმბოლოდ, ადამიანის სიცოცხლის პრინციპის მატარებლად გვევლინება.

ადამიანის სულიერი, არამატერიალური სუბსტანციის — სულის არსებობის უარყოფა ისევე უსაფუძვლოა, როგორც უარყოფა ადამიანის ჭკუისა მას შემდეგ, რაც მიცვალებულის სხეული გაკვეთეს და ტვინის გამოკვლევისას ვერავითარი სპეციალური „ჭკუა“ ვერ აღმოაჩინეს.

თანამედროვე მეცნიერება ადამიანის სიკვდილის გამოწვევებზე მიზეზებს რომ გვიხსნის, სრულიადაც არ ასუსტებს რელიგიის დებულებას, რომ სიკვდილი, თავისთავად, სხეულისაგან სულის გაყრაა. სული ღმერთს იმიტომ კი არ შეუქმნია, რომ სადღაც სამყაროს უსასრულობაში ეცხოვრა, არამედ შექმნა, რათა გარკვეული ადამიანის სხეულში უხილავად დაივანოს, განუყოფლად იყოს დაკავშირებული სწორედ ამ ადამიანის სხეულში



ლთან მანამ, სანამ ავი მოხუცებულობის, ავადმყოფობის ან უბედური შემთხვევის გამოისობით ისეთ მდგომარეობაში არ აღმოჩნდება, როცა უკვე აღარ შეუძლია ამ ადამიანის სულიერი სუბსტანცია იყოს. მაშინ სული გაეყრება ამ ხორცს (შესრულებული ექნება რა თავისი დანიშნულება მიწაზე – გააცოცხლოს სხეული) და სამყაროს დასასრულამდე უსხეულო მდგომარეობაშია. თუკი სხეულის მდგომარეობა ისეთია, რომ ჯერ კიდევ შეუძლია როგორც თავისი ძალებით, ასევე მედიცინის დახმარებით დროებითი შეჩერების შემდეგ განაახლოს ან აღადგინოს სასიცოცხლო ფუნქციები, მაშინ სული, რა თქმა უნდა, არ შორდება სხეულს და სიკვდილიც მოჩვენებითია, ისევე, როგორც, მაგალითად, ლეთარგიული ძილისას.

ამგვარად, უღმერთოთა ამ მტკიცებასაც არავითარი უფლება არა აქვს მეცნიერებას დაეყრდნოს.

11. სამყარო რომ ყოვლისშემძლე, ბრძენი და მწყალობელი ღმერთის შექმნილი ყოფილიყო, იგი უფრო სრულყოფილი იქნებოდა, აღარ იქნებოდა ამდენი ტანჯვა და უსამართლობა; ღმერთს უნდა ეზრუნა, რომ ყველა ადამიანს შეძლებოდა თავისი მოთხოვნების დაკმაყოფილება.

**პასუხი:** სამყარო იმ სახით, ჩვენ რომ ვხედავთ, ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი. სამყარო როგორც მთლიანობა თავისი განვითარების სრულყოფის სტადიის გზაზეა. ამქვეყნად მრავალი სატანჯველია, მაგრამ ტანჯვასაც თავისი აზრი აქვს: ზემოქმედებს რა ადამიანის სულზე და ათავისუფლებს რა მას მიწიერის სიყვარულისაგან, აკეთილშობილებს მას. სამყარო იმნაირად რომ ყოფილიყო შექმნილი, თვითეულ ადამიანს ყველაფერი ჰქონოდა კეთილდღეობისათვის, რაღაც მდაბიურა, უგვანო „სამოთხის“ მსგავსად. ადამიანები მიატოვებდნენ ამაღლებული მიზნებისაკენ სწრაფვას, თავს მიახებებდნენ სულიერზე, ზე-

ციურზე ფიქრს, დაივიწყებდნენ, რომ შექმნილი არიან ხატად და მსგავსად ღმრთისა განუდგებოდნენ თავიანთ სწრაფვას სრულყოფისაკენ.

თანამედროვე სამყარო ადამიანთა მოდგმის აღზრდისა და გამოცდის ადგილია, იგი თითქოს უნივერსალური სტადიონია, რომელზედაც აჯილდოებენ დავაწმობისა და მიზანმიღწეულებს. ღვთიური გემის საბოლოო მიზანი მომავლის სამყაროა. თანამედროვე სამყარო დროებითია, მომავლისა – საუკუნო. ყოველი ცალკეული ადამიანის ცხოვრება აქ, მიწაზე დახამამებაა თვალისა, წამიერია, ხოლო მომავალი ცხოვრება – განუზომელი უსასრულობა. „რამეთუ ათასი წელი წინაშე თუალთა შენთა, უფალო, ვითარცა გუშინდელი დღე...“ (ფსალ. 89,5), – ნათქვამია ბიბლიაში.

ჩვენ, ამქვეყნად მცხოვრებნი, მისთვის დამახასიათებელი წარმოდგენებით შემოზღუდულნი, მუდამჯამ ვივიწყებთ იმ უზარმაზარი განსხვავების შესახებ, მიწიერი ცხოვრების სწრაფმავალ მოვლენებსა და მარადისობაში დავანებულ მომავლის მოვლენებს შორის რომ არსებობს. ამიტომ ჩვენ არაიშვიათად გვეჩვენება, რომ ამ ქვეყნად ყველაფერი ცუდადაა მოწყობილი და დაეჭვებას ვიწვევთ მისი შემოქმედის სიბრძენსა და სიკეთეს. ჩვენ გვავიწყდება, რომ ჩვენეული ყველაზე მძიმე საწუხარი ამ წუთისოფელში საუკუნო ცხოვრებასთან შედარებით სხვა არაფერია, თუ არა ბავშვის უსიამო სიზმარი, რომელიც კვამლივით ქრება, როგორც კი ღელის მოსიყვარულე ხელის შეხება გამოაღვიძებს.

ღმერთმა ამქვეყნიურ, დროებითსა და სიზმრისმაგვარ ყოფაში სატანჯველი იმიტომ დაუსუა, რომ მას რომ გადავიტანთ, მარადიულ სიცოცხლეს ვეწიოთ და ასევე მარადიული ბედნიერებით დავტკბეთ. იმან, ვინც თვალებს არ ხუჭავს, რომ მისი ცხოვრების წარმართვაში ღვთიური ხელის კვალი ჩანს, უნდა აღიაროს, რომ არცთუ იშვიათად ის სატანჯველი

და უსიამოვნებანი, ესოდენ სამწუხაროდ და აუტანლად რომ ეჩვენებოდა, სინამდვილეში მისთვის სასარგებლონი აღმოჩნდნენ. ან კი შეიძლება სხვანაირად იყოს? ბუნების შესწავლისას ვგებულ-ობთ, რომ ღმერთი ყველაფერზე ზრუნავს, ყველაზე უმნიშვნელო ქმნილებაზეც კი და იფარავს მას საფრთხისაგან. მან ათასობით მცენარეს თესლის გავრცელების ათასნაირი საშუალება განუწყესა, განუწყესა სუსტ ცხოველებსა და მწერებს დამცავი შეფერილობა, დააჯილდოვა ისინი ისეთი ინსტინქტით, რომელიც ხშირად ადამიანის გონებაზე ბრძენი და შორსგაშვებულად იქნება. გავიხსენოთ ტერმინტა ნაკებობანი, რომელთა ხელოვნებაც შეშურდებოდა ყველა არქიტექტორსა და ინჟინერს, გავიხსენოთ ფუტკრებისაგან აგებული ფიჭები! სწავლულებმა გაიანგარიშეს, რომ ფუტკრების მიერ ფიჭისათვის შერჩეული ფორმა ყველაზე პრაქტიკული, ყველაზე ტევადი და ყველაზე მოსახერხებელია. სწავლულებს ამ გაანგარიშებისათვის ლოგარითმები დასჭირდათ, ზოლო ფუტკრებმა ამ გაანგარიშების ხერხი უხსოვარი დროიდან იცოდნენ. საიდან „გაიგებდნენ“ ისინი ყველაფერ ამას, რომ არ არსებულყო უზენაესი არსება, რომელიც ზრუნავდა მათზე? ამ მოვლენის ახსნა უკეთესი შემგუბლობით სრულიად შეუძლებელია, — მაშინ უნდა გვევარაუდა, რომ ფუტკრების მრავალი სახეობა ერთიანად ამოწყდა მხოლოდ იმის გამო, რომ მათ ვერ შეძლეს ეპოვათ ფიჭის იდეალურ-პრაქტიკული ფორმა, ეს კი აშკარა უაზრობა იქნებოდა.

მეორე მაგალითი: შუა აფრიკის მდინარეებსა და ტბებში გავრცელებულია საკმაოდ დიდი თევზი, რომელსაც მორმიუსს უწოდებენ. ამ თევზს აქვს ორგანო, რომელიც საშუალებას აძლევს მას დროულად შეიტყოს მისთვის საშიში, უფრო დიდი და მტაცებელი თევზის მოახლოების შესახებ. იგი ფლობს ნამდვილ ბუნებრივ აპარატს, „რადარს“, რომელიც ელექტრომაგნიტური ტალღების მეშვე-

ობით მოქმედებს და საშუალებას აძლევს მფლობელს დროულად დაუსხლტეს მოახლოებულ საფრთხეს. როგორ შეიძლება ბოდა ასეთი ბუნებრივი აპარატი თავისთავად წარმოშობილიყო?

ბუნების შესწავლა მრავალზე უმრავლეს მაგალითს გვაძლევს, რომლებიდანაც ნათლად ჩანს შემოქმედის ზრუნვა თავისივე ქმნილებათა ცალკეულ სახეობებზე. როგორ შეიძლება იმის გაფიქრება, რომ მას შეეძლო დაევიწყებინა თავისი უმაღლესი ქმნილება — ადამიანი?

**12. რელიგია სოციალურ ურთიერთობათა პროდუქტად გვევლინება, ამიტომ იგი კლასობრივი მონაგონია და არ შეიძლება ჭეშმარიტი იყოს.**

**ბასშსნი:** იმას, რომ რელიგია სოციალურ ურთიერთობათა პროდუქტად გვევლინება ან, უფრო უხეშად რომ ვთქვათ, ექსპლოატატორთა მონაგონია მშრომელთა ჩაგვრისათვის, უკვე დიდი ხანია იმეორებენ საბჭოთა და, საერთოდ, მარქსისტულ წიგნებში. ოღონდ ხშირი გამეორებისაგან ეს მტკიცება უფრო დამაჯერებელი და, მით უმეტეს, ჭეშმარიტი სულაც არ ზდება. უწინარეს ყოვლისა, რელიგია საერთო საკაცობრიო მოვლენაა, რომელმაც სხვადასხვა ფორმით ერთიანად მოიცვა დედამიწის ყველა ხალხი ყველა დროსა და ეპოქაში.

ტიტუს ლივიუსთან კვითხულობთ, რომ ჯერ კიდევ უძველეს დროში, სხვადასხვა ხალხში შეიძლებოდა მრავალნაირი ჩვეულებები და ადათები გვენახა მაგრამ ვერსად და ვერც ერთ დროში ვერ ვიპოვიდით ურელიგიო ხალხს. ძველი დროის ეს დებულება დღესაც სარწმუნოდ ითვლება, როცა უკვე შესწავლილია დედამიწაზე არსებული ყველა ხალხის ისტორია. თუმცა, ძალზე იშვიათ შემთხვევებში, მკვლევარები წააწყდებიან ხოლმე ისეთ ხალხებსაც, რომლებიც დიდი უნდობლობით გამოირჩეოდნენ უცხოელებისადმი და ასეთ შემთხვევებში დიდხანს ვერ ხერხდებოდა რელიგიურ წარმოდგენათა რაიმე კვალის აღმოჩენა. ათ-

ეისტები სიხარულით აიტაცებდნენ ხოლმე ცნობას ამგვარი შემთხვევების შესახებ, რადგან მათში ხედავდნენ დასტურს თავიანთი თეორიისა—რელიგია გამოგონილიაო. ოღონდ ამ ხალხების უფრო გულდასმით შესწავლამ გვიჩვენა, რომ ისინი, უბრალოდ, გაურბიან რელიგიურ თემებზე საუბარს უცხოელებთან. იმ მკვლევარებმა, რომლებმაც მოახერხეს მათი ნდობის მოპოვება, ბევრი რამ შეიტყვეს მათი რელიგიური წარმოდგენების შესახებ და განცვიფრებული იყვნენ იმ მოწიწებით, რომელსაც ეს პრიმიტიული ხალხები ამჟღავნებდნენ ზებუნებრივი სამყაროს მიმართ. უკვე ერთი ფაქტი რელიგიის უნივერსალურობისა ძალზე საეჭვოს ხდის ვარაუდს, რომ იგი სოციალურ ურთიერთობათა შედეგად წარმოიშვა.

არცთუ იშვიათად ათვისებები ამტკიცებენ აგრეთვე, რომ რელიგია წარმოიშვა ადამიანის უსუსურობის, ბუნების მრისხანე ძალების წინაშე მისი შიშის შედეგად. ამიტომ, ამბობენ ისინი, ადამიანებმა ბუნების ძალები გააღმერთესო; ადამიანები, არ შესწევდათ რა ძალა ბუნებრივი მოვლენების მართვისა, ცდილობდნენ მათი გულის მოგებას და ისე მიმართავდნენ მათ, როგორც ცოცხალ არსებებს.

რა თქმა უნდა, ბუნების ძალთა ამგვარ პერსონიფიცირებას ვხვდებით წარმართულ რელიგიებში, მაგრამ ამით დასტურდება მხოლოდ რელიგიური გრძნობის მიაჩნტური და არასწორი მიმართულება და სრულიადაც არ აიხსნება მისი წარმოშობა. რელიგია, როგორც ასეთი, რომ მხოლოდ შიშზე იყოს დაფუძნებული, მაშინ ვერ შეძლებდა ადამიანებში განემტკიცებინა მზაობა თავგანწირვისათვის, ვერ შეძლებდა განემტკიცებინა გმირული ერთგულება თავისი აღმსარებლობის რელიგიური იდეალებისადმი, როგორც ვხედავთ ამას, მაგალითად, ქრისტიანობაში. რელიგიას რომ ყოველი ცალკეული ადამიანის სულში უდრმესი

საფუძვლები არა ჰქონოდა, როგორ გავრცელდებოდა ასე საყოველთაოდ? მისი როგორც სიახლის წინააღმდეგ საპროტესტო ხმას აიმაღლებდნენ, ხანგრძლივ ბრძოლას გაუმართავდნენ, როგორც ამას ჰქონდა ადგილი რელიგიურ მიმდინარეობათა შეცვლისას. მაშინ სადმე უნდა შემორჩენილიყო ხალხი, ამგვარ რელიგიურ სიახლეს რომ არ დაემორჩილა!

გარდა ამისა, რელიგიური წარმოდგენები თავისთავად ძალზე რთულია როგორც ჩვეულებრივი ადამიანური ცდის მიღმა მდგარი და შეუძლებელი იქნებოდა მათი ასე ხელოვნურად დანერგვა. ამიტომ ან ეს წარმოდგენებია სულის თვისება, ან კიდევ სული გვევლინება მათი აღქმის ორგანოდ. ყველაზე „ჭკვიანი“ მაიმუნიც კი, რომელიც ბრწყინვალედ იმეორებს ადამიანის ურთულეს ნამოქმედარს, ყოვლად უძლურია რაგინდანი რელიგიური აღქმისადმი, მაშინ როცა ადამიანს, თუნდაც ყველაზე პრიმიტიულსა და შეზღუდულს, ყოველთვის შესწევს უნარი ამგვარი აღქმისა.

მტკიცებანი რელიგიის ბუნებრივი წარმოშობის შესახებ მთლიანად ეყრდნობიან გასული საუკუნის თეორიებს, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ყველა უმაღლესი (მონოთეისტური) რელიგია აღმოცენდა უფრო პრიმიტიული (პოლითეისტური) სარწმუნოებებიდან. არადა, ამ თეორიების ძირითადი დებულებანი თუ მთლიანად არ დაარღვიეს, საფუძვლიანად მაინც შეარყიეს მომდევნო ხანის მკვლევარებმა, რომლებმაც მთელი რიგი მაგალითების მეშვეობით გვიჩვენეს, რომ სწორედ ახლადშესწავლილმა ხალხებმა, რომლებმაც თავიანთი პირველყოფილი სტრუქტურა სხვათა კულტურების გავლენისაგან დაიცვეს, საოცარმა სიწმინდით შეინახეს ერთღმერთიანობის (მონოთეიზმის) იდეა და, აქედან გამომდინარე, ამიერიდან შეუძლებელია ვილაპარაკოთ, რომ რელიგიური წარმოდგენები დამოკიდებულია სოციალურ პირობებზე და ჩავთვალოთ, რომ მონო-



თვისტური რელიგიები პოლითეისტურ-იდან აღმოცენდნენ. ამ ახალ გამოკვლევებში ყველაზე დიდი ღვაწლი მიუძღვის ინგლისელ სწავლულს ენდრიუ ლანგსა და შვეიცარიელ სწავლულს ვილჰელმ შმიდტს. ამ უკანასკნელმა ეს საკითხები დაამუშავა ექვსტომიან ნაშრომში „ღმერთის იდეის წარმოშობა“.

13. რელიგია მშრომელთა ჩაგვრის იარაღია, იგი აიძულებს მათ, რომ არ იზრუნონ ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე, ხელი აიღონ ამგვარი გაუმჯობესებისათვის ბრძოლაზე, ქედი მოიხარონ ექსპლოატატორთა წინაშე.

**პასუხი:** ამგვარი მტკიცება უღმერთობისა დაფუძნებულია წმიდა წერილის ზოგიერთ გამონათქვამზე, რომლებიც კონტექსტიდანაა ამოგლეჯილი, და რელიგიის ან რომელიმე რელიგიური ორგანიზაციის ზოგიერთი წარმომადგენლისა და თავად რელიგიის როგორც მთლიანის გაიგივებაზე. რა თქმა უნდა, თუკი ამოვკრიბავთ წმიდა წერილიდან ისეთ გამონათქვამებს, როგორცაა: „მონანი დაემორჩილენით ყოვლითა მოშიშებითა თვისთა უფალთა, ნუ ხოლო სახიერთა და ტკბილთა, არამედ უსახურთაცა“ (1 პეტ., 2. 18). ან: „ყოველი ხელმწიფებასა მას უმთავრესისასა დაემორჩილენ, რამეთუ არა არს ხელმწიფებაი, გარნა ღმრთისაგან“... (რომ., 13. 1), ან კიდევ: „მოახსენებდ მათ მთავრობათა და ხელმწიფებათა დამორჩილებად“... (ტიტ., 3. 1) და ა. შ., ადვილად შეგვექმნება შთაბეჭდილება, რომ რელიგიის (მოცემულ შემთხვევაში ქრისტიანულის) უმთავრესი მიზანია სოციალურად დაბალ საფეხურზე მდგომი ადამიანები მორჩილებას მიანიჭოს, მაგრამ თუკი წმიდა წერილს მთლიანად წაეკითხავთ და გავიზრებთ, არავითარ შემთხვევაში არ შეგვექმნება შთაბეჭდილება, რომ ზემოთ მოტანილი გამონათქვამები ახალი აღთქმის მთელ სოციალურ მოძღვრებას შეადგენენ. რელიგიების, განსაკუთრებით ქრისტიანულის, მიზანია ზნეობრივი სრულყოფის

გზით ადამიანი ღმერთამდე მიიყვანოს; ეს კი მიიღწევა საკუთარ თავთან, საკუთარ კნებებთან და ეგოისტურ მისწრაფებებთან ზანგრძლივი ბრძოლით. ადამიანის ზნეობრივი სრულყოფა აგრეთვე ერთადერთი საშუალებაა სამართლიანი სოციალური წყობის განხორციელებისათვის. ერთი სოციალური ჯგუფის ბრძოლა მეორის წინააღმდეგ ამ საშუალების. ამ პირობის გარეშე, მჩაგვრელთა აღრინდელ ჯგუფს ახლით ცვლის მხოლოდ და სრულიადაც არ სპობს უსამართლობასა და ჩაგვრას. საფრანგეთის რევოლუცია და რუსეთის ოქტომბრის რევოლუცია ან ფაშიზმის ბატონობა გერმანიაში თვალნათლივ გვიდასტურებენ ამას. მთელი ისტორიის მანძილზე ქრისტიანობა ადამიანთა ზნეობრივი სრულყოფისათვის იბრძოდა და თუკი მან ვერ მიაღწია ამ მიზანს, არა იმიტომ, რომ ქრისტიანობა იდეალები მცდარია, არამედ იმიტომ, რომ ადამიანებმა არ ისურვეს ამ იდეებით გამსჭვალულიყვნენ და თავიანთი ეგოისტური მოთხოვნების დაკმაყოფილება ამჯობინეს.

ქრისტიანობა ზნეობრივ მოთხოვნებს ერთნაირად უყენებს სუსტებსა და ძლიერებს, ღარიბებსა და მდიდრებს... ძლიერთა ამა ქვეყნისათა და მდიდართ იგი გამორჩეული სიმკაცრით უყენებს ზნეობრივ მოთხოვნებს, როგორც ეს წმიდა წერილიდან ჩანს: „აწ უკუე თქვენცა, მდიდარნო, ტიროდეთ და გოდებდით უბადრუკებათა მათთვის, თქუენი, ზედა მომავალთა. სიმდიდრე თქუენი დაღპოლვილ არს, სამოსელი თქუენი მდილთა დაუჭამიეს... აჰა ესერა სასყიდელი მოქმედთა მათ, რომელთაც განლევეს ყანაი თქუენი. დაკლებული იგი თქუენგან დალადებს და დაღადება იგი მომკალთა მათ ყურთა უფლისა საბაოთისათა მიწევს“ (იაკ. 5. 1-4). გავიხსენოთ მაცხოვრის ქადაგების სიტყვები: „...ჟამ თქუენდა, მდიდარნო, რამეთუ მივილებიეს ნუგეშინის-ცემამ თქუენი; ვამ თქუენდა, განმამდარ-

ნო აწ. რამეთუ გშიოდის, ვაჲ თქუნდა, რომელნიც იცინით აწ, რამეთუ იგლოვდეთ და სტიროდეთ; (ლუკა. 6, 24-25).

ცხადია, რომ ამგვარი სიტყვები არ იქნებოდა წმიდა წერილში, იგი რომ მხოლოდ ღარიბების მდიდრებისადმი მორჩილებაში აღსაზრდელად იყოს განკუთვნილი. ბიბლიის მთელ რიგ ადგილებში მდიდრები განკიცხულნი არიან როგორც სხვათა შემეცნოებელნი და მხაგრელები, რომელთაც დივიწყეს ღმერთი.

ეკლესია გმობს მხოლოდ რევოლუციური ორგანიზაციების უკანონო სწრაფვას მტრობა გააღვივონ უქონელთა შორის და მიუხედავად იხინი მქონებულთ ამიტომ ეკლესია გმობს და ანათემას გადასცემს რა კომუნისტს, თანაუგრძნობს მშრომელთა სწრაფვას ვაიუმჯობესონ თავიანთი ქატირიალური მდგომარეობა და იწონებს მათ გაერთიანებას ქრისტიანულ პროფკავშირებში.

ყოველივე აქედან ცხადია თუ რაოდენ მცდარი და ცილისმწამებლურია ეკლესიის დადანიშნულება მუშათა კლასისადმი მტრობაში.

14. თუკი რელიგია მტრულად არაა განწყობილი მშრომელთა მიმართ, მაშინ შიხი წარმომადგენლები რატომ გამოდიოდნენ ყოველთვის მშრომელთა ინტერესების წინააღმდეგ და მდიდართა მხარეს იჭერდნენ?

**პასუხი:** ამგვარი მტკიცება სრული ცილისმწამებაა. კათოლიკე ღმრთისმსახურთა რიგებიდან, რომელიც ცელიბატის (დაუქორწინებლობის) წყალობით ცალკე ჯგუფად არ ჩამოყალიბებულა, მაგრამ ცოცხალი კავშირი შეინარჩუნა ხალხის ყველა ფენასთან, მრავალი პიროვნება გამოვიდა, რომლებიც სოციალური სამართლიანობისათვის, მშრომელთა ინტერესებისათვის იბრძოდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ კათოლიკე ღმრთისმსახურთა ამგვარი ბრძოლა ძალიან არ მოსწონდათ უღმერთო იდეოლოგიის სულსინამდგამელებს; მაგალითად მარქსი გაღიზიანებული წერდა გერმანელი კათოლიკე

ეპისკოპოსის კეტლერის სოციალური მოღვაწეობის შესახებ.

ისიც მართალია, რომ შუა საუკუნეებში ეკლესიის წარმომადგენლები ხშირად მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი სახელმწიფო წყობასთან, ფეოდალურ კლასთან, ამიტომ იმ დროს არცთუ იშვიათად გამოდიოდნენ ამ კლასის ინტერესების დასაცავად. მაგრამ ეს უპირველეს ყოვლისა იმიტომ ხდებოდა, რომ ეკლესია მაშინ საკმაოდ თავისუფალი არ იყო. ადრეული შუა საუკუნეების ისტორიამ იცის კათოლიკური ეკლესიის შეუპოვარი ბრძოლა ინვესტიტურის, ე. ი. საერო ხელისუფალთაგან ეპისკოპოსების თანამდებობებზე დანიშვნის წესის წინააღმდეგ. სწორედ საერო ხელისუფალნი ისწრაფოდნენ ეპისკოპოსები მათზე დამოკიდებულ მდგომარეობაში ჩაეყენებინათ, მაგრამ ჰაპები იბრძოდნენ ამის წინააღმდეგ და არად აგდებდნენ იმ ზიანს, რაც ხშირად ხელისუფალთა რისხვას მოჰქონდა. მას შემდეგ, რაც კათოლიკურმა ეკლესიამ მოახერხა სახელმწიფო ძალაუფლების მეურვეობისაგან თავის დახსნა, ეკლესიისა და გაბატონებული კლასების წარმომადგენელთა ინტერესების გადაჯაჭვის შემთხვევები სულ უფრო და უფრო იშვიათი იყო. იქ კი, სადაც ამგვარი რამ ხდებოდა, ბრალეული იყო არა საერთოდ მთელი ეკლესია, არამედ მისი ცალკეული წარმომადგენლები.

15. მაშინ რუსეთში რატომღა იყო ეკლესია მუდამეამ მთავრობასა და მდიდრებზე დამოკიდებული?

**პასუხი:** რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია, თავისი საუკეთესო წარმომადგენლების სახით, მკაცრად გმობდა მქონებელთა ბოროტმოქმედებას და ღარიბთა ინტერესებს იცავდა. ამაში ყველას შეუძლია დარწმუნდეს, ვინც კი რუს მოძღვართა თხზულებებს გაეცნობა, მაგალითად, წმიდა ტიხონ ზადონსკისას კი როგორ კიცხავდა იგი მდიდრებს, რომლებიც ექსპლუატაციას უწყევდნენ მშრომელებს: „რაც უფრო მეტ სიმდიდ-

რეს აგროვებს (ვინმე), მით უფრო მეტ რისხვას იმსახურებს ღმრთისას და მომდევნო სამარადისო სატანჯველს... (იგი უნდა გამოიყვანონ იმ სამყოფელიდან, უპოვართა სისხლით რომ აღაშენა“ (სიტყვა მიმტაცებლობაზე). „თუკი სადმე პატიოსნადაა დაგროვილი სიმდიდრე, რაც ძალზე იშვიათად ხდება, და სცივრებშია დამალული ან გადაამეტებულ მოთხოვნილებებზე იხარჯება, — ესეც ღმრთის ნების წინააღმდეგ ხდება“ (ჭეშმარიტი ქრისტიანობის შესახებ, წიგნი 2.).

ამგვარი და ამის მსგავსი განსჯანი მრავალზე მრავალი შეიძლება ვიპოვოთ რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის ბევრი წმიდანისა და მოძღვრის თხზულებებში, ცნობილი რუსი წმიდანები, როგორცაა წმ. სერაფიმე, ბერი ამბროსი, ოპტინსკი და სხვები, არასოდეს არ ასხვავებდნენ ღარიბებსა და მდიდრებს, მდაბიორებსა და ღიდგვაროვანთ.

თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ რუსული ეკლესია, იმის წყალობით, რომ თანდათან ეროვნულ ეკლესიად გადაიქცა, იძულებული გახდა სულ უფრო და უფრო დამორჩილებოდა საერო ხელისუფლებას, რომელიც ხშირად იყენებდა მას თავისი მიზნებისათვის. მაგრამ ეს ფაქტი მხოლოდ საყოველთაო, თავისუფალი ეკლესიისათვის ბრძოლის აუცილებლობას გვიდასტურებს და არა ეკლესიის ან საერო რელიგიის წინააღმდეგ.

იმას, რომ რუსულ ეკლესიაში გაიხმოდა მძლავრი საპროტესტო ხმები სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მისი დამონების წინააღმდეგ, გვიდასტურებს მე-15 მე-16 სს რუსი ბერების, რომელთაც „ეოლგისგალმელებერებს“ ეძახდნენ, ბრძოლა სამონასტრო მიწების არსებობის წინააღმდეგ, მონასტრების მიერ ამ მიწებზე ნებაყოფლობით უარის თქმის მომხრეთა რიცხვი იმაზე ნაკლები არ იყო, ვიდრე მოწინააღმდეგეებისა.

16. რაკი რელიგია მოუწოდებს ადამიანებს თავიანთი ყურადღება უპირველ-

ეს ყოვლისა ცხოვრების ზებუნებრივ საწყისებზე გაამახვილონ და დაივიწყონ ამსოფლიურზე ზრუნვა — ნუ ჰზრუნავთ ხულია თქუენისათვის, რაი სჭამოთ და რაი ჰსუათ, ნუცა ზორცთა თქუენთათვის, რაი შეიმოსოთ (მათე, 6, 25). ნათელია, რომ ამგვარი მსოფლმხედველობა საზოგადოების ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაზე საზიანოდ იმოქმედებს.

**პასუხი:** ისტორია სწორედ საპირისპიროს გვიდასტურებს. ქრისტიანობის გავრცელებას თან ახლდა კულტურის განვითარება და ეკონომიკის აღორძინება. იმ ფაქტს, რომ მონასტრები იწვევდნენ უზარმაზარი ადგილების კულტივირებას, რომლებიც მანამდე დაუსახლებელი ან გაუდაბურებული იყო, რელიგიის მტრებიც კი ვერ უარყოფენ. რელიგიური თემები ყველაზე მეტად შთააგონებდნენ უდიდეს პოეტებს, მხატვრებსა და კომპოზიტორებს ჭეშმარიტი ხელოვნებისადმი სამსახურად. ეს გვიდასტურებს, რომ საერთოდ რელიგიისა და ნაწილობრივ ქრისტიანობის მიმართ წაყენებული ბრალდება, რომ ისინი ადამიანებში პასიურობასა და უმოქმედობას ავითარებენ, ისტორიულ ფაქტებს ეწინააღმდეგება. ფიქრით მუდამკამიერი სწრაფვა ზეციურისაკენ ჭეშმარიტ ქრისტიანებს მხოლოდ იმისაგან იცავს, რომ ცხოვრების მთავარი აზრი და მიზანი მიწიერ მატერიალურ ინტერესებში დაინახონ.

კარგი ქრისტიანი სრულიადაც არ უგულვებელყოფს მიწიერ საქმეებს იმის გამო, რომ ღმერთზე და ზეციურზე ფიქრობს, პირიქით, ღმერთზე ფიქრი განაწყობს მას, რომ თავისი მოვალეობანი კეთილსინდისიერად, მონდომებით შეასრულოს, შიშის კი არა, სინდისის გამო.

დასასრულ კიდევ ერთ ფაქტზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება, რომელიც ყოველ „პატიოსნად“ ურწმუნოს განაწყობს, რომ კიდევ უფრო ღრმად ჩაუფიქრდეს რიგ საკითხებს, რომელთაც ზემოთ შევხებით. რელიგია რომ მართლაც ცრუმორწმუნეობა იყოს, მეცნიერებას

რომ ეწინააღმდეგებოდეს, მაშინ მისი უარყოფა ყველაზე იოლი და მარტივი იქნებოდა დისპუტების საშუალებით მის დამცველებსა და მოწინააღმდეგეებს შორის, საჯარო დისკუსიის დროს იოლად შეიძლება იმის ჩვენება და დამტკიცება, რომ რელიგია ანტიმეცნიერულია და მისი მომხრეების ყველა საბუთი უსაფუძველოა.

როგორც ჩანს, რუსი ბოლშევიკები თავიანთი გათვლებისას ამას ეყრდნობოდნენ, რამდენადაც რევოლუციის შემდგომ, პირველ ხანებში, ისინი ნებას იძლეოდნენ, რომ ამ თემაზე საჯარო დისპუტები გაემართათ. რა თქმა უნდა, მხარეები არათანაბარ პირობებში იყვნენ: ათეისტებს სრულიად თავისუფლად შეეძლო

ლაპარაკი, ხოლო მორწმუნეებს ყოველი სიტყვა უნდა აეწონ-დაეწონათ, რათა კონტრრევოლუციონერობაში არ დაედოთ ბრალი. სახელმწიფო, მთელი თავისი აპარატით, რა თქმა უნდა, ათეისტებს უჭერდა მხარს, მათ განკარგულებაში იყო ყოველნაირი წიგნი და სახელმძღვანელო, მაშინ როცა რელიგიის დამცველები თითო-ორი ძველი წიგნით უნდა დაემაყოფილებულიყვნენ, რომლებიც გადაურჩათ, და მაინც, 1929 წელს ეს დისპუტები საბოლოოდ აიკრძალა ათეისტური მთავრობის მიერ.

განა ეს ფაქტი საუკეთესო დადასტურება არაა იმისა, რომ „მეცნიერებას“ არ შეუძლია რელიგიის უარყოფა?

### შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

\*ლენინის კარგად მცნობი ვალენტი-ნოვი ასე აღწერს მის მუშაობას:

„ამ წიგნისათვის, რომელიც დაუჯერებელი სისწრაფითაა შედგენილი ენეუვაში, ლენინმა ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმში, უამრავი თხზულება მოიხმო. ჩვენ მასთან ვხვდებით ამონარიდებსა და მითითებებს მანზე. აენარიუსზე, პეტროლდზე, პუანკარზე, დიუგეშზე, ლესკვიჩზე, ევალდზე, ვუნდტზე, პარტმანზე, ფისტზე, შუბერტზე, ზოდერნზე, ფოიერბახზე, რიკერტსა და მრავალზე მრავალ სხვაზე. ექვსი თვის განმავლობაში, ლენინმა ამ წიგნის შედგენაზე რომ დახარჯა, და მით უმეტეს, სამი კვირა ბრიტანეთის მუზეუმში სიარულისას მას არ შეეძლო წაეკითხა ამდენი, მისთვის უცნობი ფილოსოფოსის წიგნი, მის „ფილოსოფიურ რეულებში“ არის ასეთი ფრაზა: „როგორც გადაფურცკელისას აღმოჩნდა, აქ არაფერია საინტერესო“. ამ მეთოდით — „გადაფურცკელით“ — სარგებლობდა იგი, როგორც ჩანს, არა მხოლოდ აენარიუსისა და მახის 1200 გვერდიანი თხზულებების, არამედ მის მიერ მოხმობილი ავტორების თხზულებათა უმეტესობის გაცნობისას. იგი იმდენად

კი არ კითხულობდა მათ, რამდენადაც „ფურცლადა“ რათა რაიმე „საინტერესო“ ეპოვა, რომ შერეე ძერასავით დაეკრძოდა, მაგრამ მარტო ამით არ ამოწურება ამ წიგნის ორიგინალურობა. მისი შედგენა ხდებოდა საოცრად გააფთრებულ მდგომარეობაში, რაც ასე დამახასიათებელი იყო ლენინისათვის... ამგვარმა გაცოფებამ ლენინის წიგნი ნამდვილად უნიკუმი გახადა — ალბათ არ მოიძებნება მეორე წიგნი, უცხოელ ფილოსოფოსთა მისამართით ამდენი უხეშზე უხეში ლანძვარვინება რომ იყოს დახვავებული... მას სურვილი აქვს სახეში აფურობოს თავის მოწინააღმდეგეებს: იგი ლაპარაკობს „მახისა და აენარიუსის ფილოსოფიისათვის ახი ათასჯერ მიფურთხებაზე“. ლ. ი. ორთოდოქს-აქსელროდი, თუმცა კი ლენინის თანამოაზრე იყო ფილოსოფიის სფეროში, აღმფრთხილებული იყო ამ წიგნის სიტლანქით. „გონებისათვის მიუწვდომელია, — აღმფრთხილებული ამბობდა იგი, — ამგვარი რამე დაწერო, თუ დაწერ — არ წაშალო, თუ არ წაშლი — სასწრაფოდ მისი კორექტურა არ მოითხოვო ამ უაზრო და ტლანქი შედარებების მოსაშორებლად“. აქსელროდმა არ



იცოდა, რომ ტექსტს, რომელიც მის წინაშე იდო, „კორექტურა“ უკვე გავლილი ჰქონდა, ე. ი. ლენინის დის დაუინებელი მოთხოვნით შელამაზებული და შერბილებული იყო. ძნელი წარმოსადგენია, როგორი იყო იგი შესწორებამდე!“ (ვალენტინოვი, შეხვედრები ლენინთან, გვ. 336-337. რუს.)

\*<sup>2</sup> საბჭოთა ანტირელიგიური პროპაგანდა როგორ იოლად გადააქცევს ხოლმე მორწმუნე სწავლულს ურწმუნოდ, ამის დასტურად თუნდაც ასეთი ფაქტიც კმარა: 1960 წლის მარტის ნომერში „კომსომოლსკაია პრავდა“ წერდა ცნობილი

რუსი ექიმისა და პედაგოგის ნ. ი. პიროგოვის ათეისტობის შესახებ. საბუთად მოიტანეს ადგილი მისი „სიკვდილის შემდგომი ჩანაწერებიდან“, სადაც იგი ათეისტურ აზრს გამოთქვამს, მაგრამ ამასთან, ათეისტები მალავენ იმ ფაქტს, რომ პიროგოვი იმავე ჩანაწერებში აღნიშნავს, რომ ამგვარად მსჯელობდა იგი, როცა ჯერ კიდევ ახალგაზრდა და უმწიფარი იყო, შემდეგ კი მტკიცედ ირწმუნა დემტროის არსებობა. (შეადარე «Посмертные записки», «Русская Старина» 1884 г. стр. 447—448).

## II ნაწილი

### ქრისტიანთა და ჯიჟიდა ჯარილის შარამოვა

ქრისტიანობის წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა უღმერთობას სურს ყველა დაარწმუნოს, თითქოს ქრისტე არასოდეს არსებობდა. ყოველგვარ სერიოზულ საფუძველს მოკლებული ეს აზრი, პირველად საფრანგეთის რევოლუციის დროს რომ გამოითქვა და მალევე მიივიწყეს, შემდგომში ხელახლა აიტაცეს, საინტერესოა აღინიშნოს, რომ სერიოზული მეცნიერები, თითქმის გამოხაკლისის გარეშე, არასოდეს არ იცავენენ ამ აზრს. ისინი კი, ვინც მას იცავდა, სულაც არ იყვნენ იმ ეპოქისა და იმ ქვეყნის სპეციალისტები, ქრისტეს რომ უხდებოდა მოღვაწეობა.

თუმცა თავისუფალ სამყაროში საკუთარი თავის პატივისმცემელი არც ერთი მეცნიერი არ იზიარებს ქრისტეს ისტორიულობის უარმყოფელთა შეხედულებებს, მაინც უნდა შევჩერდეთ მათზე, რამდენადაც საბჭოთა რუსეთსა და მასზე დამოკიდებულ სახელმწიფოებში, კომუნისტთა შეუზღუდავი დიქტატურის წყალობით, ამ შეხედულებებსაც თითქმის ისე აწვდიან ხალხს, როგორც „მეცნიერების უკანასკნელ მიღწევას“, ძალზე ნიშანდობლივია, რომ კომუნისტები თავიანთ ბრძოლაში ქრისტიანობის წინააღ-

მდეგ სწორედ მეცნიერული თვალსაზრისით ამ უმწეო თეორიას ებღაუჭებიან იმის იმედით, რომ მათი მსმენელები ვერასოდეს მოახერხებენ გაეცნონ იმ ფაქტს, რომ ქრისტეს არაისტორიულობის თეორია მეცნიერების თავისუფალ სამყაროში დიდი ხნის უარყოფილია. განა მართებული არ იქნება აქედან დავასკვნათ, რომ თუკი უღმერთოები იმასაც კი კადრულობენ ამგვარ მანევრებს მიმართონ, ამათ საკუთარ უძღურებას აღიარებენ და იმ ძალისა და მომზიბლაობის დემონსტრირებას ახდენენ, ქრისტეს პიროვნება რომ ასხივებს? მათ ეშინიათ, რომ მტრების მიერ დახატული ქრისტეც კი ძალზე დიადი გამოჩნდება და მრავალთა გულებს მიიზიდავს. ამიტომ ისინი დავიწყებით ამტკიცებენ თავისას, „არ არსებობდაო!“ ცდილობენ რა ამით ქრისტიანობა ჩაკლან ადამიანთა გულებში, საერთოდ როგორ შეიძლებოდა მომზადარყო, რომ ამგვარი უაზრო მტკიცება, დაუმტკიცებლობით ბადალი რომ არსად მოეპოვება, გარკვეულწილად მაინც გავრცელებულიყო? ცნობილი მწერალი და მოაზროვნე მერეჟოვსკი ამასთან დაკავშირებით ამბობდა:

„აზრად არავის მოუვა იკითხოს მყო

თუ არა ქრისტო, თუკი შეკითხვამდე გონებას არ დაუბნელებს სურვილი, რომ იგი არ ყოფილიყო, კერძს უნდა, რომ სინათლე არ იყოს, მსოფლიოს, რომ ქრისტე არ იყოს, ამიტომაა, რომ მე-18 საუკუნეში დაწვებული გიჟური ალტკინება მითომანით ისეთი ალტკაცებით აიტაცა მსოფლიომ, თითქოს მხოლოდ ამას ელ-ოდაო, ცოდნა ძნელად და ნელა მოდის, ხოლო უეცრობა — სწრაფად და იოლად იგი ისე ვრცელდება მსოფლიოში, როგორც ქონის ლაქა გახეთის ქალადზე და ამ ლაქასავით მოუშორებელია“ (მერეჟოვსკი, უცნობი იესო).

ამიტომ უსარგებლო არ იქნება თუ განვიხილავთ რამდენიმე მოსახრებას, რომელთაც ლემერთოები შიმართავენ ქრისტეს ისტორიულობისა და, აგრეთვე, წმიდა წერილის წიგნების უტყუარობისა და ღმრთივშთაგონებულობის წინააღმდეგ.

1. არაქრისტიანული წყაროები დუმან ქრისტეს შესახებ, თუკი მათ რაიმე ცნობა მოეპოვებათ — ქრისტიანული ფა-ლსიფიკაციაა.

**პასუსნი:** ეს რომ მართლაც ასე ყოფილიყო, მაშინ ყველანაირი საფუძველი გვექნებოდა ქრისტეს არსებობის ისტორიულ ფაქტში დატყუებისა, მაგრამ ვინაიდან ეს ტყუილია, ქრისტეს უარმყოფელები იძულებულნი არიან ცნობილ ფსიქოლოგიურ მანევრს მიმართონ, არაქრისტიანული ცნობებიდან ისინი ჩვეულებრივ ირჩევენ ცნობილ ადგილს ი. ფლავიუსის „იუდეველთა სიძველენი“-ს XVIII წიგნიდან, რომელიც მართლაც დაამახინჯა ვილაც გადამწერმა და აცხადებენ: „ეს ადგილი ყალბია, აქედან გამომდინარე, ი. ფლავიუსი არაფერს გვამცნობს ქრისტეს შესახებ; ხოლო რადგანაც იგი, როგორც ისტორიკოსი, მოვალე იყო მასზე რაიმე დაეწერა, თუკი იგი მართლაც ცნობრობდა, აქედან გამოდის, რომ ქრისტე არასოდეს არ არსებობდა; მაშასადამე, დანარჩენი არაქრისტიანუ-

ლი ცნობებიც მის შესახებ ასევე ქრისტიანთა ნაყალბეგია“

დასაბუთების ამგვარი ხერხი სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა დემაგოგია, რომელიც ისეთი შეკითხვებისთვისაა გათვალისწინებული, აზროვნების დიდი საფუძვლიანობით რომ არ გამოირჩევიან თავდაპირველად განვიხილოთ ი. ფლავიუსის წიგნიდან ციტირებული ადგილი

„იუდეველთა სიძველენი“-ს XVIII წიგნში შემდეგ ცნობას ვხვდებით ქრისტეს შესახებ: „მოველინა ამ დროს ქვეყანას იესო, კაცი ბრძენი, თუკი შეიძლება კაცი ეწოდოს მას, რამეთუ უჩვეულო საქმეებს ჩადიოდა, იყო მათი მოძღვარი, ვინაც ხალისით ეწაფებოდა ჭეშმარიტებას და მრავალი იუდეველი და ელინი მიიზიდა. იგი ქრისტე (მესია) იყო; მაშინაც კი, როცა პილატემ ჩვენს წინამძღვარში ხალხს დასძინა საფუძველზე ჯვარზე სიკვდილით დასაჯა იგი, მოყვას პირველმოწაფეებს არ მიუტოვებიათ ის, რამდენადაც მესამე დღეს კვალად ცოცხალი მოველინა მათ, როგორც ითქვა ამის შესახებ წინასწარმეტყველთა მიერ, ისევე როგორც მის მიერ მოკვნილ მრავალ სასწაულთა შესახებ. დღესაც არსებობს იმათი თემი, რომელთაც სახელი ქრისტიანი მიიღეს მისგან“.

ნათელია, რომ ამ ტექსტს ასეთი სახით არ დაწერდა იოსებ ფლავიუსი, რომელსაც ქრისტე როგორც მესია არა სწამდა, ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი ცნობას ქრისტეს შესახებ მოგვანვდიდა ცივი, ნეიტრალური ტონით, ქრისტიანმა გადამწერმა კი ვერ მოახერხა თავი შეეკავებინა საკუთარი შენიშვნებისაგან და იოსებ ფლავიუსის ტექსტში ჩაურთო იგი. ჩვენს დროში ამას შენიშვნის სახით გააკეთებდნენ ან წიგნის ბოლოს მიუთითებდნენ, ძველ დროში კი ყველაფერს მიყოლებით წერდნენ და როგორც ჩანს, მიამიტ გადამწერელს ეჭვიც კი არ გასჩენია, რომ ტექსტს აყალბებდა. ი. ფლავიუსის წიგნი პირველი სა-

უკუნის 90-იან წლებში დაიწერა, მაგრამ უძველეს ქრისტიან მწერლებს (მაგალითად, ორიგენეს) ეს ადგილი გადაკეთებამდე ჰქონდა წაკითხული. იოსებ ფლავიუსის შესახებ რომ ლაპარაკობს, ორიგენე გარკვევით მიუთითებს: „იესოსი მასაც არა სწამდა“-ო.

ესე იგი, პირვანდელ ტექსტში იყო სიტყვები, რომლებიც საფუძველს გვაძლევდნენ დაგვესკვნა, რომ ფლავიუსს არა სწამდა ქრისტი, მაგრამ აქედან, უეჭველად, ისიც გამოდის, რომ იგი რაღაცას მოგვითხრობდა ქრისტიზე. ეს კი უცილობელი გარანტიაა ქრისტეს ისტორიულობისა, რამდენადაც პირველი საუკუნის 90-იან წლებში არ შეიძლებოდა კაცს მითი და სინამდვილე არეოდა ერთმანეთში, როცა ლაპარაკი პირველი საუკუნის I ნახევარზე იყო. ეს დებულება კიდევ უფრო ნათლად დასტურდება იმ ფაქტით, რომ იმავე „იუდეველთა სიძველენი“-ს XX წიგნი ისევ მოიხსენიებს გაკვრით ქრისტეს, როცა იაკობ მოციქულზე ლაპარაკობს. იგი გვამცნობს იაკობ მოციქულის, „ქრისტედ წოდებული იესოს“ ძმის, სამართალში მიცემის თაობაზე, ე. ი. თვლის, რომ მკითხველისათვის იესო ქრისტი უკვე ცნობილია. ამგვარად, ჩვენ დადასტურებულად შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ იოსებ ფლავიუსს მოხსენიებული ჰყავდა ქრისტი და მხოლოდ ეს მოხსენიებაც კი სავსებით საკმარისია, რათა ვამტკიცოთ, უკიდურეს შემთხვევაში, ქრისტეს როგორც ისტორიული პიროვნების არსებობის რეალურობა.

პლინიუს უმცროსი (Epist. 1,8, 96), თავის პატაკში იმპერატორ ტრაიანესადმი 112 წელს წერს იმის შესახებ, თუ როგორ გამოიძია ბრალდებული ქრისტიანების საქმე. ამასთანავე აცნობს მათ რელიგიურ წეს-ჩვეულებებს და, სხვათა შორის, ამბობს, რომ მზის ამოსვლისას იკრიბებიან და ქრისტეს როგორც ღმერთს ჰიმნს უმღერიანო. ამ სიტყვებიდან კარგად ჩანს, რომ თუ-

მცა კი პლინიუსი ქრისტეს ცხოვრებიდან არაფერს გვიყვება, მაგრამ თავისი თხრობის მანერით ნათლად გვიდასტურებს მის ისტორიულობას. ეს რომ სხვანაირად ყოფილიყო, იგი ამნაირად იტყვოდა: „ჰიმნს უმღერიან თავიანთ ღმერთს -- ქრისტეს და არა ქრისტეს როგორც ღმერთს“-ო.

რომაელმა ისტორიკოსმა სვეტონიუსმა დაახლოებით 120 წელს დაწერა თავისი თხზულება „ცხოვრება 12 კეისარისა“. ნერონის ცხოვრებას რომ აღწერს, იგი მოგვითხრობს: „მრავალი ბოროტება ჩაიდინა ნერონმა, მაგრამ არც სიკეთე უქნია ნაკლები. მან გაწვევითა ქრისტიანები, ახალი, მათე ცრურწმენის მიმდევარი ხალხი.“ ხოლო კლაუდიუსის ცხოვრებას რომ აღწერს (41-45), იგი ლაპარაკობს განხეთქილებაზე ებრაელებს შორის, რაც ქრესტემ (ქრისტემ) გამოიწვია. ეს ცნობა საკმაოდ ბუნდოვანი და გაურკვეველია. თავად სვეტონიუსს, როგორც ჩანს, არ ჰქონდა ნათელი წარმოდგენა ქრისტეს პიროვნებაზე და მას რაღაც პოლიტიკურ ბელადად თვლიდა. მაგრამ ამას ჩვენთვის უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს; ჩვენთვის მხოლოდ იმის ცოდნაც კმარა, რომ სვეტონიუსი ქრისტეს ისე მოიხსენიებს, როგორც ისტორიულ პირს, რომელმაც განხეთქილება ჩამოაგდო ებრაელებს შორის.

როგორც ვხედავთ, სვეტონიუსი მსჯელობს არა ქრისტიზე, არამედ ქრესტიზე, ამიტომ ქრისტეს ისტორიულობის უარყოფილებმა ამას ჩაავლეს ხელი და განაცხადეს, რომ აქ ლაპარაკია არა ქრისტიზე, არამედ ვიღაც უცნობ ქრესტიზე, იმ დროს რომ ცხოვრობდა, ამით მათ ბევრი ქრისტიანული ლიტერატურის სრული უცოდინარობა გამოამჟღავნეს, რამდენადაც სვეტონიუსის დროს სახელი ქრისტი გრაფიკულად ორნაირად გამოისახებოდა (ქრისტი და ქრესტი) და პარალელურად არსებობდა. ასე მაგალითად, ლაქტანციუსი მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ წარმართები ქრის-

ტეს კი არ ამბობენ, არამედ ქრესტუსო. ასეთივე ცნობებს გვაწვდის ტერტულიანე, განსაკუთრებით რომაელების შესახებ. თუკი ამას დაემატებთ, რომ ძველი ქრისტიანი მწერლები იუსტინე-ფილოსოფოსი და თეოფილე ქრისტეს სახელს აწარმოებენ ბერძნული ქრესტოს (სასარგებლო) — საგან, ხოლო ცნობილმა გერმანელმა სწავლულმა ჰარნაკმა დაადგინა, რომ ტაციტუსის მატიანეებში გვხვდება როგორც ქრესტიანები, ასევე ქრისტიანები, ნათელი გახდება, რომ სვეტონიუსი, რომელიც თავის ისტორიას წარმართთა მონათხრობების მიხედვით წერდა, რა თქმა უნდა, იესო ქრისტეს გულისხმობდა.

მაგრამ ყველაზე დამაჯერებელი დასტური ქრისტეს ისტორიულობისა უეჭველად არის ტაციტუსის ცნობა (115 წ.). მისი ანალებების მე-15 წიგნის 44-ე თავში ასეთ ადგილს ვხვდებით: „ეს ხმები რომ მოესპო (რომის გადაწვის თაობაზე), მან (ნერონმა) იმათი გასამართლება და დასჯა დაიწყო, ვისაც ხალხი ვერ იტანდა მათი საძაგელი საქმეების გამო და ქრისტიანებს ეძახდა. ამ სახელის დამნაშავე, ქრისტე, ტიბერიუსის მმართველობისას პილატე პონტოელმა სიკვდილით დასაჯა; მაგრამ დროებით ჩახშობილი ეს საძაგელი ცრუმორწმუნეობა ისევ აღორძინდა არა მხოლოდ იუდეაში, სადაც ჩაისახა, არამედ თავად რომშიც, სადაც ყოველი მხრიდან იყრის თავს ყოველგვარი საშინელება და სისაძაგლე“. ტაციტუსის მატიანის უტყუარობა არავითარ ეჭვს არ იწვევს. იმის მტკიცება, ზემოთ მოტანილი ადგილი ქრისტიანების ჩამატებულიაო, მხოლოდ ჭკუიდან გადასულს თუ მოუვა აზრად. ამგვარად, ტაციტუსი უცილობლად გვიდასტურებს ქრისტეს ისტორიულობას.

ნიშანდობლივი და საჩინოა, რომ საერთოდ ქრისტიანობის არც ერთ ძველ მოწინააღმდეგეს არც კი უფიქრია ქრისტეს ისტორიულობის უარყოფის შესაძლებლობის შესახებ. წარმართმა სწავ-

ლულმა, ექიმმა ცელზმა, ქრისტიანობის მოწინააღმდეგემ, სპეციალურად მის წინააღმდეგ დაწერა წიგნი „ტემმარიტი სიტყვა“ და მასში თავი მოუყარა ყველაფერს, რაც კი ქრისტიანობის წინააღმდეგ არსებობდა. მის დროს რომ რაიმე ეჭვი არსებულიყო ქრისტეს ისტორიულობის შესახებ, მაშინვე ისარგებლებდა ამით. მაგრამ ქრისტეს ისტორიულობა მისთვის ყოველგვარი ეჭვის გარეშე იღვა.

ქრისტიანობის სხვა მოწინააღმდეგეებს, იუდეველებს, ასევე არასოდეს არ უფიქრიათ ქრისტეს ისტორიულობის უარყოფა. ქრისტიანმა წამებულმა იუსტინემ, რომელიც, ჩვეულებრივ, ფილოსოფოსად იწოდება, თავის წიგნში „საუბარი იუდეველ ტრიფონთან“ თავი მოუყარა ებრაელთა ყველა საწინააღმდეგო აზრს ქრისტიანობის მიმართ და ათქმევინა იგი ვინმე ტრიფონს, მაგრამ აქაც ვერ ვიპოვით თუნდაც მინიმუმას ქრისტიანის არაისტორიულობის შესახებ.

რაბინთა მოძღვრება, თალმუდის სხვადასხვა წიგნში რომაა თავმოყრილი, პირდაპირ აჭრელებულია ქრისტესა და ქრისტიანობის წინააღმდეგ გამოხდომებით, მაგრამ თალმუდისტებისაგან არც ერთს არც კი უცდია დაეჭვებულიყო ქრისტეს ისტორიულობაში, პირიქით, ისინი ქრისტეს სასწაულებსაც კი ადასტურებენ, თუმცა მას ჯადოსნურ ძალას მიაწერენ, მაშინდელი დროის წარმოდგენების შესაბამისად ბაბილონის თალმუდი მოგვითხრობს აგრეთვე ქრისტეს გარდაცვალების შესახებ და უმატებს მონაგონ ამბავს, თითქოს იესოს გასამართლებლად დასჯამდე მოწმეები გამოეძახებინათ, სხვა დანარჩენი — დღე და სიკვდილით დასჯის საშუალება — ყველაფერი ისეა თალმუდისტებთან, როგორც ქრისტიანულ წყაროებში. ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ არაქრისტიანული წყაროები, როგორც ებრაული, ასევე წარმართული, გვიდასტურებენ ქრისტეს უცილობელ ისტორიულობას.



რომ არც გვექონოდა პავლე მოციქულის არც ერთი ეპისტოლე, არც ერთი სახარება და, საერთოდ, ახალი აღთქმის ლიტერატურის არც ერთი ნიმუში, ქრისტეს ისტორიული არსებობის ფაქტი საესებით ნათელი იქნებოდა ყველასათვის, ვინც კი რამდენადმე მაინც ერკვევა ისტორიულ ცნობებში.

საბჭოთა უღმერთოები ხანდახან ამტკიცებენ, რომ ყველა ეს ადგილი გვიანდელი ინტერპოლაციააო, ამის დასტურად კი არაერთი საბუთი არ მოჰყავთ. საკითხავია, როგორ შეიძლებოდა ერთდროულად ამდენ ხელნაწერში შეეტანათ ცვლილება და ეს ამბავი შეუმჩნეველი დარჩენილიყო? სხვა რომ ზრადფერი, ხომ უნდა შემოგვრჩენოდა რამდენიმე ეგზემპლარი ამ შესწორებების გარეშე? მათ შესახებ კი არაფერია ცნობილი. სექტონიუსის ცნობათა ტექსტი გვაგონობს, რომ ავტორს ქრისტეზე გარკვეული წარმოდგენა არ ჰქონდა, რაც საესებით გაუგებარი იქნებოდა, ეს ტექსტი რომ ქრისტიანი გადამწერლის ჩამატებული იყოს; ტაციტუსის ტექსტი კი იმდენად ნათლად გამოხატულ მტრობასა და სიძულვილს შეიცავს ქრისტიანების მიმართ, რომ, როგორც ზემოთაც ვთქვი, მის უტყუარობაში სრულიად შეუძლებელია დაეჭვება. ასევე, პლინიუსის წერილში ქრისტეზე ნათქვამი ქრისტიანის მიერ რომ იყოს ჩამატებული, იგი, ალბათ, უფრო დაწვრილებით მოგვიყვებოდა ყველაფერს.

2. ქრისტიანულ წყაროებს, რომლებიც იესოს ცხოვრებაზე მოგვითხრობენ, არ შეიძლება ვენდოთ, რადგან ისინი მოგვიანებითაა შექმნილი და მხოლოდ მიეწერებიან პირველი საუკუნის ავტორებს.

**აბსუსი:** სახარებებისა და ახალი აღთქმის სხვა წიგნების ნამდვილობა იმით დასტურდება, რომ ქრისტიანული ლიტერატურის სხვა ძველი ძეგლები ხშირად იმოწმებენ მათ. ამათ რიცხვშია, მაგალითად, შემდეგი დოკუმენტები: წმ.

ვენატე ღვთისმეტყველის (+ 107) 7 ეპისტოლე, წმ. პოლიკარპე სმირნელის (155) ეპისტოლე, წმ. კლიმენტის პირველი ეპისტოლე კორინთელთა მიმართ (95), დიდაქე ანუ 12 მოციქულის მოძღვრება (I საუკუნის დასასრული), ბარბარეს ეპისტოლე და ა. შ. სრულიად ნათელია, სახარებები რომ გვიანდელი ნაყაღბევი იყოს, მათგან მოხმობილი ციტატები არ იქნებოდნენ უძველესი ქრისტიანული ლიტერატურის ამ ძეგლებში. გარდა ამისა, თავად ხასიათი აღწერილი მოვლინებისა სრულ საფუძველს გვაძლევს, რომ ამ მონათხრობთა ავტორები გულმართალ ადამიანებად ჩავთვალოთ, სხვანაირ შემთხვევაში ისინი საკუთარ თავს ზოგჯერ ასე უხადრუკად არ წარმოგვიჩენდნენ: განდგომა პეტრესი, ყველა მოციქულის გაქცევა ქრისტეს შეპყრობისას, ძილი, რომელმაც ქრისტეს შეპყრობამდე დასძლია მთავარმოციქულნი, მათი კამათი მომავალ სასუფეველში დასამკვიდრებელი ადგილების გამო და ა. შ.

საერთოდ, სახარების უიჭველობის კრიტიკამ რიგი ათწლეულების განმავლობაში თავისებური ევოლუცია განიცადა. რამდენადაც მუშაობა ტექსტის კრიტიკული შესწავლისათვის მე-19 საუკუნის შუა ხანებში ჯერ კიდევ სუსტად იყო განვითარებული, კრიტიკოსებს შეეძლოთ თავისათვის უფლება მიეცათ ყველაზე თამამი აზრები ემტკიცებინათ და წარმოეჩინათ ისინი, როგორც მარტოოდენი მეცნიერული თეორია და უარყოფდნენ ახალი აღთქმისეული თითქმის ყველა თხზულების უიჭველობას. მაგრამ, პოლემიკით გამოწვეულმა, ამ საკითხის უფრო გამორწმინდული შესწავლამ წმიდა წერილის უტყუარობის როგორც მომხრეთა, ასევე მოწინააღმდეგეთა მიერ საქმე ძირეულად შეცვალა. ამის შედეგად თავად კრიტიკოსები იძულებულნი გახდნენ ერთიმეორის მიყოლებით ეცნოთ ამ წიგნების ნამდვილობა.

უდიდესი მეცნიერი ა. ჰარნაკი (გარდ.

1930), ერთ-ერთი ყველაზე საჩინო სწავლული მათ შორის, ვინც კრიტიკულად სწავლობდა ძველ ქრისტიანულ ლიტერატურას, იძულებული იყო პატიოსნად ელიარებინა ხსენებული წიგნების უტყუარობა. შემდგომში მეცნიერული გამოკვლევები სულ უფრო და უფრო ახალ საბუთებს წარმოაჩენდნენ სახარებისა და ახალი აღთქმის სხვა წიგნების უტყუარობის დასადასტურებლად. ასე რომ, უფრო მოკვიანებით, როცა რომელიმე კრიტიკოსი სადავოს გახდიდა წმ. პავლე მოციქულის ოთხი ყველაზე შეჭველი ეპისტოლეს ნამდვილობას, სერიოზული კრიტიკა ერთსულოვნად გაემიჯნებოდა ხოლმე ამგვარ აზრებს.

ყველაზე მეტ ძალისხმევას სახარებათა ნამდვილობის უარყოფელნი მიმართავენ იოანეს სახარების მიმართ და ამტკიცებენ, რომ იგი მე-2 საუკუნის შუა ხანებშია დაწერილი. თუმცა კი ამ სახარების სტილიცა და ენაც მისი ნამდვილობის სახარებებლად მეტყველებენ, დიდხანს არ აღმოჩნდა ამის ზუსტი დასტური, კერძოდ დასტური გარეგანი რიგისა. ამასობაში, ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში, ეგვიპტეში იპოვეს ჩვენი წელთაღრიცხვის მე-2 საუკუნის 20-იანი წლების პაპირუსი, რომელიც შეიცავს ნაწყვეტებს იოანეს სახარების მეფორამეტე თავიდან. ამით განადგურდა უარყოფელთა უკანასკნელი არგუმენტი: თუკი მეორე საუკუნის 20-იან წლებში ეს სახარება უკვე ცნობილი იყო ეგვიპტეში, მაშინ ნათელია, რომ იგი დაიწერა 20-25 წლით ადრე, რაც ხავსებთ ესადაგება ქრისტიანულ ტრადიციას.

კიდევ ერთი მცდელობა ჰქონდათ ქრისტიანობის მოწინააღმდეგეებს სახარებისეულ თხრობათა ისტორიულობასთან მიმართებაში; ისინი მისი ისტორიულობის უარყოფას ცდილობდნენ იმის საფუძველზე, რომ წმ. პავლე მოციქულის ეპისტოლეებში ქრისტეზე საუბარია როგორც ვიდაც არამიწიერ არსებაზე და არა როგორც ისტორიულ პიროვნებაზე.

მაგრამ ყველამ, ვისაც კი ყურადღებით წაუკითხავს პავლე მოციქულის ეპისტოლეები, იცის, რომ ეს ასე არაა:

...მოავლინა დემეტრან ძე თვისი, შობილი დედაკაცისაგან, და იქმნა იგი ხეულსა ქუეშე... (გალატ. 4,4)... ძისა მისისათვის, რომელი იგი იშვა თესლისაგან და ვითისა ხორციელად... (რომ. 1,8)... ქრისტე მოკულა ცოდვათა ჩუენთათვის... (1 კორ. 15,3). დაიმდაბლა თავი თვისი და იქმნა იგი მორჩილ ვიდრე სიკუდილმდე და სიკუდილითა მით ჯუარისაჲთა (ფილიპ. 2,8)...

ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ეხება ქრისტეს როგორც ისტორიულ პიროვნებას...

მაშინ რაღა რჩება საერთოდ სახარებისეულ მონათხრობთა „მეცნიერული“ უარყოფიდან? მხოლოდ და მხოლოდ წერილმანი შარი, რასაც ახლა ვნახავთ.

3. სახარებაში ნათქვამია იმის შესახებ, რომ მღოგვის მარცვლისაგან აღმოცენდება მთელი ხე, ჩვენ კი ვიცით, რომ მღოგვის მცენარე კომბოსტოზე დიდი არაა.

**პასუხი:** მაცხოვარი ამ იგავში მღოგვის მარცვალზე (იმდროინდელ იუდეველთათვის ცნობილ ყველაზე პატარაზე) რომ ლაპარაკობდა, მხოლოდ იმის ჩვენება უნდოდა, რომ ადამიანთა მცირე ჯგუფისაგან, მისი მოწაფეებისაგან, განვითარდებოდა მსოფლიო ეკლესიის ორგანიზმი. ჩვენ თავად ხშირად ვხმარობთ ამგვარ გამოთქმებს, მაგალითად: „დღეს ყაყაოს ცვარიც არ გამისინჯავს“. ოღონდ არავის მოუვა აზრად ბრალი დასდოს ვინმეს ჭეშმარიტების დამახინჯებისათვის, თუმცა ყველამ იცის, რომ „ყაყაოს ცვარს“ არც ვინმეს დაპურება შეუძლია და არც ვინმეს დარწმუნება.

4. სახარებაში ლაპარაკია ღორების კოლტებზე, არადა ცნობილია, რომ იუდეველებს ეკრძალებოდათ ღორის ხორცის ჭამა, როგორც მორიგდება ეს ორი ფაქტი ერთმანეთში?

**პასუხი:** ეს საყვედური უპრიანი იქ-

ნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, ქრისტესდროინდელი პალესტინა მართო იუდეველებით რომ ყოფილიყო დასახლებული, მაგრამ პალესტინა იმ დროს რომის იმპერიის პროვინციას წარმოადგენდა, იქ ცხოვრობდნენ როგორც რომაელები, ასევე სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებიც. ეს განსაკუთრებით შესაძენვე იყო სახარებაში მოხსენებულ ადგილებში.

5. სახარებაში ნათქვამია, რომ პეტრე მოციქულმა, მღვდელმთავრის კარზე რომ იმყოფებოდა, ორჯერ გაიგონა მამლის ყვირილი, ხოლო მღვდელმთავარი ტაძართან ცხოვრობდა. ეს კი შეუძლებელია, რამდენადაც ტაძართან აკრძალული იყო რაშე ფრინველის ყოლა, გარდა იმისა, მსხვერპლთშეწირვისათვის რომ იყო საჭირო.

**პასუხი:** ყველასათვის ცნობილია, რომ მამლის ყვირილი დიდ მანძილზე ისმის, განსაკუთრებით ღამით, ხოლო პეტრე მოციქულმა სწორედ ღამით გაიგონა ეს ყვირილი.

6. სახარებაში მღვდელმთავრებზე მრავლობით რიცხვშია საუბარი, ორი მღვდელმთავარი მოხსენებულიც კია — ანა და კაიაფა, სინამდვილეში კი იუდეაში ყოველთვის ერთი მღვდელმთავარი იყო.

**პასუხი:** ისტორიის თანახმად, სახარებაში მოხსენიებული ანა გადააყენეს თაყისი პოსტიდან (ნაწილობრივ იმის გამო, რომ რომაელები მისით უკმაყოფილონი იყვნენ) და მღვდელმთავრის ადგილი მისმა სიძემ კაიაფამ დაიკავა. ანამ, როგორც უფრო გამოცდილმა, ჯერ თვითონ მოჰქიდა ხელი ქრისტეს საქმის გარეკვას და მერე გაგზავნა იგი კაიაფასთან. ხალხის წარმოდგენაში ანა მღვდელმთავრად რჩებოდა, თუმცა კი სინედრიონს აღარ მეთაურობდა და მღვდელმთავრის მოვალეობას აღარ აღასრულებდა ტაძარში, სინედრიონის სხდომაზე გამოკვეთილად ჩანს მხოლოდ ერთი მღვდელმთავარი, კაიაფა, რომელიც იყო მთავარი ანციკლიკური ქრისტეს დასჯისა. გა-

რდა ამისა, სიტყვა მღვდელმთავარი ხანდახან იხმარებოდა არა მხოლოდ ებრაელი ხალხის სასულიერო მეთაურის მიმართ, არამედ თვითეული სამღვდლო ხარისხის უფროსი მღვდელის მიმართაც. სამღვდლო ხარისხი 24 იყო.

7. მათე მახარებელი ამბობს, რომ ქრისტე ბეთლემში დაიბადა და არსად არა აქვს მოხსენებული მოსახლეობის აღწერა, რამაც აიძულა ღვთისმშობელი ნაზარეთიდან იქ წასულიყო, ხოლო ლუკა მახარებელი ქრისტეზე საუბრობს როგორც ნაზარეველზე, რომელიც შემთხვევით დაიბადა ბეთლემში.

**პასუხი:** არავითარი წინააღმდეგობა აქ არაა: ორივე მახარებლის თანახმად, ქრისტე ბეთლემში დაიბადა, მაგრამ ლუკა მახარებელმა, რომელიც მათე მახარებელზე მოგვიანებით წერდა, უფრო დაწვრილებითი ცნობები შეკრიბა ქრისტეს შობაზე: ვინაიდან უკვე მრავალთა სელებს აღწერდა... ჯერ-მინდამ მეცა, რომელი შეუდგე პირველთაგან ყოველთა შემართებთა, შემდგომითი-შემდგომად მიწერად შენდა... (ლუკა, 1,1,3) მაგალითად, მხოლოდ ლუკა მახარებელი აღგვიწერს ქრისტეს ბავშვობიდან იმ შემთხვევას, როცა თორმეტი წლის იესო სამი დღით დარჩა ტაძარში და საღვთო სჯულის მასწავლებლებს უსმენდა და ესაუბრებოდა.

8. სახარებაში ნათქვამია, რომ ქრისტე დაიბადა იმ წელს, რომელი წლიდანაც დაიწყო ჩვენი წელთაღრიცხვა და რომ პეროდუმ ჯარისკაცები გაგზავნა იმ 14000 ყრმის ამოსაწვევლად, რომლებიც ამ წლის სიახლოვეს დაიბადნენ, მაშინ როცა ისტორიიდან მსგავსი არაფერია ცნობილი, თანაც პეროდუმ დიდი ჩვენს წელთაღრიცხვამდე ოთხი წლით ადრე გარდაიცვალა.

**პასუხი:** ძალზე ხშირად ურწმუნო ადამიანები ერთმანეთში ურევენ იმას, რაც წმიდა წერილში წერია და ქრისტეანთა რწმენის საგანს შეადგენს და იმ აზრებსა და ღვებუნებს, ზოგჯერ ქრისტეა-

ნულ გარემოში რომ ვრცელდება. სახარებაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რომელ წელს დაიბადა ქრისტე. შემდგომ, როცა ახალი წელთაღრიცხვის დაწყება ქრისტეს შობიდან გადაწყვიტეს, სახარების მიახლოებითი ცნობა იმის შესახებ, რომ ქადაგება „იესოს ეწყო ოდენ ყოფად მეოცდაათსა წელსა“... (ლუკა, 3,23)—ესაა ასაკი, როცა შეიძლება მოძღვარი გახედ — მიიღეს ზუსტ ცნობად და ამის მიხედვით დაიწყეს წელთა აღრიცხვა. ამიტომ ტრადიციული ცნობა იმის შესახებ, რომ როცა ქრისტე ჯვარს აცვეს, 33 წლისა იყო, მხოლოდ ვარაუდია. იუდეველთა მიმართვა ქრისტესადმი: **შენ ჯერ ორმოცდაათი წლისაც არა ხარო**, საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ქრისტე ოცდაათზე მეტი წლისა იყო. დაბადებითაც იგი სულ ცოტა ოთხი წლით ადრე დაიბადა იმ დღემდე, რა დღიდანაც ახალი წელთაღრიცხვა იწყება.

სწორედ ამიტომ მტკიცება, თითქოსდა პეროდე ქრისტეს შობამდე ოთხი წლით ადრე გარდაიცვალა, არაა სწორი.

რაც შეეხება ყრმათა ამოწვევას, სახარებაში არაფერია ნათქვამი, რომ დახოცეს 14000 ყრმა, არამედ... „ამოწვევიდა ყოველი ყრმები, რომელნი იყვნეს ბეთლემს და ყოველთა საზღვართა მისთა ორით წლითგანი და უადრესი“... (მათე, 2,16), რაც ალბათ ორასს ვერ გადაჭარბებდა. მაშინდელი ეპოქის მშფოთვარე ცხოვრებისათვის იმდენად ჩვეულებრივი ამბავი იყო განუწყვეტელი მღელვარებანი და ურთიერთობცვა, რომ ყრმათა ეს ამოწვევტა ისტორიკოსებმა მოხსენიების ღირსადაც არ ჩათვალეს.

9. იესო ქრისტეს გვარტომობის ნუსხა მათე და ლუკა მახარებლების ცნობებით დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან: ქრისტეს წინაპართა თითქმის ყველა სახელი დავით მეფემდე მახარებლებს სხვადასხვანაირად მოჰყავთ.

**ბასუსანი:** ეს გარემოება მხოლოდ მათთვისაა უცნაური, ვინც არ იცნობს

ძველ ებრაულ ჩვეულებებს: ჯერ კიდევ მოსეს დროიდან იყო დაკანონებული, რომ თუკი ერთ-ერთი ცოლიანი ძმა უშვილოდ გარდაიცვლებოდა, მის ქვრივს მეორე ძმა ირთავდა (ეს იმისათვის კეთდებოდა, რომ გარდაცვლილი ადამიანი უჩამომავლოდ არ ჩათვლილიყო, რაც დიდ უბედურებად და სირცხვილად მიიჩნეოდა) და პირველი შვილი იურადიულად ფაქტობრივი მამის შვილად კი არ ითვლებოდა, არამედ თავისი გარდაცვლილი ბიძისა (მეორე რჯული, 25,5-6) ამიტომ არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ერთი და იმავე ადამიანის გვარტომობის ორი ნუსხის სახელები არ ემთხვევა ერთმანეთს. ის კი არა და, ხშირად მშებდებიც კი არ იყვნენ ერთი და იმავე დედ-მამის შვილები, არამედ ერთი სისხლის ან ერთი საშოსანი. მაგალითად, ერთ ძველ ქრისტიანულ ისტორიაში (IV ს.) არის იულიუს აფრიკელის (III ს.) მონათხრობი, რომელშიც იაკობი და ილია, რომლებიც სახარებისეულ გენეალოგიაში უშუალოდ წმ. იოსების წინ არიან მოხსენებულნი, „საშოსიმიერ მძებად“ იწოდებიან (ესე, საეკლესიო ისტორია, I, 7. 1). აქედან შეიძლება დაეასკვნათ, რომ სწორედ ამ ჩვეულებითაა გამოწვეული ის, რომ ორი მახარებლის მიერ მოწოდებულ იესო ქრისტეს გვარტომობის ნუსხაში სახელები არ თანხვლებიან ერთმანეთს. მათე მახარებელს, რომელიც ებრაელებსათვის წერდა, მშვიდად შეეძლო წმ. იოსების წინაპართა ნუსხა იურიდიული ხაზით ეჩვენებინა, რამდენადაც თითოეულმა ებრაელმა იცოდა ეს ჩვეულება და არ აცბუნებდა იგი. ლუკა მახარებელმა კი, ყოფილი წარმართებისათვის რომ წერდა, როგორც ჩანს, ამჯობინა თავი აერიდებინა ამ ებრაული ჩვეულების გრძელი და რთული განმარტებისათვის და ესარგებლა წმ. იოსების ფაქტობრივი გენეალოგიით. გარდა ამისა, უცნაურია იქნებოდა გვევარაუდა, რომ ლუკა მახარებელმა, რაღაც გაუგებარი მიზეზების გამო, გამოიგონა ქრისტეს გენეალოგია,



რომელიც სრულიად განსხვავდება მათე მახარებლის მიერ მოწოდებული გენეალოგიისაგან. გაცილებით იოლი იქნებოდა უკვე დაწერილის გამოთვრა ან მისი გამოტოვება საერთოდ.

10. იოანეს სახარებაში ნათქვამია, რომ იესო ჯვარს აცვეს ებრაული პასექის წინადღეს (იოანე, 18, 28, 19, 14), ხოლო სხვა სახარებები გვაუწყებენ, რომ იესო ჯვარს აცვეს ზუსტად ებრაული პასექის დღეს, მათი გადმოცემით (მათე, 26, 17; მარკო, 14, 12; ლუკა 22, 8), ქრისტემ საიდუმლო სერობა მოწაფეებთან ერთად უცომობის დღეს მოაწყო, ამ დღეს უნდა შეეწირათ საპასექო ბატკანი — შეუსაბამობა გამოდის.

**პასუსნი:** შემპასუხებლებმა უთუოდ უნდა მიიღონ მხედველობაში, რომ აღმოსავლეთში დღე ღამის დასაწყისად საღამო ითვლებოდა. ამას რომ გავითვალისწინებთ, მივხვდებით, რომ პირველი სამი მახარებლის ნათქვამი უცომობის დღის დაწყების შესახებ იმას კი არ ნიშნავს, რომ უკვე გაიარა ამ დღის წინა საღამომ, არამედ მხოლოდ იმას, რომ წინადღის საღამო დადგა. ის, რომ ისინი მაცხოვრის გარდაცვალების დღედ ებრაული პასექის წინა დღეს თვლიან და არა თავად პასექის დღეს, შემდეგი ადგილებიდან ჩანს: როცა ქრისტეს ასაფლავებდნენ, ჩქარობდნენ, რომ ყველაფერი შემუხრებამდე მოესწროთ, რათა არ დაურღვიათ შაბათის უქმობის აღთქმა (ლუკა, 23, 56); იოსებ არიმათიელმა არდაგი მოიტანა გარდაცვლილი ქრისტეს სხეულის შესასუდრად (ლუკა, 23, 53), რასაც იგი პასექის დღეს ვერ გააკეთებდა, რამდენადაც ებრაული განჩინების თანახმად, პასექიც განსვენების დღედ ითვლებოდა, როგორც შაბათი.

11. ქრისტეს რომც ეცხოვრა, იგი მოკვდა და აღარ აღმდგარა, რადგანაც მისი აღდგომის ვარაუდი ყოველგვარად აზრს ეწინააღმდეგება.

**პასუსნი:** თუკი ქრისტე არ აღმდგარა, მაშინ ჩვენთვის გაუგებარი რჩება ის

დაფინება, რომლითაც მოციქულები სწორედ ქრისტეს აღდგომას ქადაგებდნენ როგორც ახალი მოძღვრების მთავარ პუნქტს: „და უკეთუ ქრისტე არა აღდგომილ არს, ამო არს სარწმუნოებაი ვგე თქუენი.“ (1 კორინთ, 15, 17). იმის ვარაუდი, რომ მსოფლიო რელიგია, რომელმაც მთელი რიგი ხალხების კულტურული სახე ჩამოაყალიბა და რომელსაც აგერ უკვე ათას ხუთასი წელია პირველი ადგილი უკავია მსოფლიო რელიგიათა შორის, უაზრობა და ცდომილებივალ,— აბსურდულია. ქრისტიანობის პირველ მტრებს იოლად შეეძლოთ ამ ფუნდამენტური დებულების უარყოფა, უბრალოდ ქრისტეს საფლავი რომ ეჩვენებინათ მისივე სხეულით.

თეორია იმის შესახებ, თითქოს მოციქულებმა ქრისტეს სხეული მოიტაცეს და მერე ხალხი მოატყუესო, დღეს უკვე ქრისტიანობის მოწინააღმდეგეებმაც კი მიატოვეს. ხოლო თეორია ჰალუცინაციისა, რომელსაც თითქოს მოციქულებმა აქონდა ადგილი, ვერ პასუხობს ზემოთდასმულ კითხვას და, გარდა ამისა, იგი ყურად არ ღებულობს იმ ფაქტს, რომ მოციქულები შესანიშნავად არჩევდნენ ერთმანეთისაგან უბრალო მონვენებასა და ჭეშმარიტ გამოცხადებას (საქმე მოციქულთა 10; 2 კორინთ, 12). მესამე თეორია, რომელიც ყველა მოვლენის ახსნას წმინდა ბუნებრივი გზით ცდილობს, ისეთ გასაოცარ შემთხვევითობებსა და დაუგვრებელ აბლაუბაზუა აკებულო, რომ მის უარყოფაზე დროის დახარჯვაც არ ღირს; ჭრილობამ, გვერდში რომ მიყენა ჯარისკაცმა, სასხლის გამოშვების როლი ითამაშა და ქრისტეს მდგომარეობა გააუმჯობესა; გრილ სამარხში წოლამ იგი საბოლოოდ მოიფვანა გრძნობაზე და წამოდგომა შეძლო; ამ დროს ჭეჭა-ჭეხილი ატყდა და შემთხვევით მიწა იძრა, რამაც სამარხზე მიდგმული ქვა გადააგორა; შეშინებულმა მეომრებმა ელეა დეთის ანგელოზად მიიჩნიეს და გაიტყნენ; ქრისტე სამარხიდან გამოვიდა და მოციქუ-

ლებმა რომ იხილეს, მისი აღდგომა იწამეს...

ნუთუ ვინმეს სერიოზულად შეუძლია იფიქროს, რომ ქრისტემ, ამდენი ტანჯვა-წამება რომ გადაიტანა, სიკვდილზე გამარჯვებულის შთაბეჭდილება დატოვა მოციქულებზე? ხოლო სიკვდილისაგან აღდგომილი არა სხვისა ლოცვისა გამო, არამედ საკუთარი ძალით, ჭეშმარიტად დამორგუნველი სიკვდილისა და ჯოჯოხეთის, ახლა გვევლინება არა როგორც უბრალო მოკვდავი, არამედ მკვიდრი სხვა სამყაროსი, განუზომლად მაღლა მდგარი იმ წუთისოფელზე, სიკვდილისა და ხრწნის კანონებს რომ ემორჩილება. სხვა სიტყვებით: იგი არა მხოლოდ აღამიანია, არამედ ღმერთიც, იგი — ღმერთკაცია!

12. ქრისტე არ შეიძლებოდა ისტორიული პიროვნება ყოფილიყო, რამდენადაც სახარებისეული მოთხრობები მისი ცხოვრების შესახებ არის ნარკევი სხვა ლეგენდარულ და ისტორიულ პირთა ცხოვრების აღწერებისა, რომლებიც ქრისტემდე ცხოვრობდნენ.

**პასუხი:** ხანამ ცალკეული ქრისტიანული მოთხრობებისა და წარმართული მითებისა და ლეგენდების მსგავსებაზე ვილაპარაკებდეთ, შემდეგზე უნდა დავფიქრდეთ: ყველასათვის ცნობილია, რომ ქრისტიანობა პალესტინაში წარმოიშვა, მორწმუნე ებრაელთა წრეებში. ეს წრეები მთელი წინა დროის პერიოდში ყველაზე მეტად თავიანთი რელიგიის მონოთეიზმის სისუფთავეს აფასებდნენ. ისინი ძალზე ენერგიულად უპირისპირებდნენ თავიანთ რელიგიას სხვა ზალხების რელიგიებს, რომელთა ღმერთებსაც არაობად და ცარიელ ფანტაზიად თვლიდნენ. ამ იდეის ერთგულებისათვის ებრაელ ზალხს არაერთგზის მოუხდა დიდი მსხვერპლის გადაება. ებრაელთა ის მეფეები, რომლებიც არასაკმარის შეურიგებლობას ამჟღავნებდნენ ამ საკითხებში და რაიმე გადაჰქონდათ სხვა რელიგიათა კულტებიდან, ყოველთვის განიკიცხე-

ბოდნენ. ნუთუ შეიძლება იმის გაფიქრებაც კი, რომ ასეთ ნიადაგზე შეიძლებოდა აღმოცენებულიყო იმგვარი რელიგია, რომელიც დაუშვებდა წინაპართა რწმენის აღრევას წარმართულ ლეგენდებთან? და კიდევ ეს „რელიგიური სუროკატი“ თითქოს შემძლებელი იყო ისე აღნთო პირველი მქადაგებლები-მოციქულები (რომლებიც ასევე ყველგან ებრაელები იყვნენ), რომ ისინი სიცოცხლეს არ ზოგავდნენ და სხვადასხვა ქვეყანაში ქადაგებდნენ თითქმის ყველა მათგანმა წამებით დაასრულა სიცოცხლე. მხოლოდ ეს მოსაზრებაც უნდა იყოს საკმარისი საიმისოდ, რომ კრიტიკულად მიუდგეო ამგვარ მტკიცებებს.

ახლა ვნახოთ როგორაა საქმე თავად ფაქტებთან დაკავშირებით.

უწინარეს ყოვლისა, ყველა სხვა „მხსნელი ქვეყნისა“ ძირეულად განსხვავდება ქრისტესაგან: მხოლოდ ის გვევლინება ღმერთკაცად, მაშინ როცა სხვა რელიგიათა „მხსნელები“ ან ზემოდან არიან მოვლენილნი (რამა, კრიშნა, ოზირისი, მითრა და სხვ.), ან შემდეგ არიან გაღმერთებულნი (ბუდა, ზარატუსტრა, კონფუცი). შემდეგ, მხოლოდ სახარებები იძლევიან დაწვრილებით და ნათლად ქრისტეს ცხოვრების აღწერას მისი მოღვაწეობის პერიოდში, ხოლო სხვა „მხსნელთა“ ცხოვრებათა აღწერები ხშირად წყვეტილი, ბუნდოვანია... ზარატუსტრას გამო მეცნიერები დღემდე დაობენ მე-7, მე-9, მე-11 საუკუნეებში ცხოვრობდა იგი ქრისტეს შობამდე თუ 5-6 ათასი წლით ადრე. მითრას მის შესახებ საერთოდ ისე ცოტაა დოკუმენტები, რომ თითქმის შეუძლებელია მისი ისტორიის დაწერა. ცნობათა ასეთი სიმწირის გამო საერთოდ ძალზე ძნელია ვისაუბროთ ქრისტეს ცხოვრებასა და მითრას ცხოვრებას შორის რამე მსგავსებაზე. გარდა ამისა, ზოგიერთი მომენტი მითრას ცხოვრებიდან, სახარებისეულ მოვლენებს რომ ემთხვევა, უცილობლად უფრო გვიანდელი ჩანამატებია ასე მაგალითად,

მწყემსთა თაყვანისცემა ახლადშობილი მითრასადმი ეწინააღმდეგება იმას, რაც განამდე იყო მასზე ნათქვამი, კერძოდ, რომ იგი იშვა კლდისაგან ყოველ ცოცხალ არსებაზე უწინარეს. ჩვენ ვერ ვიქნებით დარწმუნებულნი, რომ ეს შედარებით გვიანდელი ჩანამატები ქრისტიანული მოთხრობებიდან არ იყოს ნასესხები.

კონფუცი კი თითქმის ქრისტეს სრულიად საპირისპიროდ წარმოგვიდგება, მასზე არ შეიძლება ითქვას ციდან ცეცხლის მოწყვეტა უნდაო, პირიქით, ეს იყო ადამიანი, რომელიც ძველი ჩამოყალიბებული ადათებისა და წეს-ჩვეულებების გარეგნულ ფორმათა მკაცრი დაცვით ცდილობდა აღედგინა „ძველი კეთილი დრო“, სავარაუდოა, რომ ქრისტეს კამათში ფარისევლებსა და მწიგნობრებთან იგი ამ უკანასკნელთა მხარეს დაიჭერდა, თუმცა უკუაგებებდა მათ სისხლიან ჩანაფიქრს ქრისტეს წინააღმდეგ.

ყველაზე ხშირად სახარებისეული ისტორიის უტყუარობის მოწინააღმდეგეები სარგებლობდნენ მახარებელთა მონათხრობების შეპირისპირებით ბუდას ცხოვრების აღწერასთან, ბუდა (საკია-მუნე) მე-6 საუკუნეში ცხოვრობდა ქრისტეს შობამდე. აქედან გამომდინარე, — ამბობენ ისინი, — მისი ცხოვრების მატეიანის პრიორიტეტი არ შეიძლება საკამათო იყოს. ოღონდ არც თავად ბუდა, არც მისი უახლოესი მოწაფეები თავიანთ მოძღვრებას წერილობით არ აფიქსირებდნენ. პირველი ჩანაწერები ბუდას გარდაცვალებიდან დიდი ხნის შემდეგ გაკეთდა, თუმცა, ბუდისტური გადმოცემის თანახმად, მაშინ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ბუდას უსაყვარლესი მოწაფე ანანდა, რომლის ზედამხედველობითაც კეთდებოდა ეს ჩანაწერები. ჩანაწერები შემდეგ, ქრისტეს შობამდე მე-3 საუკუნეში, ბუდიზმის თავგადაღებული მიმდევრის, ინდუსი მეფისა აშოკის დროს მოაწესრიგეს; საბოლოოდ ეს ჩანაწერები ჩამოყალიბდა ქრისტეს შობამდე 45 წელს, როცა ისინი ტიპიტაკას კრებულში გაერ-

თიანდნენ, ბუდიზმის უძველეს წმიდა წიგნად რომ ითვლება. მაგრამ ტიპიტაკა მოიცავს თითქმის მხოლოდ ბუდას ქადაგებებს, იგავებსა და დარიგებებს და მხოლოდ ცალკეულ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ცნობებს მისი ცხოვრებიდან. ის მონაცემები კი, რომლებიც ჩვეულებრივ მოაქვთ ბუდას ცხოვრებიდან, ყველაზე ხშირად აღებულია უფრო გვიანდელი ლეგენდარული ცხოვრებიდან (ბუდა კარიტა, I საუკუნე ქრისტეს შობის შემდეგ, ლალიტა-ვისტარა, მე-4-5 ს. ქრისტეს შობის შემდეგ); ყველა იმ თანხვედრილი მომენტიდან, კრიტიკოსებს რომ მოაქვთ, მხოლოდ ორს აქვს რალაც შედარებითი დამაჯერებლობა:

1. ცდუნება ბუდასი და ცდუნება ქრისტესი;

2. რელიგიის ორივე ფუძემდებლისათვის ვინმე მოხუცის მიერ დიდი მომავლის წინასწარმეტყველება.

ამ ორ შემთხვევაში თანხვედრა ძალზე ხელოვნურადაა შერჩეული და არსებითი განსხვავება პირდაპირ თვალშისაცემია. ასე მაგალითად, ბუდას ცდუნებისას მარა (ბოროტი) რალაც უსახო და გაურკვეველია, მაშინ როცა სატანა სახარებაში მოქმედებს სრულიად გარკვეულად როგორც ბოროტების სამყაროს წარმომადგენელი ან როგორც პიროვნება, რომელიც უპირისპირდება ქრისტეს. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ბუდასთან ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა მის წმინდა შინაგან განცდად გვევლინება, გვევლინება მის გამარჯვებად არასრულყოფილებაზე, მასშივე რომ არსებობდა, მაშინ როცა ქრისტე თავადაა მიუღვამელი „ამა ქვეყნის მთავრისათვის“.

გარდა ამისა, აუცილებელია მხედველობაში ვიქონიოთ, რომ სხვა რელიგიებშიც მოთხრობა ადამიანთა მოდგმის მხსნელის შესახებ ძალზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

როგორ შეიძლება აიხსნას ეს მოვლენა?

ადამიანთა მოდგმის წინაპრებმა,

სცოდეს რა იმით, რომ ღმერთის ბრძანებას გადავიდნენ, დაარღვიეს ის მჭიდრო კავშირი, რაც თავდაპირველად არსებობდა მათსა და ღმერთს შორის და ამით თავიანთ თავსა და შთამომავლობას დიდი უბედურება დაატეხეს თავს, რაც ღმერთისაგან დაშორებაში მდგომარეობს. მაგრამ, ამასთანავე, ღმერთი დაჰპირდა მათ, რომ ღვთაებრივი მოვიდოდა მხსნელი, რომელიც აღადგენდა იმ მდგომარეობას, ცოდვით დაცემამდე რომ იყო. ქრისტიანული მოძღვრების ამგვარი შეხედულებები დასტურდება მრავალი ხალხის, მათ შორის ოკეანისგაღმედი ხალხების, თქმულებებში — თავდაპირველ ოქროს საუკუნეზე, პირველი ადამიანების ცოდვაზე, მსოფლიო წარღვნასა და მომავალ მხსნელზე. რამდენადაც კაცობრიობას საერთო წარმომავლობა აქვს, საგსებით გასაგებია, რომ ერთი და იგივე იდეები დომინირებდნენ სხვადასხვა ხალხში, რადგანაც ისინი თაობიდან თაობას გადაეცემოდნენ.

სასოება და მოლოდინი გაჭირვებისა და უბედურებათაგან დამხსნელისა, ამქვეყნიური სიღატაკისა და სასოწარკვეთისაგან მხსნელისა საერთო იყო მრავალი ხალხისათვის. ყველაფერი ეს უხსოვარი დროიდან ცოცხლობდა ხალხის ცნობიერებაში. ამასთანავე რაღაც იცვლებოდა, რაღაც ემატებოდა, ვითარდებოდა, ფანტაზია აღამაზებდა; რაღაც შეერეოდა ხოლმე წარმართობის წყვილიდში მცხოვრები ხალხების დანაგვიანებულ წარმოდგენებს. ეს იმედები ყველაზე სუფთად შემოინახა ებრაელმა ხალხმა, რომელიც რჩეული ხალხი იყო იმ დროს, რამდენადაც ერთღმერთიანობის ერთგული იყო და ამგვარად შეინარჩუნა ძირითადი წარმოდგენა უფლის შესახებ. ამიტომ წიგნები, რომლებიც ებრაელ წინასწარმეტყველთა მიერაა დაწერილი და აღსავსეა მესიის მოლოდინით, თითქოსდა ცოცხალი სურათებია, ამგვარი წინასწარმეტყველური პერსპექტივის ფონზე რომაა დახატული. ზოგიერთი მათგანი ქრისტეს

შობამდე ასეულობით წლით ადრეა დაწერილი და მისი ცხოვრების ცალკეულ მომენტებს გასაოცარი სიზუსტით ასახავენ. ამგვარად, ყოველივეს რომ ავწინადაწინით, უნდა ვთქვათ: თუკი მთელი ეს ისტორია აქამდე ახირებული ზუმრება და დაცინვა არ იყო ადამიანებისა, თუკი ამ მძაფრ მოლოდინს მხსნელისა, ამდენი ხალხის გულებს რომ აღავსებდა, მართლაც რეალური საფუძველი აქვს, მაშინ რატომ არ შეიძლებოდა, რომ ეს მხსნელი მართლაც ღმერთი იყოს, იესო ქრისტე ყოფილიყო? რატომ?!

18. წმიდა წერილი (ბიბლია) არაა ღვთივშთაგონებული წიგნი, რამდენადაც მასში მრავალი წინააღმდეგობაა სხვადასხვა წიგნის მონათხრობთა შორის, არის შეცდომები გეოგრაფიული, საბუნებისმეტყველო, ისტორიული ხასიათისა. ეს იგი, ეს წიგნი სხვადასხვა ადამიანის მიერაა დაწერილი და არა სულიწმიდის მიერ, როგორც ქრისტიანები ფიქრობენ.

**პასუხი:** აქ უპირველეს ყოვლისა უნდა დავადგინოთ რას გულისხმობენ ქრისტიანები წმიდა წერილის ღვთივშთაგონებულობაში.

უღმერთოები თვლიან, რომ მორწმუნე ქრისტიანთა აზრით, ბიბლიის ღვთივშთაგონებულობა იმაში მდგომარეობს, თითქოს წმიდა მემატთანის პიროვნება გვერდზე დგება და სულიწმიდა კარნახობს ყოველ ასოს. ამ შემთხვევაში ბიბლიის ყველა წიგნი ერთი ენითა და სტილით უნდა იყოს დაწერილი და მათი სათაურები: მათეს სახარება, მარკოზის სახარება, ლუკას სახარება, იოანეს სახარება, წმიდა პავლე მოციქულის ეპისტოლენი ან მოსეს ზუთწიგნეული ყოვლად გაუმართლებელი იქნებოდნენ. სინამდვილეში კი, ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, წმიდა წერილის ღვთივშთაგონებულობა (ინსპირაცია) იმაში მდგომარეობს, რომ სულიწმიდა ჩააგონებს ბიბლიის ამა თუ იმ წიგნის ავტორს იმ აზრებს, რომელთაც ეს უკანასკნელი წერილობით გადმოგვცემს; სულიწმიდა



იცავს მას ცთომილებათაგან, ამიტომ მთელ ბიბლიაში ცთომილება არ არის! რა თქმა უნდა, ეს ეხება მხოლოდ იმას, რასაც გვეუბნება თავად ღვთივითაგონებული მთხრობელი და არა მის მიერ ასახული პირები. წინააღმდეგ შემთხვევაში მოგვიწველა იმის მტკიცება, რომ ბიბლია გვასწავლის ღმერთი არ არისო, რამდენადაც იქ არის ასეთი სიტყვები: „თქუა უგუნურმან გულსა შინა თვისსა: არა არს ღმერთი“ (ფს. 52,1). უნდა ითქვას, რომ აქ ნათელია – ვინ თქვა და რა თქვა, მაგრამ ბიბლია ყოველთვის არაა ასე ნათლად გასაგები. ასე მაგალითად, სამყაროს წყობაზე, ცხოველთა კლასიფიკაციაზე, სხვადასხვა თვისებაზე რომ ვველაპარაკებინ, ბიბლიურ მთხრობლებს სულაც არ ჰქონიათ მიზნად მაშინ არსებული კოსმოგრაფიული ან საბუნებისმეტყველო-ისტორიული მცდარი შეხედულებების სანქციონირება. ამ შემთხვევაში ისინი უბრალოდ ყველასათვის გასაგები გამოთქმებით სარგებლობდნენ და ამ შეხედულებებს უცვლელად სტოვებდნენ, რამდენადაც ეს სულაც არ უშლიდა ხელს ბიბლიაში იმ რელიგიური ცოდნის გაცხადებას, რაც ხალხს უნდა მისცემოდა. ეს ძალზე მნიშვნელოვანი მომენტია ბიბლიის სწორად გაგებისათვის.

წარმოვიდგინოთ რა გამოვიდოდა, სულიწმიდის ზემოქმედებით ბიბლიურ მთხრობლებს ზუსტი ცნობები რომ გადმოეცათ სამყაროს ნამდვილ წყობასა და წარმოშობაზე, მცენარეებისა და ცხოველების ყველა თვისებაზე, თავიანთ წიგნებში გამოეყენებინათ ეს და იმ დროს ესაუბრათ ატომებსა და მოლეკულებზე, პროტონებსა და ელექტრონებზე, სამყაროს წყობასა და მირიად მზეზე, ბევრად რომ აღემატებინათ მოცულობით ჩვენს მზეს, მიკროსკოპულ არსებათა მთელ სამყაროზე, რომელთაც ათასეული წლების განმავლობაში ვერავინ დაინახავდა! რას გაიგებდნენ მაშინ მათი თანამედროვენი და მათ შთამომავალთა მთელი თაობები ბიბლიურ მონათხრობთაგან?!

14. ბიბლია არ შეიძლება წმიდა წიგნად ჩაითვალოს, რამდენადაც მასში ძალზე ბევრჯერაა ლაპარაკი ტყუილებზე, ცოლ-ქმრულ ღალატზე, სისხლის აღრევასა და მკვლევობებზე; ბიბლია კი ყოველთვის არ განსჯის ამგვარ ქმედებით.

**პასუხი:** ბიბლია წმიდა წიგნი იმიტომ კი არაა, რომ ყველა მისი გმირი წმიდანი იყო თანამედროვე ქრისტიანული გაგებით. ბიბლია, როგორც მართალი წიგნი, თავის გმირებს მათთვის დამახასიათებელი ნაკლოვანებებით გვიჩვენებს. მისი ენა ხანდახან მკვეთრია, ითქმის უხეში, რამდენადაც ასეთივე იყო ცხოვრება იქ დახატული ადამიანებისა. ბიბლია ყოველთვის კიცხავდა ცოდვას. მისი მრავალი ფურცელი სახსეა შეგონებების მიატოვონ ცოდვაში ცხოვრება, ნუ შეურაცხყოფენ ღმერთს ცოდვებით. დავითის მძიმე ცოდვაზე რომ ლაპარაკობს, ბიბლია ნათან წინასწარმეტყველის პირით კიცხავს მის საქციელს და სიკვდილის ღირსად მიიჩნევს მას.

რა თქმა უნდა, ძველ აღთქმაში ცოდვის გაგება არ იყო ისე მკაფიო, როგორც ახალ აღთქმაში. არ შეიძლება ერთი და იმავე გადაცდომისათვის ერთნაირად მოეკითხოს არასრულწლოვანსა და ზრდადსრულეებულ ადამიანს. აბრამამაც კი, რჩეული ერის მამამ, რომელიც ურწმუნოთა წრიდან იყო გამოსული, მოლიანად ვერ შეძლო მათი წარმოდგენებისა და შეხედულებებისაგან გათავისუფლება. ეს წარმოდგენები უცბათ არ აღმოიფხვრება ღმერთის მიერ. ღმერთი წყნარად და მოთმინებით ეწვეა ადამიანის აღზრდასა და არა სწრაფად და იძულებით. ამიტომ ცოლქმრული ღალატი იმ დროს ისე მკაცრად არ იკიცხებოდა, როგორც შემდგომ. ასევე ცოლქმრობაც ნათესავეებს შორის დიდ ცოდვად არ ითვლებოდა, რამდენადაც მთელ კაცობრიობას თავდაპირველად სისხლით ნათესაეთა ჯგუფი წარმოადგენდა.

ბიბლია ხელს უწყობდა ზნეობრივი წარმოდგენების განმტკიცებას, ქრისტი-

ანობამ აკურთხა და აღამაღლა ისინი და, საბოლოოდ, ურწმუნოებიც კი ქრისტიანობისგან არიან დავალებულნი მორალური კანონებით. ქვეცნობიერად ისინი აღიარებენ დიდ ღირებულებას ამ მორალური კანონებისა, ბიბლიიდან რომ ამოუკრეფიათ.

15. ბიბლიაში ნათქვამია, რომ სამყარო 6000-7000 წლის წინ შეიქმნა, მანამდე არაფერი არ ყოფილა. მეცნიერებამ კი დაამტკიცა, რომ სამყარო მილიონობით წლებია არსებობს.

**პასუხი:** ბიბლიაში არსადაა ნათქვამი, რომ სამყარო გარკვეული წლების წინ შეიქმნა. მხოლოდ ბიბლიაში მოტანილი ზოგიერთი მონაცემის საფუძველზე ჩამოყალიბდა ტრადიცია სამყაროს შექმნიდან ქრისტეს შობამდე დრო განესაზღვრათ ხუთი ათასზე მეტი წლით. ეს ტრადიცია არა თუ სავალდებულო არაა ქრისტიანთათვის, არამედ ამ საკითხის შესახებ მორწმუნე ქრისტიანთა აზრის გამოხატულებადაც კი არ გვევლინება. ანდა, განა ასე მნიშვნელოვანია ეს თავად მოძღვრებისათვის? მაგალითად, ქრისტეს შობის თარიღი, როგორც ვთქვით, თავის დროზე არასწორად გამოთვალეს, მაგრამ დღემდე ამ თარიღით განაგრძობენ სარგებლობას წელთაღრიცხვისათვის და ამით არაფერს ეშლება ხელი.

16. ბიბლიაში ლაპარაკია იმაზე, რომ სამყარო 6 დღეში შეიქმნა, მეცნიერებამ კი დაამტკიცა, რომ სამყაროს განვითარებას მილიარდი წლები დასჭირდა.

**პასუხი:** ბიბლია მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ სამყარო უცებ, ერთ წამში კი არ გაჩნდა, არამედ ღმერთმა შექმნა დროის გარკვეულ, თანმიმდევრულ მონაკვეთებში, რომლებიც ბიბლიაში ხატონდაა წოდებული დღეებად: „და იქმნა მწუხრი და იქმნა განთიად დღე ერთი“ (დაბ. 1,5).

ქმნადობის გასრულების შემდეგ დადგა მეშვიდე დღე. „და დასცხრა (ღმერთი) დღესა მეშვიდესა ყოველთაგან საქ-

მეთა მისთა, რომელნი ქმნა“ (დაბ. 2,2).

ვეელასათვის, ვინც კარგადაა გაცნობილი ბიბლიას, საეხებოთ ნათელია, რომ არ შეიძლება ეს მონათხრობი იმ აზრით გავიგოთ, თითქოს სამყაროს შექმნა 6 დღეში რომ განასრულა, ღმერთს დასვენება სჭირდებოდა აღამიანივით და მეშვიდე დღეს დაისვენა. ამგვარი გაგება უხეში გაიგივება იქნებოდა ღმერთისა – ყოვლისშემძლე სულისა – სუსტ, შეზღუდულ არსებასთან, აღამიანთან.

მეშვიდე დღე აღნიშნავს, რომ სამყაროს შექმნა განსრულდა. იგი მოიცავს მთელ პერიოდს დედამიწაზე აღამიანის-მიწიერ არსებათა გვირგვინის – გაჩენის დროიდან, ეს პერიოდი გაგრძელდება აღამიანთა მოდემის ისტორიის მიწურულამდე.

როცა ეს ისტორია გაწყდება, როცა მოხდება მიცვალებულთა აღდგომა და საშინელი განკითხვა, დადგება უკანასკნელი „მერვე დღე“ მთელი სამყაროს ისტორიის გვირგვინი, რომელიც გაგრძელდება უკუნისამდე. მაშინ გადარჩენილი აღამიანები ანგელოზებს დაემსგავსებიან ამიტომაცაა, რომ აღმოსავლეთის ეკლესია მერვე დღეს ანგელოზთა დღედ თვლის და დაადგინა მიქელ მთავარანგელოზის – ანგელოზთა კრებულის უმაღლესი გამგებლის – დღესასწაული 8 ნოემბერს.

აქედან ჩანს, რომ შესაქმის სხვა დღეებიც არ შეიძლება გავიგოთ როგორც დღეგანდელი 24 საათიანი დღეებზე, არამედ როგორც დროის პერიოდები, რომელთა განმავლობაშიც მიმდინარეობდა კოსმოსის უმნიშვნელოვანესი სფეროების განვითარება და ფორმირება.

ის, რომ დღე ბიბლიის თვალსაზრისით სულაც არაა გაიგივებული ჩვენს დღესთან, თავად ბიბლიაში მთელი სიტყვითაა მითითებული: „რამეთუ ათასი წელი წინაშე თუალთა შენთა, უფალო კითარცა გუშინდელი დღე“... (ფს. 89,4)

წარმოდგენა დღის შესახებ წმინდა აღამიანური წარმოდგენაა, მასზე სამყაროს შექმნისას ლაპარაკიც არ შეიძლება

ბოდა ყოფილიყო, რადგან მაშინ ხომ თავად აღამიანიც კი არ არსებობდა ჯერ.

17. ბიბლიაში ლაპარაკია იმაზე, რომ აღამიანთა მთელი მოღვადა აღამისა და ევასაგან წარმოიშვა, მეცნიერება კი ამტკიცებს, რომ კაცობრიობა აღამიანთა ერთი წყვილისაგან არ წარმოშობილა, რისი დასტურებაცა მნიშვნელოვანი განსხვავება სხვადასხვა ქვეყნისა და მატერიკის აღამიანთა შორის.

**ბასუსნი:** აქ უნდა განვასხვავოთ ორი საკითხი: ჯერ ერთი — „პოლიფილეთიზმი“ დიდი ხნის ვადაჭრილია, იმ დროს, როცა მიამიტად ამბობდნენ: „აღამიანი მაიმუნისაგან წარმოიშვა“, ფიქრობდნენ რა, რომ ამით ყველაფერი აეხსნათ, ზოგიერთმა მეცნიერმა ამგვარი ჰიპოთეზა შემოგვთავაზა: აღამიანთა განსხვავებული რასები განსხვავებული ცხოველებისაგან წარმოიშვნენ: თეთრი რასა — შიმპანზესაგან, შავი — გორილასაგან, ხოლო ყვეთელი — ორანგუტანგისაგან, ვამოიხდნენ რასიზმის იდეოლოგები, რომლებმაც აიტაცეს ეს ჰიპოთეზა, მაშინ როცა იგი კარგა ხნის დაწუნებული იყო ყველა მეცნიერის მიერ. ჩვენს დროში „პოლიფილეთიზმზე“ მხოლოდ ხუმრობით თუ ლაპარაკობენ.

მეორე საკითხი — „პოლიგენიზმი“, რომლის თანახმადაც კაცობრიობა ერთი აღამიანისაგან ან ერთი წყვილისაგან კი არ წარმოშობილა, არამედ პირველ აღამიანთა უფრო მრავალრიცხოვანი ჯგუფისაგან, თითქმის ერთდროულად რომ გაჩნდა და, ანატომიური თვალსაზრისით, აღამიანთან ძალზე ახლო მდგომი ცხოველთა სახეობისაგან იღებდა სათავეს. მთავარი განსხვავება აღამიანისა ცხოველისაგან ის იყო, რომ აზროვნების უნარი ჰქონდა და თავისუფალი ნება გააჩნდა.

უპქველად, სწავლულთა უმეტესობა იმ თვალსაზრისისაკენ იხრება, რომლის თანახმადაც ახალ სახეობას არ შეიძლება ისე შეზღუდული საფუძველი ჰქონდეს, როგორცაა ერთი ან ორი პირი. ევოლუციონისტების აზრით, „ევოლუცი-

ური ერთეული“ ჩვეულებრივ ერთ პირად კი არ გვევლინება, არამედ „მოსახლეობად“, ჯგუფად. ოღონდ ამ ბოლო წლებში გარკვეულწილად ხაზგასმით აღინიშნა პირის ევოლუციური მნიშვნელობა. ამგვარად, ეს სადავო საკითხია, აზრები მის შესახებ გაყოფილია და არც ერთი მხარე არ აცხადებს პრეტენზიას ჭეშმარიტებაზე.

რაც შეეხება აღამიანის წარმოშობას, მეცნიერები თვლიან, რომ შეუძლებელი იქნებოდა ამ საკითხის პრაქტიკული გადაჭრა მაშინაც კი, რომ აღმოჩნდეს პირველყოფილი აღამიანებისა და მათი სავარაუდო წინაპრების — ცხოველების ნეშტები. ანატომიური თვალსაზრისით მათ შორის განსხვავება ალბათ თითქმის არ იქნება. პირველი აღამიანების რადიკალური განსხვავება ამ „წინაპართაგან“ იქნებოდა აღამიანური სული, აზრები, ნება... შეუძლებელი იქნებოდა ამ განათხარი ნეშტების ფსიქოლოგიური ანალიზის განხორციელება, რათა განესაზღვრათ მათი აბსტრაქციის უნარი და გონებრივი განვითარების ხარისხი.

18. მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ მთელი ორგანული სამყარო ევოლუციური პროცესის შედეგად წარმოიშვა, ამასთანავე, უმაღლესი ფორმები უმდაბლესისაგან აღმოცენდნენ, რელიგია კი გვასწავლის, რომ დედამიწაზე იმდენი სახეობა არსებობს, რამდენიც ღმერთმა შექმნა და ამ სახეობათა ყოველგვარი ცვალებადობა გამორიცხებულია.

**ბასუსნი:** მსგავსს არაფერს გვასწავლის ეკლესია. ეკლესიის მამანი, როგორც აღმოსავლელნი, ისე დასავლელნი (მაგ: გრიგოლ ნოსელი, თომა აკვინელი), ევოლუციის შესაძლებლობას არ გამორიცხავდნენ. პაპი პიუს XII ენციკლიკაში *Humani generis* ამბობს, რომ ეკლესია სრულიადც არაა იმის წინააღმდეგი, კათოლიკეებმა მეცნიერულ კვლევას მიჰყონ ზელი იმ მიზნით, რათა გაარკვიონ, აღამიანი დედამიწაზე მართლა მასთან ახლო მდგომ ცხოველთა სახეობის

სხეულით მოგვევლინა? (საკითხი ეხება ადამიანის სხეულს, ხოლო ადამიანის სულის წარმოშობის შესახებ არსებობს რაღაც საესეებით ახალი და განსხვავებული, რაც მეცნიერული ანალიზისათვის მიუწვდომელია). მრავალი ქრისტიანი, უმთავრესად კათოლიკე ღვთისმსახურნი, როგორცაა, მაგალითად, აბატი ბროი და მამა ტეიარ დე შარდენი, ევოლუციონიზმისადმი მიძღვნილი ნაშრომების წყალობით გახდნენ ცნობილნი.

მაგრამ, როგორც ყოველთვის, უღმერთობის საბჭოთა პროპაგანდამ სრულიად არ იუხერხულა პაპის ნათქვამის დამახინჯება და საჯაროდ განაცხადა: „ეკლესია, — ასე დაწერა პაპმა, — კრძალავს ევოლუციონიზმის დოქტრინას...“ და ეს დამახინჯება მოდის არა რომელიღაც პროვინციული უწიგნური ავტორისგან, არამედ მისი ავტორია საბჭოთა უღმერთობის ერთ-ერთი ლიდერი შეინმანი (ჟურნალი „Вопросы философии“ 1951, № 1, გვ. 169 და შემდ.) ალბათ ცხადია, რომ ამის შემდეგ საბჭოთა ათეისტური ლიტერატურა არავითარ ნდობას არ იმსახურებს.

19. ბიბლია თავის თავს ეწინააღმდეგება: იგი ღმერთს ზან უხილავ სულად წარმოგვიდგენს, ზან ვინმედ ადამიანის სახით, რომელიც შეიძლება დავინახოთ, გავეუმასპინძლოთ, რომელთანაც შეიძლება ვისაუბროთ და ა. შ.

**პასუხი:** არავითარი წინააღმდეგობა ამაში არაა, ბიბლია ნათლად გვეუბნება, რომ ადამიანებს არ შეუძლიათ ღმერთის იმ სახით დანახვა, როგორც ის არის. ღმერთი არის სული, ესე იგი არ გააჩნია სხეულებრიობა, ეს კი ნიშნავს, რომ არც ხილვადობა გააჩნია. მაგრამ ღმერთი, ადამიანებისათვის სიკეთის სურვილით მათ რომ ევლინებოდა, იმ ფორმას ღებულობდა, რომელსაც შეეძლო ზემოქმედება მოეხდინა ადამიანის გრძნობის ორგანოებზე და მათი საშუალებით მის გონებასა და ნებისყოფაზე, რათა კეთილი საქმეებისათვის განეწყო ისინი. ღმერთი

სრულიად არ კარგავს ღმერთის სულიერებას. ღმერთის გამოცხადების უმაღლესი ფორმა იყო მღმერთისში, იესო ქრისტეში, განზობიერება, მაგრამ ამ დროსაც ღვთაება სრულიად არ შეცვლილა და თავისი თვისებები არ დაუკარგავს, უწმიდესი სამების მეორე პირი იესო ქრისტეს ადამიანურ ბუნებასთან ერთად ერთ პიროვნებაში გაერთიანდა. ამიტომ იესო ქრისტე არის სრულყოფილი ღმერთი და სრულყოფილი ადამიანი. შეერთების ამნაირი ხერხი მიუწვდომელია ადამიანური გონებისათვის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამგვარი რამ შეუძლებელია.

20. ქრისტიანული მოძღვრება, ეყრდნობა რა ბიბლიას, ლაპარაკობს ერთ არსება ღმერთზე და ამავე დროს სამ ღვთაებრივ სახეზე, ე. ი. თითქოს უკვე სამ ღმერთზე, მაგრამ ამგვარი მოძღვრება ეწინააღმდეგება ადამიანურ გონებას.

**პასუხი:** ეს მოძღვრება არ ეწინააღმდეგება ადამიანურ გონებას, უკვე მხოლოდ აღმატება იმას, რისი წვდომაც გონებას შეუძლია. მოძღვრება უწმიდესი სამების შესახებ მართლაც იმას რომ ამბობდეს, ღმერთი ერთარსია და ამავე დროს, არსებობს სამი ღმერთიო, მაშინ ამგვარი მტკიცება, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგება საღ ადამიანურ აზრს და აბსურდულია. მაგრამ მსგავსს არაფერს ამტკიცებს ქრისტიანული მოძღვრება, იგი მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ღმერთი ერთარსებაა და სამსახა, ეს კი ერთი და იგივე არაა. ის, რაც სრულიად მიუწვდომელია ჩვენთვის იმის გამო, რომ არა სრულყოფილ არსებებთან ვართ შეჩვეული საქმის ქონას, შესაძლებელია ღმერთში. ერთ დროს ხომ ჩვენ მიუწვდომლად და საღი აზრის საწინააღმდეგოდ გვეჩვენებოდა თანამედროვე მეცნიერული აღმოჩენები და, მიუხედავად ამისა, ისინი რეალობად იქცნენ.

21. ქრისტე ცხოვრობდა ნაზარეთში, სინამდვილეში კი იმ დროს, როცა სახარებები იწერებოდა, ნაზარეთი ჯერ კიდ



ვე არ არსებობდა, რამდენადაც ებრაელთა ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი არსად არაფერს ამბობდა მის შესახებ. ნაზარეთი მახარებლებმა მოიგონეს, რადგანაც გაგონილი ჰქონდათ, რომ მესია (ქრისტე) ნაზორეველთა (ებრაულ ასკეტთა სექტა) წრიდან მოვიდოდა და გადაწყვიტეს, რომ იგი „ქალაქ ნაზარეთის“ მკვიდრი იყო.

**პასუხი:** ეს ახირებული მტკიცება არათუ შეიძლება მოვისმინოთ უწიგნური ადამიანისაგან, არამედ შეიძლება ამოვიკითხოთ წიგნებშიც, „ანტირელიგიურ სახელმძღვანელოებად“ რომ იწოდებიან.

ნაზარეთს, ისევე, როგორც ზოგიერთ სხვა ქალაქს, იოსებ ფლავიუსი არ მოიხსენიებს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი პატარა დასახლებული ადგილი იყო და არა მნიშვნელოვანი ქალაქი. ამიტომ იყო, რომ მის მცხოვრებლებს აგდებულად უყურებდნენ, როგორც ეს სახარებაშია მოხსენიებული: „ნაზარეთით შესაძლებელ არსა კეთილსა რაისაჲ ყოფად?“ (იოანე, 1,46). ქალაქთა ძველი ჩამონათვალი სრულიად სხვაგვარი იყო, ვიდრე თანამე-

დროვე სიები, გეოგრაფიის სახელმძღვანელოებში რომ გვხვდება. დიდი სიზუსტისათვის ძველად თავს მაინცდამაინც არ იწუხებდნენ.

განა ტენდენციურობისა და ახირებულობის ზღვარს არ სცდება იმის ვარაუდი, რომ მახარებლებმა იესო ქრისტეს ისტორიას რომ „იგონებდნენ“, რატომღაც მაშინ არარსებული ქალაქი (ან თუნდაც რამდენიმე ქალაქი) დაასახელეს. ხანდახან ზოგიერთი უღმერთო აბსურდამდე მიდის, როდესაც ქალაქ ბეთლემსაც კი, ქრისტეს შობამდე რამდენიმე საუკუნით ადრე რომ არსებობდა, ქრისტეს დროს არარსებულად აცხადებს.

ხოლო „ნაზორეველები“-საგან „ნაზარეთი“ რომ ვაწარმოთ, სრულიად უცოდინარნი უნდა ვიყოთ ებრაული ფილოლოგიისა და ენისა, რამდენადაც ამ სიტყვების ძირები სრულიად განსხვავებული ბგერებისაგან შედგება და მსგავსება მხოლოდ სხვა ენაზე თარგმნისას მჟღავნდება.

**თარგმანა ომარ გოზინაიშვილმა**



პ ი ე ტ ო რ რ ო ს ნ ი ლ ა კ ი

## რწმენის წანამძღვრები\*

წ ი ნ ა ს ი ტ ვ ა რ ო ბ ა

ჩვენი მიზანია ამ წიგნით ქართველ მკითხველს გავაცნოთ მეცნიერებათა — ფიზიკის, ასტრონომიის, ბიოლოგიის, ფსიქოლოგიის და ა. შ. კვლევის ახალ და უახლეს შედეგებზე დაფუძნებული დასკვნები მეტაფიზიკური განზოგადებებით, რომელნიც ყველა მოაზროვნე ადამიანში ქმნიან რელიგიის, რწმენის წანამძღვრებს. გამოკვლევა განკუთვნილია ფართო მკითხველისათვის და ამიტომ იგი პოპულარული ხასიათისაა. ამასთან ავტორს, ხშირ შემთხვევაში, შემდგენელზე მეტის პრეტენზია არ ექნება (განსაკუთრებით ეს ეხება წიგნის პირველ თავებს), რადგან იგი ცდილობდა შესაბამისი მეცნიერული დასკვნები მკითხველისათვის მიეწოდებინა თვით პირველწყაროდან, ე. ი. შესაბამისი დარგის ავტორიტეტულ მეცნიერთაგან, რათა ამ მხრივ გამორიცხული ყოფილიყო ყოველგვარი ეჭვი. მაგრამ მკითხველი არ უნდა ელოდეს, „პოპულარობის“ იმედით, რომ აქ ელემენტარული გზით ახსნილ-დასაბუთებული იქნება, ვთქვათ, აინშტაინის რელატურობის თეორია. როგორც ყველაფერი ამ ქვეყნად, „პოპულარობაც“ შედარებითი ხასიათისაა და ამიტომ ვიგულისხმებთ, რომ მეცნიერებათა გარკვეულ მიღწევებზე მკითხველს გარკვეული წარმოდგენა უნდა ჰქონდეს, რადგან ეს მიღწევები, სწორედ პოპულარული ლიტერატურით, კარგადაა ცნობილი ჩვენს ქვეყანაში. ვიმეორებთ, აქ უმეტესად ფილოსოფიური ხასიათის დასკვნები იქნება წარმოდგენილი და ამ შინაარსის მქონე წიგნების თითქმის სრული უქონლობა ჩვენში მკითხველს წარმოდგენას შეუქმნის, თუ რა სიძნელეების გადალახვა სჭირდება ამ მხრივ. ამიტომ ვიმედოვნებთ, რომ მკითხველი ღმობიერებითა და თანაგრძნობით მოეკიდება ამ ნაშრომს, მით უმეტეს, რომ თვისტური პოზიციებიდან დაწერილი ასეთი სახის ნაშრომი ჩვენში პირველად ქვეყნდება.

რაც შეეხება წიგნის დასახელებას, „რწმენის წანამძღვრებს“, აქაც პრინციპულად უნდა განვცხადოთ, რომ ეს სათაურიც პირობითია, ვინაიდან ადამიანებში უმეტესწილად, როგორც ამ სიტყვების ავტორთან, რწმენა პირდაპირ ცოცხლობს ყოველგვარი „წანამძღვრების“ გარეშე. მაგრამ ეს არ გამორიცხავს იმას, რომ შემდეგ გონებით მოვიძიოთ ასეთი წანამძღვრები. „რწმენა და გავება ვარაუდობენ ერთმანეთს და ერთუროს ამუქებენ. თეოლოგიური რწმენის არსს განე-

\* პირველად დაიბეჭდა „საღვთისმეტყველო კრებულში“, № 2, 1985 წ. ფართო მკითხველმდებარე მიხედვით, რადგან ჟურნალის ტირაჟი ხელ 200 იყო და ზემოლან ეწერა „საშსახურეობრივი მხიბარებისათვის“. ამჟამად ებეჭდათ ამ შრომის მხოლოდ ნაწილს, რელ.

კუთვება ის, რომ იგი, მიუხედავად მისი რწმენის ობიექტის შეურყეველი აღიარებისა, საშუალებას იძლევა აზროვნების დაუტყობილებელი განგრძობისას. სწორედ იმიტომ, რადგან რწმენა მხოლოდ დასაწყისია ადამიანური სიმართლისა და მარად სვითკრიტიკულად თავის მიღმა მიანიშნებს, მოუსვენრად ამყოფებს და გამოძრავებს იგი ადამიანურ სულს. ამიტომ რწმენა ადამიანის კითხვებს არ გამოირიცხავს, არამედ აღძრავს. მათ თავიანთი ურადიკალურესი აღსრულებისაკენ<sup>43</sup>.

დაბოლოს დავეძვნო, რომ ყველა საქმიან შენიშვნას წინამდებარე ნაშრომთან დაკავშირებით ავტორი სიამოვნებით მიიღებს და გაითვალისწინებს.

28 აპრილი, 1985 წელი

## ქრისტიანობა და ბუნებისმეტყველება

შესავალი

### რელიგიისა და ბუნებისმეტყველების ურთიერთდამოკიდებულება

არსებობს ორი, დიამეტრულად საპირისპირო თ. ალსაზრისი ზემოაღნიშნული საკითხისადმი. პირველი გადაჭრით უარყოფს რელიგიისა და ბუნებისმეტყველებას შორის რაიმე ურთიერთდამოკიდებულებას, მათ ურთიერთზეგაყვანას და ურთიერთდაფუძნებას, რადგან ჰყოფს მათ ორ, სრულიად განსხვავებულ სამყაროდ. ასეთი თვალსაზრისის საიდუმლოტრაციოდ მოვიყვანო ციტატას ძალზე მნიშვნელოვან, ჩვენში ახლახან გამოცემული წიგნიდან<sup>44</sup>. აქ ვკითხულობთ, რომ სოლოვეის კონფერენციაზე მყოფ ფიზიკოსთა შორის აზრი გამოითქვა გამოჩენილი ფიზიკოსის მაქს პლანკის შეხედულებაზე რელიგიისა და ბუნებისმეტყველების ურთიერთობის შესახებ. აღინიშნა, რომ პლანკი „იმ შეხედულებას იზიარებს, რომ მათ შორის არავითარი წინააღმდეგობა არ არის და რელიგია და ბუნებისმეტყველება შეთავსებადნი არიან“. ამის შემდეგ თვით ვ. ჰაიზენბერგმა ასე დააბასათა მ. პლანკის მოსოფლმშედველობა: „პლანკისათვის რელიგია და ბუნებისმეტყველება იმიტომ არიან შეთავსებადნი, რომ ისინი, როგორც ეს მას მიაჩნია, სინამდვილის სრულიად სხვადასხვა სფეროს განეკუთვნებიან, ბუნებისმეტყველებას საქმე აქვს ობიექტურ მატერიალურ სამყაროსთან. იგი ჩვენგან მოითხოვს სწორი დასკვნების გამოტანას ობიექტური სინამდვილის შესახებ და მისი კავშირების გაგებას. რელიგიას ღირებულებათა სამყაროსთან აქვს საქმე. აქ ლაპარაკია იმასზე, რა არის ვასაკეთებელი და არა იმაზე, თუ რა არის. ბუნებისმეტყველებას

\* Karl Lehmann, Glaube Handbuch Philosophischen Grundbegriffe, Bd. II, München, 1973, s. 603.

<sup>44</sup> იხ. ვერნერ ჰაიზენბერგი, „ნაწილი და მთელი“, გერმ. თარგმნა ლ. ნაროუშვილმა, თბ., 1983. უნაიდან ჩვენ ხშირად შეუხებთ ვ. ჰაიზენბერგს აზრებს, ურავო არ იქნება, თუ მკითხველი გაეცნობა მას იმ დახასიათებას, რომელიც მოცემულია ქართული გამოცემის წინასიტყვაობაში: „წიგნი „ნაწილი და მთელი“ დაწერა ილია ჩვენს დროის უდიდესი ვერმანელი ფიზიკოს-თეორეტიკოსის, ნობელის პრემიის ღაურეატის ვერნერ ჰაიზენბერგის მიერ. ჰაიზენბერგი თანაგრძობდა ატომური ფიზიკის — კვანტური მექანიკის ერთ-ერთი უძველესი მისაწვდილი ფიზიკოსი განვითარებაში ისე დიდად, რომ არ ჩამოუვარდება მე-20 საუკუნის უდიდესი მეცნიერის ალბერტ აინშტაინის განუზომელ მკაცრიულ ღვაწლს“.

ჩვენ ვარჩევთ ჭეშმარიტსა და მცდარს, რელიგიაში — კეთილსა და ბოროტს, ღირსეულსა და უღირსს. ბუნებისმეცნიერება ტექნიკურად მიზანშეწონილი ქცევის საფუძველია, რელიგია კი — ეთიკისა, კონფლიქტი ამ ორ სფეროს შორის, რაც მეთვრამეტე საუკუნიდან მოდის, მხოლოდ გაუგებრობის შედეგი უნდა იყოს. ეს იმიტომ მოხდა, რომ რელიგიურ წარმოდგენებსა და იგავებს ბუნებისმეცნიერულ მტკიცებათა გაგება მისცეს, რაც რასაკვირველია, უაზრობაა. ამ შესუღულების მიხედვით, რასაც ბავშვობიდანვე კარგად ვიცნობ, ეს ორი სფერო ცალ-ცალკე უკავშირდება სამყაროს სუბიექტურ და ობიექტურ მხარეებს. ბუნებისმეცნიერება ერთგვარად გამოხატავს ობიექტური სინამდვილის მიმართ ჩვენს მიმართება-დაპირისპირებას. რელიგიური რწმენა კი, პირიქით, სუბიექტური გადაწყვეტილებაა ღირებულების შესახებ, რომლის მიხედვითაც განვსაზღვრავთ ჩვენს საქციელს ცხოვრებაში, თუმცა ეს გადაწყვეტილება, როგორც წესი, გამოგვაქვს იმ საზოგადოებასთან სრული შეთანხმებით, რომელსაც ვეკუთვინით — იქნება ეს ოჯახი, ხალხი თუ კულტურის სფერო და იგი აღზრდისა და გარემოს ძლიერ ზეგავლენას განიცდის. მაგრამ საბოლოოდ, იგი მაინც სუბიექტურია და, ამდენად, არ ექვემდებარება კრიტერიუმებს — „სწორი“ ან „მცდარი“. მაქვს პლანკმა, რამდენადაც ვიცი, ეს თავისუფლება გამოიყენა და ქრისტიანულ ტრადიციას დაუჭირა მხარი. მისი აზროვნება და ქცევა, დამოკიდებულება ადამიანების მიმართ მოლიანად ამ ტრადიციის ფარგლებში ხორციელდება; არა ბგონია, ვინმემ ამის გამო მას ნაკლები პატივი სცეს. ასე რომ, ორი სფერო სამყაროსი, ობიექტური და სუბიექტური, მასთან წმინდად გათიშულია“\*.

თვალსაზრისი, რომ რელიგიასა და ბუნების მეცნიერებას არ აქვთ შეხების წერტილი, რომ რელიგიისათვის და მისი დაფუძნებისათვის ბუნებისმეცნიერება არავითარ როლს არ თამაშობს და არაარსებითია („ირელევანტურია“), მით უფრო მეტად გავრცელებულია თეოლოგთა შორის — გასული საუკუნიდან მოყოლებული, თეოლოგ ალბრეხტ რიტშლის მიმდევართა და ჩვენი საუკუნის იმ ევანგელისტ თეოლოგთა შორის, რომელნიც აღიარებენ კარლ ბაროსა და დიალექტიკურ თეოლოგიას. რიტშლის\*\* აზრი ისაა, რომ რელიგია გაწმენდილ უნდა აქნეს ყველა იმ შენარევისაგან, რომლებიც რელიგიას არ წარმოადგენენ და რომლებიც, პირიქით, მას ასუსტებენ, შესაძლებელს ხდიან რა მის გაკრიტიკებას. თეოლოგიის მსჯელობანი უნდა იყოს „ღირებულებათა მსჯელობანი“ (Werturteile), ხოლო მეცნიერებისა (ბუნების მეცნიერების) — „ყოფიერებითი მსჯელობანი“ (Seinsurteile). ამგვარად იქცევა აქ რელიგია მხოლოდ რწმენის საქმედ და არა შემეცნებისა. მასში რამე მეცნიერული და ფილოსოფიური ელემენტების შეტანა ყოვლად დაუშვებელია.

ზემომოყვანილი მსჯელობა სათავეს ღებულობს ჯერ კიდევ მარტინ ლუთერთან, რომელმაც განდევნა რელიგიური ცნობიერებიდან ყოველნაირი ინტელექტუალიზმი და სქოლასტიზმი. რელიგიის გამიჯვნას ბუნებისმეცნიერებისაგან ემსახურებოდა აგრეთვე კანტის მოძღვრებაც, რომელმაც ხილული, ფენოცენალური სამყაროს მიღმა მოათავსა მეტაფიზიკური სამყარო „საგნისა თავისაადად“. კანტის მიხედვით, მხოლოდ იქაა შესაძლებელი თავისუფლება ანუ სულიერი ცხოვრება და რელიგიურ ჭეშმარიტებათა განხორციელება. მაგრამ ეს

\* ე. შაიხენბერგი. დასახელებული ნაშრომი, გვ. 110-111.

\*\* ab. A. Ritschl, Die christliche Lehre von der Rechtfertigung und Versöhnung 3 Bde. 1870-1874.



სამყარო არავითარ შეხებაში არაა, როგორც ვთქვით, ხილულ ბუნებასთან და ამდენად — ბუნებისმეცნიერებასთან. ხოლო იმდროინდელი ცნობილი ფილოსოფოსები იაკობი და შემდეგ შლაიერმახერი რელიგიას წმინდა გრძნობის საქმედ მიიჩნევდნენ და არა შემეცნება — გონებისას, იმდენად, რომ პირველი მათგანი თავისთავს გონებით წარმართს უწოდებდა, მაგრამ სულით ქრისტიანს.

მოგვიანებით კანტის შემოხსენებული მოძღვრება თავშესაფრად იქცა გველა მისთვის, ვისაც აშინებდა მეცნიერებათა წინსვლის დროს აღმოცენებული მატერიალისტურ-დეტერმინისტული ტენდენციები (რაზედაც გვექნება ჩვენ კიდევ საუბარი) და რომელნიც, ამიტომ, თავიანთი რწმენის ობიექტს ათავსებდნენ ფენომენალური (მოვლენათა) სამყაროს მიღმა, კანტის „თავისთავად მყოფ საგანში“, იქ, სადაც მეცნიერებათ, და კერძოდ ბუნებისმეცნიერებას ზელი ველარ მიუწვდებოდა.

ასეთი იყო ის ტრადიცია, რომელმაც მაქს პლანკისათვის გამოიწვია რელიგიისა და ბუნების მეცნიერების მკვეთრი გათიშვა\*.

მაგრამ რამდენადაა ეს თვალსაზრისი სწორი? შემომოყვანილ ციტატაში ვ. ჰაიზენბერგი განაკრძობს: „უნდა გამოვტყდე, რომ ეს გათიშულობა მაინცდანიც არ მომწონს. ვეჭვობ, რომ ადამიანთა საზოგადოებამ დიდხანს გაძლოს ცოდნისა და რწმენის ამ მოურიგებელი გათიშულობის პირობებში“\*\*. აქ ჩვენ აღარ შეგვხვებით კანტის მოძღვრებას, რომლის არაერთი დებულება დღეს უარყოფილია სწორედ მეცნიერებათა წინსვლის შედეგად და ამდენად იგი ჩვენთვის მიუღებელია. ამიტომ პირდაპირ დავსვამთ საკითხს, რომელიც, ვფიქრობთ, გვარწმუნებს შემომოყვანილი თვალსაზრისის სიმცდარეში. ეს თვალსაზრისი, როგორც ვთქვით, რელიგიასა და ბუნების მეცნიერებას ათავსებს სხვადასხვა სიბრტყეზე, პირველს — ღირებულებისაზე, ხოლო მეორეს — ფაქტობრივისაზე; მაგრამ ღირებულებებზე ვერ ვისაუბრებთ ისე, თუ არ შეგვხვებით თავისუფლების საკითხს, ხოლო ამ საკითხს ისევე მივყავართ ღირებულებებთან, როგორც ფაქტობრიობასთან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ადამიანთა დიდზე დიდი უმრავლესობისათვის რელიგია უფრო მეტია, ვიდრე მორალი. პირველი მოიცავს მეორეს, მაგრამ მით არ იფარგლება. საკულტო რიტუალის შემსრულებლისათვის, მლოცველი ადამიანისათვის აღნიშნული ქმედებანი წარმოადგენენ უკვე მიღებული გადაწყვეტილების გამოხატულებას სამყაროს ფაქტობრიობაზე — არა მხოლოდ ღირებულებებზე, არამედ სინამდვილის სტრუქტურაზეც. სხვაგვარად ასეთი ქმედებანი იქნებოდნენ აზრსმოკლებული ცრურწმენანი\*\*\*.

მსგავს აზრებსავე ავითარებს გამოჩენილი ფიზიკოსი ვოლფგანგ პაული, რომელსაც გვამცნობს ვ. ჰაიზენბერგი შემოდასახელებულ წიგნში. „იმ დროს, — ამბობს პაული — როცა რელიგია წარმოიშვა, მთელი ცოდნა, შესაბამის საზოგადოებას რომ გააჩნდა, ადვილად თავსდებოდა იმ გონით ფორმაში, რის უმთავრეს შინაარსსაც შესატყვისი რელიგიის ღირებულებანი და იდეები შეადგენ-

\* ასევე მყოფდა ერთუთისაგან რელიგიასა და ბუნებისმეცნიერებას მ. პლანკის თანამედროვე დანიელი ფილოსოფოსი პ. ჰიოფდრენგი, რომელიც თავის „რელიგიის ფილოსოფიაში Religionsphilosophie (1901) აცხადებდა, რომ რელიგიას თავის უშინაგანეს არსში საქმე აქვს ყოფიერების ღირებულებასთან და არა მის შინაარსთან.

\*\* ვ. ჰაიზენბერგი, დასახ. ნაშრომი, ვკ. 111.

\*\*\* P. Jordan, Der Naturwissenschaftler vor der religiösen Frage, Hamburg 1965, s. 24-25.

და, ეს გონითი ფორმა გასაგები უნდა ყოფილიყო — და ეს იყო ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა — საზოგადოების ყველაზე უბირი წევრისათვისაც კი, — მაშინაც, თუ ეს წარმოდგენები და იგავები მათ მხოლოდ ბუნდოვნად მიანიშნებდნენ თუ რა იყო ამ ღირებულებებსა და იდეებში, საკუთრივ, ნაგულისხმევი. უბრალო ადამიანი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ გონითი ფორმა საზოგადოების მთელ ცოდნას იტევს, რათა საკუთარი ცხოვრების გადაწყვეტილებები მისი ღირებულებების მიხედვით წარმართოს. რწმენა მისთვის არ ნიშნავს „სწორად შინაგანად“, არამედ — ამ ღირებულებებისადმი სრულ ნდობას და მის სახელმძღვანელო ფასეულობებზე აღიარებას. ამიტომ დიდი საფრთხე წარმოიქმნება, თუ ახალი ცოდნა, ისტორიის მანძილზე რაც დაგროვდა, ძველ გონით ფორმებს — ფეთქების საშიშროებას შეუქმნის. ცოდნისა და რწმენის სრული გათიშვა მხოლოდ იმულებითი გამოსავალია ძალიან მცირე ხნით\*\*.)

ამგვარად, ჩვენი მსჯელობა მიმართულია მეორე თვალსაზრისის სასარგებლოდ, რომელიც აღიარებს რელიგიისა და ბუნებისმეცნიერების ურთიერთმიმართებას და ურთიერთდაფუძნებას. მიემართოთ ისევ ვ. პაულის, რომელიც მ. პლანკის საბირისპიროდ აცხადებს: „ჩემთვის აინშტაინის შეხედულება უფრო მისაღებია. მამაზეციერს, ვისაც იგი ასე ხშირად მიმართავს ხოლმე, რაღაც საერთო აქვს ბუნების უცვლელ კანონებთან. აინშტაინი გრძნობს საგანთა ცენტრალურ წესრიგს. იგი მას ბუნების კანონთა სიმარტივეში ხედავს... აქედან რელიგიის შინაარსამდე, რა თქმა უნდა, დიდი მანძილია... მაგრამ მისთვის არ არსებობს ცოდნისა და რელიგიის არავითარი გათიშვა. ცენტრალური წესრიგი განეკუთვნება როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ სფეროს... ბუნებისმეცნიერების განვითარებამ ამ ბოლო ორ საუკუნეში აზროვნება მთლიანად შეცვალა. ქრისტიანული კულტურის საზღვრებს გარეთაც. მასასადამე, არც ისე უმნიშვნელო ყოფილა თუ რას ფიქრობდნენ ფიზიკოსები\*\*\*. ხოლო ხშირ შემთხვევაში თუ რა დრამატუზმით აღსავსეა ეს ურთიერთდამოკიდებულება რელიგიასა და ბუნებისმეცნიერებას შორის, კარგად გადმოგვემს ერთი აღიარებული წიგნის ავტორი: „აქამომდე, ემპირიულ მეცნიერებათა ყოველ აღმოჩენისას, იქნებოდა ეს ასტრონომიაში, ფიზიკასა თუ ქიმიაში, საქმე ყოველთვის ისე გამოიყურებოდა, რომ ამ ახალი აღმოჩენებით ძველი რწმენა თითქოს საბოლოოდ განადგურდა, რომ ამიერიდან არც ერთ ჭკუადაძვლად კაცს თითქოს აღარ შეეძლო რწმენა ღვთის არსებობისა, სულისა ან თავისუფალი ნებისა. მაგრამ ყოველთვის საქმე კვლავ ისე წარიმართებოდა, რომ ორდენის (იგულისხმება იგუზიტთა ორდენი, ვ. რ.) ერთგულ წევრთაგან ვინმე საქაროდ მიაშურებდა ობსერვატორიას, მეორე — ლოგარიტმების ცხრილზე დაიხრებოდა, მესამე — მიკროსკოპზე და მეოთხე — ქიმიის ლაბორატორიას მიმართავდა, რათა, ზუსტ მეცნიერებათა საიმედო ხელსაწყოებით აღჭურვილთ, კვლავ იმის საწინააღმდეგო დაემტკიცებინათ, რისი დამტკიცების შთაბეჭდილებასაც ახდენდნენ თავდაპირველად ახალი გამოკვლევები. ღვთისმოსავი პატრები იმავე ხელსაწყოებს იყენებდნენ, რასაც ერისკაცთაგან მათი მოწინააღმდეგენი, იმავე ცხოველებზე იმავე ცდებს ატარებდნენ და საბოლოოდ იმავე ძალღმობიან და მდილთაგან არანაკლები სიამაყით აკეთებდნენ დასკვნას, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ღმერთი არსებობს, რომ არსებობს სუ-

\* ვ. ჰაიზენბერგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 111.

\*\* იქვე, გვ. 112.

ლი. ინტელიგენცია და მტრის ჯიბრზე აგრეთვე ნების თავისუფლება, სამყაროს განქინის დღიდან უკუნიით უკუნიისამდე. საერო მეცნიერების ქედმაღლურ განცხადებას — „და ამით ესვამთ წერტილს“, იეზუიტები თავიანთი დაკვირვებების ბოლოს ქრისტიანულ-თავმდაბლურ, მაგრამ არანაკლებ მტკიცე და ენერგიულ „ამენ“-ს უპირისპირებდნენ“.

თავი პირველი

მოკლე მიმოხილვა შახედულეხათა ცვლილებაებისა  
სამყაროს აგებულებაზე მე-20 საუკუნემდე

ანტიკურ ხანაში, განსაკუთრებით არისტოტელეს შემდეგ, რომელმაც ძირითადად განსაზღვრა სამყაროს იმჟამინდელი სურათი, მთელი სამყარო წარმოედგინათ სივრცის ჩაკეტილ ყუთად, რომელიც შემოსაზღვრული იყო უკიდურესი ცის სფეროთი. მას ჰქონდა სფეროს ფორმა და ამიტომაც, ბუნებრივია, ცენტრალური პუნქტიც, სადაც დედამიწა იმყოფებოდა. მათ შორის ბრუნავდა სხვადასხვა სფერო, რომელნიც თავიანთი მოძრაობით ვარსკვლავთა მოძრაობას იწყვედნენ ხილულ ცაზე. სამყაროში არსებულ ოთხ ელემენტს ამ სივრცესთან არსებითი დამოკიდებულება ჰქონდა. ელემენტი მიწა თავისი შინაგანი არსით სამყაროს გეომეტრიული ცენტრისაკენ ილტვოდა; მასზე განლაგებული იყო უფრო მსუბუქი ელემენტი წყალი, შემდეგ — ჰაერი, ხოლო მათ ზემოთ უფრო მსუბუქი ელემენტი — ცეცხლი, რომელიც მთვარის სფერომდე მადლდებოდა. თავიანთი ბუნებრივი მდებარეობიდან მათ თუ ამოკლებდნენ, ისინი გარკვეული სახის შინაგანი სწრაფვით უკანვე ილტვოდნენ ბუნებრივი ადგილსამყოფელისაკენ. მთელი დანარჩენი სამყარო, არისტოტელეს მიხედვით, შედგებოდა მხოლოდ ელემენტისაგან — ეთერისაგან, რომელიც წარმოადგენდა უწონო, უცვლელ და სრულყოფილ სუბსტანციას და რომლისგანაც შედგებოდა სამყაროს ის ბოლის სფეროები, რომლებიც იმყოფებოდნენ დედამიწის სფეროსა და უძრავ ვარსკვლავთა სფეროს შორის. სამყაროს ამ სურათში შესაძლებელი იყო მდებარეობის აბსოლუტური განსაზღვრა, რადგან მოცემული იყო ორი მტკიცე საორიენტაციო პუნქტი: ცენტრალური პუნქტი და უკიდურესი სფერო. აქედან თავისთავად გაომდინარებოდა, რომ სივრცე სასრული იყო.

სამყაროს ამ სურათს შუა საუკუნეებმა შესძინა ბიბლიური დებულება სამყაროს განქინისა, რომელიც თავის დასასრულსაც პოუბს. ამავე დროს, სამყარო ჩნდება არა დროის გარკვეულ წერტილში და ისპობა არა გარკვეული დროის შემდეგ, არამედ იგი იბადება დროსთან ერთად და მასთან ერთად ისპობა. ამგვარად, შუა საუკუნეებისათვის დროის ყოფიერებამ მიიღო თავისი ადგილსამყოფელი სამყაროს ჩაკეტილი, შემოსაზღვრული სივრცისა და დროის არსობის მიღმა.

ამ წარმოდგენათა რღვევა დაიწყო მე-16 საუკუნეში, როდესაც კათოლიკე ბრძედელმსახურმა ნიკოლაუს კოპერნიკმა დაამტკიცა დედამიწის მოძრაობა მზის გრველიც და ამით ცხადყო, რომ დედამიწა არის ერთ-ერთი პლანეტა და არა სამყაროს ცენტრი. დედამიწის პლანეტად გამოცხადებით მთელი ის გეომეტ-

\* Rene Fülöp — Miller, Macht und Geheimnis der Jesuiten. Eine Kultur und Geistesgeschichte, Berlin, 1932, s. 179-180.

რიული სისტემა ირღვეოდა, რომლის ცენტრალურ ადგილს იკავებდა ელემენტი მწწა თავისი მატერიის არსით. თუმცა თვით კოპერნიკისათვის ეჭვგარეშე იყო პლანეტათა მოძველი სფეროს, ე. ი. ჩაკეტილი სივრცის რეალობა, მაგრამ ამის გადალახვას წინ აღარაფერი ედგა. მართლაც, იმავე საუკუნეში დეზერტირმა ბერმა ჯორდანო ბრუნომ თავისი გაბედული აზროვნებით პანთეისტურ-ათეისტური მსოფლმხედველობა განავითარა, რომელიც, ამისდა მიუხედავად, თავიანთი არ იყო მისტიკური შენარევებისაგან. თუკი კოპერნიკმა მზე მოათავსა სამყაროს ცენტრში, ბრუნომ მზე ერთ-ერთ ვარსკვლავად გამოაცხადა, რომელთა რაოდენობა სამყაროში უთვალავია. ბრუნო ამტკიცებდა, რომ არათუ დედამიწა, არამედ მზეც მტერის ნამცეცს წარმოადგენს სამყაროსთან შედარებით. სამყაროს უსასრულობის მტკიცებამ ბრუნო მიიყვანა იმ აზრამდე, რომ შეუძლებელია უსასრულო სამყარო დროის რომელიმე მონაკვეთში განენილიყო, არამედ იგი არსებობდა მარად და მარად იარსებებს. ამგვარად, ამნაირმა აზრებმა საფრთხე შეუქმნა სამყაროს სივრცის მიღმური და დროის მიღმური ღვთის ადგილსამყოფელის არსებობას ადამიანის წარმოდგენაში.

კოპერნიკული სისტემისა და ბრუნოს სპეკულაციათა ამ შეტევას რელიგიური ზედ დაერთო კვლავ აღორძინებული დემოკრიტიკული მატერიის ცნება და ბეჟანისტურ-დეტერმინისტული ბუნების სურათი. „მოვლენათა ცვალებადობაში, როგორც გამძლე, ამ დროს მიიჩნიეს თავის მასაში უცვლელი მატერია, რომელიც შეიძლება იქნეს მოძრაობაში მოყვანილი ძალების მეშვეობით. რადგან ქიმიური ცდები, მე-18 საუკუნიდან მოყოლებული, ანტიკურობიდან გადმოდებული ატომისტური ჰიპოთეზით წარმატებით იქნა მოწესრიგებული და ახსნილი, აღიძრა აზრი, რათა ატომები, ანტიკური ბუნების ფილოსოფიის მსგავსად, განეხილათ როგორც ნამდვილად არსებულები, როგორც უცვლელი უმცირესი ნაწილაკები, რისგანაც შედგება მატერია. ამით, როგორც ერთ დროს დემოკრიტიკის ფილოსოფიაში, მატერიის გრძნობადმა თვისებებმა მოჩვენებითი, არარეალური ხასიათი შეიძინა; სუნი ან ფერი, ტემპერატურა ან სიმკვრივე აღარ წარმოადგენდნენ მატერიის ნამდვილ თვისებებს, არამედ აღმოცენდნენ ურთიერთქმედების შედეგად მატერიასა და ჩვენს გრძნობათა შორის და უნდა ახსნილი ყოფილიყვნენ ატომთა განლაგებისა და მოძრაობის და ამ განლაგების ხემოქმედებით ჩვენს გრძნობებზე. ასე აღმოცენდა ძალზე გაუბრალოებული სამყაროს სურათი მე-19 საუკუნის მატერიალიზმისა; ატომები, როგორც უცვლელი ნამდვილად არსებულები, მოძრაობენ სივრცესა და დროში და მათი ურთიერთმიმართ განლაგებითა და მოძრაობით იწვევენ ისინი ჩვენი გრძნობათა სამყაროს ჭრელ მოვლენებს\*.

რაც შეეხება დეტერმინიზმს, კერძოდ კოსმოლოგიურ დეტერმინიზმს, იგი, თანამედროვე გაგებით, უფრო გვიან ჩამოყალიბდა და წარმოადგენს კაუზალობის ცნების უფრო ვიწრო ინტერპრეტაციას. თვით „კაუზალობის“ ცნების გამოცხნება მიზეზისა და შედეგის წესისათვის, ისტორიული თვალსაზრისით, ჯერ შედარებით ახალგაზრდაა. ადრეულ ფილოსოფიაში სიტყვა *causa*-ს გაცხილებით უფრო ფართო მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ამჟამად. მაგალითად, სქოლასტიკაში, არისტოტელეზე დაყრდნობით, „მიზეზის“ ოთხ ფორმაზე ლაპარაკობენ. იქ იხსენიება *causa formalis*, რომლითაც დღეს საგნის სტრუქტურა ან მისი სულიერი შინაარსი აღინიშნება; *causa materialis* — ნივთიერება,

\* W. Heisenberg. Das Naturbild der heutigen Physik. Hamburg, 1963, s. 10.



რომლისგანაც საგანი შესდგება: causa finalis – მიზანი, რისთვისაც საგანი შექმნილია და საბოლოოდ, causa efficiens. მხოლოდ causa efficiens-ი წევსადამება იმას, რასაც ჩვენ დღეს სიტყვა „მიზეზში“ ვგულისხმობთ. ცნება causa-ს დღევანდელი „მიზეზის“ ცნებად გარდაქმნა საუკუნეთა განმავლობაში განხორციელდა. ეს მოხდა შინაგან კავშირში ადამიანისაგან მოცული მთელი სინამდვილის გარდაქმნასთან და ახალი დროის დასაწყისში აღმოცენებული ბუნების მეცნიერებასთან ერთად. იმავე ოდენობით, რამდენადაც მატერიალური პროცესი რეალობას იძენდა. აგრეთვე სიტყვა causa-ც ეხებოდა იმ მატერიალურ ხდომილებას, რომელიც ასახსნელ ხდომილებას წინ უსწრებდა და მას როგორღაც იწვევდა. ამიტომ აგრეთვე კანტთან, რომელსაც ნიუტონის შემდეგ ძირითადად ფილოსოფიური დასკვნები გამოქჷნდა ბუნებისმეცნიერებათა განვითარებიდან, სიტყვა კაუზალობა უკვე ისეა ფორმულირებული, როგორც ამას ჩვენ მივეჩვიეთ მე-19 საუკუნიდან: „თუკი ჩვენ ვგებულობთ, რომ რაღაც ხდება, მაშინ მასთან ერთად იმავე წამს ვგულისხმობთ, რომ ამას რაიმე წინ უძღვის, თასაც იგი წესის მიხედვით მიჷყვება“. ამგვარად, შევიწროვდა და შემოიფარგლა თანდათანობით კაუზალობის დებულება და საბოლოოდ იგი გახდა იმ მოლოდინის მნიშვნელობისა, რომ ხდომილება ბუნებაში მკაფიოდაა განსაზღვრული, რომ, მაშასადამე, ზუსტი ცოდნა ბუნებისა ან მისი განსაზღვრული მონაკვეთისა, ყოველ შემთხვევაში, პრინციპში საკმარისია, რათა განვსაზღვროთ მომავალი. სწორედ ასეთი იყო ნიუტონისეული ფიზიკა, რომ განსაზღვრული დროის სისტემის მდგომარეობიდან შესაძლებელი ხდებოდა სისტემის მომავალი მოძრაობის გამოთვლა... როდესაც სიტყვა კაუზალობას ახე ვიწრო ინტერპრეტირებას უკეთებენ, ლაპარაკობენ აგრეთვე „დეტერმინიზმზე“ და ამით გულისხმობენ, რომ არსებობს ბუნების მყარი კანონები, რომელნიც სისტემის მომავალ მდგომარეობას ამჷმინდელთან მკაფიოდ განსაზღვრავენ“.

განმანათლებლობის ხანაში აღმოცენებულმა კაუზალურ-მექანიკურმა სამყაროს გაგებად განდევნა ბუნების მეცნიერული სფეროდან ყოველგვარი მეტაფიზიკა. მაშინ აღმოჩენილი მიზეზ-შედეგობის უწყვეტი ჯაჭვი მიიჩნიეს ბუნების საერთო კანონად. ამ დროისათვის ცნობილი ხდება ნიუტონის გენიალური აღმოჩენა, რომ მექანიკის კანონები, რომლებიც ქვის ვარდნას განაპირობებენ, განსაზღვრავენ აგრეთვე მოვარის მოძრაობას დედამიწის ირგვლივ. თუმცა თვით ნიუტონი ამის წინააღმდეგი იყო, მაგრამ მის მექანიკაზე და გრავიტაციის კანონზე დაყრდნობით პლანეტარული სისტემა განიხილეს როგორც ნიშნში უწყვეტად დეტერმინირებული ბუნებრივი ქმნილებისა. შემდეგ იგივე განზოგადდა მთელ სამყაროზე. უმცირეს ატომთა მოძრაობიდან დაწყებული უდიდეს ციურ სხეულთა ჩათვლით ყველაფერი მკაფიოდ დეტერმინირებულია: ყველაფერი ემორჩილება კანონს, რომლის მიხედვითაც ამჷმინდელი მდგომარეობიდან შეიძლება მოსავლის მდგომარეობა გამოითვალოს. ამ მიმართულებამ კულმინაციას მიაღწია ლაპლასის დასკვნებში: „ყოველი მოვლენა, რომელიც რეალურად ხორციელდება, დაკავშირებულია მის წინამორბედთან იმ ამკარა პრინციპის საფუძველზე, რომ რომელიმე მოვლენა არ შეიძლება აღმოცენდეს მისი მაწარმოებელი მიზეზის გარეშე... ამგვარად, ჩვენ უნდა განვიხილოთ სამყაროს დღევანდელი მდგომარეობა, როგორც შედეგი მისი წინამორბედი მდგომარეობისა და როგორც მიზეზი მომავლისა... გონება, რომლისთვისაც ცნობილი იქნებოდა ყველა ძალა რომელი-

\* W. Heisenberg, Das Naturbild... 26-25



ნიერება ახასიათებს, რომ იგი მარად არსებობდა და მარად იარსებებს, მაშინ, "უკი დავევამთ კითხვას თუ როდის შექმნა მესაათემ საათი, ანუ ღმერთმა სამყარო, იძულებული გავხდებით პასუხი რაც შეიძლება უფრო შორეულ წარსულში ვეძიოთ, „მინუს უსასრულობაში“. ეს კი ნიშნავს, რომ იგი არასდროს განხორციელებულა\*.

გაცილებით დიდი წარმატება ჰქონდა კანტის მოძღვრებას. კანტმა მოახდინა ადამიანის შემეცნების უნარის კრიტიკა და კერძოდ „მიზეზობრიობა“ განიხილა როგორც ადამიანის „განსჯის კატეგორია აპრიორი“, რომელიც, განსჯის სხვა კატეგორიებთან ერთად, გრძნობათა მეშვეობით ცდაში მიღებულ მონაცემებს აწესრიგებს; ე. ი. „მიზეზობრიობა“ გამოცხადდა ფაქტობრივად სუბიექტის უნარად, რომელიც ყოველგვარ ცდამდე და მისგან დამოუკიდებლად ადამიანის სულში მოცემული და რომელიც გარე, ობიექტური სამყაროდან გრძნობათა მეშვეობით მიღებულ მასალას ფორმას ანიჭებს. თვით ასე მოწესრიგებული ადამიანის შემეცნება, კანტის მიხედვით, მაინც ვერ აღწევს ნამდვილ, ობიექტურ სამყაროს, რადგან მას საქმე აქვს არა „საგანთან თავის თავად“, არამედ მის მხოლოდ მოვლენებთან (ფენომენებთან). როგორც ზემოთ ვახსენეთ, სწორედ ამ მოვლენების, ფენომენალური სამყაროს მიღმა ათავსებს კანტი ღმერთისა და რელიგიის ჭეშმარიტებათა ადგილსამყოფელს. განსჯის კატეგორიათა მსგავსად, სივრცეს და დროსაც კანტი განიხილავს „მგრძნობელობის“ სუბიექტურ სახეობებად. ამჯერად „მჭკვრეტელობის ფორმად აპრიორი“, რაც სულიერ სფეროებში კატეგორიები არიან, მაგ. იმასვე წარმოადგენს სივრცე მგრძნობელობის სფეროში. მაგრამ ეს ფორმა მონაწილეობას უნდა ღებულობდეს ცდის მონაცემებში; თუ მას წმინდად თავის თავში გამოვიყენებთ, მაშინ მივაღწევა ყალბად დასმულ და ამიტომ გადაუწყვეტავ საკითხებამდე – აპორიებამდე. (მაგ. სივრცე სასრულია თუ უსასრულო), მაგრამ ეს აპორიები აღმოცენდებიან მხოლოდ სივრცის ფორმის არაკანონიერი გამოყენების შედეგად სიცარიელეში.

ამგვარად, ბუნების მექანიკურ-დეტერმინისტული კანონების აღიარებასთან ერთად კანტმა დაუშვა ამ მოვლენათა სამყაროს მიღმა არსებობა ამ სამყაროს შიდა, მეტაფიზიკური მხარისა, „საგნებისა თავის თავად“, სადაც შესაძლოა იყოს თავისუფლება, რომელიც მოვლენათა სამყაროში მექანიკურ იძულებად ვლინდება, თუმცა კანტის ფილოსოფიამ საუკუნეზე მეტ ხანს პროტესტანტულ რელიგიურობას გარკვეულად ზურგი გაუმაკრა შეტევაზე კადმოსული მატერიალისტური ათეიზმის წინააღმდეგ, მაგრამ მიუხედავად ამისა, დღეს იგი გარკვეულ წინააღმდეგობაში იმყოფება ბუნების მეცნიერების წინსვლის შედეგად მოპოვებულ დებულებებთან, რაზედაც ჩვენ აღარ შევჩერდებით\*\*.

მე-19 საუკუნეში მიზეზობრიობის კანონის წინააღმდეგ, სხვათა შორის, ეჭვი გამოთქვა ინგლისელმა ფილოსოფოსმა ჯონ სტიუარტ მილმა, რომელიც იავეს მხრივ ეყრდნობოდა იუმეს (როგორც აღრე კანტი), რომლისთვისაც კა-

\* Ibidem, s. 77.

\*\* დინტერესებულ კითხველს ამ მხრივ ვურჩევთ წაიკითხოს თავი ვ. პაიზენბერგის წიგნიდან „ნაწილი და მთელი“, თბ., 1983 – კვანტური მექანიკა და კანტის ფილოსოფია. აგრეთვე P. Карнап, Философские основания физики, пер. с англ., М., 1974, Глава 18. Кантовские синтетические априорные суждения, об. აგრეთვე P. Jordan, ...587, 195–196.

უზალობის რწმენა ეფუძნებოდა მხოლოდ და მხოლოდ ასოციაციას, მოლოდინს და ჩვეულებას. მილის აზრით, კაუზალობის კანონი ინდუქციის მეთოდითაა მოპოვებული და დამყარებულია დაშვებაზე, რომ ბუნების პროცესების მსვლელობა ერთგვაროვანია, მაგრამ, ამბობდა მილი, შესაძლოა სხვა პლანეტაზე მოკლებული ერთმანეთს ყოველგვარი განსაზღვრული კანონის გარეშე და არე-დარევით მიჰყვებიან და არც ჩვენს გონებასა და არც ცდაში არაფერი არაა ისეთი, რასაც ექნებოდა საკმაო საფუძველი ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ. ამ მხრივ მილი ეხმიანებოდა თავის დიდ თანამემამულეს ბერკლის, რომელიც გამოთქვამდა აზრს, რომ შესაძლოა შემოქმედი ყველგან არ მოქმედებს ერთგვაროვნად, რომ მაგ., მიზიდულობის კანონი შეიძლება არ სრულდება სამყაროს სხვა მხარეებში და სხვა. ასეთი მსჯელობის ლოგიკური განვითარება შესაძლებელს ხდიდა ზებუნებრივი კანონიერების, სასწაულის აღიარებას.

აქვე აღსანიშნავია, რომ მიუხედავად მატერიალიზმის მოძალებისა, მთელი მე-19 საუკუნე რომანტიზმის სულისკვეთებითაა გამსჭვალული. რომანტიკულ ნატურფილოსოფიას, რომელიც ბუნებას რაღაც ცოცხლად აღიქვამდა, უკვალოდ არ ჩაუვლია ბუნებისმეცნიერებათათვის. გოეთე წერდა თავის ცნობილ ფრაგმენტში ბუნებაზე: „იგი თავის ქმნილებებს არარაობიდან აღმოაცენებს და არარაას აუწყებს მათ, თუ საიდან მოდიან და საით მიდიან ისინი. მათ მხოლოდ უნდა ისწრაფონ; გზა კი იცის მან... მისი გვირგვინი სიყვარულია“. ასეთივე რომანტიზმი სჭვივის თვით მატერიალისტური ტიპის მოაზროვნეებში, როგორც არიან მაგ., ნიცშე, ჰეკელი, ვ. ბიოლშე\*.

## თავი მეორე

### ბუნებისმეცნიერებათა განვითარების შედეგებზე დამყარებული ბუნების დღევანდელი სურათი

#### ა. მატერიის თანამედროვე გაგება

ჩვენი მიზანია, რასაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რომ ჩვენს მკითხველს ბუნებისმეცნიერებათა განვითარების შედეგებზე დამყარებული ბუნების დღევანდელი სურათი წარუდგინოთ თავად ბუნებისმეცნიერების ინტერპრეტაციით, ამ შემთხვევაში მატერიის თანამედროვე გაგება. საამისოდ, ვფიქრობთ, საუკეთესო არჩევანი იქნება ავტორი იმ წიგნისა, რომელიც ჩვენში ახლახან ითარგმნა — ვ. ჰაიზენბერგი, „ნაწილი და მთელი“. „შესავალში“ უკვე ვახსენეთ ვ. ჰაიზენბერგის დახასიათება ქართული გამოცემის წინასიტყვაობიდან, როგორც ჩვენი დროის უდიდესი ფიზიკოსისა. ამიტომ მკითხველი, იმედია, უფრო მეტი ნდობითა და ყოველგვარი წინასწარაკვიატებული აზრის გარეშე გადაიკითხავს ამ ღრმა მოაზროვნის დასკვნებს, როგორც „სპეციალისტისას“, როგორც „ბუნებისმეცნიერულ აღმოჩენათა“ უშუალო მონაწილისას და მათ ფილოსოფიურ სიბრტყეზე განმაზოგადოებლისას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მე-19 საუკუნეში მომძლავრებულმა მატერიალიზმმა შექმნა ძალზე გაუბრალოებული სამყაროს სურათი: ნამდვილად არსებობს მხოლოდ ატომები — უცვლელი, უმცირესი ნაწილაკები, რისგანაც შედ-

\* cf. G. Frey, Erkenntnis der Wirklichkeit, Stuttgart 1965, s. 17-18.



გება მატერია. სხვა დანარჩენი, მათ შორის ჩვენი გრძობადი თვისებები, გამოწვეულია მხოლოდ ამ ატომთა მოძრაობისა და ურთიერთგანლაგებისაგან სივრცესა და დროში. აქ, თავისი წიგნის<sup>\*</sup> ქვეთავში „კრიზისი მატერიალისტური შეხედულებისა“, ვ. ჰაიზენბერგი განაგრძობს, „პირველი, თუმცა არცთუ ისე სახიფათო რღვევა ამ მსოფლგაგებისა მოხდა გასული საუკუნის მეორე ნახევარში ელექტრონის მოძღვრების განვითარებით, რომელშიც არა მატერია, არამედ ძალთა ველი, როგორც რეალობა, გამოვიდა ასპარეზზე. ურთიერთქმედება ძალთა ველებს შორის ყოველგვარი სუბსტანციის გარეშე, როგორც ძალთა მატარებლისა, უფრო ნაკლებად იყო აღვილად გასაგები, ვიდრე ატომური ფიზიკის რეალობის მატერიალისტური წარმოდგენა. მან შემოიტანა აბსტრაქტულობისა და არათვალსაჩინოების ელემენტი სხვა მხრივ მოჩვენებითად ასე ნათელ სამყაროს სურათში. ამიტომ ცოტა როდი იყო ცდები არაპირდაპირი გზით, მატერიალური ეთერის მეშვეობით, რომელსაც ეს ძალთა ველები დრეკადი ძაბვებით უჩნდა ეტარებინა, კვლავ დაბრუნებოდნენ მატერიალისტური ფილოსოფიის მატერიალის უბრალო ცნებას. მიუხედავად ამისა, ამდგვარ ცდებს ნამდვილი წარმატება არ მოჰყოლია. მაგრამ თავის დამშევიდება მაინც შეეძლოთ იმით, რომ აგრეთვე ძალთა ველების ცვლილებები შეიძლება განხორციელებულიყვნენ როგორც სივრცესა და დროში მიმდინარე პროცესები, რომელთა აღწერა შეეძლოთ საესეებით ობიექტურად, ე. ი. მათი დაკვირვების სახეობაზე ყოველგვარი დანიშნულების გარეშე, და რომელნიც ამიტომ შეესაბამებოდნენ კანონზომიერი მსვლელობის საყოველთაოდ აღიარებულ იდეალურ სურათს. გარდა ამისა, ძალთა ველები, რომლებზედაც დაკვირვება შეიძლებოდა მხოლოდ მათი ურთიერთქმედებით ატომებთან, აღიქმებოდა როგორც ატომებისაგან გამოწვეული; მათი გამოკვება შესაძლებელი იყო მხოლოდ ატომთა მოძრაობის ასახსნელად. ამგვარად, ატომები მაინც დარჩნენ ნამდვილ არსებულებად, ხოლო მათ შორის ცარიელ სივრცეს, როგორც უკიდურეს შემთხვევაში ძალთა ველებისა და გეომეტრიის მატარებელს, ვარკვეული სახის რეალობა მოეპოვებოდა.

სამყაროს ამ სურათისათვის ასევე არცთუ ისე მნიშვნელოვანი იყო, რომ გასული საუკუნის ბოლოს რადიოაქტიურობის აღმოჩენის შემდეგ, ჰაიმის ატომები აღარ შეიძლებოდა განეხილათ, როგორც მატერიალისტური საბოლოო განუყოფელი ძირითადი ერთეულები, რომ ისინი, პირიქით, თავის მხრივ კვლავ სამი სახეობის ძირითადი ერთეულებისაგან შედგებიან, რომელთაც დღეს ჩვენ პროტონებს, ნეიტრონებს და ელექტრონებს ვუწოდებთ. ამის შემეცნებამ თავისი პრაქტიკული დასკვნებით საქმე მიიყვანა ელემენტებისა და ატომური ტექნიკის გარდაქმნამდე და ამიტომ უზარმაზარი მნიშვნელობა შეიძინა. მაგრამ პრინციპში არაფერი იცვლება, თუკი ჩვენ პროტონებს, ნეიტრონებსა და ელექტრონებს მატერიალისტური უმცირესი ძირითადი ერთეულებად განვიხილავთ და ინტერპრეტაციას ვაუწყებთ მათ როგორც ნამდვილ არსებულს. სამყაროს მატერიალისტური სურათისათვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ შესაძლებლობას, რომ ელემენტარულ ნაწილაკთა ეს უმცირესი ძირითადი ერთეულები განხილულ იყოს როგორც საბოლოო ობიექტური რეალობა. ამგვარად, ამ საფუძველზე იყო აღმართული მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის მყარი მსოფლგაგება, რომელმაც თავისი სიმარტივის წყალობით ათწლეულების განმავლობაში შეინარჩუნა თავისი სრული დამარწმუნებელი ძალა.

\* W. Heisenberg, Das Naturbild... s. 10-12, 21.

მაგრამ შემდეგ ჩვენს საუკუნეში სწორედ ამ მიმართებით განხორციელდა დრმა გარდაქმნები ატომური ფიზიკის საფუძვლებში, რომლებსაც შორს მივ-  
 დევართ ანტიკური ატომური ფილოსოფიის სინამდვილის აღქმიდან. აღმოჩნდა,  
 რომ ელემენტარული ნაწილაკების მოსალოდნელი ობიექტური რეალობა წარ-  
 მოადგენს ძალზე უხეშ გაუბრალოებას ნამდვილი საქმის ვითარებისას, რომელ-  
 ნაც ადგილი უნდა დაუთმოს ბევრად უფრო აბსტრაქტულ წარმოდგენებს. თუ  
 ჩვენ გარკვეული სურათის შექმნა გვინდა ელემენტარული ნაწილაკის სახეობაზე,  
 მაშინ ჩვენ პრინციპულად აღარ ძალგვიძს იმ ფიზიკური პროცესების უგულუ-  
 ბელყოფა, რომელთა მეშვეობითაც მათ შესახებ ვგებულობთ. თუ ჩვენ ყოველ-  
 დღიური გამოცდილების საგნებს ვაკვირდებით, ფიზიკური პროცესები, რომელთა  
 მეშვეობითაც ეს დაკვირვებანი ხორციელდება, დაქვემდებარებულ როლს თამა-  
 შობენ. მაგრამ მატერიის შემადგენელ უმცირეს ერთეულებთან კი ყოველი დაკ-  
 ვირვების პროცესი იწვევს უხეშ დარღვევებს; ამის შემდეგ სრულიად შეუძლე-  
 ლელი ზდება ნაწილაკის ქცევაზე საუბარი დაკვირვების პროცესისაგან განცალ-  
 კევებით. ამას შედეგად ის ახლავს, რომ ბუნების კანონები, რომელთაც ჩვენ  
 კვანტურ ფიზიკაში მათემატიკურ ფორმულირებას ვაძლევთ, განიხილავენ არა  
 ელემენტარულ ნაწილაკებს თავისთავად, არამედ ჩვენს ცოდნას ელემ-  
 ენტარული ნაწილაკების შესახებ. საკითხი, არსებობენ თუ არა  
 ეს ნაწილაკები თავისთავად დროსა და სივრცეში, ამრიგად, ამ ფორმით უკვე  
 აღარ შეიძლება დაისვას, რადგან ჩვენ მუდამ იმ პროცესების შესახებ შეგვიძლია  
 საუბარი, რომლებიც წარმართებიან, თუკი ელემენტარული ნაწილაკის რომე-  
 ლიმე სხვა ფიზიკურ სისტემებთან, მაგ., სახომ ხელსაწყობთან ურთიერთქმედე-  
 ლით ნაწილაკის ქცევა უნდა გაირკვეს. წარმოდგენა ელემენტარული ნაწილაკის  
 ობიექტური რეალობის შესახებ, ამრიგად, უცნაური გზით გაუჩინარდა არა რო-  
 ნილიმე ახალ, ბუნდოვან ან გაუგებარ სინამდვილის ბურუსში, არამედ გამჭვირ-  
 ვალე სინათლეში მათემატიკისა, რომელიც წარმოადგენს უკვე არა ელემენტა-  
 რული ნაწილაკის ქცევას, არამედ ჩვენს ცოდნას ამ ქცევის შესახებ. ატომის  
 მკვლევარი ფიზიკოსი იმით უნდა დაკმაყოფილდეს, რომ მისი მეცნიერება ადა-  
 შიანის მიერ ბუნების ახსნა-განმარტების უსასრულო ჯაჭვის მხოლოდ ერთი  
 რგოლია, მაგრამ მას არ შეუძლია უბრალოდ ბუნების შესა-  
 ხებ „თავისთავად“ ლაპარაკი... გამოყოფის, ახსნის და მოწესრიგების  
 მეცნიერულ მეთოდს ზღვარი ედება იმით, რომ მეთოდის ეს ჩარევა თვით მის  
 საგანს სველის და გარდაქმნის, რომ მეთოდს თავის საგნიდან, მაშასადამე, აღარ  
 ძალუძს დისტანცირება. ამით ბუნების მეცნიერული სამყაროს  
 სურათი წყვეტს თავის არსებობას როგორც ნამ-  
 დვილად ბუნების მეცნიერული. „ამგვარად, მეცნიერული რაცი-  
 ონალიზირება ისე წინ წავიდა, რომ სწორედ ამით შეცნობადი გახდა რაციონა-  
 ლიზირების იმანენტური ზღვრები. ასე რომ, ტოტალური რაციონალიზმი უტო-  
 ჰიად იქცა (მაგრამ იგი მაინც ისე საშიში არაა, როგორც უტოპიური ირაციო-  
 ნალიზმი)“\*.

ზემოსხენებული სამი ელემენტარული ნაწილაკის: პროტონის, ნეიტრონი-  
 სა და ელექტრონის გარდა ჩვენი საუკუნის ოცდაათიან წლებში სხვებიც აღ-  
 ნოაჩინეს, რომელთა რიცხვი დროთა განმავლობაში წარმოუდგენლად იზრდე-

\* Wolfgang Büchel, *Materie*, in: *Handbuch Philosophischer Grundbegriffe*. Bd. II  
 1973, s. 885.

სა. ამასთანავე საქმე ეხება ყოველთვის ისეთ ელემენტარულ ნაწილაკებს, როგორც მატერიის სამი ძირითადი ერთეულის საპირისპიროდ არასტაბილურნი, ე. ი. მხოლოდ ძალზე მცირე დროით არსებობის — უნარიანნი არიან. ამ ნაწილაკებს ჩვენ მეზონებს ვუწოდებთ, რომელთა ერთი სახეობის სიცოცხლის ხანგრძლივობა წამის ერთ მემილიონედ ნაწილს შეადგენს, სხვა სახეობა ცხოვრობს ამ დროის მხოლოდ მეასედ ნაწილს, ხოლო მესამე, ელექტრულად დაურეხტავი სახეობა თითქმის მხოლოდ წამის მეასედ-მემილიონედ ნაწილს. მაგრამ ამ არასტაბილურობის გამო ახალი ელემენტარული ნაწილაკები სავსებით სხვევ იქცევიან, როგორც სამი სტაბილური ძირითადი ერთეული მატერიისა. პირველ მომენტში საქმე ისე გამოიყურება, თითქოს კვლავ იძულებულნი ვართ, რომ მივიღოთ თვისებრივად განსხვავებული ელემენტარული ნაწილაკების დიდი რაოდენობის არსებობა და ეს იქნებოდა ატომური ფიზიკის ძირითადი ვარაუდების გათვალისწინებით ძალზე არაღამაკმაყოფილებელი. მაგრამ ბოლო წლების ექსპერიმენტებში გამოირკვა, რომ ელემენტარულ ნაწილაკებს ურთიერთ-დაჯანებისას ენერჯიის დიდი მიმოცვლით ერთმანეთად გარდაქმნა ძალუძთ. თუკი ერთი ელემენტარული ნაწილაკი მოძრაობის დიდი ენერჯიით ერთმანეთს ეჯახება, მაშინ დარტყმის დროს ახალი ელემენტარული ნაწილაკები აღმოცენდებიან და, ანგვარად, თავდაპირველი ნაწილაკები და მათი ენერჯია გარდაიქმნებიან ახალ მატერიალად. საქმის ეს გარემოება შეიძლება ყველაზე უბრალოდ მაშინ აღიწეროს, თუკი ვიტყვი, რომ ყველა ნაწილაკი პრინციპში ერთი და იმავე ნივთიერებისაგან შეესდგება, რომ ისინი მხოლოდ სხვადასხვა სტაციონარული მდგომარეობაა ერთი და იმავე მატერიისა. ამიტომ რიცხვი მატერიის შემადგენელი სამი ძირითადი ერთეულისა კვლავ დაიყვანება 1 რიცხვზე. არსებობს მხოლოდ ერთი ფარდობითი მატერია, მაგრამ მას შეუძლია სხვადასხვა დისკრეტულ სტაციონარულ მდგომარეობაში არსებობა. ზოგიერთი ამ მდგომარეობათაგან არის სტაბილური, როგორცაა პროტონი, ნეიტრონი და ელექტრონი, ხოლო ბევრი სხვა — არასტაბილური\*\*.

„აქამდე ჩვენ დემოკრიტეს ძველ წარმოდგენას ვყურდნობოდით, — გვაუწყებს სხვა ადგილას ვ. ჰაიზენბერგი — რაც ერთი წინადადებით გამოითქმის: „დასაწყისში იყო ნაწილაკი“. მიღებული იყო, რომ ხილული მატერია პატარა ერთეულებისაგან შედგებოდა და თუ დაყოფას განვაგრძობდით, ყველაზე უმცირეს კრთეულთან მივიდოდით, რასაც დემოკრიტემ „ატომები“ უწოდა, ახლა კი ელემენტარულ ნაწილაკებს“ ვუწოდებთ, მაგალითად, „პროტონებს“, ან „ელექტრონებს“. მაგრამ იქნებ, მთელი ეს ფილოსოფია მცდარია. იქნებ, სრულებითაც არ არსებობს ისეთი პატარა საშენი კენჭი, რის დაყოფა აღარ შეიძლებოდა. იქნებ, მატერიის დაყოფა კიდევ და კიდევ არის შესაძლებელი. იქნებ, ბოლოს აღარც გვექნეს დაყოფა, არამედ — ენერჯიის მატერიალად გარდაქმნა. მაშინ ნაწილაკები აღარ იქნება გასაყოფზე უფრო მცირე, მაგრამ რაღა იყო მაშინ დასაწყის-მა? ბუნების კანონი? მათემატიკა? სიმეტრია?... „დასაწყისში იყო სიმეტრია“ სამდივალად უფრო სწორია, ვიდრე დემოკრიტეს თეზისი: „დასაწყისში იყო ნაწილაკი“, ელემენტარული ნაწილაკები სიმეტრიებს განასახიერებენ, ისინი მათ შემარტივებს გამოხატულებას წარმოადგენენ. მაგრამ, ამასთანავე — მხოლოდ ამ სიმეტრიების შედეგსაც\*\*\*.

\* W. Heisenberg. Das Naturbild... s. 32

\*\* ვრნერ ჰაიზენბერგი, ნაწილი და მთელი, თბ., 1983, გვ. 173, 302.

ამგვარად, თანამედროვე ფიზიკა თითქმის სიტყვა-სიტყვით უბრუნდება სიმ-  
თა რხევების პითაგორასეულ ჰარმონიის მოძღვრებას: ელემენტარულ ნაწილაკთა  
ფიზიკის ყველა ძირითადი განტოლება მათი სტრუქტურის მიხედვით წარმოად-  
გენს რხევათა განტოლებას. ისევე, როგორც სიმს მხოლოდ დისკრეტულ, ამორ-  
ჩეულ „მდგომარეობებში“ — ძირითადი ტონი, ოქტავა, კვინტა, კვარტა და ა. შ. —  
წიუძლია რხევა, ასევე, ატომისა და მოლეკულის შეჭიდულობას ქმნის ამ ელე-  
მენტარულ ნაწილაკთა სისტემის მხოლოდ შესაძლო რხევათა მდგომარეობანი.  
ელემენტარულ ნაწილაკთა სხვადასხვა სახეობა წარმოადგენს ამ ნაწილაკთა  
მხოლოდ შესაძლო რხევათა მდგომარეობებს. ელემენტარული ნაწილაკები, დე-  
ზოკრიტეს ატომების საპირისპიროდ, პარდაპირ ჩამოყალიბებული არიან თავი-  
ანთი ცვლადობით, მაგრამ ამ გამუდმებული ქმნადობის მიღმა იმყოფება (ან მის  
საფუძველს წარმოადგენს) არა სტრუქტურის არმქონე თავდაპირველი ნივთიერე-  
ბა და არსის ფორმა, არამედ რხევის ხდომილების შესაძლებელი სტრუქტურის  
ძირითადი განტოლება და მისგან დაშვებული რხევათა ცვლადი მდგომარეობები\*.  
ასლა ისმის კითხვა, საიდან მოვიდა ან საიდან გაჩნდა ეს მატერია? შეძლო თა-  
ვებში ჩვენ გავიგებთ, რომ დრო და სივრცე ამ მატერიის ფუნქციას წარმოად-  
გენენ, რომ მატერიის გარეშე არ არსებობს სივრცე და დრო და თვით მატერია  
გაჩნდა „თავდაპირველი აფეთქებისაგან“ ახლა კი ამ ქვეთავს ისევე ჰაიზენბერ-  
გის მსჯელობით დავასრულებთ, რომელიც არ საჭიროებს არავითარ კომენტარს.

„ნუთუ სრულიად აზრსმოკლებულია, — კითხულობს ე. ჰაიზენბერგი, —  
სამყაროს მოძვესრიგებელი სტრუქტურების უკან „ცნობიერება“. ვიგულისხმობთ,  
რის „განზრახვასაც“ ეს სტრუქტურები წარმოადგენენ? რასაკვირველია, ასე  
დასმული კითხვაც პრობლემის გაადამიანურებაა, რადგან სიტყვა „ცნობიერება“  
ხომ ადამიანური გამოცდილებიდან მომდინარეობს. მაშასადამე, ამ ცნების გამო-  
ყენება ადამიანური სფეროს ფარგლებს გარეთ არ შეიძლება, მაგრამ მეორე მხრივ  
ამ ცდას თუ ასე შევზღუდავთ, ვერ ვილაპარაკებთ თუნდაც რომელიმე ცხოველის  
ცნობიერებაზე. მაშინ როდესაც ვიცით, რომ ეს სრულებითაც არ არის აზრს  
მოკლებული, როგორც კი ცნება „ცნობიერებას“ ადამიანის სფეროს ფარგლებს  
გარეთ გავიტანთ, მაშინვე ვიგრძნობთ, თუ როგორ ფართოვდება იგი და ამასთან  
ერთად — ბუნდოვანდება... ავიღოთ თუნდაც დღევანდელი ფიზიკიდან მაგალითი:  
ჩვენ ვსწავლობთ, რომ შენახვის კანონებს, სახელდობრ, ენერჯის შენახ-  
ვის კანონს, უნივერსალური ხასიათი აქვს, რომ იგი ფიზიკის ყველა სფეროზე  
ზრცელდება და სიმეტრიულ თავისებურებათა სახით ვლინდება მის ძირითად  
კანონებში. რადგან ასეა, ამიტომ თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ეს სიმეტრი-  
ები გადამწყვეტი ელემენტებია იმ გეგმაში, რომლის მიხედვითაც ბუნება შეიქ-  
მნა... ელემენტარული ნაწილაკები შეიძლება პლატონის „ტიმაიოსის“ წესიერ  
რხეულებს შევუდაროთ. ისინი პირველსახეებია, მატერიის იდეებია. ნუკლეონის  
წყავე სულიერი არსების იდეაა. ეს პირველსახეები მთელ შეძლომ პროცესს  
ვანსახლვრავენ. ისინი ცენტრალური წესრიგის წარმომადგენლები არიან... ბუ-  
ნებისმეცნიერებაში ცენტრალური წესრიგი ისეთ მეტაფორებში ცნაურდება,  
როგორცაა: „ბუნება ამ გეგმის მიხედვითაა შექმნილი“, ამ ადგილზე ჩემი ჭეშ-  
პარიტების ნება დაკავშირებულია რელიგიებში ნაგულისხმევი ვითარებასთან\*\*.  
ე. ჰაიზენბერგი გადმოგვიცემს მის დიალოგს ფიზიკოს ვოლფანგ პაულისთან, ამ

\* W. Büchel, *Materie...* s. 885-886

\*\* ე. ჰაიზენბერგი, ნაწილი და მთელი, თბ., 1983, გვ. 269-270, 272, 303



უკანასკნელის კითხვაზე: „გწამს თუ არა პიროვნული ღმერთი?“ იგი პასუხობს: „ნებას მომცემ, ეგ კითხვა სხვაგვარად დავსვა? – კითხე მე – იგი მაშინ ასეთ ფორმას მიიღებდა: შეგიძლია თუ არა შენ, ან შეიძლება თუ არა, საერთოდ, საგანთა ან მოვლენათა ცენტრალურ წესრიგს, რისი არსებობაც ეჭვს არ იწვევს, სხე უშუალოდ დაუკავშირდე, როგორც ეს სხვა ადამიანის სულთანაა შესაძლებელი? მე განზრახ გამოვიყენე ძნელად განსამარტავი სიტყვა „სული“, რათა ნცდარად არ გამოგო. თუ ასე მკითხავდი, მე გიპასუხებდი, დიახ.

– მაშასადამე, შენ მიგანია, რომ ცენტრალური წესრიგი ისეთივე ინტენსიურობით შეიძლება არსებობდეს ჩვენს გვერდით, როგორც სხვა ადამიანის სული?

– ალბათ.

– რატომ იხმარე სიტყვა „სული“ და არა უბრალოდ სხვა ადამიანი?

– რადგან სწორედ სიტყვა „სული“ გამოხატავს აქ იმ არსების ცენტრალურ წესრიგს, შუაგულს, რომლის გარეგნული გამოვლენის ფორმები შეიძლება უსასურრო და მეტად მრავალფეროვანი იყოს“\*.

#### ბ. მიკროფიზიკა და ინფორმაციონიკა

რადგან დეტერმინიზმის რღვევა კვანტური თეორიის აღმოცენებას უკავშირდება, ხოლო ეს უკანასკნელი სტატისტიკური კანონზომიერების ხასიათს ატარებს, ამიტომ რამდენიმე მაგალითით გაეცნობიეროთ ამ ხახის კანონზომიერება. ამისთვის მიემართოთ ცნობილ მაგალითს, რომელიც პ. ჯორდანს მოჰყავს წყნის მიერ შემოსილ დასახელებულ წიგნში. წარმოვიდგინოთ სიცოცხლის დამზღვევი ორგანიზაცია და ამ სადაზღვევო ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რომელსაც თავისი ტაბულებით სიკვდილიანობის მონაცემებზე შეუძლია განსაზღვროს, თუ შენდგომ წელს მის ორგანიზაციაში დაზღვეულთაგან რამდენი გარდაიცვლება (ცხადია, ნორმალურ პირობებში, კატასტროფების გამორიცხვით). ასეთი წინასწარგანჭვრეტა ძალზე საიმედოა, რადგან სწორედ მასზეა დაფუძნებული ამ ორგანიზაციის წარმატება („მომგებობა“) და აგრეთვე თვით სიცოცხლის დამზღვევითა ინტერესები. მაგრამ ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ერთ-ერთი ამ დაზღვეულთაგანი შემოფოთებული მიმართავს ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელს, რათა მან უწინასწარმეტყველოს. გარდაიცვლება იგი მომავალ წელს თუ არა. ცხადია, ამაზე ხელმძღვანელი მიუგებს, რომ ეს მის ტაბულებში არ წერია, რადგან აქ საერთოდ გვარები არაა მითითებული. არამედ სიკვდილიანობის წინასწარმეტყველება ხდება პროცენტების სტატისტიკური გამოანგარიშებით. ამგვარად, სტატისტიკური მონაცემები ვერ ითვალისწინებენ ცალკეულ შემთხვევას, ინდივიდს და ამ მონაცემთა საიმედოობა მით უფრო იზრდება, რამდენადაც იზრდება კონკრეტულის, ამ შემთხვევაში, დაზღვეულთა რიცხვი. ყოველდღიურ ცხოვრებაში სტატისტიკური კანონზომიერების გათვალისწინების მეორე მაგალითია ის ტექნიკოსი, რომელიც, აგებს რა კიდროელექტროსადგურს, ამავე დროს ითვალისწინებს წლის საშუალო ატმოსფერული ნალექების რაოდენობას, თუმცა მას წარმოადგენაც არა აქვს, თუ როდის იწვიებს და რამდენს. მაშასადამე, სტატის-

ტიკური კანონზომიერება, როგორც წესი, იმისი აღმნიშვნელია, რომ შესაბამის ფიზიკურ სისტემას მხოლოდ არასრულყოფილად იცნობენ\*.

სწორედ ასეთ სტატისტიკურ კანონზომიერებას ეხვებით კვანტურ თეორიაში. მაგრამ მოვესმინოთ ისევ ვ. ჰაიზენბერგს: „თავდაპირველად პლანკმა გამოსხივების თეორიაზე მუშაობისას გამოსხივების მოვლენებში მხოლოდ ერთი ელემენტი აღმოაჩინა დისკრეტულობისა. მან გვჩვენა, რომ გამოსხივებელი ატომი თავის ენერგიას არა უწყვეტად, არამედ დისკრეტულად, პორციების სახით ასხივებს. ამ დისკრეტულ და პორციების სახით ენერგიის გაცემას კვლავ ნივთიერებას, როგორც ატომური თეორიის მთელ წარმოდგენებს, იმ კარაულისაკენ, რომ გამოსხივება სტატისტიკურ ფენომენს წარმოადგენს. მაგრამ მხოლოდ ორნახევარი ათწლეულის განმავლობაში დადგინდა, რომ კვანტური თეორია ფაქტობრივად გვადამუღებს კანონები სწორედ სტატისტიკურ კანონებად ჩამოვყავალიბოთ და დეტერმინიზმს პრინციპულად ზურგი შევაქციოთ. პლანკის თეორია აინშტაინის, ბორის და ზომერფელდის ნაშრომთა შემდგომ იქცა იმ გასაღებად, რომლითაც იხსნება შესასვლელი ატომური ფიზიკის მთელ სამყაროში. რეზერვორდ-ბორის ატომური მოდელის დახმარებით შესაძლებელი გახდა ქიმიური პროცესების ახსნა. და ამ დროიდან მოყოლებული ქიმიის, ფიზიკისა და ასტროფიზიკის ერთ ერთიანობად შედგება. მაგრამ კვანტური თეორიის კანონთა მათემატიკური ფორმულირებისას იმუღებული გახდნენ, რომ წმინდა დეტერმინიზმისათვის ზურგი ექციათ. რადგან ამ მათემატიკურ საფუძვლებზე აქ არ შემოიღია საუბარი, ამიტომ მსურს მხოლოდ რამდენიმე განსხვავებული ფორმულირება მოვიყვანო, რომელშიც ის უცნაური სიტუაცია გამოიხატა, რომლის წინაშეც აღმოჩნდა ფიზიკოსი ატომურ ფიზიკაში. ძველი ფიზიკიდან გადახრა ჯერ ევრეთწოდებულ განუსაზღვრელობის თანაფარდობებით შეიძლება გამოიხატოს. დადგინდა, რომ შეუძლებელია ატომური ნაწილაკის ადგილისა და სიჩქარის ერთდროული, ნებისმიერი სიზუსტით განსაზღვრა. შესაძლოა ძალზე ზუსტად გავზომოთ ადგილი, და მაშინ დაკვირვების ინსტრუმენტთა ჩარევის შედეგად გარკვეულ ზღვრამდე წარიშლება სიჩქარის შესახებ ცოდნა; პირიქით – სიჩქარის უფრო ზუსტი გაზომვით წარიშლება ცოდნა ადგილისა, ისე რომ, ორივე ცდომილების პროდუქტისათვის პლანკისეული რუდემივითი ქვედა ზღვარი მოიცემა. ეს ფორმულირება ყოველ შემთხვევაში ცხადყოფს, რომ ნიუტონისეული მექანიკის ცნებებით ძალზე შორს წასვლა შეუძლებელია: რადგან მექანიკური მსვლელობის გამოსათვლელად საჭიროა ზუსტი ცოდნა სწორედ ადგილისა და სიჩქარის დროის ერთ განსაზღვრულ წერტილში ერთდროულად; მაგრამ კვანტური თეორიის მიხედვით სწორედ ეს შეუძლებელია. სხვა ფორმულირება მოგვცა ნილს ბორმა, რომელმაც დამატებითობის ცნება შემოიტანა. იგი ამით იმას გულისხმობს, რომ განსხვავებული თვალსაზრისით სურათები, რითაც ჩვენ ატომურ სისტემებს აღვწერთ, თუმცა განსაზღვრული ექსპერიმენტებისათვის სავსებით შესაბამისნი არიან, მაგრამ ისინი ერთმანეთს მაინც გამოირიცხავენ. ასე, მაგ., ბორის ატომი შეიძლება აღვწერთ როგორც დაპატარავებული პლანეტარული სისტემა: შუაში ატომგული და მის გარეთ ელექტრონები, რომელნიც მის გარშემო წრეს უკვლიან. მაგრამ სხვა ექსპერიმენტებისათვის შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს ისეთი წარმოდგენა, რომლის მიხედვითაც ატომგული მუდმივ ტალღათა სისტემითაა გარშემორტყმული,

\* W Heisenberg, Das Naturbild... s 26

ამასთან ტალღათა სიხშირე განსაზღვრავს ატომისაგან გამოცემულ გამოსხივებას. დაბოლოს, შეიძლება ატომი აგრეთვე განვიხილოთ როგორც ქიმიის საგანი, შენადლოა მისი რეაქციის სითბოთა გამოთვლა სხვა ატომებთან შეერთებისას, მაგრამ მაშინ შეუძლებელი იქნება ერთდროულად რაიმეს თქმა ელექტრონთა მოძრაობაზე. ამგვარად, ეს სხვადასხვა სურათი სწორია, თუკი მათ სწორ ადგილას გამოვიყენებთ, მაგრამ ისინი ეწინააღმდეგებიან ერთუროს და ამიტომ აღნიშნავენ მათ ერთმანეთის მიმართ დამატებითად. განუსაზღვრელობა, რომელიც ცალკეულ ამ სურათს თან სდევს და რომელიც განუზღვრელობის თანაფარდობით განიხილება, სწორედ საკმარისია, რომ თავიდან იქნეს აცილებული ლოგიკური წინააღმდეგობანი ამ სხვადასხვაგვარ სურათებს შორის. კვანტური თეორიის მათემატიკაზე რომ არ შეგჩერდეთ, ამ მინიშნებებიდან ისედაც გასაგებია, რომ სისტემის არასრულყოფილი ცოდნა კვანტური თეორიის ყოველი ფორმულირების არსებით შემადგენელ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს. კვანტური თეორიის კანონები სტატისტიკური სახეობისა უნდა იყოს. მოვიყვანოთ ერთი მაგალითი: ჩვენ ვიცით, რომ რადიუმის ატომს ძალუძს  $\alpha$  სხივების გამოსხივება. კვანტურ თეორიას შეუძლია იმის უწყება, თუ  $\alpha$  ნაწილაკი ბირთვს დროის ერთეულში რა ალბათობით ტოვებს; მაგრამ დროის ზუსტი წერტილის წინასწარმეტყველება მას არ ძალუძს, იგი პრინციპულად განუსაზღვრელია. არ შეიძლება აგრეთვე იმის დაშვება, რომ მოგვიანებით კადეკ ახალი კანონზომიერებები იქნება აღმოჩენილი, რომელნიც ჩვენ ნებას დავუცემენ, რათა განვსაზღვროთ დროის ეს ზუსტი წერტილი; რადგან ამას თუ აკვილი ექნებოდა, მაშინ გაუგებარი გახდებოდა, თუ როგორ შეიძლება  $\alpha$  — ნაწილაკის კადეკ აღქმა როგორც ტალღისა, რომელიც ატომულს ტოვებს; როგორც ასეთი, ეს შეიძლება აგრეთვე ექსპერიმენტულადაც დამტკიცდეს: სხვადასხვაგვარი ექსპერიმენტები, რომელნიც ატომური მატერიის როგორც ტალღურ ბუნებას, ასევე ნაწილაკურ ბუნებას ამტკიცებენ, თავიანთი პარადოქსალურობით გადაიშლენ ჩამოვყალიბოთ სტატისტიკური კანონზომიერებანი. მაკროსამყაროს პროცესებში ატომური ფიზიკის ეს სტატისტიკური ელემენტი საერთოდ არავითარ როლს არ თამაშობს, რადგან სტატისტიკური კანონებიდან მაკროსამყაროს პროცესისათვის ისეთი დიდი ალბათობა მიიღება, რომ შეიძლება თქმა: პრაქტიკულად პროცესი დეტერმინირებულია. რა თქმა უნდა, მრავლად მოიპოვება შემთხვევები, როდესაც ხდომილება მაკროსამყაროში დამოკიდებულია ერთი ან რამდენიმე ატომის ქცევაზე; მაშინ მაკროსამყაროს პროცესი ასევე მხოლოდ სტატისტიკურად შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ. ამის განმარტებას ვისურვებდი ერთი ცნობილი, მაგრამ არასასიამოვნო მაგალითის მოყვანით, კერძოდ ატომური ბომბის მაგალითზე. ჩვეულებრივი ბომბის შემთხვევაში შესაძლებელია ასაფეთქებელი ნივთიერების წონისა და მისი ქიმიური შემადგენლობიდან აფეთქების ძალის გამოთვლა. ატომური ბომბის შემთხვევაში თუმცა კი შესაძლოა აფეთქების ძალის ზედა და ქვედა ზღვრის მოცემა, მაგრამ ზუსტი წინასწარ გამოთვლა ამ ძალისა პრინციპულად შეუძლებელია, რადგან იგი დამოკიდებულია რამდენიმე ატომის ქცევაზე ანთების პროცესის დროს. ალბათ მსგავსადვე არის ეს აგრეთვე ბიოლოგიაში — რაზედაც განსაკუთრებით ჯორდანმა მიუთითა — ხდომილებანი, რომელთა განვითარება მაკროსამყაროში ცალკეულ ატომთა პროცესებით შეიძლება უმართოთ; განსაკუთრებით, როგორც ჩანს, ამას ადვილი აქვს გენთა მუტაციებისას მემკვიდრეობით პროცესში. ამ ორ მაგალითს

კვანტური თეორიის სტატისტიკური ხასიათის პრაქტიკული შედეგები უნდა განე-  
მარტა; აგრეთვე ეს განვითარებაც ორ ათწლეულზე მეტი ხანია რაც დამთავრდა  
და შეუძლებელია იმის დაშვება, რომ მომავალში ამ მხრივ პრინციპულად რაი-  
მე შეიცვლება“.

ზემომოყვანილ სიტყვებს ვ. ჰაიზენბერგი 1955 წელს წერდა. დღეს შეიძლე-  
ბა დაბეჯითებით ითქვას, რომ დრომ გარდამწყვეტად დაამტკიცა მისი დასკვნების  
შეუვალობა. ასეთივე დადასტურება პოვა დროში მისმა კრიტიკამ დეტერმინიზმი-  
სა, რომელსაც იგი შემდეგ ქვეთავში გადმოგვცემს (რ ე ლ ა ტ ი ვ ო ბ ი ს თ ე ო -  
რ ი ა და დ ე ტ ე რ მ ი ნ ი ზ მ ი ს რ ღ ვ ე კ ა)\*.

აქ ვ. ჰაიზენბერგი ეხება იმ გარემოებას, რომ ატომურ ფიზიკოსთა ექსპე-  
რიმენტული მუშაობის დროს, როდესაც ისინი აღმოაჩინენ ახალ ნაწილაკებსა  
და მათ თვისებებს განსაზღვრავენ, ასევე მათი თეორიული კვლევისას, როდესაც  
ცდილობენ ელემენტარულ ნაწილაკთა თვისებანი კანონზომიერების შესაბამისად  
შეაკავშირონ და მათმატიკური ფორმულებით გამოხატონ, „სიმძნელებმა იჩინა  
თავი დროის ცნებასთან კავშირში. თუკი ვიკვლევთ უმაღლეს ენერჯიათა მქონე  
ელემენტარული ნაწილაკების ურთიერთშეჯახებებს, მაშინ რელატივიზმის სპე-  
ციალური თეორიის სივრცე-დროის სტრუქტურა უნდა გავითვალისწინოთ.  
ატომის გარსის კვანტურ თეორიაში ეს სივრცე-დროის სტრუქტურა არავითარ  
ინიშვნელოვან როლს არ თამაშობდა, რადგან ატომის გარსის ელექტრონები  
შედარებით ნელა მოძრაობენ. ახლა კი საქმე აქვთ ისეთ ელემენტარულ ნაწილა-  
კებთან, რომელნიც თითქმის სინათლის სისწრაფით მოძრაობენ და მათი ქცევა,  
ამგვარად, მხოლოდ რელატივიზმის თეორიის დახმარებით შეიძლება აღიწეროს.  
ა ინ შ ტ ა ი ნ მ ა 50 წლის წინ აღმოაჩინა, რომ სივრცისა და დროის სტრუქ-  
ტურა საეხებით ისე უზრალა არაა, როგორც ეს ჩვენ, პირველ ყოვლისა, ყოველ-  
დღიურ ცხოვრებაში წარმოგვიდგენია. თუკი ჩვენ წარსულად ყველა იმ შემთხ-  
ვევას აღვნიშნავთ, რომელთა შესახებ ჩვენ, პრინციპში მაინც რაიმეს შეტყობა  
შეგვიძლია და მომავლად – ყველა იმ შემთხვევას, რომელზედაც პრინციპში  
მაინც, ჯერ კიდევ ძალგვიმს ზემოქმედება, მაშინ ჩვენს გულუბრყვილო წარმო-  
დგენას შეესაბამება ის რწმენა, რომ შემთხვევათა ორივე ამ ჯგუფს შორის ძვეს  
მხოლოდ უსასრულოდ მცირე მომენტი, რომელსაც ჩვენ დროის აწმყო წერტილი  
შეიძლება ვუწოდოთ. ასეთი იყო აგრეთვე ის წარმოდგენა, რომელიც ნიუტონმა  
თავის მექანიკას დაუდო საფუძვლად. მაგრამ 1905 წელს აინშტაინის აღმოჩენის  
შემდეგ უკვე ვიცით, რომ მათ შორის, რაც ახლახან მომავლად და წარსულად  
ნიუიზხენიე, ძვეს სასრული დროის მანძილი, რომლის დროული განვრცობილო-  
ბა დამოკიდებულია შემთხვევასა და დამკვირვებელს შორის არსებულ სივრცულ  
ბანძილზე. აწმყოს სფერო, ამგვარად, არ არის შეზღუდული დროის უსასრულო  
მოკლე მომენტით. რელატივიზმის თეორია ვარაუდობს, რომ ქმედებებს პრინცი-  
პულად არ ძალუძთ სინათლის სისწრაფეზე უფრო სწრაფი გავრცელება. რე-  
ლატივიზმის თეორიის ამ თვისებას კვანტური თეორიის განუსაზღვრელობის თა-  
ნაფარდობებთან კავშირში სიმძნელებისაკენ მივყავართ. (რელატივიზმის თეორი-  
ის მიხედვით, ქმედებებს სივრცე-დროის მხოლოდ იმ სფეროზე შეუძლიათ გავ-  
რცელება, რომელიც მკვეთრად არის შემოსაზღვრული ეგრეთწოდებული სინათ-  
ლის კონუსით, ე. ი. სივრცე-დროის წერტილებით, რომელთაც აღწევს ერთ-  
ერთი ქმედითი წერტილიდან გამოსული სინათლის ტალღა. ამგვარად, ეს სიე-

\* W. Heisenberg. Das Naturbild... s. 33-34.



რეცე-დროის სფერო, ამას განსაკუთრებით უნდა გაეცვას ხაზი, მკვეთრად არის შემოსაზღვრული. მეორე მხრივ, კვანტურ თეორიაში დადგინდა, რომ ადგილის მკვეთრ განსაზღვრას, მაშასადამე, აგრეთვე მკვეთრ სივრცობრივ შემოსაზღვრას, შედეგად ახლავს უსასრულო განუსაზღვრელობა სისწრაფისა და ამით აგრეთვე იმპულსისა და ენერჯისა. საქმის ეს კითხარება პრაქტიკულად ისეთნაირად ვლინდება, რომ ელემენტარულ ნაწილაკთა ურთიერთქმედების მათემატიკური ფორმულირების მცდელობისას ყოველთვის უსასრულო სიდიდეები მიიღება ენერჯისა და იმპულსისათვის, რომელნიც ხელს უშლიან დამაკმაყოფილებელ მათემატიკურ ფორმულირებას. ამ სიძნელეების დასაძლევად ბოლო წლებში ბევრი აკლევა ჩატარდა. მაგრამ სავსებით დამაკმაყოფილებელ ახსნას ჯერ ვერ მიღწიეს, ხსნა, როგორც ჩანს, ჯერჯერობით იმ ვარაუდის დაშვებაა, რომ ელემენტარულ ნაწილაკთა სიდიდეთა წყობის სავსებით მცირე სივრცე-დროის სფეროებში სივრცე და დრო უცნაური გზით არაან წაშლილი, სახელდობრ ისე, რომ ასე მცირე დროებში თვით ცნებანი ადრე და გვიან აღარ შეიძლება სწორად განესაზღვროთ. მაკროსამყაროს სივრცე-დროის სტრუქტურაში, ბუნებრივია, არაფრის შეცვლა არ შეიძლება, მაგრამ აუცილებელია შესაძლებლობის გათვალისწინება, რომ ექსპერიმენტები პროცესებზე სავსებით მცირე სივრცე-დროის სფეროებში გვიჩვენებენ, რომ გარკვეული პროცესები, როგორც ჩანს, დროში პირუკუ მიმდინარეობენ, ვიდრე ეს მათი კაუზალური რიგის თანამიმდევრობას შეესაბამება“.

ამის შემდეგ ვ. ჰაინზენბერგი დაასკვნის: „აქედან ცხადდება, რომ ატომური ფიზიკა დეტერმინიზმის წარმოდგენებს სულ უფრო და უფრო დაშორდა. პირველ ყოვლისა, ატომური მოძღვრების დაწყებიდანვე უკვე იმით, რომ მაკროსამყაროს პროცესების განმსაზღვრელი კანონები სტატისტიკურ კანონებად აღიქმეს. მაშინ, პრინციპულად, დეტერმინიზმი თუმცა ძალაში დატოვეს, მაგრამ პრაქტიკულად ფიზიკალური სისტემების ჩვენს არასრულყოფილ ცოდნას ანგარიში გაუწიეს. შემდეგ, ჩვენი საუკუნის პირველ ნახევარში, იმით, რომ ატომარული სისტემების არასრულყოფილი ცოდნა აღიარეს, როგორც თეორიის პრინციპული შეცდგენელი ნაწილი. დაბოლოს, სულ უკანასკნელ წლებში კიდევ იმით, რომ უმცირეს სივრცეებსა და დროებში რიგის დროული თანამიმდევრობის ცნება პრობლემატური ხდება...“

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ინდეტერმინიზმი მოიცავს მთელ ფიზიკალურ ხდომილებებს, და მხოლოდ იქ, სადაც დაკვირვება იფარგლება უფრო უხეში, დიდი კოლექტივების მაკროფიზიკალური პროცესებით, ასპარეზზე გამოღის დეტერმინიზმი, როგორც შედეგი ან ზღვრული შემთხვევა სტატისტიკური კანონზომიერებისა. რადგან ჩვენი ცხოვრება „მაკროფიზიკალურ“ სამყაროში მიმდინარეობს, შეიძლება მოგწვევებოდა, რომ მაკროსამყაროს ინდეტერმინიზმს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა არ გააჩნია. სინამდვილეში ეს ასე არაა. თავი რომ დავანებოთ ცოცხალ ორგანიზმებს, რომელნიც უნაშთოდ ვერ ეტევიან დეტერმინირებულ მაკროფიზიკალურ სამყაროში და რომლებზედაც ჩვენ შემდგომ ვილაპარაკებთ, აგრეთვე არაორგანულ სამყაროში არის რიგი ხდომილებებისა, რომელთაც ვერ ფარავს დეტერმინიზმი. მას მერე, რაც ჩვენ კვანტური ნახტომების ინდეტერმინიზმის შესახებ ვუწყით, ჩვენთვის ნათელია, რომ კრისტალის პირველ ჩანასახთა წარმოქმნა, იქნება ეს თოვლის, ყინულის თუ მინერალუბის კრისტალების წარმონაქმნები, ლაეისა თუ მეტალურ ნადნობთა გამაგრებები,

ნაპირზე ზღვის ტალღათა ქაფის წარმოქმნა და სხვა, ყველაფერი ეს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იქნეს დეტერმინირებული. აგრეთვე ბრძოლის ველზე გამსკდარი ყუმბარის თუ რომელი ნამსხვრევი იმსხვერპლებს ჯარისკაცს, ესეც მაკროსამყაროში მიმდინარე კვანტური ნახტომების წინასწარ გამოუთვლელი, მაგრამ საბედისწერო შემთხვევებითაა განსაზღვრული. ასეთ შემთხვევებს თვით ლაბლასის მიერ დაშვებული „ფართო გონებაც“ ვერ განჭვრეტდა. (ერთი ფიზიკოსის მოსწრებული თქმით, ჩვენი მაკრო, დეტერმინირებული სამყარო ემსგავსება ყინულის თხელ შრეს, რომელზედაც ჩვენ დავდივართ და რომლის ქვეშ ბობოქრობს უფსკრული ინდეტერმინიზმისა. ასე, რომ „ბუნების დეტერმინისტული გაგების მტკიცებამ, რომ ღმერთი უმუშევარი ა ბუნების მექანიზმის კანონზომიერი მსვლელობის წინაშე, ამაჟამად ყოველგვარი საფუძველი დაკარგა.) კარგად გავიგოთ: საქმე ეხება არა იმას, რომ ახლა ჩვენთვის ღვთის ქმედება ბუნების პროცესში ბუნებისმეცნიერულად თვალსაჩინო ან დამტკიცებადი გახდა. არაფერი არ გახდა ჩვენთვის თვალსაჩინო, გარდა კვანტური ნახტომების ალბათობათა მათემატიკური კანონზომიერებისა. ესაა კანონზომიერება უმაღლესი მათემატიკური მშვენიერებისა და ჰარმონიისა — მასში შეიძლება, როგორც კვებერმა, ღვთაებრივი შემოქმედებითი ნების გამოხატულება დავინახოთ, მაგრამ არა აუცილებლად — ყოველ შემთხვევაში არა ლოგიკური, აზროვნების კანონების აუცილებლობით. ასევე შეიძლება (ლოგიკური აუცილებლობის გარეშე) ზემძლავრ სისავსეში მარად ახალ ინდეტერმინისტულ გადაწყვეტილებისა ღვთაებრივი ქმედება, ღვთაებრივი განგება და მბრძანებლობა დავინახოთ — *creatio continua* (უწყვეტი შესაქმე)\*.

მამასადამე, ბუნების დეტერმინისტული გაგება უწინდელივით კარს ვეღარ ჩაურაზავს იმ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ღმერთს ძალუძს ჩაერიოს ბუნების ყოველ ხდომილებაში — ამის დაშვებას დღეს წინ აღარაფერი უდგას. ბუნების ინდეტერმინისტული კანონზომიერება, პ. ჯორდანის თქმით, საკმაოდ ფართო გამოსასვლელს ტოვებს, საიდანაც განმსაზღვრელი ზემოქმედებანი ევლინიზმიან მაკროსამყაროს უხეშ ხდომილებებს. სწა ვის სურს ღმერთი გაკიცხოს იმისათვის, — პათეტიკურად კითხულობს პ. ჯორდანი, — რომ იგი ფარულად მოქმედებს?\*\*\* ღვთის დიდება იმაში მდგომარეობს, რომ იგი არის ღმერთი გამო-

\* P. Jordan, ... s. 154. იხ. აგრ. გვ. 152-153.

\*\* იქვე, გვ. 157. ღვთის ფარული მოქმედების ეკვივალენტურია ღვთის ფარული სასწაული. უბრალო გონებრივ ექსპერიმენტებს რომ მივმართოთ, რომელსაც მიმართა ცნობილმა ფრანგმა მათემატიკოსმა პუანკარემ უარდობითობის პრინციპების დადგენისას. და წარმოვიდგინოთ. რომ ღამით, ჩვენი ბილის დროს, ვვუღაფერი სამყაროში ათასჯერ უფრო დიდი გახდა ელექტრონ-ატომებით დაწყებული დედამიწა-მზითა და ჩვენი თვალებული, მაშინ მეორე დღეს ამ სასწაულის შესახებ ჩვენ ვერც კი შეიტყობდით, რადგან არ იქნებოდა ისეთი რამ, რასთან შეფარდებითაც ჩვენი გაზრდა შეიძინოდა. ასეთვე გონებრივი ექსპერიმენტი უდგეს საფუძველად არგენტინელი მწერლის ბორხესის მოთხრობას „ფარულ სასწაულს“. ხიკვლიდისხილი ამ მოთხრობაში ღმერთს შესთხოვს კიდევ ერთი წლის საცოცხლეს თავისი თხზულების დასამთავრებლად. მეორე დღეს იგი დასახერხებლად გამოიკავთ. მაგრამ სასწაულის ძალით ყველაფერი ხეივება. გამოსროლილ ტყვიებს მთელი წვლიწადი უნდებათ მსხვერპლამდე მისაღწევად ვერაინი ვერ გეზულობს ამ სასწაულს — დრო ყველასთვის წერდება. მაგრამ, პუანკარეს ბავალითისაგან განსხვავებით, აქ ერთადერთი საზომია, რასთან შეფარდებითაც ცნაურდება სასწაული, ესაა ხიკვლიდისხილის ფსიქიკა. გამოსროლილ ტყვიათა წინ იგი გონებაში ანთავრებს თავის ნაწერმოებს, რომელსაც მთელი წელი უნდება, და ღვთის სასწაულით აღფრთოვანებული, მორჩილად ევებება ტყვიებს.



რომ ამას სინამდვილეში ადგილი არა აქვს და „ოლბერსის პარადოქსი“ — დამეული ცის სიშავე, ამგვარად, ბრუნოს შეხედულებას ამსხვრევს. სანამ ამ პარადოქსის ახსნას შევხებოდეთ, რომელიც მხოლოდ ჩვენს საუკუნეში გახდა შესაძლებელი, გვსურს მოკლედ აღვნიშნოთ აინშტაინის ფარდობითობის ზოგადი თეორიის დასკვნები, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ კოსმოლოგიისათვის. ამ თეორიის მიხედვით, სივრცის სამ განზომილებას ემატება დროის მეოთხე განზომილება, რის შედეგადაც საუბარია „სივრცე-დროის“ ერთიანობაზე. „მოძრაობის სრულად აღწერისათვის სამი სივრცული კოორდინატის გვერდით (რომელიც პასუხობს კითხვაზე „სად“) აუცილებელია დროის კოორდინატის გამოყენება (რომელიც პასუხობს კითხვაზე „როდის?“). ფარდობითობის სპეციალური თეორიის ჩამოყალიბებამდე აღამიანის ყოველდღიური ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე იგულისხმებოდა, რომ დრო დანარჩენ სამ განზომილებაზე დამოკიდებული არ არის. აინშტაინის ფარდობითობის სპეციალურმა თეორიამ დაგვანახა, რომ ეს ვარაუდი არასამართლიანია იმ შემთხვევებისათვის, რომლებიც ყოველდღიური გამოცდილების ჩარჩოებში ვერ თავსდებათ. ფარდობითობის ზოგად თეორიაში სივრცისა და დროის ოთხგანზომილებიან ერთიანობას ასევე ფუნდამენტური მნიშვნელობა ჰქონდა. აინშტაინმა გვიჩვენა, რომ დამკვირვებლები, რომლებიც სამყაროს სხვადასხვა წერტილში იმყოფებიან და ერთსა და იმავე შემთხვევას აკვირდებიან, სხვადასხვაგვარ შეფასებას აძლევენ მოვლენას. მაგრამ ასეთ შემთხვევაში როგორ გავიგოთ, რომ ისინი ნამდვილად ერთსა და იმავე შემთხვევას აკვირდებოდნენ? როგორ გავარკვაოთ, რა წარმოადგენდა ობიექტურსა და საერთოს სრულიად სხვადასხვა და სუბიექტურად განწყობილი დამკვირვებლისათვის? აინშტაინმა ყველა ამ კითხვას პასუხი გასცა სივრცე-დროის სისტემის ცნების, ეგრეთწოდებული ოთხგანზომილებიანი კონტინუუმის ცნების გამოყენებით. სამყაროს სხვადასხვა წერტილში ჩატარებული დამკვირვებები ერთმანეთისაგან უნდა განსხვავდებოდეს, მაგრამ თუ მათ მათემატიკური სივრცე-დროის სქემას მივაკუთვნებთ, მაშინ ობიექტური ინფორმაციის მიღება შეიძლება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფარდობითობის კანონები სამართლიანია კოორდინატთა ნებისმიერი სისტემისათვის, დაკვირვების ნებისმიერი წერტილისათვის. ეს კანონები უნივერსალურია.

(მაშინ, ფარდობითობის თეორიის თანახმად, სივრცე და დრო განუყოფელია, სამყაროს არეებში კი, სადაც რამე მატერიალური სხეულია მოთავსებული, ადგილი აქვს სივრცე-დროის გამრუდებას. აქედან გამოდის, რომ სამყაროს სივრცეს საზღვარი უნდა გააჩნდეს, იგი სასრული უნდა იყოს<sup>\*</sup>. უფრო სწორად, სამყაროს სივრცე ამ თეორიის მიხედვით სასრულია, ჩაკეტილია, მაგრამ, აბავე დროს, იგი უსაზღვროა. ელემენტარულ წარმოდგენას ასეთ სივრცეზე გვიქმნის სფეროს ზედაპირი (აქ შეგვიძლია ჩვენი დედამიწის სფეროს ზედაპირიც ვიგულისხმოთ). მართლაც, ასეთ ზედაპირს არსად ზღვარი ან ზღუდე არ გააჩნია, მაგრამ იგი მაინც სასრულია და ჩაკეტილი. ასეთი არის ჩვენი სამყაროს სივრცე, ხოლო მის ფორმასა და სიდიდეზე წარმოდგენა შეგვიქმნება იმ დაშვებით, რომლის თანახმადაც მომავალში ჩატარდება ცდა სინათლის გაშვებით, რომელიც შემოუვლის მთელ სამყაროს მილიარდი წლის განმავლობაში და საბოლოოდ თავის საწყის წერტილს დაუბრუნდება.

ამგვარად, უნაშთო დეტერმინიზირების უკუგაღებით ღმერთი თუ ალარ არის

\* ბ. კლანი, ჰიებაში, ფიზიკოსები და კვანტური თეორია, თბ., 1984, გვ. 272-273



უკვე უკვე არი, სამყაროს შემოადწერილი სივრცის მეოხებით იგი აღარც უბინაოა, მისი გააზრება შეიძლება სასრული, ჩაკეტილი სამყაროს მიღმა.

აღსანიშნავია, რომ დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ სამყარო ჩაკეტილ სივრცედ აღიქმება. თავდაპირველად აქ სამყარო არისტოტელესეული გაგებითაა აღწერილი. დედამიწის ცენტრი სამყაროს ცენტრსაც წარმოადგენს, რომლის ირგვლივ ზეცის ცხრა სფერო ტრიალებს. მე-9 ცის მიღმა არის ემპირიუმი, ღვთის სამყოფელი. „სამოთხის“ 28-ე სიმღერაში დანტე უკვე ღმერთს ხედავს ცენტრად, რომლის გარშემოც 9 ანგელოზთა ქორო ტრიალებს, ისევე, როგორც ცის სფეროები დედამიწის ირგვლივ, აქ სამყაროს წყობა დანტესათვის პირიქითაა. თუ სამყაროს პირველ სურათში ღმერთი ყველაზე უფრო მოშორებულია ცენტრიდან, აქ იგი თავად ცენტრს განასახიერებს. თუ ამ ორ, მოჩვენებითად ურთიერთსაწინააღმდეგო სურათს გაეაერთიანებთ და მათ ერთი და იმავე სივრცის მხოლოდ ორ ასპექტად განვიხილავთ, მაშინ ეს ჩაკეტილი სივრცეა. მას, რასაკვირველია, ორი პოლუსი აქვს და ამიტომ არაპოპოგუნერია\*. ასევე მართალია, რომ ღვთის ირგვლივ მოტრიალე ანგელოზთა ცხრა ქორო ისეთსავე დამოკიდებულებაშია დედამიწის ირგვლივ მბრუნავ ცის ცხრა სფეროსთან, როგორც პირველსაზე — ანარეკლთან\*\*. მაგრამ ეს მაინც ჩაკეტილი სივრცის სურათია.

ამასთანავე, რელატიურობის თეორიის მიხედვით, როგორც ვთქვით, მასის ცნების შეშვეობით დრო და სივრცე ერთმანეთს დაუკავშირდა და ფაქტობრივად, სივრცე და დრო განუყრელია მატერიისაგან. მასის, ციური სხეულების ყოფნა დროისა და სივრცის გამრუდებას იწვევს. ჰოლანდიელმა ასტრონომმა ვილიამ დე სიტერმა\*\*\* გამოიმუშავა ჩაკეტილი, სასრული სამყაროს მოდელი, რომელშიაც დრო ისევე მრუდდება, როგორც სივრცე. რაც უფრო შორს ვიმზირებთ ასეთ სამყაროში, სულ უფრო შენელებული გვეჩვენება საათის მოძრაობა და სამყაროს უფრო შორეულ ადგილებში დრო საესებით ჩერდება. აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს რიხარდ ვაგნერის „პარციფალი“, რომელმაც გასულ საუკუნეში განკურთა მსგავსი სიტუაცია, მხოლოდ დრო-სივრცის გადანაცვლებით. გრაალის ციხე-სიმაგრისაკენ მიმავალი ჭაბუკი პარციფალი გაკვირვებით ეკითხება თავის ნებზურს:

„მე თითქმის ფეხი არ გადამიდგამს, მაგრამ თავი მგონია უკვე შორს“. ამაზე იგი პასუხად ლეზულობს: „შენ ხედავ, შვილო ჩემო, რომ აქ დრო სივრცედ იქცევა“.

ჩვენი საუკუნის ოციან წლებში ამერიკელმა ასტრონომმა ჰაბლმა აღმოაჩინა, რომ ჩვენი სამყარო ფართოვდება, რომ შორეული გალაქტიკები, რაც უფრო შორს იმყოფებიან, ამ შემთხვევაში, დამკვირვებელიდან, მით უფრო სწრაფად მორდებიან მას. გალაქტიკათა, ნისლოვანებათა ურთიერთდაშორების სისწრაფე ნატულობს მათი ურთიერთდაშორების მანძილის პროპორციულად. ეს ფაქტი, ძირითადად, განმარტავს „ოლბერსის პარადოქსს“. თუ შორეული გალაქტიკები დედამიწის შორდებიან სიჩქარეებით, რომლებიც პროპორციულია დედამიწიდან მათი დაშორების მანძილისა, მაშინ მათგან მომავალმა სინათლემ, მათი დაშო-

\* G. Frey, Erkenntnis der Wirklichkeit, Stuttgart 1965, s. 52.

\*\* Dante Alighieri, Die göttliche Komödie, Akademie-verlag, Berlin, 1966, s. 573.

აღსანიშნავია, რომ ამ სიმღერის ბოლოს დანტე გვაუწყებს, რომ იგი ანგელოზური წყობის აღწერაში დიონისე არეოპაგელის (პეტრე იბერის) კვალს მსაყვება.

\*\*\* მისი დასკვნები თვით აინშტაინმა აღიარა იხ. Y. Корлисс, Загадки вселенной, пер. с англ., М., 1970, стр. 87.

რების შესაბამისად, უნდა იკლოს. ჩვენს გაფართოებად სამყაროში სინათლის სისწრაფე აღწევს 10 მილიარდი სინათლის წლის მანძილის გადალახვას. რაც უფრო მეტი გალაქტიკა გადალახავს 10 მილიარდი წლის რადიუსის მქონე სფეროს, ჩვენი ღამეული ცა მით უფრო დაბნელდება. სამყარო გაფართოებადი რომ არ იყოს, მაშინ არავითარი სხვაობა არ იქნებოდა დღესა და ღამეს შორის. ასეთი სამყარო თავის დასასრულსაც პოეებს, რადგან არ არსებობს ბუნებაში არავითარი ჩვენთვის ცნობილი ძალა, რომელიც ამ გაბნეულ გალაქტიკებს უკან მიიზიდავდა\*.

ამ ფაქტების გააზრებით უკვე ცხადდება, რომ ჩვენთვის ცნობილი სამყაროდროში ვითარდება, რომ მას ისტორიულობა ახასიათებს, რომ ასტრონომი თავისი ტელესკოპით არა მარტო სივრცეში, არამედ წარსულშიც იმზირება, რადგან შორეულ ნისლოვანებათა სინათლის ჩვენამდე მოღწევას ხშირად მილიარდი წელი სჭირდება და შესაძლოა წყარო გამოსხივებისა უკვე აღარც კი არსებობს, როდესაც ჩვენ მას ვაკვირდებით. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ამსხვრევს ჯორდანო ბრუნოს შეხედულებას სამყაროზე, რომელსაც იგი განიხილავდა როგორც უცვლელს, მარადიულს. უისტორიოს.

ერთი მხრივ, რელატიურობის თეორიის მტკიცებამ სივრცე-დროისა და მატერიის განუყრელობის შესახებ და, მეორე მხრივ, სამყაროს სივრცის გაფართოების ფაქტმა 1927 წელს ბელგიელ ასტრონომს მდგომარეობაში შექმნივინა სამყაროს მოდელი, რომელმაც გაუძლო ყოველგვარ გამოცდას და რომელიც დღეს თანხმონებაშია ყველა ასტრონომიულ მონაცემთა და ფიზიკის ექსპერიმენტული ფაქტების ერთობლიობასთან\*\* . ამ მოდელის მიხედვით (სამყაროს მოცულობა სასრულია, სივრცე ჩაკეტილია, მაგრამ იგი დროის განმავლობაში იზრდება, ფართოვდება. თუ დაებრუნდებით მრავალი წლის წინ, ამბობდა ლემეტრი, მაშინ სამყარო შეკუმშულ მდგომარეობაში იქნებოდა. თავდაპირველად სამყარო წარმოადგენდა ვეებერთელა „ზეატომს“. რომელშიც კონცენტრირებული იყო მილიონჯერ მილიონი ნაწილაკი და სამყაროს მთელი ენერჯია. მოხდა აფეთქება უდიდესი ნათებითა და სითბოს გამოყოფით და დაიწყო გაფართოება, რომელიც დღემდე გრძელდება. 60-იან წლებში მოხდა აღმოჩენა, რომელმაც დაადასტურა სამყაროს ასეთი გაჩენა. დღეს ასტრონომები ერთხმად ვარაუდობენ, რომ ეს უნდა მომხდარიყო 10 მილიარდი წლის წინ. ამერიკელმა ასტრონომმა ჯორჯ გამოვმა ამ „ზეატომს“ უწოდა ილემი, აიღო რა ეს ტერმინი არისტოტელედან, რომელიც აღმნიშვნელია პირველადი მატერიისა, სამყაროს ძირითადი სუბსტანციისა. მოხდა აფეთქება. „წამის პირველი, უმცირესი ნაწილაკი დაიკარგა დროის ფლუქტუაციაზე, რაც გამოიწვია იმან, რასაც ფიზიკოსები უწოდებენ უმცირესი ნაწილაკების კვანტურ ბუნებას. თუ რა არის ეს, ამის გაგება, თუ არა ვფლობთ თანამედროვე მეცნიერებას, შეუძლებელია, მაგრამ შედეგი ის გაბლავა, რომ თუ მოისურვებთ ნივთიერების მდგომარეობის შეფასებას იმ მომენტში, როდესაც „დრო ზუსტად უდრიდა ნულს“, მაშინ თქვენ ამის შესახებ არაფრის თქმა არ შეგიძლიათ. ასე რომ, შეკითხვა ჰაერში დარჩება გამოკიდებული საბედნიეროდ, ეს არეულ-დარეულობა გრძელდებოდა ძალზე მცირე პერიოდის განმავლობაში, დროის უმცირესი კვანტის მანძილზე, რომელიც თანაბარია წა-

\* У. Корлисс. Загадки вселенной. М., 1970, стр. 22.

\*\* Л. Э. Гуревич, А. Д. Чернин. Происхождение галактики и звезд. М. 1983, стр. 182.

სვმც- სითბო ნათებითა და სითბოს გამოყოფით და დაიწყო გაფართოება

მის საოცრად მცირე ნაწილისა. ეს რომ ზუსტად გამოვხატოთ წამებში, ამისათვის უნდა დაიწეროს ათწილადი, მძიმის შემდეგ ორმოცდასამი ნულით და მათ შერე მდგომი ერთეულით. ამ მცირე დროის მანძილზე ჩვენ არაფრის თქმა არ შეგვიძლია სამყაროზე\*.

ამგვარად, ფარდობითობის ზოგადმა თეორიამ და კოსმოლოგიურმა კვლევებმა მატერია-სივრცის გაჩენასთან ერთად დროის გაჩენის წინაშეც დაგვაყენა, რაც ძირითადი დებულებაა ჩვენი რელიგიისა.

ახლა მივმართოთ რწმენის წყაროებს. ბიბლია (დაბადება 1,1) გვამცნობს სამყაროს (ცისა და ქვეყნის) დასაწყისზე, რომელიც ღმერთმა შექმნა. უსაწყისო მხოლოდ ღმერთია. იქვე (ფსალმუნნი 89,2): „პირველ მათა დაბადებამდე, შექმნად ქუეყანისა და სოფლისა და საუკუნითგან და უკუნისამდე შენ ხარ“. იესო ქრისტე ლაპარაკობს იმ დიდებაზე, რომელიც ჰქონდა მას მამასთან „უწინარეს ცოვლისა დაბადებისა“ (იოანე 1,5), მასში, ქრისტეში ავირჩია ჩვენ მამამ „უწინარეს სოფლის დაბადებისა“ (ეფესელთა მიმართ, 1,4). ეს ტექსტები გვიცხადებენ ჩვენ სამყაროსა და დროის მიღმა არსებულ ღმერთს.

„წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი (ნაზიანზელი) (329-390) გადაჭრით უარყოფს მატერიის (ნივთიერი სამყაროს) უსაწყისობას. ყველაფრის დასაბამი ღმერთია და ყოველივეს იგი ჰქმნის. ხოლო რასაც დასაბამი აქვს, ბუნებრივია, იგი დასასრულსაც პოვებს. ღმერთი არა მარტო მატერიის შემქმნელია, არამედ მისი ფორმისაც, რადგან წარმოუდგენელია მატერია ფორმის გარეშე და ფორმა მატერიის გარეშე. ამგვარად, მოკვდავი ზელოვანი თავის ქმნილებას მხოლოდ ფორმას ანიჭებს, იყენებს რა მზა მატერიას. ღმერთი კი უდიდესი ვაგებიათაა ზელოვანი: იგი ორივეს ქმნის. ყოველი ხილული და უხილავი სამყაროს მიღმა დგას ღმერთი, როგორც მისი შემოქმედი. თავად ღმერთი კი პიროვნული და უსაწყისო არსებაა“ („ღმერთი, ადამიანი და სულიერი სამყარო წმ. მართლმადიდებლური რწმენის მოძღვრების მიხედვით“, შეადგინა ვიქტორ რცხილაძემ, საღვთისმეტყველო კრებული № 4, თბ., 1984, გვ. 64-65).

(ნეტარი ავგუსტინე (354-430): „ისინი მეკითხებიან სწორედ — რას აკეთებდაო ღმერთი სამყაროს შექმნამდე, ანდა რატომ მოუვიდაო მას ფიქრად გაეკეთებინა რამე, თუკი მანამდე არასდროს არაფერს არ იქმოდა. მიეც მათ ძალი, უფალო, გაიგონ, თუ რას ამბობენ, გამოუცხადე მათ: სადაც დრო არ არსებობს, იქ არც „არასდროს“ თქმა შეიძლება. თქმა ვინმეზე — არაფერს არ იქმოდაო იგი — ზომ იმის თქმას ნიშნავს, რომ დროში არ იქმოდა იგი არაფერს. დაე, იზილონ მათ, რომ არ შეიძლება დრო არსებობდეს იქ, სადაც არ არის ქმნილება; და დაე შეწყვიტონ ლაყბობა. დაე, იმას მიექცნენ ისინი, რაც „წინაშე მათსა“ არს; დაე, გაიგონ მათ, რომ უწინარეს ყოველთა დროთა და საუკუნეთა ხარ შენ — მარადიული შემოქმედი ყოველთა საუკუნეთა; რომ უწინარეს შენსა არ არსებობდა არც დრო და არც არაერთი ქმნილება, თუნდაც თვით დროზე მაღლა მდგომი“ (აღსარება ნეტარი ავგუსტინესი, წიგნი მეთერთმეტე, XXX, 40; თარგმნა ვ. ბურკაძემ, საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1985, გვ. 378).

„ექვევარეშეა, რომ სამყარო არა დროში, არამედ დროსთან ერთადაა შექმნილი. სამყაროს წინ დროს არ შეეძლო ყოფნა, რადგან არ არსებობდა არაერთი ქმნილება, რომელთა მოძრაე მდგომარეობათა ცვლილებებით შესძლებოდა მას „ღმოცენება“. ნეტარი ავგუსტინე, De Civitate Dei, წიგნი XL, თავი მე-6.“

\* П. Ходж. Революция в астрономии, пер. с англ., Москва, 1972 г., стр. 47.



ჟან-პოლ-რეჟიზალი

# რ მ კ-ე ნ-რ მ ლ ი: ქალაქობა სნობიკრებაზე ქვესნობიერი გადასემებით

(შემოკლებით)

„დაღწევი ქალაქობა როკ-მე-როლის გავლენა ჟან-სალად და ლადებიტად მივიჩნით. როკი გველენათაა ჯადოქარ ფლიტისტად, როგორც მთელი თაობა დაღუპვისაკენ მიყვას“.

3 ა ნ რ უ ნ ი

## როკ-მე-როლის სათავეები

უკანასკნელ ოცდაათწლეულში აღსრულდა მნიშვნელოვანი რევოლუცია და მასში მონაწილეობა არ მიუღია არც ერთ პოლიტიკურ პარტიას, არ ჩატარებულა წინასაარჩევნო დისკუსიები, არც მანიფესტი გამოქვეყნებულა, რომელიც განსაზღვრავდა ამ ახალი რევოლუციის მიზნებს.

პირველად კაცობრიობის ისტორიაში ღრმა სოციალურმა, ეკონომიკურმა და კულტურულმა რევოლუციამ თავის შესახებ გვამცნო მუსიკის, სიმღერისა და როკ-ენ-როლის „ვარსკვლავების“ მეშვეობით. თავდაპირველად იგი სერიოზულად არავის მიუღია, რამდენადაც ყველა ფიქრობდა, რომ ეს იყო კიდევ ერთი მოდური გატაცება, რომელიც ისევე გაივლიდა, როგორც გაიარა ჩარლსტონით, ბუგი-ვუგითა და ტვისტიტ გატაცებამ.

და მაინც, როკ-ენ-როლი, რომელიც ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში მოგველინა, იქცა სოციალურ-კულტურულ მოვლენად, რომელმაც შვა ძლიერი ტალღა ჭუჭყისა, სისხლისა და ადამიანთა მსხვერპლისა. ოცდაათი წლის შემდეგ როკ-მუსიკამ მიგვიყვანა სხეულის, სულისა და გულის ყველაზე ძლიერამოსილ რევოლუციამდე, რაც კი ჯოჯოხეთს უშვია.

შეუძლიათ სრული უფლებით მკითხონ, რა შეუძლია იცოდეს კათოლიკე მღვდელმა, პენსიაზე გასულმა მოქადაგემ, რელიგიურმა მოღვაწემ როკ-ენ-როლის მუსიკისა და მისი ევოლუციის შესახებ, როგორ შეიძლება გაერკვეს ორმოცდაათი წლის კაცი ტიპურ ახალგაზრდულ მოვლენაში? ჯერ ერთი, როგორც მღვდელი, მე უპირველეს ყოვლისა, მომღვარი ვარ, მეორეც, როგორც კრმინა-



ლისტი, რომელიც ფსიქიატრიაშია დასპეციალებული, მე უშუალოდ მიხდება შეჯახება იმ სოციალურ-კულტურულ რეკოლუციასთან, რომელიც მთელ მსოფლიოში როკ-მუსიკითაა გამოწვეული.

ყველაფერ სხვასთან ერთად, მონრეალ-გრანბიკვებეის რეგიონში 15-დან 21 წლამდე ახალგაზრდებს შორის წელიწადზე ნაკლებ დროში მკვლელობის 18 შემთხვევის გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ყველა შემთხვევაში ერთადერთი აღმოჩენილი მუდმივი ფაქტორი იყო სწორედ როკ-ენ-როლი.

### პირველი ნაწილი

## როკ-ენ-როლის ისტორია და განვითარება

### პირველი ფაზა: დაბადება

1951-1952 წლებში ახალგაზრდა მომღერალმა ამერიკის შუა დასავლეთიდან, რინარდ ლიტლმა, დაიწყო ცკლილებების შეტანა ზანგურ რიტმ-ენდ-ბლიუზში.

ცნობილმა ფილმმა „ჯუნგლები საკლასო დაფის წინ,“ რომელიც 1955 წლის შემოდგომაზე გამოვიდა, პოპულარობა მოუტანა მუსიკოს ბილი ჰელის სიმღერას „როკი მთელი დღე-ღამის განმავლობაში“. სწორედ იმავე დროს ახალი მუსიკალური სტილის აღსანიშნავად ტერმინი „როკ-ენ-როლი“ მოიგონა დისკ-ჯოკეიმ, ქალაქ კლივლენდში.

აღამიანთა უძრავლესობისათვის ცნობილი არაა, რომ ეს გამოთქმა იზმარებოდა სექსობრივი აქტის დროს მდგომარეობის გამოსახატავად. იგი ნასესხებია ამერიკული შავი გეტოების ქარგონიდან.

1954-1955 წლებში ამ ახალი გასართობი მუსიკალური ჟანრის ტექნიკა და მუსიკალური ფორმა აითვისა ერთმა ახალგაზრდა მომღერალმა და მეგიტარემ. ლაპარაკია ახალგაზრდა ბაბტისტზე ამერიკის სამხრეთიდან, რომელმაც მუსიკალური მომზადება გაიარა სამრევლო გუნდში და რომელმაც თავისი ტალანტითა და მომზიბლავი ხმით საყოველთაო აღტაცება დაიმსახურა. მისი სახელი და გვარია ვლვის პრესლი. პრესლის საყოველთაო აღიარების მიზეზი ის იყო, რომ მან თავისი პირადი ამბოხით პურიტანული მორალის წინააღმდეგ გამოხატა სურვილი ყველა-მოზარდისა, უკუეგდოთ თავიანთი წრის რელიგიური და სექსუალური ტაბუ. პრესლი არა მხოლოდ მოხერხებულად აღაგზნებდა ახალგაზრდებს თავისი მუსიკითა და სიმღერების შინაარსით, არამედ ზემოქმედებას ახდენდა პუბლიკაზე უხამსი პროვოკაციული ფესტებით. ამის გამო დაიმსახურა მან მეტსახელი „ელვის ბარძაყი“. ცკვის დროს თავისებური მოძრაობისათვის.

მან პოპულარობა და ოფიციალური აღიარება მოიპოვა 1956 წელს ედი სალივანის შოუში გამოსვლის შემდეგ. ფართო პუბლიკისათვის პრესლის გამოსვლა მეხის გავარდნას ჰგავდა თუმცა კინოოპერატორებმა, რომლებიც მომღერლის გამოსვლას იღებდნენ, სიფრთხილის ზომები მიიღეს. ისინი იღებდნენ მხოლოდ მკერდსა და სახეს მომღერლისას, მათ ვერ შეუშალეს ხელი პრესლის რეკოლუციური მოწოდების გავრცელებას: „ბოლო მოვუდოთ სექსუალურ აკრძალვებს, ბოლო მოვუდოთ ინსტინქტების დათრგუნვას, ბოლო მოვუდოთ სოციალურ პი-

რობითობებს, რომლებიც ხელს უშლიან ახალგაზრდებს, თავისუფლად და მძაფრად გამოხატონ თავიანთი სექსუალობა!“ ელვისი მაშინვე გმირი გახდა და იგი აღიარეს უდავო „მეფედ როკ-ენ-როლისა“. ამ დროიდან პრესლი თავისი თავ-ვანისმცემლებისათვის ღვთიური თავყანების საგანი გახდა როგორც სიცოცხლე-ში, ისე სიკვდილის შემდეგაც.

ნაპერწყალმა სექსუალური რევოლუციის ალი აანთო: შეიცვალა ჩვევები, გადასხვაფერდა ტანსაცმელი, მოდაში შემოვიდა გრძელი თმა... ელვისი უკვე პიროვნება ან სახელი კი აღარ იყო, იგი გახდა სიმბოლო ოპოზიციისა „ისტე-ლიშმენტიზადმი“ – მშობლებისადმი, აღმზრდელებისადმი, პასტორებისადმი, პოლიციელებისადმი, ე. ი. ყოველგვარი ძალაუფლებისადმი. 1951-60-იან წლებში ათიათასობით ახალგაზრდა აესებდა სტადიონებს, სადაც ელვისს პრესლი უნდა გამოსულიყო. იქ ადგილი ჰქონდა აღშფოთებას, გამძვინვარებას, მასიურ ისტე-რიას, სექსუალურ ექსცესებს, განსაკუთრებით ქალიშვილებში. ერთი სიტყვით, ბრბოს აღვირახსნილ ალტკინებას, რომლის მოთოკვის ძალა ხელისუფლებას არ შესწევდა.

სრულიად ნათლად ჰქონდა რა შეგნებული, რომ იგი იქცა სიმბოლოდ და წარ-მოდგენილი ჰქონდა რა თავისი გავლენის ძალა ახალგაზრდობაზე, პრესლი ყო-ველთვის გაბედულად უჭერდა მხარს და მფარველობდა მთელი მსოფლიოს ახა-ლგაზრდობის ყოველგვარ მოძრაობას ყველანაირი ძალაუფლების წინააღმდეგ და უშუალოდ ბუნტარული ინსტინქტებისაკენ მოუწოდებდა. პრესლი ბოლომდე თავისუფალი სიყვარულის ფილოსოფიას აღიარებდა და ამასვე ქადაგებდა თავისი სიმღერებით.

ასეთი იყო პირველი ფაზა რევოლუციისა, რომლის პროვოცირება როკმა მოა-ხდინა.

## მეორე ფაზა: უხეში და შავი როკი

### 1. უხეში როკი

როგორც მოსალოდნელი იყო, მსუბუქი როკი ძალიან მალე გარდაიქმნა უხეშ როკად და აქ მთავარი წარმომადგენლები იყვნენ: ჯერი ლი ლუისი, სტივ ნიკსი, ელ კუპერი. ეს მეორე ტალღა იმით გამოირჩეოდა, რომ გართულდა რიტმი (ბი-ტი), უფრო ძლიერი და მძაფრი გახდა.

ღრმად იქნა გამოკვლეული აფრიკელ ტომთა მუსიკალური მექანიზმები, შე-სწავლილი იქნა ლათინურამერიკული ტრადიციების რიტუალთან, „ვოლუ“-სთან, დაკავშირებული მუსიკა. ამ წყაროებიდან მუსიკოსებმა აითვისეს რიტმების მთე-ლი არსენალი, რომლებიც დაკავშირებული იყო ფალოსის კულტთან, შელოცვე-ბთან და ჯადოსნობასთან. ბიტი დაუინებით და მკვეთრად მოქმედებდა პიროვნე-ბას ფიზიკურ და ემოციურ გრძნობებზე, იწვევდა მსმენელთა ნერვული სის-ტემის აღზნებასა და გონების დამბლასაც კი.

ბგერათა სიხშირე 120 დეციბელამდე აღიოდა, რაც აღემატება ადამიანის მიერ აღქმულის ზღვარს. ეს იყო გადამწყვეტი და პირდაპირი შტურმი მთლიანად პი-როვნების წინააღმდეგ, ეროტიკული მისწრაფებების აღგზნებ ბიტს თან ერთვის ადამიანის მომწესხველი, გამაღიზიანებელი ხმაური, რომელიც იწვევს ნერვული

სისტემის გადაძაბვას, დაუკმაყოფილებლობის უკონტროლო გრძნობას და სურვალს, რადაც უნდა დაგვიჯდეს, გავთავისუფლდეთ მისგან. ამგვარად მიიღწეოდა მთელი აუდიტორიის უკიდურესი დაძაბულობა, რათა შემდეგ გამოსავალი მიეცათ მძაფრი ვნებებისათვის, გამოეწვიათ მათი სტიქიური დაკმაყოფილება, დაბოლოს, გამაძლიერებლები საშუალებას იძლევიან მივიღოთ სასურველი ეფექტი და გამოვაშტეროთ უმწიფო აუდიტორია დასარტყამი ინსტრუმენტებით შექმნილ რიტმის აფეთქებებით. დოლები, ვიბრაფონი, საყვირი, მომღერალთა გამკიცხარ შეძახილები, ელექტრონული სინთეზატორები, ყველაფერი ეს ერთიანდება ციუბცხელებით მბორგავ ბრბოზე გადამწყვეტი შეტევისათვის. მთავარია, აუდიტორიაციოფიანი ბგერების ოკეანეში ჩაიძიროს. უხეშ როკს არ უსმენენ, მასში იძირებიან, როგორც სექსის, ცდუნებისა და ამბოხის რიტუალში.

უხეში როკის მრავალრიცხოვან მუსიკოსთა შორის სწორედ პიტ ტაუშენდი იყო ის პიროვნება, რომელმაც დააქანონა ეს ჟანრი.

**2. შმაგი როკი**

შმაგი როკი ესაა ნარკოტიკის ჟარგონული სახელი. რევოლუცია მხოლოდ დაიწყო. სცენაზე „ბითლზ“-ის, „როლინგ სტონზ“-ის „ზე ჰუ“-ს გამოჩენა დაკავშირებული იყო ახალ „სანუქრებთან“ ჯოჯობეთის საკუჭნაოდან. მას მერე, რაც დოქტორმა ტიმოთი ლორმა აღმოაჩინა ლსდ-ს ფორმულა, ახალგაზრდობა გაეცნო ქალუცინოგენურ ნარკოტიკებს. როკ-მუსიკამ მაშინვე ჩართო ნარკოტიკების მთელი არსენალი ზემოქმედების ყველაზე მძლავრი და ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალებების რიცხვში: ბითლზი მისი ყვითელი სარჩულით (ფსიქოგენური ქალუცინაცია), როლინგ სტონზი „ყავისფერი შაქრით“ (კოკაინი), და მორფიუმითა და ძმა კოკაინით, დაბოლოს, ვერცხლის ქალბატონით (შპრიცი ინექციისათვის). როგორც განაცხადა ვები ჰორმანი: „როკი გვევლინება რევოლუციის სათავედ. ცხოვრების ჩვენიული სტილია-ნარკოტიკები, უცნაური ტანსაცმელი, ყველაფრის დამაკმაყოფილებელი როკ-მუსიკა, სწორედ ესაა რევოლუცია“.

**მესამე ფაზა: სატანური როკი**

შიძღებოდა გვეფიქრა, რომ ზღვარი უკვე მიღწეულია, მაგრამ ეს ნიშნავს სათანადოდ ვერ შეეფასათ თანამედროვე რევოლუციონერის სატანური გენია. საჭირო იყო მხოლოდ გადაგვიბეჭდინა უკანასკნელი ზღვრისათვის და ოკულტიზმის გავლით სატანის კულტამდე მივსულიყავით.

ამას სათავე დაუდეს ბითლზებმა, როცა 1968 წელს გამოუშვეს თავიანთი „შმაკული თეთრი ალბომი“, ორი სიმღერით: „№1 რევოლუციონერი“ და „№2 რევოლუციონერი“. ფირფიტების გამოშვების ისტორიაში პირველად გამოჩნდა ქვეცნობიერი ცნობები გადაცემისათვის „სატანური სახარება“. ამას წარმატება მოჰყვა და ამერიიდან როკ-მუსიკა დაადგა სატანისმიერი ცდუნების გზას. ამ მიმართულების ოსტატთა შორის პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ როლინგ სტონზი, რომლის სატანისმიერი მთავარქურუმი გახდა მიკ ჯაგერი. ამავე მდინარეის მიწყებოდნენ „ზე ჰუ“, „ბლეკ საბატი“, „ლედ ზაპელინი“, „სტიქსი“. ამჯერად ყველაფერი ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე ხდება. ყველა მთავარბუ-

ლია სატანით, ყველა ორიენტაციას იღებს და ირაზმება ოკულტური ძალების სა-  
დიდებლად და მისი უდიდებულებობა სატანის თაყვანისცემად. რას შეიძლება  
მივეყვანეთ როკ-ენ-როლის ევოლუციაში ამგვარ გაბედულ შემობრუნებამდე? მი-  
კუთითებთ მხოლოდ სამ მთავარ წყაროს:

1. სხვადასხვა სახის ქვეცნობიერი გადაცემები.
2. თავად მსახიობები უძღვნიდნენ თავს სატანას.
3. სატანას გამოუჩნდა ფინანსური „მფარველები“, ილუმინატები, სხვა გაერ-  
თიანებანი და ჯადოქართა სექტები.

### ვეროსე ვაზა: პანკ-როკი

„პანკ“-ი ასე უწოდებენ პროსტიტუტებს ინგლისში (ორსავე სქესისა),  
ამერიკულ ინგლისურში ეს სიტყვა ნიშნავს „ნაძირალას“.

თქვენ შეიძლება ფიქრობთ, რომ პანკ-როკი დასასრულია? არა, რამდენადაც  
გახრწნილობას ჯერ კიდევ არ ჩაუღწევია უძირო სიღრმემდე. მართლაც, 80-იან  
წლებში მოწმე გავხდით პანკ-როკის დაბადებისა, რომლის მიზანი და ფილოსო-  
ფია იმაში მდგომარეობს, რომ აუდიტორია მიიყვანოს თვითმკვლევობამდე, კო-  
ლექტიურ ძალმომრეობამდე... ყველაზე ცნობილ ჯგუფებს შორის უნდა მოვიხსე-  
ნოთ: „კის“-ი, „ტოდ ნიუჯენტი და მუტანტები“, „აფროლიტეს პირშო“.

ზღვარი, რომელსაც პანკ-როკმა მიაღწია მუსიკის სფეროში, ეს იყო შესაძ-  
ლებლობა დაეჭრა პარტნიორი ჯინსებში ან პერანგში ჩაკერებული სამართებლის  
პირით და მერე ეცემა იგი ლურსმნებისა და სხვა წვეტიანი საგნებისაგან გაკეთე-  
ბული სამაჯურით. აი სადამდე მიაღწია როკ-ენ-როლმა კურობეული 1983 წლისა-  
თვის.

თარგმნა ომარ გობიჩაიშვილმა





**მაგა მისილ თაგარაზვილი**

**წვილა ანდრია მოციქული  
საქართველოში \***

წინარსი: I. ქართული ტრადიციული ცნობები წმიდა ანდრიას მოციქულობის შესახებ; II. პროფესორ ა. ჭავჭავაძის შენიშვნები, პასუხი ამ შენიშვნებზე; III. მწერლების დამოწმებები წმიდა ანდრიას მისიის შესახებ. ცნობები ზოგიერთი მოციქულის მისიის შესახებ.

საქართველო ეს ის ერთ-ერთი ბედნიერი ქვეყანაა, რომელ-იც მოიწვევო მოციქულთა ოფლით და რომელმაც მიიღო მაცოცხლებელი სიტყვა იმ ადამიანის ბაგამან, ვინც საკუთარი თვალით იხილა მაცხოვარი.

**I. ქართული ტრადიციული ცნობები  
წვილა ანდრიას მოციქულობის შესახებ**

როდესაც მოციქულები გაემართნენ ქვეყნიერების სხვადასხვა მიმართულებით მის დასაპყრობად და გარდასაქმნელად, ერთი მათგანი, წმიდა ანდრია, კავკასიისაკენ წავიდა და საქართველო გადაიქცა იმ ერთ-ერთ არედ, სადაც მან გამოიყენა თავისი თაფლადება. ასეთია ქვეყნის ერთსულოვანი და ერთობლივი ტრადიციული აზრი. ყველა იმ წერილობით ცნობაში, რომლებმაც ჩვენამდის მოაღწიეს, ქართული ეკლესიის მამები ამას გვაუწყებენ და ბერძნული წყაროები ადასტურებენ.

უკანასკნელ ხანს პეტერბურგის უ-

ივერსიტეტის ერთმა ქართველმა პროფესორმა ეს ძველი ტრადიციული ცნობა შეაფასა როგორც ლეგენდა. ჩვენ ამ თეზისს ადვილად მივიღებდით, რომ იგი დამყარებული იყოს დამაჯერებელ არგუმენტებზე. მაგრამ არაფერი ამდაგვარი არგუმენტი არ არსებობს, რასაც შემდეგში დავინახავთ, და ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ვირწმუნოთ ტრადიცია თავის ძირითად ხაზებში, აი როგორ არის ეს საკითხი გაშუქებული ქართულ ანალებში.

მაცხოვრის ამალლების შემდეგ, როდესაც მოციქულებმა კენჭი იყარეს, სა-

\* წიგნიან: Michel Tamarati, L' EGLISE GEORGIE NNE Rome. 1910, თ. V, გვ. 120-130. ეს თარგმანი ბირველად დაიბეჭდა „საღუთისმეტყველო კრებულში“, თბილისი 1983. მაგრამ ფართო მკითხველამდე არ მისულა, რადგან აღნიშნული ჟურნალის ტირაჟი იყო სულ 200 კვებმლარი და თანაც ფაქტობრივად მისი გაერკლება იკრძალებოდა. ჟურნალს ვარეკანზე ეწერა „სამსახურბრძივი მოხმარებისათვის“.

ქართველოს მოქცევა წილად ზედა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს. მისი შვილი, ჩვენი უფალი, გამოეცხადა მას და უთხრა: „ჩემო ღედა, შენი ქომაგობის პატივისცემით შე მივხვდავ იმას, რომ ამ ერმა მისილის სხვებზე უფრო მონდობებით ზეციურ სიკეთეს. იმ ქვეყანაში, რომელიც შენ გზედა წილად, გააგზავნე ანდრია; იგი პირველია დასახელებული მოციქულად და გაატანე მას შენი სახის ზუსტი გამოსახულება; ის ხალხი მას შეინახავს სამუდამოდ, შენი პიროვნების მაგიერ, თავის დასაცავად“. ამის შემდეგ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა უთხრა ანდრია მოციქულს: „შვილო ანდრია, შე ძალიან ვწუხვარ, რომ ჩემი ძის სახელი არ იხსენიება იმ ქვეყანაში, რომელიც შე წილად მერგო, როცა ვაპირებდი იქ წასვლას, გამოემეცხადა ჩემი შვილი და მიბრძანა დამევალებინა შენთვის ჩემი და მისი გამოსახულების წადება ჩემს სამფლობელოში, რათა გავხდე წამომწყები მათი ხსნისა და აგრეთვე მათი საიმედო დასაყრდენი“ „წმიდაო, – მოახსენა ანდრიამ, – ნება შენი ძისა და შენი აღსრულდეს მუდამ“, მაშინ ღვთისმშობელმა, მოითხოვა რა ფიცარი, დაიბანა პირისაზე, მიიღო სახეზე ეს ფიცარი და ზედ აღიბეჭდა მისი გამოსახულება და მასთან ერთად აღიბეჭდა ძე ღვთისა, სიკეთის წყარო, ბავშვად განსახიერებული.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეს ხატი, რომელსაც უწოდებენ აწყურის ხატს და რომელიც ყველას შეუძლია იხილოს, მან გადასცა ანდრია მოციქულს შემდეგი სიტყვებით: „შენთან იყოს მოწყვალეობა და შეეღა ღვთისა, რომელიც შე გაჰანინეთ ამ ქვეყნად, ყველგან, სადაც შენ იქნები; შე თვით დაეხმარები შენს ქადაგებაში და დიდ მფარველობას გაეუწევ იმ ქვეყანას, რომელიც შე მხვდა წილად“. მაშინ მოციქული მიწაზე დაეშრა, ცრემლით მოახსენა მადლობა ღვთისმშობელს და სიხარულით გაემართა სახარების საქადაგებლად.

ეს მოხდა ადერკის მეფობის ხანაში (2 წელი ქრისტეს დაბადებამდე და 55 წელი ქრისტეს დაბადების შემდეგ) ანდრია, ერთ-ერთი თორმეტ მოციქულთაგანი, ჩავიდა ტრაპეზუნდს, მეგრელების მხარეში, სადაც იგი დარჩა ცოტა ხანს, მან დაინახა, რომ ამ მხარის მაცხოვრებლები უგუნურები იყვნენ, პირტყვევებს, ჰკავდნენ და გასცილდა იქაურობას, გადავიდა საქართველოს მიწაზე, დიდ აჭარად წოდებულზე და დაიწყო იქ სახარების ქადაგება. აქაური მაცხოვრებლებიც ცხოველებზე უფრო უგუნურები იყვნენ სრულებით არ იცნობდნენ გამჩენ ღმერთს და სწადიოდნენ ყოველნაირ ბინძურ და საძაგელ მოქმედებას, რისი ხსენებაც კი უხერხულა. მას ურწმუნოთაგან ბუერი უსიამოვნება და დევნა შეხვდა, რაც მან მტკიცედ გადაიტანა ღმერთისა და ხატის დახმარებით, სანამ მოაქცევდა მთელ ხალხს ქრისტიანობაზე, მართლაც, იმ ადგილზე, სადაც მან დაასვენა ღვთისმშობლის ხატი, გაჩნდა ლამაზი და წყალუხვი წყარო, რომელიც ღღემდის პოედინება. აქ შეგროვდა მოსახლეობა ყოველი მხრიდან, მან ყველა მონათლა უფლის, ძისა და სულიწმიდის სახელით; დააარსა მღვდლებისა და დიაკვნების სამყოფლები, დააწესა ღვთისმსახურება და რწმუნის წესები და ღვთისმშობლის შთაგონებით აავო ერთი ლამაზი ეკლესია, როცა წასვლა დააპირა, იგი დააკავეს და მართეს შემდეგი თხოვნით: „შენ წახვალ, ღვთისმშობლის ხატი მაინც დავეიტოვე, რომ იგი დაგვეხმაროს გაჭირვებაში და გაგვიწიოს მფარველობა“ მაშინ წმიდა ანდრია მოციქულმა გააკეთებინა იმავე ზომის ფიცარი, მიადო იგი ხატზე და გამოსახულება ზუსტად გადაიცა მასზე, უკანასკნელი კი დაუტოვა მთხოვნელებს მათ სიხარულით მიიღეს ხატი და პატივისცემით დაასვენეს თავიანთ ეკლესიაში, სადაც ღღემდის ასენია. ამის შემდეგ გამოეხალმნენ მოციქულს, უძღ

ნეს მას დიდი ქება, გადაკოცნეს და გაუშვეს.

იგი კი, გაუღვა რა გზას, გადავიდა რკინის-ჯვრის მთაზე, სადაც, როგორც ამბობენ, ამ ბედნიერმა მოციქულმა ქრისტეს ჯვარი აღმართა, შევიდა ოცნეს ხეობაში, მიაღვა სამცხის საზღვარს და შეჩერდა სოფელში სახელწოდებით ზადენ-გორა. მან იქ შეამჩნია, რომ მაცხოვრებლები მსხვერპლს სწირავდნენ ყრუ კერპებს, მიმართა ხატს და ყველა კერპი გადაბრუნებულ და დამტვრეულ იქნა. ამის შემდეგ წმიდა მოციქული დააღვა გზას და მივიდა აწყურში, ადრე წოდებულში სოსანგეთად, რომელიც საკრის პირდაპირ მდებარეობს. მან დაისვენა იმ ადგილში, სადაც იყო ტაძარი კერპებით. დღეს მას ჰქვია ძველი ეკლესია და იქ მაშინ ქვეყნის ღმერთების თავყვანისმცემლობა სრულდებოდა. იმ დროს ამ მხარის გამგებელი იყო ქვრივი სამძივარი, მას მხოლოდ ერთი ვაჟი გააჩნდა, ქვრივის ყველა იმედის მატარებელი, რომელიც იმ დროს გარდაცვლილიყო. იდგა გოდება, ტირილი, უკიდურესი მწუხარება. იმავე ღამეს იქ, სადაც იყო დასვენებული ღვთისმშობლის ხატი, შემჩნეულ იქნა ჩვენება, რამაც დიდი გაოცება გამოიწვია, რადგან არ იცოდნენ მიზეზი. გათენებისთანავე სასწრაფოდ გაგზავნეს კაცები გასაგებად, თუ ვინ იყო იქ და რა ხდებოდა. ვინც ნახა წმიდა მოციქულის ღვთისმშობლის ხატი, სასწრაფოდ დაბრუნდნენ უკან და აცნობეს ქვრივს, რომ იქ იყო უცნობი პირი, რომელიც ლოცულობდა ახალ ღმერთზე, ადამიანების შემქმნელზე. იგი ანიჭებდა ადამიანებს სიცოცხლესა და აცოცხლებდა მკვდრებს, უცნობს ჰქონდა ლამაზი ხატი და მით ასრულებდა სარწმუნოებრივ წესს.

ცნობამ მკვდრების გაცოცხლების შესახებ ქვრივი უსაზღვროდ გააკვირვა, იგრძნო თავის გულში ოდნავი იმედი და გაგზავნა მსახურნი მოციქულის დასამახებლად. მოვიდა თუ არა მოციქული, ქვრივმა მას უთხრა: „ვინ ბრძანდებით

თქვენ, საით გაგიწევიათ, როგორია ის უცნობი რწმენა, რომელზედაც ლაპარაკობთ? დღემდის მსგავსი არაფერი გავიცონია“. „მე მოვიდვარ, — პასუხობს მოციქული, — წმიდა ქალაქ იერუსალიმიდან, სადაც შეჩერდა ჩვენი მაცხოვრის წინსვლა, ვოლგოთასა და ბეთლემზე. მე ვარ ჩვენი მეუფის იესო ქრისტეს მსახური, რომელიც წამში აცოცხლებდა მკვდრებს. ამას მე ვაცხადებ ღმერთის სახელით, მბრძანებლისა და ბატონის ყოველი ცოცხალი არსებისა, ვისაც კი მისი სჯერა და მონათლულია მამის, ძისა და სულიწმიდის სახელით, ღებულობს ყველაფერს, რასაც იგი მოითხოვს და განიკურნება ყველა სახის ავადმყოფობისაგან“. ამის გაგონებისთანავე ქვრივი დაემხო მიწაზე და ტირილით უთხრა მოციქულს: „შეიცადეთ ჩემი ქვრივობა და უძღურება; თადგან ღმერთი, რომელსაც შენ ემსახურები, აცოცხლებს მკვდრებს, სთხოვე მას დაუბრუნოს ჩემს შვილს სიცოცხლე, ამის შემდეგ მომთხოვე რაც შენ გსურს, და მე ყველაფერს შევასრულებ, არაფერზე უარს არ გეტყვი, მხოლოდ ჩემი შვილი ვნახო ცოცხალი, რადგან იგი ჩემი ერთადერთია და სხვა არავინა მყავს“. „თუ შენ გვამს ქრისტესი, ნამდვილი ღმერთის, — უპასუხა მოციქულმა, — რასაც მას მოსთხოვ რწმენით, იგი ყველაფერს შევისრულებს...“ მან განდევნა მაშინვე ხალხი და მუსიკოსები, არ დაიტოვა არაფერი, გარდა ქვრივის და ზოგიერთი მახლობლისა; მოციქულმა აიღო ხელში ღვთისმშობლის გამოსახულება, დაასვენა იგი სადაც იწვა ბავშვი და ხელაპყრობით შევედრა ღმერთს, ლოცვის შემდეგ მოჰკიდა ხელი ბავშვს, რომელმაც თითქოს გაიდვიძაო და გადასცა იგი დედას. ამ საოცარი მოვლენის ხილვამ დამსწრეებზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა, ქვრივი კი, დაინახა რა თავისი ვაჟიშვილი გაცოცხლებული, სიხარულით დაემხო მიწაზე მოციქულის წინაშე; დაიჩოქა და მტირალა მადლიერების გრძნობის შედეგად ირწ-

მუნა იესო ქრისტე, მონათლა თავის შვილთან ერთად და აგრეთვე თავის ოჯახითურთ. მალე ქვრივმა გაგზავნა მსახურები წერილებით სამცხის მთავრებისადმი შემდეგი შინაარსით: „მე, ქვრივი, გაცნობებთ თქვენ, ჩემს ძმებს, ერთ უბედნიერეს მოვლენას ყველა ხალხისათვის. უცხო ქვეყნიდან მოვიდა კაცი, რომელიც ქადაგებდა ახალ ღმერთს და რომელსაც ხელთა ჰქონდა ზეციური არსების გამოსახლება, მან გააცოცხლა ჩემი შვილი. საჩქაროდ მოდიეთ, მივიღოთ უკეთესი ღვთისმსახურება და დავაღვინოთ, რა უნდა ვაკეთოთ“.

ამ ახალი სასწაულის შედეგად მესხეთი სასწრაფოდ შეიკრიბნენ ყველა მეზობელი ქვეყნიდან და ხალხი იმდენად მრავალრიცხოვანი მოგროვდა, რომ მოლიანდ გაივსო საკრის ველი. მათ არ შეეძლოთ ეზიდათ ქვრივის შეილის დაბრუნება საფლავიდან გაუკვირვებლად. ამ მხარეში კიდევ იყო სხვა საყდარი კერპებით, სადაც ისინი ასრულებდნენ საკულტო წესს უწმინდური ღმერთების არტემიდესა და აპოლონის მიმართ. იქაური ქურუმები გახდნენ მოწმენი, თუ რა ხდებოდა და შურისძიების სურვილით აღვივებულთ, დაიწვეს წინააღმდეგობის გაწევა მოციქულის მიმართ. ამასთან ხალხში ზოგი ამბობდა: „ასეთი სასწაულის წინამე მიწაზე უნდა დავემხოთ“; სხვები კი: „არტემიდე და აპოლონი დიდ ღმერთები არიან“. მათში სუფევდა დაბნეულობა და შეუთანხმებლობა იმ ზომამდე, რომ ხალხმა მიიღო მოციქულის შემდეგი წინადადება: „გაადეთ, — ამბობდა იგი, — ამ ტაძრის კარი და ხატი დაეასვენოთ თქვენ კერპებს შორის. კარი ჩაკეტეთ ორივე მხრიდან და დაეაყენოთ ყარაულები. თქვენ გაატარეთ ღამე ლოცვაში თქვენი ღმერთების წინაშე; ჩვენც ვილოცებთ ნამდვილი ღმერთის იესო ქრისტეს წინაშე და ვინაზეთ თუ რა მოხდება გათენებისას; თუ გაიმარჯვა თქვენმა ღმერთმა, მაშინ მას თაყვანი უნდა ვსცეთ. მაგრამ თუ გაიმარჯვა

ჩვენმა ღმერთმა, მას ჩვენ ყველა უნდა დავემორჩილოთ“.

ასეთი პირობის მიღების შემდეგ წმიდა მარიამის ხატი დაასვენეს კერპებს შორის, ჩაკეტეს კარი, დააყენეს ყარაულები და ქურუმებმა იწყეს ლოცვა, წმიდა მოციქული კი მიმართავდა თავისი ლოცვებით იესო ქრისტეს, ნამდვილ ღმერთს. გათენებისთანავე გააღეს ტაძრის კარი და ნახეს კერპები მიწაზე დამხობილნი, მტკვრად ქცეულნი, მაშინ როცა ღვთისმშობლის ხატი ბრწყინავდა დადებით, როგორც მზე. მაშინ შერცხვენილმა ქურუმებმა თავიანთი უმეტრებასათვის ბოდიში მოიხადეს მოციქულს წინაშე და ხალხი კი, მაღლიერების ხმა-მაღალი შემახილებით, ამბობდა: „დიდი ქრისტიანების ღმერთი, რომელზედაც გვეუბნება ანდრია მოციქული“. ყველამ ირწმუნა ჩვენი მუფე იესო ქრისტე. იმ დღეს ხალხი, აღფრთოვანებული სიხარულით, მადლობას უხდოდა ღმერთს, რომელმაც გადაარჩინა იგი ღმერთისაგან.

წმიდა მოციქულს კიდევ უნდოდა წასვლა სხვა ქალაქებსა და სოფლებში იესო ქრისტეს სახელის სადიდებლად, მაგრამ ქვრივმა და ხალხმა სთხოვეს არ წასულიყო და ყოველდღე ესწავლებინა სარწმუნოების წესები. რათა ესიამოვნებინა მათთვის, იგი მართლაც დარჩა რამდენიმე ხნით, უხსნიდა მათ რწმენისა და რელიგიის წესებს, დასხა ერთი ეპისკოპოსი, მღვდლები და დიაკვნები. მას უნდოდა სხვაგანაც წასულიყო საქადაგებლად, ქვრივი და ხალხი კი ევედრებოდნენ არ დაეტოვებინა ისინი, მაგრამ წმიდა ანდრიამ მათ უპასუხა: „საკვიროა, რომ სხვა ქალაქებსა და სოფლებსაც გავაცნო მაცხოვრის სახარება“. „შენ თუ წახვალ, — სთხოვეს მათ, — დავციტოვე უწმიდესი ღვთისმშობლის ხატი მფარველად და იმედად“. „ეს ხატი, — თქვა მან, — უწმიდესი ღვთისმშობლის სახის უშუალო შეხების ანაბეჭდია“. და აუხსნა მათ ყველაფერი თუ რო-



**Mirabile Templum.**  
*Proprietaria et Amica hinc Colonia.*  
*Antea constructa est a Sancto Andrea Apo-*  
*stoli quo postea in hunc parochia functus fuit.*  
*Ab Augustino episcopo cum permissione domini hinc.*  
*Sancti patris Kirilianus dicitur f. W. 1314. Non*  
*est tamen Tempus Kirilianus hinc episcopus inter-*  
*venit et hinc cum Tempore et Tempore in con-*  
*structione postea hinc et hinc et hinc cum hinc.*  
*Sancti patris hinc et hinc et hinc et hinc et hinc.*  
*Sancti patris hinc et hinc et hinc et hinc et hinc.*  
*Sancti patris hinc et hinc et hinc et hinc et hinc.*  
*Sancti patris hinc et hinc et hinc et hinc et hinc.*

*Y. 1314*  
*Dilectus Curia Prings N. 1314*

**DE S. E. G. L. E. S. I. A**

**A**ntea Templum oblatum sancto Malthea in alio plus  
*sancti patris hinc et hinc et hinc et hinc et hinc.*  
*Sancti patris hinc et hinc et hinc et hinc et hinc.*  
*Sancti patris hinc et hinc et hinc et hinc et hinc.*  
*Sancti patris hinc et hinc et hinc et hinc et hinc.*  
*Sancti patris hinc et hinc et hinc et hinc et hinc.*  
*Sancti patris hinc et hinc et hinc et hinc et hinc.*  
*Sancti patris hinc et hinc et hinc et hinc et hinc.*  
*Sancti patris hinc et hinc et hinc et hinc et hinc.*

*J. 1314*  
*Curia hinc et hinc et hinc et hinc et hinc.*  
*Sancti patris hinc et hinc et hinc et hinc et hinc.*  
*Sancti patris hinc et hinc et hinc et hinc et hinc.*

ბიუენოს ეკლესია (დახველი საქართველო), რომლის დაარსებას მიაწერენ წმიდა ანდრიას და რესტავრაციას – იმპერატორ ალექსანდრეს, თითონელი მამა კასტელის ჩანახატის მიხედვით. შესრულებული 1635 და 1645 წლების შუალედში.

გორ მოხდა ეს, როგორ ყარეს კენჭი მოციქულებმა ამაღლების შემდეგ ქვეყნიერების მოქცევასთან დაკავშირებით, და სამცხის მხარე როგორ ხვდა წილად უწმიდეს ღვთისმშობელს მარიამს; როგორ გაგზავნა მან თავის მაგიერ საკუთარი გამოსახულება, როგორც იყო ახლა და როგორც დარჩებოდა ქვეყნის დასასრულამდე მათი მფარველობისათვის, ვინც მას თავისი ბედი დაუკავშირა. მოციქულის ამ სიტყვებზე ქვეყნმა და მესხებმა, კიდევ უფრო ბედნიერებმა იმით, რომ გაიგეს უწმიდესს შევხვდით ბედით, მადლობა მოახსენეს იესო ქრისტეს, ისევე როგორც უმწიკვლო დედამისს, მაგრამ წმიდა ხატისათვის უფრო მეტი სიყვარული გამოამჟღავნეს. ღვრიდნენ სიხარულის ცრემლებს, ეფიცებოდნენ ერთგულებასა და დაასვენეს იგი პატარა სამლოცველოში, სახელდობრ აწყურის ღვთისმშობლის სამლოცველოში, რომელსაც ახლა უწოდებენ ძველ ეკლესიას.

ამის შემდეგ წმიდა მოციქულმა ანდრიამ თავი დაუკრა ყველას მორჩილებითა და სიყვარულით, გამოემშვიდობა და წავიდა სხვა ადგილებში საქადაგებლად: ნიგალში, კლარჯეთში, არდაგანში, კოლაში, სადაც დარჩა ძალიან დიდხანს, ავრცელებდა შუქს თავისი სიტყვითა და მოძღვრებით, უმორჩილებდა ხალხს ღმერთს ნათლობის საშუალებით. იქიდან გადავიდა კლარჯეთში, პართიასა და სომხეთში, აღდგომა კი იღვესასწაულა იერუსალიმში.

მეფე აღერკმა, გაიგო რა ქართლისა და მეგრელების მიერ წარმართული სარწმუნოების მიტოვება, გაგზავნა თავისი ერის თავკაცები და ძალის გამოყენებით მოითხოვა დაბრუნებოდნენ მიტოვებულ რწმენას, მაგრამ მათ დამალეს ხატები და ჯვრები. მეფე განსაკუთრებით იყო განრისხებული კლარჯეთის ერისთავზე, რომელმაც არ დააკავა წმიდა ანდრია. სამების ღვესასწაულის ჩატარების შემდეგ სხვა მოციქულებთან ერთად სახ-

ლოვანი წმიდანი წავიდა და მათთან ერთად დადიოდა ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში, ისინი ანათლებდნენ ხალხსა და ასრულებდნენ სასწაულებს. ასე მივიდნენ ისინი საქართველოში, ტაოს მეზობელი მხარეების გავლით, ჭოროხამდე, ჩამოიარეს სოფლები, ყველგან წინასწარმეტყველებდნენ დაუღალავი თავგამოდებით, ადიდებდნენ ღმერთის სახელს და მიაღწიეს სვანეთს, სადაც მათ მთიან მთებში და ქალღმერთის მიხედვით მოციქულების ქადაგება. მათიასი დარჩა სხვა მოსწავლეებთან ერთად ამ მხარეში, ხოლო წმიდა ანდრია და სვიმონი გადავიდნენ ოსეთში და მივიდნენ ქალაქებადის სახელწოდებით პოსტაფორა და ბოსფორი, სადაც მათ დიდი სასწაულები მოახდინეს.

მას შემდეგ, რაც მოციქულებმა მრავალი ადამიანი მოაქციეს და მონათლეს, მათ დატოვეს ის ადგილები და გადავიდნენ აფხაზეთში. მიაღწიეს რა სევასტის ხეობას, ამჟამად ცხუმად წოდებულს, იქაც იქადაგეს უფლის სიტყვა, რომელიც ბევრმა მიიღო. ნეტარმა ანდრიამ იქ დასტოვა სვიმონი კანანელი სხვა მოწაფეებთან ერთად და თვითონ კი ავიდა ჯიქეთში, სადაც მოსახლეები ძალზედ ველურები და მანკიერი იყვნენ, სჩვეოდათ ორგულობა და იყვნენ სარწმუნოებას მოკლებულნი. მათ არა მარტო უარი განაცხადეს მისი ქადაგების მიღებაზე, არამედ გადაწყვიტეს მოციქულის მოკვლა. მაგრამ ის გადაარჩინა ღვთაებრივმა მფარველობამ დაინახა რა მათი სიჯიუტე და უხეში გონება, მიატოვა ისინი და წავიდა. აი რატომ დარჩა ეს მოსახლეობა აქამდე ურწმუნოებაში. სიმონ კანანელის საფლავი ნიკოფსიაშია (ანაკოფია), აფხაზეთსა და კლარჯეთს შუა, საბერძნეთის საზღვარზე, სადაც იგი ვარდაიკვალა. მას შემდეგ, რაც მოაქცია ქრისტე ანულ რწმენაზე აფხაზეთი და მეგრელები, წმიდა ანდრია გადავიდა სკვითების ქვეყანაში!



11. კროვისორ ჯავახოვის შენიშვნები  
პასუხი ამ შენიშვნებზე.

ასეთია ხალხური ტრადიცია: ჩვენ მუდამ უნდა ვცემდეთ პატივს ყველაფერს, რაც წინაპრებიდან მოდის იმ ვარაუდით, რომ მათ არც სურკილი აქვდათ ცოდნის შესაძენად და არც ერთგულება იმის შენახვაში, რაც თვით ჰქონდათ თავიანთ მამა-პაპისაგან შეთვისებული. მაგრამ არავის ჩვენთვის არ აუკრძალავს დაჟა და მკაცრი კრიტიკა ყალბისაგან სიმართლის გარჩევისა წესების გამოყენებით. ჩვენ შევამოწმებთ ამ გადმოცემას, რომელიც ორ ნაწილს შეიცავს: წმიდა ქალწულის მისია და წმიდა ანდრია მოციქულობა.

ღვთისმშობლის მისია საქართველო-სადმი ჩვენ მიგვაჩნია ნამდვილ ხალხურ ლეგენდად რამდენიმე მოსაზრებით. გარდა ქართული წყაროებისა, არც ერთი ძველი მკვლევარი, ბერძენი თუ ლათინი, არ ლაპარაკობს წმიდა ქალწულის მისიის შესახებ, რომელიც, თავის მხრივ, ყველასათვის ცნობილი ლეგენდარული თემის კარიანტია.

რაც შეეხება გადმოცემის მეორე ნაწილს, წმიდა ანდრია საქართველოში მოციქულობის საკითხს, არაფერი ამის მიღებას არ ეწინააღმდეგება. ჩვენ არ გვინდა დაუშვათ, რომ ეს ტრადიცია სრულიად თავისუფალია ჩანამატებისაგან, გადაჭარბებისაგან და სხვ. არა, ესენი არ შეიძლებოდა არ ყოფილიყო, ვინაიდან ასეთი იყო ძველი ავტორების ჩვეულება—ცვლილებების შეტანა, ჩამატებები, შევსებები, გაზვიადებები იმისა, რასაც ისინი წინაპრებისაგან თვითონ იღებდნენ. მაგრამ ჩვენ უბრალოდ ვადასტურებთ იმ ფაქტს, რომელიც მკვეთრად შედარდება ამ ვრცელ თხზულებაში წმიდა ანდრია მოციქულობაზე საქართველოში, რომელიც წარსულში გაცილებით მეტ მხარეებს მოიცავდა, ვიდრე ახლა. ჩვენ არა მარტო არ მივიჩნევთ

შეუძლებლად, არამედ ვთვლით, რომ ასეთი მისიის მოციქულს არ შეიძლებოდა არ გაეეღო საქართველოზე. მართალია ისიც, რომ ეს არაა საერთო აზრი. ერთმა ქართველმა პროფესორმა ჯავახოვმა, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, კატეგორიულად უარყო ეს გადმოცემა და მიაკუთვნა იგი ლეგენდებს<sup>2</sup>. თავის მტკიცებებს იგი ამყარებს შემდეგ ფაქტებზე, რომლებიც მოგვყავს ქვემოთ:

1. რუფინის (+395) ისტორიაში, სადაც ლაპარაკია საქართველოს მოქცევაზე წმიდა ნინოსაგან, წმიდა ანდრია ნახსენები არაა.

2. პეტრე იბერის (ქართველის) (+523) ცხოვრებაში, რომელიც იყო მაიმუნის ეპისკოპოსი ლაზახსთან პალესტინაში, არ არის მოხსენებული წმიდა ანდრია მისია.

3. საქართველოს მოქცევაშიც (დაწერილი VII და VIII საუკუნეებში) არ არის ამის შესახებ არავითარი ცნობა.

4. წმიდა ნინოს ცხოვრების აპოკრიფულ შესავალში (VIII ან IX საუკუნე), ნათქვამია:

„ჩვენ ვისწავლეთ შენგან, რომ სანამ ღმერთი გამოგვეცხადებოდა დედამიწაზე, იყვნენ ქვეყანაზე წინასწარმეტყველები, შემდეგ თორმეტი მოციქული და სამოცდათორმეტი მოწაფე და მაინც ღმერთს ჩვენთვის შენს მეტი არავინ გამოუგზავნია“.

5. ქართველებმა, IX საუკუნემდე, არაფერი იცოდნენ წმიდა ანდრია მოციქულობის შესახებ. მათთან კამათს, რომელსაც აწარმოებდნენ წმიდა მამები ათონის მთიდან, პალესტინიდან და სხვა, უნდა დაეცვა მათი ეკლესიის დამოუკიდებლობა ბიზანტიური სამღვდლოების წინააღმდეგ და ამიტომ მიაყრეს, მათი ყურადღება წმიდა ანდრია მისიისაკენ და ამიტომ დაიწვეს მისი უქმო-

ბა განსაკუთრებული ზეიმურობით. ამ რატომ მოხდებოდა ქართველებში წმიდა ანდრიას მოციქულობის უეცარი გავრცელება: ეს არის დაახლოებით მისი მსჯელობის არსი.

ამ არგუმენტების უარსაყოფად გვეყოფა სულ რამდენიმე სიტყვა.

1. ეს მართალია, რომ რუფინის ისტორიაში არაფერია ნათქვამი წმიდა ანდრიაზე; მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ თხრობაში ლაპარაკია მთლიან მოქცევაზე; მოქცევაზე, ასე ვთქვათ, ოფიციალურზე. მართლაც, მეფე ბაკური უბრალოდ უყვება რუფინს თავისი პაპისა და მისი თანამემამულეების მოქცევაზე წმიდა ნინოს მიერ, და გაკვრითაც არ ახსენებს იმ დროს, რომელიც წინ უსწრებდა წმიდა ნინოს მოსვლას და არც იმ დროს, რომელიც მას მოჰყვა, და თანაც არაფერს არ მოსვლია აზრად ეთქვა, რომ თითქოს წმიდა ანდრიამ ქართველი ერი მთლიანად მოაქცია თავის მეფით და საბოლოოდ დაამკვიდრა ქრისტიანობაო. ამრიგად ცხადია, რომ ამ მოკლე მოთხრობას, რომელსაც ქართველი ბატონიშვილი მოუყვა რუფინს, არაფერი აქვს საერთო იმ ქადაგებასთან, რომელიც წმიდა ანდრიამ ჩაატარა საქართველოში და ამიტომ ამ საკითხის ირგვლივ აღნიშნული სიჩუმე არ იძლევა საფუძველს მისი უარყოფისათვის.

2. პეტრე იბერის ცხოვრებას (თანაც აპოკრიფულს) არა აქვს უთუო კავშირი წმიდა ანდრიას მისიასთან, იქ ლაპარაკია საქართველოს მოქცევაზე, მაგრამ აქ, როგორც რუფინის ისტორიაში, საკითხი ეხება საერთო და საბოლოო მოქცევას. ამრიგად, ამით არავითარი დასკვნის გამოტანა არ შეიძლება წმიდა ანდრიას ქადაგების შესაძლებლობის საწინააღმდეგოდ.

3. ყველაზე დამაჯერებელი მტკიცება, რომელსაც ემყარება ჯავახოვი, არის ის, რაც ამოღებულია „საქართველოს მოქცევიდან“. ეს ხელნაწერი, აღმოჩენილი სულ ახლახან, შეიცავს მხოლოდ

14 ფურცელს და ერთ ქრონიკას, რომელიც იწყება ალექსანდრე დიდიდან და გრძელდება IX საუკუნემდე აკლია ერთი ფურცელი, სწორედ ის, რომელშიც უნდა ყოფილიყო მოსახლეობის მოქცევის დაწვრილებითი ცნობები და აგრეთვე ცნობები წმიდა კვართზე. არაფერი არ გვიკრძალავს დავუშვათ, რომ სწორედ ამ ფურცელზე იქნებოდა ცნობები წმიდა ანდრიას შესახებ. მაგრამ დავუშვათ, რომ ამ დაკარგულ გვერდზეც არ არსებობდა არავითარი ხსენება ამ წმიდანისა, განა შეიძლება ამით წმიდა ანდრიას მოციქულობა საქართველოში გავუტოლოთ ლეგენდას? ჩვენ ეს არა გვჯერა. ამ ისტორიაში ალბათ საკითხი ეხება ისევ ქართველი ერის მთლიანსა და საბოლოო მოქცევას წმიდა ნინოსაგან, და არა იმას, რაც მოხდა მის წინ და ქადაგების შედეგად. აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ ამ მოკლე თხრობაში ქრისტიანობაზე იწყება ლაპარაკი მხოლოდ კონსტანტინე დიდის მოქცევისა და ნათლობის შემდეგ, ყოველგვარი გაკვრითი ხსენების გარეშე ქრისტეს მოსვლასა და მოციქულების ქადაგებებზე. ამრიგად, არაფერია გასაკვირი იმაში, რომ არაა ნახსენები აქ წმიდა ანდრიას მისია საქართველოში.

4. არგუმენტი, ამოღებული წმიდა ნინოს ცხოვრების აპოკრიფული შესავლიდან არ არის სერიოზული. მართლაც, სარწმუნოა, რომ ეს შესავალი შედგენილია წმიდა მანდილოსნის პატივსაცემად და იმისათვის, რომ მას მიეკუთვნოს მთელი დიდება და სახელი ქრისტიანობის გავრცელებისათვის და არა ისტორიული სიმართლის ჩვენებისათვის. არ არის მართალი, თითქოს წმიდა ნინოს მოსვლამდის საქართველოში არ იცოდნენ წინასწარმეტყველებისა და მოციქულების არსებობა და იესო ქრისტეს მოსვლა, რომ არაფერი ვთქვათ ჩამოტანილი წმიდა კვართის შესახებ საქართველოში, როგორც ჩვენ ეს ვნახეთ წინა თავებში, ქართველები იცნობდნენ



პალესტინაში მომხდარ თითქმის ყველა მთავარ მოვლენას მრავალი ებრაელის წყალობით, რომლებიც ცხოვრობდნენ საქართველოში მოყოლებული VI ან V საუკუნიდან ქრისტეს დაბადებამდე ანდა დასახლდნენ იქ ტიტუსის მიერ იერუსალიმის დანგრევის შემდეგ (70 წელს)<sup>3</sup>. ამის დამამტკიცებელი ყველაზე უტყუარი საბუთია ქართული მეფეების ბაგრატიონების დინასტია, ებრაელთა რასის შთამომავალთა არსებობა. როგორც ამის შესახებ ზემოთ ვთქვით, ისტორიულ და პოლიტიკურ შენიშვნებში საქართველოს ებრაელები მუდმივ კავშირში იყვნენ იერუსალიმისა და პალესტინის ებრაელებთან. დასასრულ, განა დასაშვებია მივიანიჭოთ მტკიცების ძალა ზემოხსენებულ გამოთქმას, როცა თვით ჯავახოვი აღიარებს, რომ ეს გამოთქმა ნამდვილად აპოკრიფულია?

5. არც ჯავახოვის უკანასკნელ მოსაზრებას აქვს მეტი ფასი. დაეუშვათ, რომ ქართველმა წმიდა მამებმა პალესტინაში ან ათონის მთაზე ნამდვილად მიაპყრეს წმიდა ანდრიას მისიას ყურადღება მხოლოდ იმისათვის, რომ რამეთი დაესაბუთებინათ ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა ბერძნების შემოღობვის საგან. ამის შემდეგ მათ უნდა ეპიკანათ მტკიცებები თავიანთ სასარგებლოდ ბერძნების ან აღმოსავლეთის მწერლებთან.

განა მათ შეეძლოთ ფასი დაედოთ ცუდად ჩამოყალიბებული ან განზრახ შეთხზული არგუმენტებისათვის, ეს ხომ ხელს შეუწყობდა მათ მოწინააღმდეგეებს, ბერძნები მაშინვე გამოაშკარაებდნენ მტკიცებების სისუსტეს. არაფერი არ გვაძლავს ვიფიქროთ, რომ ვერ გააჩნებდნენ ყალბ საბუთებს მართლებისაგან. ამასთან ერთად ძნელია დავეჯეროთ, როგორც ამაში ჯავახოვი გვარწმუნებს, თითქოს ლეგენდა წმიდა ანდრიას მოციქულობაზე უტბათ გავრცელებულიყოს საქართველოში IX საუკუნეში. ეს იმის ნიშანი იქნებოდა დაგვეშვა, რომ წმიდა მამები ყოფილან დიდი თაღლითები და ქართველები კი გულბრუნვილო ერი, ჩვენ არა გვაქვს არავითარი საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ასეთ შეფასებას იმსახურებენ ან ერთი, ან მეორენი.

დაუშვათ, რომ საქართველოში მრავალ სოფელსა ჰქვია წმიდა ანდრიას სახელი. ამ სახელის გავრცელებას არ ექნებოდა ადგილი, მოციქულობის ქადაგების იდეა ერთბაშად რომ წარმოჩენილიყო<sup>4</sup>.

ჩვენ არ გვსურს შევჩერდეთ ამ საკითხზე მეტ ხანს. რაც ვთქვით, სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ ვაჩვენოთ ჯავახოვის არგუმენტების უსაფუძვლობა.

**III. მწარლობის ცნობები წმიდა ანდრიას მიხიის შესახებ. ცნობები ზოგიერთი მოციქულის მიხიის შესახებ**

ჩვენ არა გვაქვს განზრახული ჩამოვთვალოთ ის ქვეყნები, რომლებიც წმიდა ანდრიამ გააქრისტიანა; შევეხებით მხოლოდ იმას, რასაც რაიმე კავშირი აქვს საქართველოსთან. ამრიგად, ავტორები, ძველი თუ თანამედროვე, ერთსულოვნად ამტკიცებენ, რომ წმიდა ანდრიამ გააქრისტიანა სკვითები.

როცა წმიდა მოციქულები და ჩვენ

მაცხოვრის მოწაფეები მოეფინნენ მთელ დედამიწას, თომამ მიიღო პართია და ანდრიამ კი სკვითეთი, როგორც ეს ზემოთ იყო ნათქვამი.

იოსები თავის საეკლესიო ისტორიაში იმეორებს ამ მტკიცებას ორივენივე დაყრდნობით<sup>5</sup>.

წმიდა ოშერი (Euschère) ლიონის ეპისკოპოსი (+ 449), წერს:

6. „რელიგია“ № 1-2

წმიდა ანდრიამ თავისი ქადაგებით მოათენინებდა სკვითები<sup>7</sup>

წმიდა ისიდორე (+ 639).

წმიდა ანდრიას, ქადაგებისათვის, წილად ერგო სკვითეთი და ახაი (I' Achaie)<sup>8</sup>.

ნიკიფორე კალისტე:

წმიდა ანდრია გაიგზავნა საქადაგებლად შემდეგ ქვეყნებში, რომლებიც მას კენჭის ყრამ არგუნა: კაპადოკია, გალოთია და ბითონია. იქიდან იგი წაიღო ანთროპოფაგებთან და სკვითებთან<sup>9</sup>.

ეს დასტურები საკმარისია. ამ ნაწილში საწინააღმდეგო აზრი არ არსებობს. ჯერ გავერკვეთ იმაში, რომ საქაოდ ხშირად ძველებს ერთმანეთში ეშლებათ ქართველები და სკვითები და მიიწვევდნენ მათ ერთსა და იმავე მხარეში მცხოვრებად ანდა სთვლიდნენ სკვითების მეზობლად<sup>10</sup>. მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თუ წმიდა ანდრია ქადაგებდა სკვითეთში, მას უნდა ექადაგნა საქართველოშიც.

შემდეგ, თუ წმიდა ანდრია წაივლიდა სცითეთში, რა გზა უნდა აერჩია მას? არავითარი საფუძველი არ გვაქვანია დავეუვათ, თითქოს მოციქულმა შორიდან მოიარა ხმელეთითა და ზღვირ იმისათვის, რომ სკვითეთში მისულიყო. ყველაზე ბუნებრივი გზა მისთვის საქართველოზე გადიოდა. ქართული ტრადიციული თქმულება, რომელიც ზემოთ იყო მოყვანილი, მართლაც იმას მოწმობს, რომ წმიდა ანდრიამ, მას შემდეგ რაც იქადაგა საქართველოში, გადაიანაცვლა სკვითეთში. მოციქულის მიერ გავლილი სხვა გზის ბინისშეზღობისათვის საჭიროა უტყუარი საბუთების არსებობა, რომლების სისწორეც არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

სხვა დაამატკიცებელი საბუთების გარეშეც მოყვანილი სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ დადასტურდეს წმიდა ანდრიას ქადაგების ჩატარების სინამდვილე საქართველოში. მაგრამ ჩვენ ამ საკითხის კიდევ დამატებით დასადასტუ-

რებლად მრავალი სხვა საბუთიც მოგვეპოვება. მოვიტანთ ზოგიერთ მათგანს.

წმიდა მამა ეპიფანე (+ 780) ასე გამოთქვამს თავის აზრს წიგნში „წმიდა ანდრიას ცხოვრება“.

წმიდა ეპიფანე, კვიპროსის ეპისკოპოსი, აღასტურებს, ტრადიციის შესაბამისად, რომ მოციქულმა წმიდა ანდრიამ იქადაგა სკვითებთან, სოგდიანებთან, გორსინოებთან, დიდ სებასტოპოლში, სადაც მღებარეობს აპსარის დიდი სიმაგრე (ეს უნდა იყოს დიდი აფხაზეთი, ე. ი. დასავლეთ საქართველო), ჰისის ნავსადგური, მდინარე ფაზისი, სადაც ცხოვრობდნენ იბერები (ქართველები) და რუსები, ფუსტები და ალანები ამის დამამტკიცებელი საბუთები ხელთა გვაქვს<sup>11</sup>.

წმიდა ეპიფანე, დაბადებული დაახლოებით 310 წელს და გარდაცვლილი 403 წლის 12 მაისს, რომელიც იყო კონსტანტის (ძველი ხალამინი) და კუნძულ კვიპროსის მიტროპოლიტი თილემონში, გვაუწყებს შემდეგს:

სოფრომმა, რომელიც ცხოვრობდა წმიდა იერონიმეს დროს, თარგმნა ბერძნულად ამ მამის რამდენიმე ნაშრომი და, მათ შორის, როგორც ფიქრობენ, სასულიერო მწერალთა კატალოგი, რომელსაც დაამატა მსგავსი მასალა მოციქულბზე ამ დანამატში კეთიხულობთ, რომ წმიდა ანდრიამ იქადაგა სკვითეთში, სოგდიანში, და დიდ ქალაქ სებასტოპოლში, ხანსონში, ფაზისის ახლოს კოლხეთში<sup>12</sup>.

ნიხეტას პაფლაგონიელმა (მეტსახელად ფილოსოფოსი დაიოთი), დაწერა შემდეგი ქება:

თქვენ, წმიდა ანდრიაე, ღირსო ჩემი დიდი პატივისცემისა, ღმერთისთვის ხაზიამონოვ, ნამდვილი ხიმაძაცის ნიშნო, რომელსაც აგრერივად გიყვართ ტანჯვა და მოთმინება. პეტრეს შემდეგ თქვენ ბრძანდებით ის სიმაგრე, ვისთვისაც იესო ქრისტემ შექმნა მტკიცე ბალაური ეკლესიის საფუძვლის მოსაწყობად, თქვენს წილად თქვენ მიიღეს

ჩრდილოეთის ქარის ქვეყანა და იბერე-  
ბის, სარმატების, ტორიენების და სკვი-  
თების ქვეყნები, თქვენ მოიარეთ ევქ-  
სინის პონტოს მთელი მხარე ჩრდილო-  
ეთიდან სამხრეთამდე და მოსაზღვრე  
ქვეყნები ქადაგებითა და ქრისტეს სახე-  
ლის ქება-დიდებათ<sup>13</sup>.

პროფესორმა ჯავახოვმა გააკრიტიკა  
ეს მწერალი. არა გვგონია რომ ავტორი  
სცდებოდეს, ყოველ შემთხვევაში იმ  
ნაწილში, რომლის გამოც იგი მოვიხსენ-  
იეთ, რადგან ნისეტას ბიოგრაფიაში  
ჩვენ ვხვდებით ასეთ შენიშვნას: (ნისე-  
ტას) ეს ცნობები სხვა მოციქულებზე  
დამყარებულია იმაზე, რაც მათ საბუთე-  
ბში მოიპოვებოდა, მაგრამ იგი ამ მასა-  
ლას ეყრდნობოდა მხოლოდ შერჩევით  
და არ იყენებდა არაფერს ისეთს, რაც  
მას მიაჩნდა საქველად<sup>14</sup>.

სხვა მწერალი ასე აგვიწერს მოცი-  
ქულის მისიას:

V საუკუნის და მომდევნო წლების  
ავტორები გვაუწყებენ, რომ სულიწმიდის  
მოქლინების შემდეგ იგი (წმიდა ანდრია)  
წაიდა საქადაგებლად დიდი აზიის ქვე-  
ყნებში, განსაკუთრებით კი სოვდიანში,  
კოლხეთში (დასავლეთ საქართველო) და  
საკების ქვეყანაში. იოსებმა განაცხადა,  
რომ მან ორიმენის ნებართვით სკვითე-  
ბის ქვეყანაში ზალზს გააცნო სახარებაჲ  
მის შემდეგაც ბევრმა იქადაგა ამ ქვეყანა-  
ში, მოციქულები წარმატებით ლაპარა-  
კობდნენ იმ ენაზე, რომელიც გასაგები  
ყო ევროპის ხალხებისათვის. როგორც  
ჩანს, იქიდან მოციქულმა მცირე აზიაში  
გადინაცვლა, განსაკუთრებით კი პონ-  
ტოს მხარეში იჩინა თავი მისმა მოღვა-  
წეობამ, სადაც ქალაქმა სინოპმა, სხვათა  
შორის, გაიხსენა მისი ქრისტიანობა და  
სადაც დარჩა წმიდა ანდრიას ყოფნის კვა-  
ლი და აგრეთვე იქაური ქრისტიანული  
ტრადიციების ნიშნები: იქიდან წმიდა ან-  
დრია საბერძნეთს გადავიდა, რასაც მრავალი  
წმიდა მამა ადასტურებს<sup>15</sup>.

ჩვენ გვგონია, რომ საკმარისი უნდა  
იყოს მოყვანილი მტკიცებები. არც ერთ

ნახსენებ ავტორს საქართველოსადმი მა-  
კერძობების მიზეზი არ გააჩნია. მათ აღ-  
ნუსხეს ის, რაც წაიკითხეს და გაიგონეს  
და რასაც სარწმუნოდ სთვლიდნენ.

აპოკრიფული ცნობებიც კი წმიდა  
ანდრიაზე თვითონ შეიცავენ ღირშესანი-  
შნავ მასალებს ამ საკითხზე. მათ ავტო-  
რებს, რომლებსაც არ ჰქონიათ შესაძლე-  
ბლობა კავშირი დაემყარებინათ საქარ-  
თველოსთან, ხელთ ექნებოდათ მტკიცებე-  
ბი, რაკი მიაწერეს წმიდა ანდრიას ქადა-  
გების ჩატარების ფაქტი საქართველოში.

ზოგი ქართველი და ბერძენი მწერა-  
ლი აცხადებს, რომ საქართველოზე გაუ-  
ვლია არამდენიმე მოციქულსა და მიუთი-  
თებენ წმიდა სვიმონ მოციქულის საფ-  
ლავის არსებობაზე აფხაზეთში (დასავ-  
ლეთ საქართველო). ამაში ვერაფერს  
ვხვდეთ შეუძლებელს, ვინაიდან ეს ცნო-  
ბა ემთხვევა ქართულ ტრადიციას ამ სა-  
კითხზე<sup>16</sup>.

უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველო  
(უფრო სწორად, მოლიანად კავკასიის  
მხარე) ხსნილი იყო, უძველესი დროი-  
დან, ძველი ხალხების ვაჭრობისათვის.  
ამიტომ იგი იზიდავდა მრავალ უცხოელს  
და წარმოადგენდა გზას დიდ აზიაში გა-  
დასასვლელად<sup>17</sup>.

ნუ დავივიწყებთ, რომ ამ ქვეყნის  
ორი უდიდესი მდინარე — რიონი (ფაზი-  
სი) და კურა (კურუსი, მტკვარი), ამ  
დროს გამოსადეგი იყო ნაოსნობისათვის,  
ისე რომ ნაწილობრივ წყლით შეიძლე-  
ბოდა მგზავრობა შავი ზღვიდან კასპიის  
ზღვამდე. დღესაც კი ინგლისელები  
ფლობენ კავკასიაში სატელეგრაფო  
ხაზს, რომელიც ხმელეთით აკავშირებს  
ინდოეთს ევროპასთან.

ამ თავს ვამთავრებთ ქებით წმიდა ან-  
დრიას მიმართ, რომელიც ამოღებულია  
ქართული ეკლესიის ძველი საგალობე-  
ლი წიგნიდან:

ვადიდით მოციქული ანდრია, რომე-  
ლმაც მოგვიტანა უწმიდესი ქალწულის  
ხატი და რომელმაც ჩვენ გაგვათავისუფ-  
ლა წარმართობისაგან და შეგვაყვარა  
მამა, ძე და სულიწმიდა<sup>18</sup>.

## შენიშვნები

1. „საქართველოს ისტორია“, მ. ბროსეს თარგმანი (ფრანგულ ენაზე), ტ. I, გვ. 55-61.

2. „მოამბე“, თბილისი, 1900, № 6, გვ. 35-50 (ქართულ ენაზე).

3. ე. თაყაიშვილი, „სამი ისტორიული ქრონიკა“, თბ., 1890, გვ. 9.

4. ჩვენ აქ მოგვყავს ერთი ძველი ეკლესიის გრაფიურა, რომლის ამგებად თვლიან წმიდა ანდრიას, ამასთან ვურთავთ რამდენიმე ამონაწერს ერთი მოგზაურის მოგონებებიდან, ამ ძველს რომ ეხება:

„ჩვენ ეკლესიაში შევდივართ ნგრევის პირზე მისული კარით, იგი დატანებულია დაზარულ კედელში, აგებულია ოთხკუთხედად და მე უკვე ვუყურებ ყველაზე უფრო გრანდიოზულ და მშვენიერ ნანგრევებს, როგორც კი ოდესმე მინახავს, ჩემთვის ამ ნაგებობის შესახებ უამბნიათ აღფრთოვანებით, მაგრამ სინამდვილეშ მოლოდინს გადააჭარბა. ეს კეთილშობილური და გაბედული სტილი გვაოცებს აფხაზეთის ევლურ გარემოებაში. სამი მხრიდან აგურის გუმბათი ეფრდნობა მაღალ ფრონტონებს, აღმოსავლეთით სამი საკალობელი ადგილი აღნიშნულია წინ წამოწეული ნახევარი მრგვალი მინაშენით ისე, როგორც არის კიევის წმიდა სოფიის ეკლესიაში და საერთოდ ბიზანტიურ ეკლესიაში. ნაგებობის ამ ნაწილში ჯერ კიდევ ვერ მივალწიეს ისეთ ელევანტურობას, როგორც შეიმჩნევა სომხურსა და ქართულ ეკლესიებში.

რაც ყველაზე შთამბეჭდავია და რაც ამ ეკლესიას ანიჭებს განსაკუთრებულ მშვენიერებას, ეს არის მასალებს უცნაურა ნარევი, რომელიც დაშუბებულია კონსტრუქციებში. ცოკოლი რამდენიმე ნაბიჯის სიმაღლისაა და ნაკეთებია ნათალი ქვისაგან, აქედან სახურავამდის მონაცვლეობით დატანებულია ფართო ზოლები, რომლებიც სარტყელივით ეკვრიან

ეკლესიას, წითელი აგური სამ ან ოთხ მწკრივად და უბრალოდ დამუშავებული გაგრის კირქვა.

ამ გრანდიოზულ, მარტივ სტილს, მასალების ამ უცნაურ შერევას დაუმატეთ სურო, რომელიც აღწევს აგურის ლავგარდანს, ის ვაზი და ის კატაბარდა, რომელიც გადადის კედლებზე, ის მშვენება, ის ბროწეულის ხეები, ის ლედვის ხეები, რომლებიც ამოსულან ნაგებობის აღებაზე და რომლებიც გუმბათის ჯვარსაც კი ფარავენ, ის ისწლიანი თელები, რომლებიც ჩრდილავენ ეკლესიის ნაწილს, მისი ძველი კედლები, რომლებიც მას არტყია გარს, დიდი კავკასიონის ქედი, რომელიც მოჩანს მხედველობის არეში და თქვენ აღარ გაგიკვირდებათ ის აღტაცება, როგორცაა განიცდიანი ისინი, ვინც ეწვევიან პიცუნდის მონასტერს, ვინაიდან მას ასე უწოდებენ“.

\* Dubois de Montpéroul, loc. cit., t. I, p. 223.

5. „წმიდა მოციქულნი და მოწაფეთაგანი მაცხოვრისა ჩვენისა მოყვინლნი არიან მსოფლიოს, გადმოცემის (ტრადიციის) თანახმად, თომას წილად ხვდა პართია, ხოლო ანდრიას – სკვითეთი“. „Comment. sur la genèse“, Migne, p. g. t XII, col. 92.

6. Migne, P. g., t. XX, col. 214.

7. „ანდრია სკვითეთში ქადაგებდა და ლოცულობდა“.

(მე-7 და მე-8 შენიშვნები იტალიურადან თარგმნა ზაირა სტურუამ, მ. ე.).

„Instructionum“ lib. I, Migne, P. L., t. I, col. 809.

8. „ანდრიას... წილად ხვდა ქადაგება სკვითეთში მდინარე აკაიშის მახლობლად“, „De Orte et Obitu Patrum“, Migne, P. L., t. LXXXIII, col. 151.

9. „ამის შემდეგ ანდრია... ბედით ამ ტომში გაიგზავნა, კაპადოკია, გალატია და ბითინიელთა (მიწა) სწორედ მას ხვდა წილად, მივიდა (ქვეყანაში), რომელსაც ზოგნი კაცობამებისას უწოდებდნენ, ზოგნი სკვითთა ულაბნოს“. (მე-9, მე-



11. მე-13 და მე-16 შენიშვნები ბერძნულიდან თარგმნა ჯულიეტა შოშიაშვილმა, მ. ვ.)

Migne, P. g., t. CXLX, col. 860, cf. Baronius, „Annal Ecclesiast“, an. 44, n. XVI, t. I, p. 293.

10. Cf. Strabon, XI, 3.

11. „კობროსის წმიდა ეპისკოპოსის, ეპიფანეს თქმით და გადმოცემის მიხედვით, ნეტარმა მოციქულმა ანდრიამ განათლა სკვითთა, კოსოვდიანუს და გორსინუს, სებასტოპოლისი დიდი, სადაც არის ბანაკი (ციხე-სიმაგრე). აფსაროსის და ჰუსოს ნახსადგური და მდინარე ფაზისი. აქ ცხოვრობენ იბერები, სუსები, ფუსტები და ალანები. ეს საბუთები ჩვენ ხელთ გვექონდა და გაუგებრობით ხატომებრილობათან ურთიერთობას“... Migne, P. g., t. CXX, col. 221, cf. Le Quien, „Oriens Christianus“, t. I, col. 1334.

12. Tillemont, „Memoires pour servir à l'histoire ecclésiastique“, Paris, 1701, t. I, p. 319, — Cf. Baron, an. 44, n. XXXI, t. I.

13. „შენ კი წმიდაო ანდრია, საქმეო ღირსეულო, ჭეშმარიტი სიამამისნიშო, ქედუხრულად მტკიცეე, მოთმინების სიამამეე და კლდეო ზედა კლდეო და ქრისტეს შემდგომ სწორედ გაუტეხელო ეკლესიის სამირკველო, ჩრდილოეთა გვხვდება წილად, იბერები და სავრომატები, ტაურები და სკვითები და ყოველი ხოფელი და ქალაქი, რომელიც ევქსინის პონტოს ჩრდილოეთით იმყოფებიან და სამხრეთითაც არიან განლაგებულნი“. Migne, P. g., t. CV, col. 64.

14. Migne, „Deuxieme encyclopedie theologique“, t. XXIII, P. I, p. 42.

15. Baillet, „Les Vies des Saints, 1704, t. III, col. 462-463.

16. „და სულთმოფენობის შემდგომ, ანდრია და სვიმონ კანანელი და მათია და თადეოსი დარჩნენ იქ ავგარონის წინაშე. ხოლო დანარჩენები ქალაქებში ქადაგებითა და სასწაულთა ქმედებით მო-

ვიდნენ იბერიასა და ფაზისში და ერთი დღის შემდეგ სუსანისში... ხოლო დარჩა მათია მოწაფეებითური სოფლებში, ასწავლიდა და მრავალ სასწაულთ იქმოდა. სვიმონი და ანდრია კი მოვიდნენ ხალონიაში და ფუსტების ქალაქმა, მრავალიც საკვირველი საქმე ქმნეს და მრავალიც დაიმოწაფეს. მოვიდნენ აბაზგიაში, შეაღწიეს რა სებასტოპოლს დიდში, იქადაგეს ღმერთის სიტყვა. ანდრიამ დატოვა სიმონი იქ, თვითონ კი მოწაფეებითური წავიდა ზეკხიაში. ზეკხები უხეში და ბარბაროსი ადამიანები იყვნენ, ამიტომაც ახლაც ნახევრად სანდონი არიან. განიზრახეს ანდრიას მოკლა, მისი სიმწირისა, სიმართლისა და ასეკტობის გამო... და შემდგომ დაუტევა ისინი და მოვიდა სუგდაიუსში... არის საფლავი ნიკოფსიაში წარწერით სვიმონ კანანელისა, მისი ნეშტის შემცველი“. Le moine Epiphane (t. 969), Migne, P. g., t. CXX, col. 214-244.

17. ერთ-ერთ მოხსენებით ბართომი, რომელიც თითონებრმა მამა ა. ლამბერტიმ გაგზავნა რომში 1634 წლის 29 ივნისს, ამ საკითხის შესახებ ვკითხულობთ: „...გადმოცემის თანახმად, აფხაზეთში მრავალი ეკლესია იყო. აქედან ყველაზე დიდ ეკლესიაში ყოფილა ორი მოციქულის საფლავები, რომელთა კვალიც ამჟამად აღარა ჩანს. ეკლესია წმ. ანდრიას სახელობისაა და ხსენებული მოციქულნი აქ ქადაგებდნენ“.

(იტალიურიდან თარგმნა მერი ტიტვინიძემ, მ. ვ.)

Arch. de la Prop. „Persia, Georgia, Mingrelia e Tartaria“, t. CCIX, p. 359.

18. კარბელაშვილი, „ქართული ხალხური სასულიერო გალობანი“, თბილისი, 1893, გვ. 37.

ფრანგულიდან თარგმნა მ. ვარაზაშვილმა



# საქართველოს საპატრიარქო და მისი ავტოკეფალია\*

საქართველოს ეკლესია ერთ-ერთი უძველესია ქრისტიანულ ეკლესიათა შორის. იგი შეიქმნა IV ს. 30-იან წლებში, როცა ქართლის (იბერიის) სამეფოში მირიან მეფის დროს ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. იბერიის სამეფო კარისა და მოსახლეობის გაქრისტიანების საქმეს დიდი ღვაწლი დასდო ქართველთა განმანათლებელმა წმ. ნინომ. მაგრამ საქართველოში ქრისტიანობის ქადაგება და გავრცელება ამაზე გაცილებით ადრე დაწყებულია. პირველ მქადაგებლებად დასაველეთ საქართველოში მოსულან მოციქულები წმ. ანდრია და წმ. სვიმონ კანანელი. შავი ზღვის სანაპირო ქალაქებში IV ს-ში უკვე საეკლესიო ორგანიზაციაც არსებობს, სადაც ქრისტიანულ მრევლს ბერძენ მოახალშენეთა გარდა ქართველი მოსახლეობაც შეადგენდა. ქ. ბიჭვინთის (ბერძ. ბიტიუსი) ეპისკოპოსი სტრატოფილოსი და ქ. ტრაპეზუნტის ეპისკოპოსი დამნუსი იხსენიებიან ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრების (326 წ.) მონაწილეთა შორის.

საქართველოს ეკლესიის ისტორია მისი დაარსების დღიდან მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყნის სამოქალაქო-პოლიტიკურ ცხოვრებასთან,

ეკლესიის აღმაშენებელ თუ დაღმავალ გზას. ცვლილებებს მის შინაგან ცხოვრებაში განსახდერავდა ქვეყნის საერთო საშინაო და საგარეო მდგომარეობა.

IV-V სს-ში ქართლის ეკლესიის მეთაური ატარებდა „მთავარეპისკოპოსის“ ტიტულს და იერარქიულად ექვემდებარებოდა ანტიოქიის საპატრიარქოს. V ს-დან ქართულმა ეკლესიამ ანტიოქიისაგან მიიღო ავტოკეფალია; მისი მეთაური იყო ქართლის „კათალიკოსი“. ხოლო XI ს-ის 10-იანი წლებიდან „სრულიად საქართველოს პატრიარქი“. ქართულ ეკლესიაში ორგანიზაციულად მინისტრაციული ცვლილებები მოხდა ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი მომწიფებისა და სრულყოფის შესაბამისად.

VI-VII სს-ში ქართული ეკლესია აერთიანებდა 33-35 საეპისკოპოსო-ეპარქიას. ქართული ეკლესიის გაფართოებისა და ქრისტიანობის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში მონასტრების მშენებლობას, რომელსაც დიდი ღვაწლი დასდო „ათცამეტმა“ ასურელმა (სირიელმა) მამამ. ისინი აქ მოვიდნენ რამდენიმე პარტიად: VI ს-ის პირველ ნახევარში ქ. ანტიოქიიდან მოვიდა დაეთ გარეჯელი, VI ს. შუა წლებში - იო-

\* პირველად დაიბეჭდა „საღვთისმეტყველო კრებულში“. № 12. თბილისი. 1983. მაგრამ ფართო მკითხველამდე არ მიახულა, რადგან აღნიშნული ჟურნალის ტირაჟი იყო ხელ 200 კვზემ-პლარი და თანაც ფაქტობრივად მასი ვაერცელება აკრძალბოდა - ჟურნალის ვარუკანზე ეწერა „სამსახურებრივი მოხმარებისათვის“.

ანე ზედაზნელი თანმხლები მოწაფეები-  
თურთ და ქ. ედესიდან - ანტონ მარტ-  
ყოფელი, VI ს. 70-იან წლებში - აბი-  
ბოს ნეკრესელი. სირიელი მამების მო-  
ღვაწეობა დაემთხვა ქართლში ირანელ-  
თა ბატონობის პერიოდს; ქრისტიანობის  
განმტკიცებით მათ ხელი შეუწვევს ქა-  
რთველთა ეროვნული შეგნების ამალ-  
ლებას და მტერთან წარმატებით ბრძო-  
ლას. ასურელმა მამებმა აღმოსავლეთ  
საქართველოში დააარსეს 16-ზე მეტი  
მონასტერი: იოანე-ზედაზნის, შიომღ-  
ვიმის, ალავერდის, მარტყოფის, იყალ-  
თოს, სამთავისის, გარეჯის საარქიმან-  
დრიტო, რომელიც თავის მხრივ აერ-  
თიანებდა რამდენიმე მონასტერს (და-  
ვით-გარეჯს, იოანე-ნათლისმცემელს,  
დოდოს...) და სხვ.

VIII ს-ის დამლევებიდან ფართო სა-  
მონასტრო მოძრაობა დაიწყო ტაო-  
კლარჯეთში. აქ დაარსდა ხანძთის სა-  
არქიმანდრიტო, რომელშიც ერთიანდებო-  
და ხანძთა, შატბერდი, გუნათლე და  
სხვ. ამ მხარეში იყო აგრეთვე სახელ-  
განთქმული მონასტრები იაბიზა, იშხანი,  
ოშკი, წყაროსთავი, ბანა, ხახული, ზა-  
რზმა და სხვ. ყველა ეს სამონასტრო  
ცენტრი VIII-X სს-ში იმავე დროს  
თვალსაზირო მწიგნობრულ-საგანმანათ-  
ლებლო ცენტრებად იქცა, სადაც მოღ-  
ვაწეობდნენ ცნობილი მეცნიერი და  
მწიგნობარი საეკლესიო მამები: გრიგოლ  
ხანძთელი, მიქელ მოღრეკელი, იოანე  
მინჩხი, იოანე მტბევარი, იოანე ზოსი-  
მე, საბა მტბევარი, სერაპიონ ზარზმე-  
ლი და სხვ. X ს-სთვის ქართულ ენა-  
ზე უკვე შექმნილი იყო მდიდარი ორი-  
გინალური აგოიგრაფიული და საისტო-  
რიო მწერლობა. ბერძნულიდან ითარგმ-  
ნა თითქმის მთელი ძირითადი ლიტე-  
რატურა ლიტურგიკის, დოგმატიკის,  
პოძილეტიკის, აგოიგრაფიის, ბიბლიო-  
ლოგიის და სხვა დარგებში. საბერძნე-  
თის საეკლესიო ცენტრებიდან გადმო-  
ღებული იქნა ან აქვე დაიწერა სამო-

ნასტრო ტიპიკონები. მაღალ დონეს  
მიადწია საეკლესიო არქიტექტურამ  
(ოშკი, ხახული და სხვ.), ხელოვნებამ.

ქარული ეკლესიის მორალური ავ-  
ტორიტეტა და გავლენა გასცდა საქარ-  
თველოს ფარგლებს. ჯერ კიდევ V ს-  
დან ცხოველი ურთიერთობა დამყარდა  
მიმოსვლისა და მიმოწერის სახით რო-  
მის ანტიოქიის (სირია) იერუსალი-  
მის (პალესტინა) საპატრიარქოების სა-  
ეკლესიო ცენტრებთან. ამასთან ქართუ-  
ლი სამონასტრო ცენტრები პალესტი-  
ნა-სირიაში გაჩნდა V ს-დანვე, ხოლო  
X ს. დამლევს დაარსდა ქართველთა  
მონასტერი ათონზე (საბერძნეთი). ქა-  
რთველი ბერები მოღვაწეობდნენ იქაურ  
სავანეებში (საბა-წმინდა, შავი მთა, სი-  
ნა და სხვ.), ყოველივე ეს ხელს უწ-  
ვობდა გარეშე საქრისტიანოსთან სა-  
ქართველოს ინტენსიურ კონტაქტებს და  
ქართული ეკლესიის წვლილის შეტანას  
ზოგადქრისტიანულ კულტურაში.

აღსანიშნავია ისეთი განთქმული ქარ-  
თული ფილოსოფიურ-ქრისტილოგიურ-  
რი ნაწარმოების შექმნა X ს-ში, რო-  
გორც იყო „სიბრძნე ბალაერისა“, რო-  
მელიც შემდეგ ქართული ექვთიმე ათო-  
ნელის მიერ ბერძნულად ითარგმნა, ხო-  
ლო XI ს-ში ლათინურადაც და ასე  
მთელს ევროპაში გაურცელდა.

ქართული ეკლესიის ავტორიტეტი  
შორეულ გუთიაშიც (ახლ. ყირიმის სამხ.  
ნაწილი) აღწევდა. დაახლ. VIII ს. შუა  
წლებში საქართველოში ჩამოვიდა გუ-  
თელი იოანე, რომელმაც ეპისკოპოსის  
ხელდასხმა მცხეთის კათოლიკოსისა-  
გან მიიღო. გუთელი ეპისკოპოსი სა-  
კურთხებლად ჯერ კონსტანტინოპოლის  
პატრიარქთან გამგზავრებულა, რომელ-  
საც ის იერარქიულად ემორჩილებოდა,  
მაგრამ რადგან იქ მამინ იმპერატორის  
კარზე და სამღვდელობაში ხატმებრ-  
ძოლობა იყო გაბატონებული (725-843  
წწ.), უკურთხებლად უკან გამობრუნე-  
ბულა. გუთეთის მთავრობამ და სამღ-

ვდებოდა, რომელიც მხარს არ უჭერდა ხატმებრძოლობას, იოანე საქართველოში გამოგზავნა<sup>1</sup>.

ასევე, ქართული ეკლესიის მაღალი ავტორიტეტის დადასტურებაა ის ფაქტიც, რომ IX ს-ში იერუსალიმის პატრიარქის სერგის (843-859) თანხმობით ქართულმა ეკლესიამ მიიღო უფლება მცხეთის სვეტიცხოველში „მირონის კურთხევისა“ (მანამდე მირონი იერუსალიმიდან იგზავნებოდა). ამ საქმეს დიდი ღვაწლი დასდო ეფრემ მაწყვერელმა (დაახლ. 845-885)<sup>2</sup>.

ქართული ეკლესიის სამისიონერო მოღვაწეობა X ს-ში გაიშალა ჩრდილოეთ კავკასიაშიც, უპირველეს ყოვლისა ჩერქეზებსა და ალანებში.

ქართული, როგორც ეკლესიის ერთადერთი ენა, საყოველთაოდ გავრცელდა VIII-X სს-ში. ამან გააფართოვა „ქართლის სამეფოს“ პოლიტიკური შინაარსიც, რადგან „ქართლად“ განიხილებოდა ყველა ის ტერიტორია — საკუთრივ ქართლის, ტაო-კლარჯეთის, კახეთის, ჰერეთისა და აფხაზეთის სამეფოები — სადაც ჟამისწირვა და ლოცვა ქართულად სრულდებოდა. ამრიგად, ეკლესიამ და ქრისტიანობამ კულტურულ-რელიგიურად უფრო ადრე გააერთიანა ქართველი ხალხი, ვიდრე მისი პოლიტიკური გაერთიანება მოხდებოდა „ყოველი საქართველოს“ სახით (X ს.). XI-XII სს-ში ღიდად გაიზარდა ქართული ეკლესიის მატერიალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ძალა. საქართველოს ეკლესიის შესაჭვ, ახლა უკვე „პატრიარქი“, ისეთივე დიდი ტერიტორიის განმგებელი იყო, როგორც თვით საქართველოს მეფე — „ნიკოპსიდან დარუბანდამდე“; გაიზარდა ეპარქიების რიცხვიც. ამ ეპოქაში ცხოვე-

ლი მუშაობა გაჩაღდა ქართულ ენაზე ახალი ბიზანტიური მწერლობის სრულად გადმოღებისათვის (მაგალითად, XI-XII სს-ში ჯერ ნაწილობრივ, შემდეგ სრულად ითარგმნა „დიდი სკულისკანონი“, ნომოკანონი); ითარგმნა და დაიწერა არაერთი მნიშვნელოვანი საისტორიო, ფილოსოფიური, ფილოლოგიური, პოეტური თხზულება. ამ მუშაობაში მონაწილეობდნენ სწავლული მამები ექვთიმე და გიორგი ათონელეზი, გიორგი მცირე, ლეონტი მროველი, ჯუანშერი, „მატიანე ქართლისაი-ს“ ავტორი, ეფრემ მცირე, არსენ ივალთოელი, იოანე პეტრიწონელი, ნიკოლოზ გულაბერისძე და სხვ. მუშაობა წარმოებდა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთის ქართულ ცენტრებში: ათონზე, პეტრიწონის მონასტერში (დაარს. 1083 წ. ბულგარეთი), იერუსალიმის ჯერის მონასტერში (დაარს. XI ს. პირ. ნახ.) და სხვ. ამ პერიოდში შეიქმნა შესანიშნავი არქიტექტურის ტაძრები ბუდიისა (აფხაზეთში), „ბაგრატიის ტაძარი“ (ქუთაისში), სვეტიცხოველი და სამთავრო (მცხეთაში), სამთავისი (ქართლში), ალავერდი (კახეთში), ნიკორწმიდა (რაჭაში) და სხვ. მას შემდეგ, რაც მოხდა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, ერთიანი ცენტრალიზებული მონარქიის განმტკიცების პროცესში უკვე საბოლოოდ შემუშავდა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის დამოკიდებულების ფორმა. ეს გამოიხატა დავით აღმაშენებლის დროს ეკლესიის სრული დაქვემდებარებით სახელმწიფოსადმი. მეფემ მიიღო ეკლესიის საქმეებში ჩარევის უმაღლესი უფლება, საეკლესიო საქმეების მეთვალყურედ სამეფო კარიდან დაინიშნა პირველი მინისტრი: მწიგნობართუხუ-

<sup>1</sup> იოანე ვუთელის შესახებ ცნობა ფიქსირებულია X-XI სს-ის ბერძნულ „დიდ სკანაქსარში“, რომელიც ქართულად ითარგმნა გიორგი მთაწმიდელმა (1009.1065).

<sup>2</sup> მირონის შესახებ ცნობა ფიქსირებულია გიორგი ბერძნულეს თხზულებაში „ცხოვრება ვრიგოლ ხანძთელისაი“, (დაიწ. 951 წ.).



ცესი ჭყონდიდელი (ჭყონდიდის ეპისკოპოსი). ამას მოჰყვა ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებული ზრუნვა ეკლესიის მდგომარეობის ამაღლებისა და მოწესრიგებისათვის; დაარსდა ახალი საეპისკოპოსო კათედრები, სამეფო-მონასტრები (გელათი, ვარძია), სამეფოდ აქციეს ძველი მონასტრები (შიომღვიმე, დავით-გარეჯი) და ა. შ.

ქართული ეკლესია დაარსების დღიდანვე გახდა მფლობელი ორგანიზაცია. შემოსავლის წყაროს შემოწირული, ნასყიდი მამულები შეადგენდა, თეთრი სამღვდლოების შემოსავალი უმეტესად საწესო-სამრევლო გადასახადებით განისაზღვრებოდა. მონასტრებს ჰქონდათ საკუთარი მეურნეობა. მსხვილი მონასტრები და საეპისკოსო ცენტრები ფეოდალურ სენიორიებს ქმნიდნენ. ეკლესიამ დიდ ეკონომიკურ ძლიერებას მიაღწია X—XII სს-ში.

ქართული ეკლესიის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა XIII—XVIII სს-ში თანდათანობით დაცემის გზას დაადგა, რაც გამოწვეული იყო უცხოელ დამპყრობთა — მონღოლი ნომადების, ირანის, თურქეთის განუწყვეტელი შემოსევებითა და ხანგრძლივი ბატონობით. ისე როგორც სამოქალაქო ცხოვრებაზე, ეკლესიაზეც მძიმე გავლენა იქონია თურქ-ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის აღება (1453 წ.) და ბიზანტიის ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოს მოსპობამ. ამიერიდან ქრისტიანული საქართველო მაკმადიანთა გარემოცვაში მარტო აღმოჩნდა, რომელსაც უნდა შეენარჩუნებინა ქრი-

სტიანობა და ქართული სახელმწიფოებრიობა<sup>3</sup>. უცხოელ დამპყრობლებს კი საქართველოსათვის ეროვნული გადაგვარება მოჰქონდათ მათთვის უცხო ისლამის რელიგიით და დაბალი საზოგადოებრივი წყობილებით.

ამ პერიოდში ქართული ეკლესიის მთლიანობას არღვევდა ქვეყნის პოლიტიკური დაშლილობა (სამი სამეფო და სამთავროები). ზოგი საეკლესიო ცენტრი, მაგ. აწყურის (ეპისკოპოსი — მაწყვერელი) XV—XVI სს-ში მხარს უჭერდა ადგილობრივი საერო ფეოდალების, სამცხის მთავრების, სეპარატიზმს. XV ს. 70-იან წლებში სრულიად საქართველოს მცხეთის საპატრიარქოს ჩამოსცილდა დასავლეთ საქართველოს ეკლესია, რომლის მეთაურს — „აფხაზეთის“, ანუ „ბიჭვინტის“ კათოლიკოსს — ამის სანქცია მისცა დასავლეთ საქართველოში მაშინ შემთხვევით ჩამოსულმა ანტიოქიის და იერუსალიმის პატრიარქმა მიქაელმა (1470/74—1484). XVI ს. დასაწყისში დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსმა მიიღო „პატრიარქის“ ტიტული. დას. საქართველოს კათოლიკოსის რეზიდენცია თავიდან ბიჭვინტაში იყო (პიტუნდა)<sup>4</sup>, მაგრამ XVI ს-ის უკანასკნელ მეოთხედში, კათოლიკოს ევდემონ ჩხეტიძის (1558-1578) დროს, სამეფო-სამთავროებს შორის ამტყდარი შინაფეოდალური ბრძოლებისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე ოსმალ-თურქების მოძალების გამო, კათოლიკოსის რეზიდენცია გადატანილ იქნა გელათში იმერეთის სამეფო კარის, ქუთაისის ახლოს.

<sup>3</sup> მართალია კონსტანტინოპოლის საპატრიარქო არ გაუქმებულა, მაგრამ უცხოელთა უღელს ქვეშ ის თანდათან ძალას ჰკარგავდა სხვა საპატრიარქოები (ანტიოქიის, იერუსალიმის, ალექსანდრიის) ჯერ კიდევ აღრიდანვე, სპარსელების და შემდეგ არაბების ბატონობის შედეგად. უმთავრესი თვითნებ ძველ დიდებას.

<sup>4</sup> „აფხაზეთის“ საკათოლიკოსოს დაარსებას ზოგი VIII, ზოგი X ს. მეორე ნახევარს მიაკუთვნებს. იგი წარმოიქმნა როგორც ცენტრალიზებული ეკლესია, მისი პოლიტიკური სავსძველს იყო „აფხაზეთის სამეფო“ (დას. საქართველო). აფხაზეთის საკათოლიკოსომ შესცვალა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებული ლაზიკის სამიტროპოლიტი და აბაზიის საარქიეპისკოპოსი.

XVI-XVII სს-ში დას. საქართველოს საკათოლიკოსოში შედიოდა საქაი-კოპოსოება: ჭყონდიდის, ბუდიის, დრან-დაის, მოქვის, ცაიშის, შემოქმედის, ნინოწმინდის, ჯუმათის, გელათის, ქუთაისის, ხონის, ცაგერის და ნიკორწმიდისა.

სრულიად საქართველოს საპატრიარქო ტერიტორიულად შექმნიდა XVI ს-ის მიწურულს თურქების მიერ სამცხე-საათაბაგოს სამთავროს მიტაცებისა და იქ ისლამის გავრცელების გამო: აქაურ ტაძრებში თანდათან გაუქმდა ქრისტიანული წირვა-ლოცვა, ქრისტიანული მრევლი შეშვიდდა, დაიფანტა.

XVII ს-ში, როცა საქართველო გათავისუფლდა ირანისა და თურქეთის ბატონობისაგან, იმერეთში სოლომონ I-მა (1752-84) და ქართლ-კახეთში ერეკლე II (1762-98) სცადეს სხვადასხვა ღონისძიებით ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის შერყეული მდგომარეობის გაუმჯობესება.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ (1801 წ.) რუსეთის ცარიზმმა საქართველოს სამეფოს გაუქმებასთან ერთად გააუქმა საქართველოს ავტოკეფალია, მოსპო კათოლიკოს-პატრიარქის თანამდებობა (აღმოსავლეთ საქართველოში 1811 წ., დას. საქართველოში 1814 წ.) და საქართველო ეკლესიურად იქცა რუსეთის სინოდის საეპარქოსოდ.

### § 1. შპ. გიორგიშვილის ანდრია პირველწოდებულისა და სვიმონ კანანელის ძადაგება საქართველოში

ძველი ქართული ტრადიციული შეხედულების მიხედვით, საქართველოში

ქრისტიანობის პირველი მქადაგებლები იყვნენ წმ მოციქულები ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი ეს აზრი ფიქსირებულია საქართველოს ძველი პერიოდის ამსახველ საისტორიო ძეგლებებში (ლეონტი მროველისა XI ს.<sup>1</sup>, ეფრემ მცირისა XI ს.)<sup>2</sup>; იგი, როგორც ქართული ეკლესიის ოფიციალური აზრი, შეტანილია აგრეთვე ცნობილი რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ოქმში (1103 წ.)<sup>3</sup> ქართული წყაროებით ვიცით ის საყურადღებო ფაქტიც, რომ ეს აზრი გაზიარებული ყოფილა XI ს-ში ანტიოქიის საპატრიარქოს ოფიციალურ წრეებში, პატრიარქ პეტრეს (1052-1056) და თეოდოსის (1057-1059) დროს, როცა ანტიოქიის საპატრიარქოში ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების საკითხი იხილებოდა, გიორგი მთაწმინდელმა ქართული ეკლესიის აპოსტოლარული წარმოშობის დასამტკიცებლად მოიშველია ბერძენი ავტორის ნაშრომი „მიმოხედაი ანდრია მოციქულისაი“ და მასში შეტანილი ცნობა საქართველოში ანდრია პირველწოდებულისა და სვიმონ კანანელის მოსვლისა და ქადაგების, სვიმონ კანანელის აფხაზეთში ქ ნიკოფსიაში გარდაცვალებისა და დასაფლავების შესახებ<sup>4</sup> დღემდე ქ სოხუმის მახლობლად, შავი ზღვის სანაპიროზე, დაცულია სვიმონ კანანელის საფლავი, რომელიც ბუერ პილიგრიმს იზიდავს.

გიორგი მთაწმინდელის მიერ მოტანილი ცნობა ანტიოქიის საპატრიარქო კრებას დაზარალებლად და მისაღებად ჩაუთვლია. უნდა ვიგულისხმობთ, რომ ანტიოქელებმა მამინ აღნიშნული ცნობა სხვა მასალებითაც შეამოწმეს.

ძველი ბერძენი საეკლესიო მწერლე-

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 38

<sup>2</sup> ეფრემ მცირე უწყებები მიხეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წაგნთა შინა მოცხეხების, თბ., 1959, გვ. 4.

<sup>3</sup> დიდი სჯულსაქანონი, თბ., 1975, გვ. 345.

<sup>4</sup> გიორგი მცირე ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, წ. II, თბ., 1967, გვ. 153.

ბის (ორიგენე, ეესევი კესარიელი, წმ. ისიდორე, ნიკეიფორე კალისტე და სხვ.) თანახმად, წმ. ანდრია იქადაგა სკვითიაში. ხოლო წმ. ანდრია მცირე აზიიდან სკვითიაში რომ მოხვედრილიყო, მას უეჭველად საქართველოს ტერიტორიაზე უნდა გაეგლო. გარდა ამისა, VII-X სს. ბერძენ მწერლებს, მაგ. ეპიფანე მონახონს (გარდაიც. 780 წ.) თხზულებაში „ანდრია ცხოვრება“, ნიკიტა პაფლაგონელს თხზულებაში წმ. ანდრია და წმ. სვიმონ კანანელის შესახებ მოეპოვებათ დამატებითი ცნობები მათი მოღვაწეობის კონკრეტული გეოგრაფიული პუნქტების მითითებით: შავი ზღვის სანაპირო, აფხაზეთი, (ქ. სებასტოპოლი, იგივე სოხუმი) სვანეთი, ალანია (ოსეთი) და სხვ.<sup>6</sup>

ყოველივე ზემოთქმული სარწმუნოს ხდის წმ. მოციქულების ანდრია პირველწოდებულისა და სვიმონ კანანელის მოღვაწეობას საქართველოში.

## § 2. წმ. ნინო

წმ. ნინო, „ქართველთა განმანათლებლად“ და „მოციქულთა სწორად“ წოდებული, წარმოშობით იყო კაბადოკიელი. მისმა ქადაგებამ დიდად შეუწყო ხელი ქართლში ქრისტიანობის გავრცელებასა და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას (დაახლ. 330-იანი წლები).

წმ. ნინოს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ შემონახულია ცნობები IV-V სს-თა ბერძენ-ლათინელი ისტო-

რიკოსების (გელასი კესარიელი, ტირანუს რუფინუსი, თეოდორიტე კვირელი, გელასი კვიზიკელი, სოკრატე და სხვ.) თხზულებებში, სადაც აღწერილია ქართლის გაქრისტიანების ამბავი.

წმ. ნინოს შესახებ ცნობები დაცულია ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში: „მოქცევაი ქართლისაი“-ში (VIII ს.), ლეონტი მროველის (XI ს.) თხზულებაში: „მოქცევა მირიან მეფისა და მისთანა ყოვლისა ქართლისა წმინდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულისა მიერ“. ეს ორი თხზულება თავის მხრივ ეყრდნობა დღემდე მოუღწეველ უძველეს წყაროებსა და ზეპირგადმოცემებს. ნინოს შესახებ შეუდგენიანთ ცალკე ბიოგრაფიული ნაწარმოებებიც (მაგ. არსენ ბერის „ცხოვრებაი და მოქალაქობაი ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოისი“ XII ს.)<sup>7</sup> ცნობები დაცულია აგრეთვე ძველ სომხურ წყაროებში (მოსე ხორენელი).

წმ. ნინოს მშობლებისა ან მისი პირადი ცხოვრების შესახებ საქართველოში მოსვლამდე მეცნიერებამ უტყუარად ძალიან ცოტა რამ იცის, უფრო დადგენილია და გამორკვეულია მისი საქართველოში ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამბები:

ქართულ წყაროებში დაცული ცნობების მიხედვით, წმ. ნინოს მამა ზაბულონი იყო რომის იმპერატორის მოხელე, რომელიც იერუსალიმში ბერად შემდგარა, ხოლო დედას სუსანას იერუსა-

<sup>6</sup> Patrologia Graeca ტ. 120, გვ. 221; ტ. 105, გვ. 64; გეორგიკა, I, თბ., 1961, გვ. 29; ტ. VII, 1967, გვ. 113-115.

<sup>7</sup> ბერძენ-ლათინთა ისტორიკოსების ნაშრომების შესახებ: A. M. Ceriani, Monumenta sacra et profana ex codicibus praesertim bibliothecae Ambrosianae, T. I. Medialani, 1861, p. 137; Anton Glass, Die Kirchen geschichte des Gelasios von Kaisaria; die Vorlage für die Beiden letzter Bücher der Kirchengeschichte Rufin, 1914, v. I; Theodorat, Kirchengeschichte, ... Leipzig, 1911, p. 9, V 67; იხ. გეორგიკა, I, თბ. 1961.

ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, ტ. I, 1964; III, თბ., 1967; ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955; ვერტმ მცირე, „უწყება მიზეზსა ქართველთა მოქცევისა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების. გამოც. თ. ბრეჟაძისა, თბ., 1959, ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1928, და სხვ.

ლიმშივე გლაზაკთა სამზრუნველოში დაუწყია სამსახური. წმ. ნინო იერუსალიმიდან იმპერატორის კარზე მოხვედრილა, სადაც მას დედოფალ ელენესათვის და სეფე ქალებისათვის ქრისტიანობა უქადაგნია. რომის იმპერიაში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ წმ. ნინო საქართველოში გამომგზავრებულია.

წმ. ნინოს შესახებ არსებული ქართული და ბერძნულ-ლათინური წყაროების მეცნიერულ-კრიტიკული შესწავლილობა საფუძველს იძლევა მისი მოღვაწეობა საქართველოში შემდეგი ფაქტებით წარმოვიდგინოთ:

წმ. ნინო საქართველოში მოვიდა ჯავახეთის გზით, ქ. ურბნისის გამოვლით. საცხოვრებელი ბინა ქართლის სატახტო ქალაქ მცხეთაში დაიდო. მას ადგილობრივი მოსახლეობა „ტყვესაც“ უწოდებდა, როგორც მათთვის უთვისტომო, უცხოელ ადამიანს<sup>2</sup>. ნინოს თავის სადგომში აღუმართავს ვაზის ტოტისაგან („ნახლევისაგან“) გაკეთებული ჯვარი<sup>3</sup>. რამდენიმე ხნის შემდეგ (ქართული წყაროები ასახელებენ მეოთხე წელს) წმ. ნინოს ხალხში დაუწყია ქრისტიანობის ქადაგება, ამასთან ეწეოდა ავადმყოფთა მკურნალობას, რის გამოც სიყვარული და სახელი დაუმსახურებია. მას განუკურნავს მძიმედ დაავადებული ყმაწვილი, განუკურნავს ქართლის მეფის ბეულღე დედოფალი ნანა. ნინო ხალხს ურჩევდა დაეტოვებინათ კერპები და ედიარებიათ ღმერთად იესო ქრისტე. ქრისტიანობის მიმდევარი გახდა მძიმე სენისაგან განკურნებული ნანა დედოფალი. გარდა ამისა, წმ. ნინოს თანდათან მოწაფეებიც შეუძენია, რომლებიც

მას ეხმარებოდნენ ქადაგებაში. ბოლოს მირიან მეფემაც აღიარა ქრისტე და ნინოს რჩევით იმპერატორ კონსტანტინესთან ელჩები გაგზავნა სამღვდლოების ჩამოსაყვანად. მცხეთაში სამეფო სახლობისა და წარჩინებულთა მონათეულის შემდეგ, ქრისტიანობის გასავრცელებლად ნინომ იმოგზაურა მთიანეთში, სადაც გააქრისტიანა წილკნელები, ჭართალელები, ფხოველები, ერწო-თიანეთელნი. აქედან უკან დაბრუნებული წმ. ნინო კახეთში დასწულდა და გარდაიცვალა ს. ბოდბეში, სადაც დაუსაფლავებიათ. ქართული ეკლესია წმ. ნინოს ხსენებას დღესასწაულობს 14 იანვარს (27 იანვარს ახალი სტილით).

### § 3. ქართული ეკლესიის ადგიინისტრაციული ორგანიზაცია IV ს-ში (კათოლიკოსოვანის დაწესებამდე)

ქართლში (ბერძ. „იმერიაში“) ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად მიღებისთანავე (დაახლ. 330-იანი წლ.) ჩამოყალიბდა საეკლესიო ორგანიზაცია, რომლის მეთაური მოაქვინა ქართლის მეფის, მირიანის თხოვნით იმპერატორმა კონსტანტინემ (306-337).

ქართული წყაროებით ცნობილია ამ პირველი ეპისკოპოსის სახელი — იოანე, მას ახლდა ორი მღვდელი (ერთის სახელი — იაკობი) და ერთი დიაკონი. ქართული ეკლესიის პირველი ორგანიზაციის შესახებ ცნობები დაცულია IV-V საუკუნეთა ბერძნულ-ლათინურ და უძველეს ქართულ წყაროებში.

1. განვიხილოთ წყაროთა ჩვენებათა საბერძნეთიდან სამღვდლოების მოსვ-

<sup>2</sup> ბერძნულ-ლათინურ წყაროებში წმ. ნინო სახელით არ მოიხსენიება, ის ნაწოდებაა „ტყვე ქალი“ (mulier captiva-) სომხურში — „ნუნედ“, არაბულ-კობტურში — „თიკონის-რად“.

<sup>3</sup> თბილისის სიონის ტაძარში დღემდე დაცულია ქალის თმებით შეკრული კაზის ჯვარი („ჯვარი კაზისა“), რომელიც გადმოცემით ნინოს მიეკუთვნება. იგი ქართული ეკლესიის ერთ-ერთ სიმბოლოდ ითვლება.



ლისა და ქართული ეკლესიის იერარქიული დამოკიდებულების შესახებ.

გელასი კესარიელის (გარდ. 395 წ.) ცნობა რედაქტირებული სახით დატულია გელასი კვიზიკელის ნაშრომში (დაიწერა დაახლ. 475 წ.). გელასი აღწერს „ტყვე ქალის“ მიერ იბერიის სამეფო კარისა და ხალხის გაქრისტიანების ამბავს, ბოლოს წერს: „მაშინ მეფისა და იბერთა კრებულის მიერ გაგზავნილი ელჩები მიდიან კონსტანტინოპოლში<sup>1</sup>, აუწყებენ კონსტანტინე მეფეს იქ (იბერიაში) ქრისტეს რწმენის განმტკიცებას და სთხოვენ მიეცეს მათ მისგან ეპისკოპოსი მათთან არსებული ეკლესიების კურთხევისათვის და აგრეთვე საეკლესიო წესების ჩამოყალიბებისათვის. სათნო და ქრისტეს მოყვარე ქრისტიანე მეფემ ისინი მეგობრულად მიიღო, რადგან უხაროდა უფლისათვის; მან შეიწყნარა თხოვნა და კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს აღექსანდრეს ხელთადასხმევინა იბერთა ეპისკოპოსი<sup>2</sup>, ამავე დროს მას (კარგად) ესმის, რომ ეს არის ნიში ღმერთისა, რომელიც უცხო თესლთ უქვემდებარებს მას.

ეს ჩვენ გვიამბო ფრიად სარწმუნო ბაკურიმ, კაცმა ფრიად ღვთისმოსიშმა, მეფის შთამომავალმა და იბერთა შორის სახელოვანმა, რომელიც გახდა რომაელთა სატრაპი და აწარმოვა ომი ბარბაროს სარკინოზთა წინააღმდეგ პალესტინის მწვერვალებზე და მათზე ბრწყინვალედ გაიმარჯვა<sup>3</sup>.

გელასი კესარიელის თხზულება, რომელშიც შეტანილი იყო მოკლე ისტორია იბერთა გაქრისტიანების შესახებ, უშუალოდ მოღწეული არ არის, იგი შემონახულია V ს-ის ავტორის გელა-

სი კვიზიკელის ნაშრომში, რომელიც მას შეუდგენია დაახლ. 475 წელს (ეხება პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების ისტორიას), ასე რომ, ზემოცხიტირებული ტექსტი უშუალოდ ეკუთვნის არა გელასი კესარიელს (IV ს.), არამედ გელასი კვიზიკელს (V ს., იხ. ჩერია-ნი)<sup>4</sup>.

გელასი კესარიელის თხზულება გამოუყენებიათ აგრეთვე სხვა მომდევნო ახლო დროის ბერძენ და რომაელ ავტორებს, რომლებთანაც გელასი კესარიელის ტექსტს განუცდია რედაქცია, ზოგიერთი ცნობა დაუმატებიათ ან გამოუკლიათ.

გელასი კესარიელის თხზულება უთარგმნია ლათინურად რომაელ ისტორიკოს რუფინუსს (გარდ. 410 წ.) და შეუტანია ეკლესიის ისტორიის ამ თავებში, სადაც მიმოხილულია 324-395 წწ. ამბები. ნაშრომი დაიწერა დაახლოებით 402-410 წწ-ში<sup>5</sup>.

ბერძენ თეოდრიტე კვირელს (393-457) გელასი კესარიელის ნაშრომი შემოკლებულად შეუტანია ეკლესიის ისტორიის 24-ე თავში. ნაშრომი დაიწერა 448-449 წწ.

მომდევნო ხანის ბერძენი ისტორიკოსი სოკრატე სარგებლობს რუფინუსით, სოზომენი — სოკრატეთი.

ტირანიუს რუფინუსის ცნობა: „მას შემდეგ, რაც ეკლესია დიდებულად იქნა აგებული და ხალხი დიდის სიმშურვლით იყო მოწყურებული ღვთის რწმენას, ტყვე-ქალის რჩევით კონსტანტინე მეფესთან გაიგზავნა ელჩები ხალხის სახელით; მათ უამბეს მომხდარი ამბავი; თხოვეს იბერებისათვის მღვდელმსახურნი გაეგზავნა, რომ

<sup>1</sup> „კონსტანტინოპოლი“ არის გელასი კვიზიკელის ინტერპოლაცია. ის გელასი კესარიელს არ ეკუთვნის. ამის შესახებ ქვემოთ.

<sup>2</sup> ეს ფრაზა არის გ. კვიზიკელის ინტერპოლაცია, ის გ. კესარიელს არ ეკუთვნის. ამის შესახებ იხ. ქვემოთ.

<sup>3</sup> A. M. Ceriani, Monumenta... იხ. გეორგიკა, ტ. I, თბილისი, 1961, გვ. 193-194.

<sup>4</sup> გელასი კესარიელის შესახებ იხ. გეორგიკა, I, გვ. 179-199.

<sup>5</sup> იქვე.

დაესრულებინათ მათ მიმართ უკვე დაწყებული ღვთის წყალობა.

კონსტანტინემ დიდის სიხარულით და პატივით გაისტუმრა ელჩები. ის ამით უფრო მეტად იყო გახარებული, ვიდრე მაშინ იქნებოდა, რომ რომის იმპერიისათვის უცნობი ხალხები და უცნობი სახელმწიფოები შეეერთებინა.

რომ ეს ყველაფერი ასე მოხდა, ჩვენ ვვიახმობ ფრიად სარწმუნო კაცმა, ბაკურამ, თვით ამ ხალხის მეფემ, რომელიც ჩვენში იყო დომესტიკოთა კომისი. (იგი უადრესად ზრუნავდა როგორც მორწმუნეობაზე, ისე ჭეშმარიტებაზე), როდესაც ჩვენთან ერთად ცხოვრობდა სრულის ერთსულოვნობით იერუსალიმში. მაშინ ის იყო პალესტინის საზღვრების სარდალი<sup>6</sup>.

თეოდრიტე კვირელი ცნობა: „...როდესაც შენობა დამთავრდა და გადაიხურა კიდეც და მხოლოდ-ღამედღეები აკლდა, საკვირველმა ქალმა ამის გამოხატავალიც იპოვა: მან ურჩია ერისმთავარს რომაელთა მეფესთან ელჩები გაეგზავნა და ეთხოვა მისთვის გამოეგზავნა მათთვის (ე. ი. იბერიელებისათვის) კეთილმორწმუნეობის მოძღვარი. მეფემაც მიიღო ეს რჩევა და ელჩები გაეგზავნა. ხოლო მეფემ თხოვნის მიზეზი რომ შეიტყო (ეს იყო კონსტანტინე – კეთილმორწმუნეობის უმზურვალესი მოყვარული), ელჩებს მიუზღო უდიდესი კეთილგანწყობილება და ღვთის შეცნობის მქადაგებლად გაუგზავნა ამ ერს (ე. ი. იბერიელებს) კაცი, შემკული როგორც მორწმუნეობით და გონიერებით, ისე პატიოსანი ცხოვრებით, და მღვდელმთავრობის პატივის მქონე, და დიდძალი საჩუქრებიც გაატანა. აი, ასეთი გულისხმიერებით და აკმაყოფილა მან მთხოვნელები“.

სოკრატეს ცნობა (380-440 წწ. სარგებლობს უშუალოდ რუფინუსი-

დან): „შემდეგ კონსტანტინე მეფესთან ელჩები გაიგზავნენ: სთხოვნენ ამიერიდან რომაელებთან მშვიდობიან ურთიერთობაში ვიქნებითო, მოგვეცით ეპისკოპოსი და წმინდა მღვდელმსახურნიო; ეუბნებოდნენ – გულწრფელად ვირწმუნეთ ქრისტიკო“.

რუფინუსი ამბობს, რომ ეს მან ბაკურისაგან შეიტყო, რომელიც წინათ იბერთა უფლისწული იყო, შემდეგ კი რომაელებთან მოვიდა და პალესტინის სამხედრო ნაწილების სარდალად იქნა დაყენებული; ამის შემდეგ სტრატოლატობა მაქსიმე ტირანის წინააღმდეგ წამოებულ ომში და თეოდოსი მეფეს ეხმარებოდა.

აი, ამნაირად გაქრისტიანდნენ იბერიები კონსტანტინეს დროს<sup>7</sup>.

სოზომენის ცნობა (სოზომენმა „საეკლესიო ისტორია“ დაწერა თეოდოსი II დროს 408-450 წწ იბერიებს სოკრატეს „ისტორიას“) „...ეკლესიის აგება სასწრაფოდ დამთავრდა. ტყვე-ქალის წინადადებით ელჩები გაგზავნეს კონსტანტინე მეფესთან, შეამღიეს კავშირი და მშვიდობა და ამის ხანაცკლოდ სთხოვეს მღვდლები გაეგზავნა იბერიელი ხალხისათვის“.

როდესაც ელჩებმა უამბეს კონსტანტინეს თუ რა მოხდა მათ ქვეყანაში და როგორის სასოებით მთელი ერი თაყვანს სცემს ქრისტეს, რომაელთა მეფეს ძალიან ესიამოვნა ელჩების ჩასვლა, ყველაფერი გაუკეთა ისე, როგორც ითხოვეს და ისე გაისტუმრა ელჩები.

ასე აღიარეს იბერებმა ქრისტე და დღევანდლამდე სასოებით თაყვანს სცემენ მას“.

ზემოციტირებული ტექსტების ურთიერთშედარების შედეგად ირკვევა, რომ IV-V სს-ის ბერძენ-ლათინი ავტორები (გელასი კესარიელი, გელასი კვიზიკელი, რუფინუსი, თეოდორიტე,

<sup>6</sup> ქართული თარგმანი ეკუთვნის ს. ყაუხჩიშვილს, იხ. გეორგიკა, I, 1961, გვ. 206-207

<sup>7</sup> გეორგიკა, I, 1961, გვ. 234

სოკრატე, სოზომენი) ქართული ეკლესიის პირველი ორგანიზაციის ისტორიისათვის იძლევიან შემდეგ ერთნაირ ცნობებს:

პირველი ქრისტიანი „მეფე“. „ტყვექალის“ (იბერთა გამაქრისტიანებელის) „რჩევით“ ელჩებს უგზავნის რომის „იმპერატორ“ კონსტანტინეს. პირველი „მღვდელმთავარი“ – „ეპისკოპოსი“ და სამღვდლოება („მღვდელმსახურნი“) გამოგზავნა იბერიაში „კონსტანტინე იმპერატორმა“.

ამ ცნობას ენიჭება დიდი ნდობა იმის გამო, რომ: ჯერ ერთი, ის ქრონოლოგიურად ძლიერ ახლოს იდგა ფაქტთან, ე. ი. იბერთა გაქრისტიანებასთან (ეკლესიის ისტორიკოსი გელასი კესარიელი, რომელსაც ეს ცნობა ეკუთვნის ვარდ. 395, ხოლო რუფინუსმა, რომელმაც უშუალოდ ისარგებლა გელასი კესარიელისაგან, თავისი ნაშრომი დაწერა 402-410 წწ-ში); მეორე, იმის გამო, რომ ამ ცნობის პირველწყარო, როგორც ეს ზემოციტირებული ტექსტების დასასრულს არის მითითებული, ყოფილა ქართველი კაცი, ვინმე „ფრიად სარწმუნო ბაკური“ (ბერძ. ბისტოტატოს ბაკურიოს) „მეფის ჩამომავალი... იბერთა შორის სახელოვანი“, რომელიც

იმპერატორ თეოდოსის დროს (379-393) ბიზანტიაში მსახურობდა დიდ თანამდებობაზე და ა. შ.<sup>8</sup> ცხადია, ასეთ პიროვნებას კარგად ეცოდინებოდა თავის ქვეყანაში მომხდარი უახლოესი ამბავი ნახულ-გაგონილით თუ წაყითხულით.

ბერძნულის ანალოგიური ცნობებია შეტანილი ჩვენამდე მოღწეული VII-VIII ს-ის ქართულ უძველეს წყაროშიც (რომელიც თავის მხრივ, ემყარება კიდევ უფრო ძველ წყაროებს). „ქართლის მოქცევის“ ქრონიკა გვამცნობს: მირიან მეფემ „წარაგლინა მოციქული და წიგნი ნინოსა საბერძნეთთა მეფისა კონსტანტინესა თხოვად მღვდელთა, ხოლო ივინა მსწრაფლ მიიწინეს და მისცა მეფემან იოვანე ეპისკოპოსი და ორნი მღვდელნი და ერთი დიაკონი და ხატი მაცხოვრისაი და ძელი ცხოვრებისაი...“ (შატბერდული ტექსტი).

მომდევნო ხანის სხვა ქართულ წყაროებშიც განმეორებულია ასეთივე ცნობა, მაგ. XI ს-ის ისტორიკოსის ლეონტი მროველის ნაშრომის იმ ნაწილში, სადაც გადმოცემულია წმ. ნინოს მიერ „ქართლის“ გაქრისტიანების ისტორია, ვკითხულობთ: „ხეალისა დღე წარაგლინა მოციქულნი საბერძნეთად მირიან მეფემან წინაშე კონსტანტინე ბერძენთა

<sup>8</sup> უფლისწულ ბაკურის შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1928, გვ. 166-169, 206; სიმონ ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, I, 1961, გვ. 196-199; რუფინუსთან ბაკური მოხსენებულია როგორც „მეფე“, მაგრამ ეს შეცდომაა. ამის შემდეგ იხ. დასახელებულ ავტორთა ნაშრომები.

<sup>9</sup> ძველი ქართული ავტოგრაფიული ლიტერატურის შეგუძობი, I, თბ., 1954, გვ. 85. შატბერდის ქრებული, თბილისი, 1979; გვ. 322. „მოქცევაი ქართლისაჲს“ ქრონიკის (პირველი ნაწილი) სამეცნიერო ლიტერატურაში „მატიანესაჲს“ უწოდებენ. შემონახულია X ს-ის შატბერდის ხელნაწერებში (ციტირებულია ზემოთ). გვაქვს უფრო ადრინდელი ვარიანტიც ჭელიშორ ხელნაწერში ივ. ჯავახიშვილის გამოკლევით „მოქცევის“ ქრონიკა ეკუთვნის VIII ს-ეს. „მოქცევის“ მოიღვერო, მეორე ნაწილის, ტექსტი შეიცავს წმ. ნინოს ცხოვრებას, რომელიც დამოუკიდებელი ნაწარმოებია და შედგენილია IX-X ს-ში; ქვ. თავიშვილსაც „მოქცევა“ შეაჩინა VII-VIII ს-ში დაწერილია. მანვე პირველად გამოსცა ჯერ შატბერდული, შემდეგ ორივე ვარიანტი ერთად. ს. ჯანაშიაჲ „მოქცევის“ ქრონიკის შატბერდულ ვარიანტს აკუთვნებს VII-VIII სს-ს. კ. კეკელიძის ვანსხევატეული აზრით, ეს ორი ნაწარმოებია: „მოქცევა“ (ქრონიკა) და წმ. ნინოს ცხოვრება ერთი ავტორის თხზულებაა და ორივე ეკუთვნის IX ს. ანტორიოვს გამოკლევით „მოქცევის“ ქრონიკა დაწერილია VII ს-ში. იხ. ლიტ-რა. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1928, გვ. 181, 1951, მთხვე, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1941; ამ საყითხზე იხ. არეთუჲ პ. ანტორიოვს, გ. მელიქიშვილისა და სხვათა ნაშრომები.

მეფისა და... აუწყეს ესე ყოველი. და ითხოვნეს მოსწრაფებით მღვდელნი ნათლისღებისათვის“. „და ვითარ მიიწინეს მოციქულნი მირანა მეფისანი კონსტანტინე ბერძენთა მეფისა წინამე და მიუთხრეს ყოველი, რაცა იქმნა, მამინ აღივსო სიხარულითა მეფე და დედა მისი ელენე დედოფალი და წარმოგზავნა მღვდელი ჭეშმარიტი ივანე ეპისკოპოსად და მისთანა მღვდელნი ორნი და დიაკონნი სამნი... წამოსცა ჯუარი და ხატი მაცხოვრისაი“<sup>10</sup>.

როგორც დავინახეთ, IV-XI საუკუნეების წყაროები (როგორც ბერძნულ-ლათინური, ისე ქართული) სრულიად ერთნაირად აღმოგვცემენ ქართული ეკლესიის პირველ ორგანიზაციის ისტორიიდან იმ ფაქტს, რომ იბერიიდან გაგზავნილი ელენე მიუეიდა იმპერატორ კონსტანტინეს! რომელმაც თხოვნისამებრ გამოგზავნა მღვდელმთავარი და ხელქვეითი სამღვდლოება.

მხოლოდ გელასი კვიზიკელის ნაშრომში (დაიწერა დაახლ. 475 წ.) არის ისეთი განსხვავებული ორი მითითება, რომელიც არ მოიპოვება დანარჩენ ბერძნულ-ლათინურ (და არც ქართულ) წყაროებში. ეს განსხვავება: 1. „ელენე მიდიან კონსტანტინოპოლში“ და 2. კონსტანტინე მეფემ „კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს ალექსანდრეს ხელთდაასხმევინა იბერთა ეპისკოპოსი“.

მკვლევარმა ანატოლი გლასიმ სათანადო ტექსტების ურთიერთშედარება-შემოწმების შედეგად გამოარკვია და უჩვენა, რომ გელასი კვიზიკელს როგორც ისტორიკოსს განსაკუთრებულად

ახასიათებს მის მიერ გამოყენებული ნაშრომებიდან გადმოღებული მოთხრობების შეფარდება-განვრცობა ამ საფუძველზე ქართველმა მეცნიერებმა (ს. ყაუხჩიშვილმა და ივ. ჯავახიშვილმა) მართებულად დაასაბუთეს, რომ ზემოდასახელებული ორი ცნობა გელასი კვიზიკელის ნაშრომში წარმოადგენს კვიზიკელის ინტერპრეტაციას, ის გელასი კესარიელის თავდაპირველ ისტორიაში არ არსებობდა. ამკვარად, ამ ინტერპოლაციებზე დაყრდნობა არ შეძლება, მით უფრო ისეთი კერძო და ითული საკითხის ვარკვევისას, რომელიც ეხება კონსტანტინოპოლის მონაწილეობას ქართული ეკლესიის პირველი ორგანიზაციის დაფუძნებაში. ამასთან, თუ ჩვენ იმდროინდელ ისტორიულ-კანონიკური სიტუაციის მიხედვით შევამოწმებთ ამ ინტერპოლაციას, იგი ამ მხრივც უკუსაგდები აღმოჩნდება.

კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსი I მსოფლიო კრებისა (325 წ.) და მის მომდევნო ახლო პერიოდში ჯერ კიდევ არ სარგებლობდა ისეთი პრივილეგიებით, როგორც აღმოსავლეთის სხვა ეკლესიათა (მაგალითად, ანტიოქიის, ალექსანდრიის, ეფესოს, ჰერაკლიის და სხვ.) მეთაურები; მისი დაწინაურება დაიწყო სატახტო ქალაქისა და იმპერატორთა მფარველობის წყალობით. კონსტანტინოპოლის II მსოფლიო კრებამ (381 წ.) კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს მიანიჭა პატივით (და არა უფლებით) მეორე ადგილი რომის შემდეგ (კან. 2, 3). მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა საკუთარი სამიტროპოლიტო ეკლესია,

<sup>10</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი I, 1955, გვ. 115-116.

<sup>11</sup> ს. ყაუხჩიშვილის და ივ. ჯავახიშვილის ნაშრომების დასახელება ის ზემოთ ქ. აქციატემ ვაიხიარა ეს მოსაზრება, მაგრამ მან ქ. კონსტანტინოპოლის მოხსენება სარწმუნოდ მიიჩნია და მასზე დაფუძნა ქართველთა გაქრისტიანების თარიღი (ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები, მიმოხილველი, I, 1926); ისტორიკოსი ვახუშტი ბატრატიონი (XVII ს.) თვლის, რომ იბერიის გაქრისტიანების დროს და იმპერატორთან ელენის გაგზავნის დროს „კონსტანტინე ჯერეთ რომსაჲ იყო“ (საქართველოს ისტორია, გამოც. ბაქრაძის; I, გვ. 67).



არ ჰყავდა ზელქვეითი ეპისკოპოსები, იერარქიულად თვითონ გათავისუფლებული არ იყო ჰერაკლიის (თრაკიის დი-ევტეზი) მიტროპოლიტისაგან, და ამიტომ არ შეეძლო ეკურთხებინა ზელქვეითი ეპისკოპოსი. მართალია, მან ფაქტობრივად მალე განახორციელა სამ დი-ევტეზზე (თრაკიაზე, აზიასა და პონტო-ზე) უფლებები, მაგრამ 330-იან წლებში, როცა იმპერატორთან ქართველი ელჩები მივიდნენ, მსგავსი მოქმედება მისგან გამორიცხულია.

ამრიგად, მას შემდეგ, რაც ყოველმხრივ გამოირიცხა კონსტანტინოპოლის მონაწილეობა, მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბერძნულ (ანტიოქიურ) ცნობას, რომელიც ამ საკითხით დაინტერესებული XI ს. მეორე ნახევრის ქართველ მეცნიერს ეფრემ მცირეს (მოღვაწეობდა ანტიოქიის მახლობლად, შავ მთაზე) თავის ნაშრომში შეუტანია; აქ ჯერ ციტირებულია ბერძენი ისტორიკოსის თეოდრიტე კვირელის ვრცელი ტექსტი (ქართულად) ქართლის გაქრისტიანების შესახებ, და შემდეგ იქ, სადაც ლაპარაკია კონსტანტინე იმპერატორის მიერ ქართლში მღვდელმთავრის მოვლინების შესახებ, ეფრემ მცირე წერს: „ეგრეთვე სახელიცა მივლინებულისა მის ეპისკოპოსისაი ესრეთ პოვნილ არს, ვითარმედ თვით ევსტატი იყო ანტიოქიელი პატრიარქი, რომელმან დაამყარა ეკლესიაი იგი მირიანის მიერ მცხეთას აღშენებული და უკურთხა მათ კათალიკოსი მოავარეპისკოპოსი, ხოლო მეფემან ქართველთამან და ყოველთა მოავართა მისთა დაუწესეს პატრიარქსა ანტიოქიისასა მოსახსიდელად ნივითა წმიდისა მიპრონისათა აუარაკები ათასი კუამლი ქვეყანისაგან ქართველთაიხა, რაითა საფასლი შემოსა-

ვალთა მათთაი იყოს ფას ნივითთა მიპრონისათა, რამეთუ მათ ჟამთა არა სადა სხუაგან წმიდა იქნებოდა მიპრონი თვინიერ ანტიოქიას და მიერ განეყოფებოდა ყოველთა.

ამიერ იცნობების ჟამი მოქცევისაი და ვითარმედ ანტიოქიისა საფდრისა მიმდგომ იყვნეს და მიერ ზელთ-დასხმულ იქნებოდეს ქართლის კათალიკოსნი...“<sup>12</sup>

ბერძნული უცნობი წყაროდან („პოვნილ არს“) მომდინარე ამ ცნობას თუ შეუვუჯერებთ ზემოგანხილულ ბერძნულ-ქართულ (გელასი კესარიელი, რუფინუსი, თეოდორიტე კვირელი, „მოქცევის“ ქრონიკა, ლეონტი მროველი) ცნობებს, სურათი ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: რომის იმპერატორმა კონსტანტინემ ქართლში გამოგზავნა ანტიოქიელი ევსტატე (324-330), რომელმაც მცხეთაში აკურთხა ეკლესია და მცხეთის პირველი ეპისკოპოსი იოანე. აქედან, როგორც ეფრემ მცირეც შენიშნავს, დაიწყო ქართული ეკლესიის იერარქიული დამოკიდებულება ანტიოქიის ეკლესიისაგან.

შესაძლებელია აღნიშნულ წყაროში დეტალები სიზუსტით არ იყოს გადმოცემული და ვიგულისხმობთ, რომ იოანე ეპისკოპოსი ანტიოქიელს თან მოჰყვა, როგორც მისი ზელქვეითი, ეპისკოპოსი. თუმცა იგი ქართლშიც რომ ეკურთხებინა, კანონიკურად ამას ზელს არაფერი უშლიდა, რადგან ანტიოქიელს, ბუნებრივია, თანახმდებოდა ორი ან სამი ეპისკოპოსი მაინც<sup>13</sup>. ნიშანდობლივია, რომ იმპერატორმა ანტიოქიელს დაავალა ეს მისია, რითაც მან გამოხატა როგორც იბერიის მეფისადმი პატივისცემა, ისე გაითვალისწინა საქმის სერიოზულობაც: ის მიემგზავრებოდა მეფეს-

<sup>12</sup> ეფრემ მცირე. უწყობაი მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, რომელთა წივნთა შინა მოიხსენების. ტექსტი გამოსცა თ. ბრეჯაძემ. 1959, გვ. 8.

<sup>13</sup> ეკურთხევისათვის საჭიროა სულ მცირე 3 ან 2 ეპისკოპოსი. ეფრემ მცირე ტერმინებს ხნარობს არანუსტად ანტიოქიელს ამ დროს „პატრიარქი“ ჯერ კიდევ არ ეწოდებოდა, არც „კათალიკოსი“ იხმარებოდა ჯერ ქართლის ეპისკოპოსის აღსანიშნავად.

თან, მას სამეფო კართან მოუხდებოდა ურთიერთობა. ანტიოქიის კათედრა, და არა კონსტანტინოპოლისა, იმ დროს ითვლებოდა პრივილეგირებულ ეკლესიად. ასეთი რომის იმპერიაში მაშინ სულ რამდენიმე იყო, მათ შორის რომისა და ალექსანდრიის. ასეთი ეკლესიების მმართველ მიტროპოლიტებს „წარჩინებულებს“, „უპირველესებს“ უწოდებდნენ. ისინი, როგორც აღმინისტრაციული დიეცეზის მიტროპოლიტები, მართავენ (ჩვეულებრივი მიტროპოლიტისაგან განსხვავებით) რამდენიმე ეპარქიას. მაშინ ანტიოქიის ეკლესია პატივდებული იყო მთელს საქრისტიანოში როგორც უძველესი და აპოსტოლარული წარმოშობის ეკლესია, ანტიოქია როგორც უდიდესი საეკლესიო ცენტრი ტერიტორიულად უფრო ახლოს იყო საქართველოსთან, ვიდრე რომი და ალექსანდრია.

დასასრულ, იმის შესახებაც უნდა აღვნიშნოთ, რომ იმპერატორ კონსტანტინეს პირადი მონაწილეობა ქართლში სამღვდელეობის გამოგზავნის საქმეში, რასაც ერთხმად აღნიშნავენ ბერძნულ-ქართული წყაროები, შემთხვევითი არ არის, ამას ორი ვარაუდით განაპირობებდა: როგორც ვიცით, ქართლის გაქრისტიანება იყო არა მხოლოდ წმინდა რელიგიური საკითხი, არამედ ის მჭიდროდ დაუკავშირდა პოლიტიკურ მომენტსაც. ქართლი ირანთან ბრძოლაში ერთმორწმუნე ბიზანტიის სახით საიმედო მოკავშირეს იძენდა. იმპერატორსაც კარგად ესმოდა ამ ფაქტის პოლიტიკური სარგებლიანობა იმპერიისათვის, რაც გამოხატულია კიდევ მისივე სიტყვებში: რომ მას იბერიის გაქრისტიანება უფრო გაუხარდა, ვიდრე გაუხარდებოდა „რომის იმპერიისათვის უცნობი ხალხები და უცნობი სახელმწიფოები რომ შეეერთებინა“ (რუფინუსი) ან „ეს არის ნიში ღმერთისა, რომელიც უცხო თესლთ უქვემდებარებს მას“ (გელასი კესარიელი).

ამგვარად, ეს საკითხი აქ სახელმწიფოებრივ დონეზე გადაწყდა: რომ იმპერიაში როგორც მანამდე, ისე მაშინაც იმპერატორი ახორციელებდა საეკლესიო-საკულტო საქმეების უმაღლეს ხელისუფლებას (წარმართულ პერიოდში იმპერატორს უწოდებდნენ Maximus Pontifex, ახლა კი „საგარეო ეპისკოპოსს“). ამის გამოც ამგვარი დონის ძიებები მის კომპეტენციაში შედიოდა.

2. ქართული ეკლესიის შინაგანი სტრუქტურა. პირველი ეკლესია ქართლში აშენდა სამეფო დედაქალაქ მცხეთაში მას შემდეგ, რაც მეფე მირიანმა და სამეფო სახლობამ ქრისტიანობა აღიარეს. ეს იყო ხის „ქვემო“ ეკლესია – „სვეტი ცხოველით“. ამის შემდეგ საბერძნეთიდან მოვლენილმა სამღვდელეობამ აკურთხა ეკლესია და ხალხს შეუსრულა ნათლისღების საიდუმლო<sup>14</sup>. ეკლესიის მეთაური ატარებდა „მთავრის“ ან „მთავარეპისკოპოსის“ ტიტულს, ქართულ წყაროებშივე შემონახულია ამ მღვდელმთავართა პერსონალური სიები და მათი ქრონოლოგიური რიგი. ვიდრე V ს-მდე (ქართლში კათოლიკოსობის დაწესებამდე) მოქმედი იყო მხოლოდ ერთი საეპისკოპოსო მცხეთისა, სხვა ეკლესიები, რომლებიც ადგილებზე შემდეგ აშენდა, ქმნიდნენ მცხეთის სამრევლოებს.

ეპისკოპოსი რომ ერთი იყო ქართლში, ამას შემდეგი ჩვენებანი ადასტურებენ: IV-V საუკუნის ამბების თხრობი-

<sup>14</sup> აღნიშნული ფაქტები და მათი თანამიმდევრობა ერთხარად არის გადმოცემული ბერძნულ და ქართულ წყაროებში, რომლებიც ქართველთა გაქრისტიანების ისტორიას ეხებიან. წყაროებში არის მითითება, რომ ეკლესიის ფორმის შესახებ ხუროებისათვის თვით წმ. ნინოს უსწავლესა. მეორე ეკლესია მცხეთაში შალვე აშენდა ქვიტიანისა მცხეთისავე „გარეუბანს“, რამდენიმე ხნის შემდეგ ხის ეკლესია დაწერულა და ეპისკოპოსის რუზილენცია გადასულტ „გარეუბნის“ ეკლესიაში, სადაც გადატანილი იქნა „სვეტი ცხოველი“ (მოქცევა ქართლისა).

სას ძველი ისტორიკოსები („მოქცევის“ ქრონიკა, ლეონტი მროველი, ჯუანშერი XI ს.), რომელთაც ხელთ ჰქონდათ უფრო ძველი წყაროები, ქრონოლოგიური რიგით ასახელებენ მხოლოდ თითო-თითო ეპისკოპოსს (მთავარეპისკოპოსს)<sup>15</sup>, V ს-ის მომდევნო ამბების თხრობისას კი მხოლოდ თითო-თითო კათალიკოსს<sup>16</sup>, ხოლო მათ ზეობას განსაზღვრავენ ქართლის მეფეების სინქრონიზმით. პერიოდულად ავტორები აჯამებენ კიდევ მღვდელმთავართა რიცხვს მსგავსად მეფეთა რიცხვისა<sup>17</sup>. რადგან აქ „ეპისკოპოსის“ შენაცვლება „კათალიკოსით“ ხდება, ეს იმას მოწმობს, რომ ადრე ეკლესიის მეთაურად ერთი ეპისკოპოსი იყო, რომელიც შემდეგ ერთმა კათალიკოსმა შეცვალა. საყურადღებოა ისიც, რომ წყაროებში ჩვეულებრივ სისტემატურად არის აღნუსხული მეფეთა მიხედვით ეკლესიათა მშენებლობანი, მღვდლებისა და დიაკვნების რიცხვის ზრდა<sup>18</sup>, მაგრამ არსად საეპისკოპოსო ეკლესიის აგების (გარდა მცხეთისა) ან ეპისკოპოსის დადგენის შესახებ მითითება არ არის. ეს მაშინ, როცა იმავე წყაროებს საეპისკოპოსოთა მშენებლობის შესახებ ცნობები შემოაქვთ მხოლოდ ვახტანგ გორგასლის მეფობისა და მისი მომდევნო პერიოდების აღწერილობებში (მაგ., „ვახტანგ აღაშენა ეკლესია ნიქოზისა... და დასუა ეპისკოპოსი“). თვით ვახტანგის დროსაც, ვიდრე კათალიკოსობამდე, ისტორიკოს ჯუანშერს (XI ს.) სამეფო დარბაზზე დამსწრეთა შორის დასახელებული ჰყავს „ორივე ეპისკოპოსი“, რომე-

ლთაგან ერთი ბინქარანია (ცეცხლთაყვანისმცემელი, მოვთა ეპისკოპოსი), მეორე – მცხეთის ეპისკოპოსი<sup>19</sup>.

მიუხედავად ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად მიღებისა, როგორც ყველაფრიდან ჩანს, ქრისტიანობამ კარგა ხნის მანძილზე ვერ მოიცვა მოსახლეობის უმრავლესობა, თუმცა წყარო მიუთითებს, რომ მირიანი „წარემართა ქრისტიანობასა ზედა ნებითა ღვთისაითა ყოვლით საბრძანებლითა მისით“. ადგილ-ადგილ IV-V სს-ში ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ იყო ქართული წარმართობა (კერპთაყვანისმცემლობა) და ირანული ცეცხლთაყვანისმცემლობა. ჯერ კიდევ მოქმედებდნენ ამ რელიგიების მღვდელ-მსახურნი (ფაქტების მოტანა არაერთის შეიძლება). ქრისტიანობა, რაც უფრო და უფრო ღრმად იკიდებდა ფეხს, ავიწროებდა ძველ რელიგიებს, ამის კვალად ჩანს, მცხეთის საეპისკოპოსოს მოცულობა იზრდებოდა და ახალ-ახალი ეკლესიები შენდებოდა მის ფარგლებში.

IV-V სს. 60-იან წწ-მდე ქართლის საეპისკოპოსოში, არასრული წერილობითი წყაროების მიხედვით, არსებობდა შემდეგი ეკლესიები: ქ. მცხეთაში აშენდა სამი ეკლესია, რომელთა შორის ერთი საკათედრო იყო, ერთი გიორგიწმინდისა (ერთი მალე დაინგრა); აშენდა ერთშეთში არტანის ეკლესია, მანგლისის, წილკნის, ნეკრესის, რუსთავის (კუხეთში), წუნდის, ბოლნისის, სტეფანწმინდის (არაგვზე მცხეთასთან); კლარჯეთში: არტანუჯის ეკლესიები –

<sup>15</sup> მაგ., „დაჯდა მეფედ ბაკურ, ძვი რეისი და მოკულა იოვანე ეპისკოპოსი და დაჯდა იაკობ; სეფობდა არჩილ და მთავარეპისკოპოსი იყო იონა“, და სხვ. „მოქცევის“ ქრონიკა, შატბერდული. მე. ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1964, გვ. 91-92.

<sup>16</sup> მაგ., – „მეფობდა ბაკური და ძე დარჩისი და კათალიკოსი იყო სამოელ“, „მეფობდა ფარსან და კათალიკოსი იყო თაყფანაგ“ (იქვე).

<sup>17</sup> ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 105.

<sup>18</sup> მეფეების მიმართ ფორმულასავითაც შეორდება „ვანამრავლა მღვდელნი და დიაკონი“, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 131, 142 და სხვ.

<sup>19</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 147.

დაბისა, მერისი, შინდობისანი, ახიზის, საგარაუდოა, რომ ამ დროს აშენდა ხორნაბუჯის და აგარაკის ეკლესიები. ეკლესიები აშენდა აგრეთვე მთის ადგილებში, სადაც წმ. ნინომ იქადაგა ქრისტიანობა და მოსახლეობა მოინათლა: ჭართალელებში, ფხოვეში, თიანეთში, ერწოში, ჟალეთს, დაბა ედემს, ყუარელთა სოფლებში; კუხეთში — კაწარეთს, სუჯთა (სოჯთა) სამფლობელოში, დაბა ბოდინში (ბოდბე), კახეთში — ქველდაბას.

ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით, ქართული ეკლესიის ადმინისტრაციული ორგანიზაცია IV-V სს-ში, ვიდრე კათოლიკოსობის დაწესებამდე, ასე წარმოგვიდგება:

ქართული ეკლესიის დაარსებაში პირდაპირი მონაწილეობა მიიღო რომის იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა (306-337). მისი დავლებით ეკლესიოლოგიურ-კანონიკურად ის ჩამოაყალიბა ანტიოქიის ეკლესიის მღვდელმთავარმა ევსტატემ (324-330), რომელიც საქართველოში ჩამოვიდა. ანტიოქიის ეკლესია გახდა ქართული ეკლესიის დედა ეკლესია — Ecclesia Matrix ქართლის ეკლესია გაფორმდა ანტიოქიის იურისდიქციაში შემავალ საეპისკოპოსო ერთეულად, რომლის მეთაური — ეპისკოპოსი იერარქიულად დაქვემდებარა მას. ქართლის ეპისკოპოსი იყო ანტიოქიის ეკლესიის მმართველი მღვდელმთავრის (იმხანად „უბირველესი მიტროპოლიტის“, შემდეგ — „პატრიარქის“) სუფრაგანი ეპისკოპოსი, რომელსაც ანტიოქიაში სამიტროპოლიტო კრება (სინოდი) ირჩევდა, აკურთხებდა და ადგილზე აგზავნიდა. ის ეროვნებით ბერძენი იყო.

ქართლის სამეფოში ერთი საეპისკოპოსოს შექმნა განაპირობა იმ კონკრეტულმა ვითარებამ, რომ აქ, როგორც

ახალნერგ ქრისტიანულ ქვეყანაში, მრავალი ჯერ შესაფერისად მცირე იყო (ძველი რელიგიები ადამიანთა შეგნებაში სხვადასხვა მიზეზის გამო აღვილად არ თმობდა ასპარეზს), იგრძნობოდა, უჭველია, მღვდელმსახურთა კადრის სიმცირე. საქმეს ართულებდა პოლიტიკური მომენტიც — ცეცხლთაყვანისმცემლობის მატარებელი დამპყრობელი ირანი ამ საუკუნეებში საგრძნობ ძალას წარმოადგენდა კავკასიაში ქრისტიანული ბიზანტიის წინააღმდეგ.

ქრისტიანობის უპირატესობამ თავისი გაიტანა, იგი თანდათან იქცეოდა ერთადერთ რელიგიად. ამას ხელი შეუწყო ქვეყანაში მომხდარმა სხვადასხვა ცვლილებამაც, და ეკლესიის არსებობისათვის უკვე საჭირო შეიქნა მისი ადმინისტრაციული ორგანიზაციის სრულყოფა, რაც განხორციელდა V ს-ში ვახტანგ გორგასლის მეფობაში.

#### § 4. ვახტანგ გორგასლის მეფობა და ანტიოქიის ეკლესიისაგან ავტოკეფალიის მიღება (V ს.)

ქართული ეკლესიის ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული სტრუქტურის შეცვლა მოხდა ერთბაშად, რეფორმის სახით, რომელიც უკავშირდება ვახტანგ გორგასლის სახელს (V ს. 40-იანი წწ-502), ქრონოლოგიურად იგი მიეკუთვნება დაახლ. 466-68 წწ. ცვლილება იმით გამოიხატა, რომ შემოღებულ იქნა საეკლესიო მმართველობის ახალი სისტემა საკათოლიკოსოს სახით, რომლის მეთაური კათოლიკოსი წარმოადგენდა ავტოკეფალმმართველს.

ქართული ეკლესიის ახალი ფორმირება მოხდა იმ დროისათვის მიღებულ ყველა კანონიკური წესის დაცვით. საეკლესიო სფეროში ცვლილებები გამოიწვია ქვეყნის ისტორიულ-პოლიტიკურ



მა და ეკლესიურმა შინაგანმა საჭიროებაში.

1. ქართული ეკლესიის აღმინისტრაციული ორგანიზაცია V ს-ში (კათალიკოსობის დაწესება). ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დასაბუთების ისტორიულ ცნობათა სიმცირის გამო ძველი და თანამედროვე მკვლევარები უმთავრესად ამოდიან ვახტანგ გორგასლისდროინდელი საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკური ვითარებიდან, რომელიც ქვეყნის შესაჯვრის შესაძლებლობას აძლევდა ეძია ეკლესიური დამოუკიდებლობა და მიეღწია მისთვის. მკვლევარები მიუთითებენ აგრეთვე ტერმინ „კათალიკოსზე“ როგორც ეკლესიაში დამოუკიდებელი მესაჭის აღმნიშვნელზე და სხვ. ყოველივე ეს, როგორც ქვემოთაც დავინახავთ, ერთ-ერთი სწორი არგუმენტია ფაქტის ახსნისათვის, მაგრამ ავტოკეფალიის არსებობაზე პირდაპირ პასუხს მოგვცემს უპირველეს ყოვლისა მხოლოდ ახლადშემოღებული საეკლესიო აღმინისტრაციის ხასიათის გარკვევა<sup>1</sup>, საიდანაც მტკიცდება, რომ მის იურისდიქციას შეადგენდა როგორც კათალიკოსისა და ეპისკოპოსთა არჩევა-დადგენა, ასევე მათი გასამართლებაც. ამგვარად, ის იყო ავტოკეფალური ეკლესია.

ცვლილებები საეკლესიო წყობილებაში, როგორც ეს წყაროებშია გადმოცე-

მული, მოჰყვა ვახტანგ გორგასლის ირანიდან (სადაც სალაშქროდ იმყოფებოდა) დაბრუნებას და მიქაელ ქართლის ეპისკოპოსთან ჩამოვარდნილ მწვავე კონფლიქტს. მასთან საამბორებლად მისულ მეფეს მიქაელმა კბილებში წიხლი ჩართვა და კბილი ჩაუმტვრია.<sup>2</sup> ამის შემდეგ, მოგვიხრობს „მოქცევაი ქართლისა“:

„მეფემან წარავლინა მოციქულნი საბერძნეთსა და ითხოვა მეფისაგან და პატრიარქისაგან კათალიკოზი, ხოლო მან მოსცა პეტრე კათალიკოზი, და თანა ჰყვანდა მას სამოველი მონაზონი, წმინდა და ღირსი“...<sup>3</sup>

ვახტანგ გორგასლის ცხოვრების აღმწერელს ისტორიკოს ჯუანშერს უფრო დეტალურად აქვს გადმოცემული ეს ამბავი: მეფეს ელჩები მიქაელითურთ და მასთან ერთად ჩამტვრეული კბილით კონსტანტინოპოლის პატრიარქისათვის გაუგზავნია მიქაელისათვის მსჯავრის დასადებად, და „შეუთვალა, რათა კათალიკოსი და თორმეტი ეპისკოპოსნი სწრაფად წარმოავლინენ. და მათ შორისმცა არს პეტრე კათალიკოსად და სამოელ ეპისკოპოსად და სხუანი ვინცა სთნდენ“... კონსტანტინოპოლის პატრიარქს მიქაელი განუკეთავს და მონასტრში გადუსახლება საცხოვრებლად. ამის შემდეგ კონსტანტინოპოლის პატრიარქს და იმპერატორს პეტრე მღვდელი და სამოელი მონაზონი ანტიოქიის პატრიარქთან გაუ-

<sup>1</sup> ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დაწესების თარიღად V ს. მიანდათ მ. ბროსე, თ. ფორდნახა, მ. თამარაშვილი, ი. სოკოლუკი, იე. ჯავახიშვილი და სხვ. ეს თარიღი გაზიარებულია თანამედროვე მკვლევართა მიერ, აგრეთვე შეხულია საერთაშორისო ლიტერატურაში მაგ. BCΘ. 1952... ქსე. 1975. 1981. Lexicon für Theologie und Kirche, 1960; New Catholic Encyclopedia, I და სხვ.

<sup>2</sup> ამის გამო, რომ ამ ეუთობით ეკლესია არ უწარმოებიათ, არაერთ საყურადღებო ცნობას დღემდე ან სულ გვერდი აქვს ავლილი, ან სათანადოდ გაგებული არ არის.

<sup>3</sup> მიქაელი იყო საბერძნეთიდან მოკლული ქართლის ეპისკოპოსი, დაახლ. V ს-ის 40-60-იან წლ. მან დიდი ღვაწლი დასდო ქართლში მართლმადიდებლობის განმტკიცებას, პირადად ავთოკეფალიისა და სიმდიდრის მოყვარული „ეპიტხლისმოყვარე“, შხარს არ უჭერდა ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმას. ამ ნადავზე მათ შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება მწვავე კონფლიქტში დამთავრდა. მიქაელის შესახებ ცნობები დაცულია „მოქცევაი ქართლისა“-ში და „ქართლის ცხოვრებაში“.

<sup>4</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1964, გვ. 93.

მგზავრებით, იქ უცნობებით მისთვის ვახტანგ მეფისა და მიქაელის ამბავი და უთხოვიათ მას ეკურთხებიანა ქართლისათვის სამღვდელნი: „აწ ორნი ესე მათნი თხოილნი აკურთხენ, სხუანი თორმეტნი ვინცა-ვინ შენ გენებოს, ივინი აკურთხენ, და ჩუენდა წამოვიდნენ, რათა ჩუენ ნიჭითა და სახმრითა ყოვლითა განუტყუენთ. და ანტიოქიელმან პატრიარქმან აკურთხა თორმეტნი ეპისკოპოსნი და პეტრე კათალიკოსად.

და მოვიდეს კონსტანტინეპოლედ და მეფემან მისცა ნიჭი დიდძალი და ასული თვისი მისცა, სახელით ელენე, შეფესა ვახტანგს და წარმოვიდეს მცხეთას.“<sup>5</sup>

ციტირებული ადგილებიდან ამჯერად ყურადღებას შევანერებთ მხოლოდ იმ ცნობაზე, რომ ვახტანგ მეფეს საბერძნეთიდან გამოუთხოვია 12 ეპისკოპოსი კათალიკოსითურთ და მიუღია კიდევ, ამ ცნობის თანახმად, ერთის მხრივ, *eo ipso* დასტურდება ქართლში ადგილობრივი საეკლესიო კრების (სინოდის) დაარსება კათალიკოსის თავმჯდომარეობით, მეორე მხრივ, მაინცდამაინც 12 ეპისკოპოსის მოხსენება იმას მიუთითებს, რომ დაუცავთ საყოველთაოდ მიღებული კანონიკური წესი. სახელდობრ, ის, რომ კნონიკურად (და პრაქტიკულადაც) სულ მცირე თორმეტი ეპისკოპოსი იყო საჭირო, რათა ადგილობრივ ეკლესიას თავისი ფუნქცია ნორმალურად შეესრულებია, ამაზე ნაკლები არ დაიშუებოდა. (ეს ითქმის განსაკუთრებით ეპისკოპოსის გასამართლების და სხვა შემთხვევაშიც).

თანახმად მიღებული კანონისა, დამნაშავე ეპისკოპოსის გასამართლებას ახ-

დენდა ეპისკოპოსთა ჩვეულებრივი კრება, რომელიც პერიოდულად მოიწვეოდა საეკლესიო ოლქის უმაღლესი მესაჭის (მიტროპოლიტის) თავმჯდომარეობით. კართაგენის ადგილობრივმა საეკლესიო კრებამ (419 წ.) დაადგინა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ეპისკოპოსის საქმის გარჩევა სასურველი იქნებოდა ჩვეულებრივი კრების მოწვევამდე და თუ სამისოდ საგანგებოდ მოწვეულ ამ კრებაზე ვერ გამოცხადდებოდა უმრავლესობა, მაშინ, აუცილებელი იყო კრებას დასწრებოდა 12 ეპისკოპოსი მაინც (კან. 12)<sup>6</sup>.

თუ რამდენად მკაცრად იყო დაცული საუკუნეთა მანძილზე ეს წესი, ჩანს ამ კანონის ბალსამონისეულ კომენტარში მოტანილი ასეთი მაგალითიდან: ეპისკოპოსი ამატუნელი (კუნდ. კვიპროსი) განუკვეთავს 11 ეპისკოპოსისაგან შემდგარ კრებას, რომელსაც თავმჯდომარეობდა კვიპროსის ავტოკეფალური ეკლესიის უმაღლესი მესაჭე მთავარეპისკოპოსი. დასჯილმა ეპისკოპოსმა საქმე გაასაჩივრა კონსტანტინოპოლის პატრიარქ დლუკასთან (1157-1170) იმ მოტივით, რომ ის თერთმეტმა ეპისკოპოსმა განკვეთა და არა 12-მა. პატრიარქმა გააუქმა განაჩენი იმის გამო, რომ გასამართლება-განკვეთა არ მოხდა ეპისკოპოსთა უმრავლესობის საბჭოზე და, მეორეც, იმის გამო, რომ განკვეთა მოახდინა საგანგებო კრებაზე არა თორმეტმა ეპისკოპოსმა (თავმჯდომარის ჩაუთვლელად), არამედ თერთმეტმა ეპისკოპოსმა და თავმჯდომარემ — მთავარეპისკოპოსმა.<sup>7</sup>

საყურადღებოა, რომ სპარსულ-სირიულ საეკლესიო სისტემაშიც ვხვდებით 12-13 ეპისკოპოსისაგან შემდგარ სპეცი-

<sup>5</sup> ქართლის ცხოვრება I, 1955, გვ. 197-198. პეტრე მღვდელი დ სამოელ მონაზონი ვახტანგ მეფემ გაიცნო საბერძნეთში ლაშქრობისას. ისინი მაშინ მსახურობდნენ ქ. ნაზიანზენში გრიგალი ლეონიმეტრეელის, კონსტანტინოპოლის პატრიარქის (379-381) საფლაკზე. მათ ხელი შეუწვეს ვახტანგის დახვედბას ბიზანტიის იმპერატორთან. მასთან მივიდნენ ვახტანგის ელჩებად.

<sup>6</sup> Правила Православной церкви с толкованиями Никодима, епископа Далматинско-Истрийского, перевод с сербского, т. II, СПб, 1912, с. 153—154; დაიკ სჯულისკანონი, თბ., 1975, გვ. 295.

<sup>7</sup> Никодим, II, ст. 154.

ალურ ინსტიტუტს, რომელიც არსებობდა კათალიკოსთან.<sup>6</sup>

ამრიგად, თუკი კანონიკურად 12 ეპისკოპოსი იყო ის მინიმუმი, ურომლისოდანაც ადგილობრივ ეკლესიას არ შეეძლო თავისი ერთ-ერთი მთავარი ფუნქციის, ეპისკოპოსთა განკვეთა-გასამართლების შესრულება და 12 ეპისკოპოსისაგან შემდგარი კრება საქართველოში უკვე არსებობდა ახლადშემოღებული საკათოლიკოსოს სისტემით, მაშასადამე, ქართულ ეკლესიას მიუღია უფლებამოსილება ეპისკოპოსთა გასამართლებისა<sup>7</sup>. ეს კი იყო დამოუკიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია.

საეკლესიო პირთა ადგილობრივად გასამართლება-დასჯის უფლების მოპოვებისათვის ზრუნვა საქართველოს მთავრობას, უეჭველია, უკარნახა პრაქტიკულმა შემთხვევამაც, როდესაც ქართლის ეპისკოპოსი მიქაელი თავისი საქციელისათვის (მეფის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა) განკვეთით უნდა დასჯილიყო და, ადგილობრივად შესაფერისი საეკლესიო ორგანოს არარსებობის გამო, ის კონსტანტინოპოლში გაიგზავნა.

საქართველოში საეკლესიო კრების იურისდიქციას ეპისკოპოსთა არჩევასა და დადგენაზე (მათ შორის კათოლიკოსისაც), ადასტურებს როგორც კრების

არსებობა<sup>8</sup>, ისე „კათოლიკოსის“ როგორც ეკლესიის მეთაურის სტატუსიც.

ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ V ს-ის მწერალი იაკობ ზუცესი, რომელიც უშუალო თანამედროვეა ქართლში კათოლიკოსობის დაწესებისა, თავის თხზულებაში პერსონალურად ასხენებს მისი დროის კათოლიკოსს სამოელს ეპითეტით: „თავი ეპისკოპოსთა“<sup>9</sup>. სხვა წყაროთაც ამ პერიოდში კათოლიკოსს ეწოდება „ეპისკოპოსთ მთავარი“<sup>10</sup>. ეს სახელწოდებანი პირდაპირ გვიჩვენებენ კათოლიკოსის დანიშნულებას, მაგრამ გვაქვს ცნობა იმაზეც, რომ მას ჰყავს ხელქვეითი ეპისკოპოსები („ეპისკოპოსი მისივე მოყვასი“),<sup>11</sup> რომელსაც ის ადგენს („მის მიერ ყოფად არს ეპისკოპოსად“).<sup>12</sup>

კათოლიკოსი როგორც ეპისკოპოსთა თავი, რომელიც ადგენდა (ამტკიცებდა და აკურთხებდა) ეპისკოპოსს, ქმნიდა კიდევაც ეპისკოპოსთა კრებას, რომელზეც ირჩევდნენ საეპისკოპოსო კანდიდატს, ბიზანტიაში ამ დროს (V ს.) არ არსებობდა საეკლესიო კავშირის არც ერთი ფორმა, რომელსაც „თავი“ ჰყავდა და ეპისკოპოსის არჩევა-დადგენის უფლება არ ჰქონდა. მაშასადამე, საქართველოშიც ადგილობრივ ხდებოდა ეპისკოპოსების არჩევა-დადგენა. არჩეულის ეპისკოპოსად კურთხევა-ხელდასხმა (ქიროტონია)

<sup>6</sup> В. В. Болотов. Лекции по истории древней церкви, III, сг. 188—189.

<sup>7</sup> ცნობილია, რომ პატრიარქატის სისტემის გამარჯვებამდე (IV სს. კრ. 451 წ.) ეს უფლება ადგილობრივ ავტოკეფალურ ეკლესიებში (მიტროპოლიებში) საბოლოო და უაპელაციო იყო, პატრიარქატის შედეგად კი თანდათან „კონსტანტინოპოლის საყდარი“ გახდა სააპელაციო ორგანო არა მხოლოდ მის საპატრიარქოში, არამედ შთელს აღმოსავლეთში (IV სს. კრ. კან. 9 და 17).

<sup>8</sup> კარაივანის კრებები (419 წ.) 49-ე კანონით ეტყობაობთ, რომ ბიზანტიაში ყოფილია ისეთი ეკლესიები, სადაც ეპისკოპოსის ხელდასხმასაც (ქიროტონია) არ ატარებდნენ 12 ეპისკოპოსის ვარგზე, მაგ., ნუმიდიაში კრებამ დაადგინა, რომ ეს წესი შესასრულებლად ძნელია, შეუძლებელია 12 ეპისკოპოსის შეკრება, ხელდასხმის შემთხვევა კი ყოველთვის ზშირია, ამიტომ უწყოფოდ იქნეს და მიღებულ იქნეს ძველი წესი, რომლის ძალითაც ხელდასხმისათვის საკმარისია მინიმუმ 3 ეპისკოპოსის შეკრება. Никодим II; გვ. 200-201.

<sup>9</sup> მარტვილიანი შუშანიკისი, დიწვერა 474-84 წწ. ძველი ქართული ავთოგრაფიული ძეგლები, ტ. I, თბ., გვ. 27. ეს სამოელი არის რიგით მეორე კათალიკოსი პეტრეს შემდეგ.

<sup>10</sup> ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 168, 197.

<sup>11</sup> ძეგლები, I, გვ. 17.

<sup>12</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 168.

სრულდებოდა, როგორც ბიზანტიაშიც, აუცილებელი „თავის“ (ამ შემთხვევაში კათოლიკოსის) მონაწილეობით. მასში მონაწილეობდა კიდევ კრების ორი წევრი — ეპისკოპოსი.

კათოლიკოსი მაღალი სახელისუფლო რანგის წარმომადგენელი იყო, ისე როგორც ბიზანტიაში მიტროპოლიტი, პატრიარქი... ნიშანდობლივია, რომ კათოლიკოსის ქართული წოდებულობა „თავი“ სრული ანალოგიურია ბიზანტიურისა, რაც მათი ფუნქციებისა და მდგომარეობის მსგავსებაზე მეტყველებს. მაგ., ბიზანტიაში საეკლესიო პროვინციის (იგივე ეპარქიის) მეთაურს (აერთიანებდა ეპარქიაში შემავალ ეპისკოპოსებს) ეწოდებოდა „თავი“ „პირველი“ (ბერძ. პროტოს, კეფალე; ლათ. primus, caput), ასევე „თავის“ მნიშვნელობით იხმარებოდა „მიტროპოლიტი“<sup>15</sup>.

ეპისკოპოსთა „თავს“ ბიზანტიაში ადგენდა თვით საეკლესიო ოლქის (ეპარქიის) ეპისკოპოსთა კრება გარედან ჩაურევლად (აოსტოლოთა, კან. 34; ანტიოქიის, კან. 9; ნიკეის I, კან. 6; ეფესოს, კან. 8)<sup>17</sup> ამიტომ საეკლესიო მიტროპოლიტები (ეპარქიები) წარმოადგენდნენ ავტოკეფალურ ეკლესიებს, მიტროპოლიტები — ავტოკეფალებს<sup>18</sup>.

IV-V სს-ში, პატრიარქატის ჩამოყალიბების პერიოდში, გაჩნდა მისწრაფება მოესპოთ მიტროპოლიტების ავტოკე-

ფალია და დიეცეზის მეთაურ „უპირველეს“, „უწარჩინებულეს“ მიტროპოლიტებს (მოშავალ პატრიარქებს) მიეღოთ ეპარქიის „თავის“ „მიტროპოლიტის“ დადგენის უფლება. მაგრამ ვიდრე პატრიარქატის სისტემა საბოლოოდ გაიმარჯვებდა (ქალკედონის 451 წ. IV მს. კრ. კან. 28) და ვიდრე ყველა მიტროპოლიტის ავტოკეფალია გაუქმებული არ იყო, მსოფლიო საეკლესიო კრებები საკმაოდ იძლეოდნენ მიტროპოლიტების ავტოკეფალიის შენარჩუნების გარანტიას (ნიკეის I, კან. 6; ეფესოს, კან. 8). ამიტომაც ჯერ კიდევ არ იყო ძნელი სადაოდ ქვეშული ავტოკეფალია ისევე ძველი ავტოკეფალისტის სასარგებლოდ გადაჭრილიყო (კვიპროსის მაგალითი 431 წელს ეფესოს კრებაზე).

ამრიგად, ასეთ გარდამავალ პერიოდში, როცა ბიზანტიაში ზოგიერთ ეკლესიათა „თავი“ შეიძლებოდა ჯერ კიდევ ბეტოკეფალური ყოფილიყო, სრულიად ადვილი იყო, მით უფრო საქართველოში, იმპერიის გარეთ, ეკლესიის „თავი“ (იგივე „კათალიკოსი“) ავტოკეფალური უფლებით მოეწვინებინათ<sup>19</sup> (საქართველოში კათოლიკოსობა დაარსდა დაახლ. 466-68 წწ.).

ქართული ეკლესიის მესაჭის, კათოლიკოსის, ავტოკეფალობის სასარგებლოდ, გარდა იმისა, რომ ის „თავია“ (ასეთ „თავს“ ამ დროს ბიზანტიაში ადგილობ-

<sup>15</sup> აოსტოლოთა, კან. 34; ანტიოქიის, კან. 9; კართაგენის, კან. 18, 19, 23, 39, 85 და სხვ.

<sup>16</sup> მიღებული იყო, რომ საეპარქო (პროვინციის) ეკლესიის „თავად“ აუცილებელი იყო ეპისკოპოსი უნდა დაესვათ, რომელიც საოქალაქო ადმინისტრაციის (პროვინციის) დელეგატში (ბერძ. მეტროპოლის) იჯდა, მას დელეგატი — ბერძ. მეტროპოლიტეს ეწოდებოდა. მას, ამას გარდა, ჰქონდა თავისი საკუთარი განსაკუთრებული როგორც ერთ-ერთ ეპისკოპოსთაგანს (ანტიოქიის კრ. კან. 9).

<sup>17</sup> «Епископ всякого народа подобает знати первого из них и признавати его яко главу» (აპოს. 34). Никодим, I, ст. 98; «В каждой области епископам должно ведати епископа в митрополии начальствующего и имеющего попечение о всей области», Антиохийское ван. 9; Никодим, II, ст. 70.

<sup>18</sup> ა. ბალსამონის კომენტარი კონსტანტინოპოლის II მს. კრების მე-2 კანონის შესახებ: «В древности все митрополии епархий были независимы (автокефальны) и рукополагаемы были своими собственными соборами». Правила святых вселенских соборов с толкованиями, ч. I, Москва, 1877, ст. 85—87.

<sup>19</sup> ამ საკითხს შეეხებით ქვემოთაც.



რივი კრება ნიშნავდა), ლაპარაკობს ზოგერთი ცნობა, დაცული ისევე ძველ ქართულ წყაროებში. სახელდობრ:

ა. ყურადღებას იქცევს ჯუანშერის თხზულებაში პეტრე პირველი კათოლიკოსის შესახებ თხრობა, სადაც პეტრეს მდგომარეობა როგორც კათოლიკოსისა განხილულია სწორედ მისი უფლებრიობის თვალსაზრისით. თხრობა ჩართულია ვახტანგის ხილვა-სიზმრის აღწერილობაში. აქ მოქმედ პერსონაჟებად გამოყვანილია სხეებს შორის ბიზანტიის იმპერატორი, კონსტანტინოპოლის პატრიარქი, მეფე ვახტანგ გორგასალი, პეტრე კათალიკოსი და სამოელ ეპისკოპოსი. კონსტანტინოპოლის პატრიარქი ისეთსავე გვირგვინს, როგორც მას აქვს („ეგვითარივე გვირგვინი“), გადასცემს ვახტანგის ხელით პეტრეს და მას თავზე დაახურავს, ხოლო პეტრე თავის გვირგვინზე უფრო მდარეს („უდარეს“) თავზე დაახურავს სამოელს.

იქვე ახსნილია სიზმრის ალეგორია: პატრიარქმა პეტრე კათალიკოსს უბოძა ისეთივე „ეპისკოპოსთა მთავრობა“, როგორც თვით პატრიარქსაც ეპერა, ხოლო პეტრეს მიერ „უდარესი“ გვირგვინის გადაცემა სამოელისათვის ნიშნავს კათალიკოსის მიერ ეპისკოპოსთა (მასზე დაბალი ეპისკოპოსის) დადგენის უფლების მიღებას.<sup>20</sup> ამრიგად, აქ პირდაპირ განმარტებულია რომ ვახტანგ მეფის დროის პირველი კათალიკოსი პეტრე იერარქიულად ისეთივე რანგისაა, როგორც კონსტანტინოპოლის პატრიარქი, ე. ი. მასზე მაღლა არავინ დგას, ის ისეთივე ავტოკეფალი არის, როგორც კონსტანტინოპოლის პატრიარქი. აქ შეიძლება ამ უძველეს გაგებას „კათალიკოსის“ სუკერე-

ული უფლების შესახებ ანგარიში არ გაუწიოთ, მით უფრო, რომ ისტორიკოს ჯუანშერს მაშინ (XI ს.) გაკალეხით მეტი ძველი წყარო და ცოდნა ჰქონდა, ვიდრე დღეს მოგვეპოვება.

ბ. კათალიკოსის ავტოკეფალურ უფლებიანობაზე ერთი, ცოტა გვიანდელი, ფაქტიც ლაპარაკობს. საქმე ისაა, რომ მას შემდეგ, რაც ქართული ეკლესიის მეთაურმა „პატრიარქის“ ტიტული მიიღო (XI ს. დასაწყ.), მას „კათალიკოსი“ არ ნამოშორდა, არამედ „პატრიარქის“ სინონიმად შერჩა, იწოდებოდა „კათოლიკოს-პატრიარქად“ ან კათოლიკოსად (იმავე პატრიარქის მნიშვნელობით). ესეც იმას მოწმობს, რომ იმთავითვე კათალიკოსის უფლებრიობა მაღალი რანგის საეკლესიო ხელისუფლებას უტოლდებოდა.<sup>21</sup>

გ. ყურადღებას იქცევს ძველ წყაროებში (VIII-X სს.) ისეთი ცნობები, სადაც „კათალიკოსის“ მიმართ პირდაპირ მიყენებულია „პატრიარქის“ შესაბამისი („მამამთავრის“) წოდებულობა. მაგ. ქართლის „მოქცევის“ ქრონიკაში, პირველი კათალიკოსის პეტრეს დადგენასთან დაკავშირებით, იკითხება: „აქადგან იწყეს კათალიკოსთა მამამთავრობად, პირველი კათალიკოსი იყო პეტრე ვახტანგ მეფისაზე“<sup>22</sup> (ქართული „მამამთავარი“ პირდაპირი თარგმანია „პატრიარქის“). უფლებრივი მდგომარეობით ქართლის კათალიკოსი მიიჩნედათ ბიზანტიაში იმ დროს მოქმედ პატრიარქების ტოლად.<sup>23</sup>

დ. „კათალიკოსი“, როგორც თანამდებობის აღმნიშვნელი, სირიის, ალბანეთისა და სომხურ ეკლესიებში V ს-ში

<sup>20</sup> ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 167-168.

<sup>21</sup> ქართული ეკლესიის შესახებ რომ ამოავითვე არ მიიღო „პატრიარქის“ ტიტული, ეს სრულიად ბუნებრივი იყო, სახეც ახლა არ შეგვრდებათ.

<sup>22</sup> ძველები 1, გვ. 93.

<sup>23</sup> იგრეთვე მაგ. მაქელ მადრიკელის კანონები, წ. 11, გამოცემა ე. გუბარიაძე, გვ. 518-530. წ. 111, გვ. 245. დიდი სეკულიკანონი, გვ. 372, 538, შნტებრდის კრებული, გვ. 434 და სხვ.

ესმოდათ როგორც დამოუკიდებელი ეკლესიის მეთაურის წოდებულობა<sup>24</sup>.

ყოველივე ზემოთქმული უფლებას გვაძლევს დაეასკვნათ, რომ ქართული საკათალიკოსო ადმინისტრაციულ-ორგანიზაციულად წარმოადგენდა დასრულებულ ეკლესიას, რომელსაც ჰქონდა იურისდიქცია ეპისკოპოსთა ირწევის, დადგენის (მათ შორის უმაღლესი მესაჯვის კათალიკოსისაც) და გასამართლების (ყოველივე ეს შეესაბამებოდა ავტოკეფალურ ეკლესიათა იმდროინდელ სტატუსს)<sup>25</sup>.

ამგვარად, თვალსაჩინოდ მტკიცდება, რომ ვახტანგ გორგასალს საბერძნეთიდან კათოლიკოსი გამოუთხოვია ავტოკეფალური უფლებით.

2. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მიღება ანტიოქიის ეკლესიის საგან ისტორიკოს ჯუანშერთან დაკვლია ცნობა, რომ საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია მიუღია კანონიკური საშუალებით. ზემოციტირებული ტექსტიდან, რომელიც ვახტანგის მიერ საბერძნეთიდან კათოლიკოსისა და 12 ეპისკოპოსის გამოთხოვას ეხება, ყურადღებას იქცევს ცნობა იმის შესახებ, რომ ამ აქტში მონაწილეობას იღებენ იმპერატორი, კონსტანტინოპოლის პატრიარქი და ანტიოქიის პატრიარქი. გაგზავნილი ელჩები, როგორც ამ ტექსტიდან ვიცით, ჯერ მიხუღან კონსტანტინოპოლში, სადაც პატრიარქს დაუსჯია დამნაშავე მიქაელი მონასტერში გადასახლებით; ამის შემდეგ ელჩები და დასადგენი პირები მიემგზავრებიან ანტიოქიას, სადაც კონსტანტინოპოლის პატრიარქისა და იმპერატორის ლეონ დიდის

(457-474) დავალებით ანტიოქიის პატრიარქის პატრიარქი აკურთხებს თორმეტ ეპისკოპოსებად და პეტრეს კათოლიკოსად, შემდეგ ისევ კონსტანტინოპოლში მიემგზავრებიან და იქიდან — მცხეთას, ცხადია, აქ უბრალო და უშიშრო მიმსვლა კი არ არის აღწერილი, არამედ „სახული“ სწორედ ავტოკეფალიის მიღების კანონიკური პროცედურა, როგორც ცნობილია, რომელიმე ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭება ხდებოდა იმპერატორისა და მსოფლიო პატრიარქთა თანხმობით, რათა მას არ გამოეწვია კათოლიკე ეკლესიის გათიშვა. მთავარი როლი კონსტანტინოპოლის პატრიარქს ჰქონდა, მაგრამ პირველი სიტყვა იმ ეკლესიას ეკუთვნოდა, რომლის იურისდიქციასაც ავტოკეფალიის მამიებელი ეკლესია ეკუთვნოდა.

მას შემდეგ, რაც დავინახეთ, რომ ქართლში ახლადდაარსებული საკათოლიკოსო თავისი ხასიათით წარმოადგენდა ავტოკეფალურ ეკლესიას, შეიძლება დავასკვნათ, რომ ანტიოქიის პატრიარქს კათოლიკოსი წარმოუვლენია სწორედ ავტოკეფალური სტატუსით და მისი ამ უფლებით დალოცვა-კურთხევა მომხდარა კანონიკური წესების სრული დაცვით.<sup>26</sup>

ვახტანგ გორგასალმა, ჩანს, ეკლესიის რეფორმისათვის კარგად გამოიყენა ბიზანტიასთან კეთილმეზობლური დამოკიდებულება. როგორც ცნობილია, მან იმპერატორს გადასცა ეგრისში მის მიერ დაკავებული ციხე-გოჯი, სამაგიეროდ დაიბრუნა არტანუჯი (სადაც ეკლესიები ააგო). ამას მოჰყვა კეისრის მიერ ვახტანგისათვის საცოდის გამოგზავნა. როგ-

<sup>24</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1, 1928, გვ. 319.

<sup>25</sup> კვიროსის შეკვლით. კვიროსის ეკლესიამ ავტოკეფალიის სრული წერილობითი გარანტია მიიღო ეფესოს მსოფლიო კრებაზე (431 წ.). აქვე მიიღეს გარანტია სხვა ავტოკეფალურმა მატროპოლიებმაც (კან. 8).

<sup>26</sup> რამდენადაც კათოლიკოსობის დაწესების თარიღად მივიღეთ 466-468 წლები, ამ აქტში მონაწილეობა ენახება შემდეგი გამოდის: იმპერატორი ლეონ დიდი (457-474), რომლის მონაწილეობის შესახებ ცნობა დაცული აქვს ქართლის ცხოვრებასაც (ჯუანშერი); კონსტანტინოპოლის პატრიარქი გენადი (458-471) და ანტიოქიის პატრიარქი მარტირიუსი (459-470).

ორც წყაროშია მოთხრობილი, კონსტანტინოპოლიდან 12 ეპისკოპოსსა და კათოლიკოსს და მათთან ერთად ვახტანგის საცოლეს დიდი ზემოთ გამოისტუმრებს იმპერატორი (ტექსტი იხილეთ ზემოთ).

ვინაიდან კათოლიკოსის საეკლესიო იურისდიქცია მთელი სახელმწიფოს ეთნიკურ-პოლიტიკური მასშტაბით ვრცელდებოდა, ამიტომ ეს იყო ერთგვარი რეგიონალური ეპარქია, რომელიც სახელმწიფოს ემთხვეოდა და რომელიც პოლიტიკურად ბიზანტიის მფლობელობაში არ შედიოდა, ამდენად გამართლებულია, რომ საქართველოს საკათოლიკოსო, კათოლიკოსით სათავეში, ბიზანტიისაგან ეკლესიურადაც დამოუკიდებელი ყოფილიყო.

3. ქართული ეკლესიის აღმინისტრაციული სტრუქტურა. ჩვენ უკვე შევეხეთ საქართველოში საკათოლიკოსო ეკლესიის აღმინისტრაციული იურისდიქციის საკითხებს, ამჯერად უნდა განვიხილოთ საეპისკოპოსოთა სისტემა.

წყაროში დაცულია პირდაპირი ცნობები როგორც ახლად დაარსებული თორმეტი საეპისკოპოსოს ტერიტორიული განლაგების და საკათედრო ადგილების, ისე საკათოლიკოსო რეზიდენციის შესახებ: „ხოლო მცხეთას მფეჟმან ვახტანგ აღაშენა ეკლესია მოციქულთა სუეტიცხოველი. და უპყრა სუეტსა შინა სამხრით ადგილსა მას, სადა-იგი დაცემულ იყო ეკლესია, რომელ არს სიონი დიდი, და მუნ შინა დასუეს პეტრე კათალიკოსად და სამოელ ეპისკოპოსად მცხეთასავე საეპისკოპოსისა.

და დასუა ერთი ეპისკოპოსად კლარჯეთს, ეკლესიასა ახიზისასა, ერთი არტანს ერუშეთს; ერთი კახეთს წუნდას;

ერთი მანგლისს; ერთი ბოლნისს; ერთი რუსთავს; ერთი ნინოწმიდას, უჯარმის კარსა, რომელი გორგასალსა აღუშენა; ერთი ჭერემს, მისსავე აღშენებულსა. და მუნ ქმნა ქალაქი ერთი შორის ორთავე ეკლესიათა, რომელი იგი მანვე აღაშენა; ერთი ჩელეთს, რომელი სოფელსა შუა აღაშენა; ერთი ხორნაბუჯს და ერთი აგარაკს, რომელ არს ხუნანს გამართებით“<sup>27</sup>

როგორც ტექსტიდან ჩანს, საეპისკოპოსო კათედრები ზოგი უკვე არსებულ ეკლესიებში დაუდგენიათ, ზოგისათვის კი ახლად აუშენებიათ. ასეთებია, რომელსაც ახლავს ფრაზა, „რომელი ვახტანგ აღაშენა“. შესაძლოა, დასახელებულს გარდა სხვაც იყო ახლად აშენებული და ისტორიკოსმა არ იცოდეს<sup>28</sup>.

კათოლიკოსის რეზიდენციისათვის აუშენებიათ მცხეთაში ახალი ეკლესია ძველი „დაცემულ ეკლესიის“ ადგილას „მოციქულთა“ სახელობაზე – „სვეტიცხოველი“. „სიონი დიდი“, ხოლო მცხეთაშივე ძველი ეპისკოპოსის საყდარი „მაცხოვრის“ („ღვთაების“) სახელობისა, უქცევიათ „საეპისკოპოსოდ“.

როგორც კარგად ჩანს, ახლად დაარსებულ 12 საეპისკოპოსოს განლაგება ემთხვევა იმდროის ქართლის აღმინისტრაციულ დაყოფას. თითოეული აღმინისტრაციული ერთეული-საერისთავო იმავე დროს ცალკე საეპისკოპოსო ერთეულია ანუ საეპისკოპოსო „სამთავრო“<sup>29</sup>. ეპისკოპოსები საგამგეო ოლქების ქალაქებში სხედან. ზოგჯერ საეპისკოპოსო ერთი ქალაქითაც იფარგლება. დიდ საერისთავოებში, მათში შემავალი თემების მიხედვით, რამდენიმე ეპისკოპოსი ზის; ამდენად, საკათედრო ეკლესია სოფელ ადგილასაც გვხვდება.

<sup>27</sup> ჯუანშერ, ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 198-199.  
<sup>28</sup> ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი გეაქილის ძველ ცნობას სწორი ინტერპრეტაციით: „მირაინვე აღაშენა ეკლესია მაცხოვრისა ღვთაებისა სამთავრო ქუთაისისა გუნბათიანა დიდშემენარი და დაუფლა მუნ, აძან შინა დასუა გორგასალ ეპისკოპოსა და აწც ზის მთავარ ეპისკოპოსს მსუქმსა რუსთავს ზეთი დიდ ლიახუამდე ვახტანგ გორგასალ აღაშენა მცხეთა ქუთაისითა. მუნვე დასუა კათალიკოსი“. ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 61.

ქვემოთ მოგვყავს ქართლის ახლად-დაარსებული საეპისკოპოსოების სისტემა საერო ადმინისტრაციასთან შესატყვისობის ჩვენებით.

1. ახიზის საეპისკოპოსო — კლარჯეთში, ქ. ახიზის ეკლესია—კლარჯეთის საერისთავო.

2. ერუშეთის საეპისკოპოსო — არტაანში, ერუშეთის ეკლესია — ძველი წუნდის საერისთავო, არტაანის თემი.

3. წუნდის საეპისკოპოსო—ჯავახეთში, წუნდის ეკლესია — წუნდის საერისთავო.

4. მანგლისის საეპისკოპოსო—ქ. მანგლისში, მანგლისის ეკლესია „შიდა ქართლის სასპასპეტო, საერისთავოსაერისთავო.

5. ბოლნისის საეპისკოპოსო — ქ. ბოლნისში, ბოლნისის ეკლესია.

6. რუსთავის საეპისკოპოსო — ქ. რუსთავში, რუსთავის ეკლესია — რუსთავის საერისთავო.

7. ნინოწმინდის საეპისკოპოსო — უჯარმის კარს ქ. ნინოწმინდის ეკლესია — მეფის სასახლე.

8. ჭერემის საეპისკოპოსო — ქ. ჭერემში, ჭერემის ეკლესია — კახეთ-კუხეთის საერისთავო.

9. ჩელეთის საეპისკოპოსო — სოფ. ჩელეთში, ჩელეთის ეკლესია — კახეთ-კუხეთის საერისთავო.

10. ხორნაბუჯის საეპისკოპოსო — ხორნაბუჯში, ხორნაბუჯის ეკლესია — ხორნაბუჯის საერისთავო.

11. აგარაკის საეპისკოპოსო — ხუნანში, აგარაკის ეკლესია — ხუნანის საერისთავო.

12. (მეთორმეტე, მეცხეთის საეპისკოპოსოს შესახებ იხ. ქვემოთ).

საეპისკოპოსოთა ტერიტორიის კონკრეტული განსაზღვრისათვის უნდა მო-

ვიშველიოთ შესაბამისი საერისთავოთა საზღვრები და ეპარქიათა შესახებ ნაწილობრივ გვიანი ხანის ცნობებიც, რომლებიც ძველ ტრადიციას ასახავენ<sup>29</sup>. სამწუხაროდ, სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერჯერობით არ არის დადგენილი არც საერისთავოების და არც ეპარქიების საზღვრები.

ზემოციტირებული ტექსტიდან ჩანს, რომ კათალიკოსობის დაწესების შემდეგ მცხეთა ორი იერარქიის რეზიდენციად გადაიქცა: კათალიკოსის და ეპისკოპოსის. მთავარი ისაა, რომ ამ უკანასკნელის რეზიდენცია იქვე დარჩა სადაც მანამდე მთელი ქართლის ეპისკოპოსი (მთავარეპისკოპოსი) იჯდა, ოღონდ ახლა ის რიგითი ეპისკოპოსია თორმეტ ეპისკოპოსთა შორის.

ის ფაქტი, რომ საქართველოს საეკლესიო იერარქიაში საუკუნეების მანძილზე, ვიდრე XVIII ს-მდე, მოქმედებდა მცხეთაში (სამთავროში) მჯდომი „ქართლის მთავარეპისკოპოსი“, მოწმობს რომ ვახტანგის დროს, კათალიკოსობის შემოღებასთან დაკავშირებით, ძველი „მთავარეპისკოპოსი“ გაუქმებული არ ყოფილა, და თვით ისტორიკოს ჯუანშერის მართებული აზრით, კათალიკოსობის შემოღება გულისხმობდა არსებულ ქართლის ეპისკოპოსისაგან დამოუკიდებელი, ახალი და მასზე მაღლა მდგომი თანამდებობის დაარსებას და ა. შ. ეს ვითარება არის გამოხატული ქართლის ეპისკოპოსის მიქაელის მიმართ ნათქვამშიც: „მაშინ გამოჩნდა ცხადად, რაჟამს გესმა უმთავრესისა შენისა ქართლად მოყვანება და აღევზენნენ შურითა“<sup>30</sup>.

ქართლის ეპისკოპოსის იურიდიქცია კათალიკოსობის დაწესების შემდეგ, ცხადია შეიზღუდა. გვიან ხანაში, ვა-

<sup>29</sup> აქვალზე უკეთ ეპარქია-სამწყვდობი საზღვრების შესახებ ცნობები დაცულია კახეთში ბატონიშვილის ნაშრომში: „აღწერა საქართველოს“, ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973.

<sup>30</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 197. ქართლის ეპისკოპოსი მიქაელი რომ პირადად კონფლიქტის მსხვერპლი არ ყოფილიყო, ის კათალიკოსობის დაწესების შემდეგ გაძევებული არ აქვებოდა, არამედ თავის ადგილას დარჩებოდა.



ხუშტის დროს (XVIII ს.), „ქართლის მთავარეპისკოპოსის“ ეპარქია მცხეთაში „სამთავროს“ ფარგლებს არ სცილდებოდა, მასვე ეკუთვნოდა ტერიტორია „რეხულასა და დიდლიახვს შორის“<sup>31</sup>.

საქართველოს ერთიანი მონარქიის პერიოდში (ვიდრე XV ს-მდე) ქუთაისის „ვაკის“ ერთი ნაწილი, ვახუშტის ცნობით, „ქართლის მთავარეპისკოპოსის“ ეკუთვნოდა, შემდგომში, ხონის საეპისკოპოსოს დაარსების დროიდან (XVI ს.), ეს ტერიტორია ხონის ეპისკოპოსის ხელში გადავიდა<sup>32</sup>.

როგორც ჩანს, ამაზე ადრე, საქართველოს ერთიანობის ხანაში, ვახტანგ გორგასალის დროს ვაკე, „მარგვეთი და თაკვერი“ მცხეთის იურისდიქციაში შედიოდა, ჯერ მთავარეპისკოპოსის, შემდეგ კათოლიკოსისა, მომღვწეო ხანაში მთავარეპისკოპოსს მხოლოდ „ვაკე“ შეერჩა ვიდრე XVI ს-მდე.

როგორც წყაროები გვაუწყებენ, ვახტანგ გორგასალს ამ ერთდროული ღონისძიების შემდგომაც დაუარსებია ახალი საეპისკოპოსოები. მაგ., მითითებულია, რომ მას აუშენებია ნიქოზში ცეცხლისმსახურთა ტაძრის გვერდით ახალი ეკლესია, წმ. რაფელის საფლავზე, სადაც დაუსვაშს ეპისკოპოსი<sup>33</sup>.

ვახტანგ გორგასალის სახელმწიფოში, გარდა ჩვენს მიერ ზემოჩამოთვლილი საერისთავოებისა, მოქმედებდა სხვა საერისთავოებიც. ასე მაგალითად, „სამშვილდის“, „ოძრხის“, დას. საქართველოში „მარგვეთისა და თაკვერის“. „შიდა ეგრისის და სვანთა“. ის ფაქტი, რომ სამშვილდისა და ოძრხის საერისთავოებში საეპისკოპოსო ეკლესიებს ვერ ვხედავთ ვახტანგის დროს, იმას მოწმობს, რომ ან ეს ტერიტორიები სხვა ეპარქიებში იყო გაერთიანებული, ან

ამ ადგილებში ჯერ კიდევ არ იყო ნიდავი მზად ეპისკოპოსის დადგენისათვის (ქრისტიანული მრევლის სიმცირე და სხვ.) რაც შეეხება „მარგვეთსა და თაკვერს“, როგორც აღვნიშნეთ, ეკლესიურად ისინი მცხეთას ექვემდებარებოდნენ. ამდენად, იქ ადგილზე ეპისკოპოსი არ იჯდა. შიდა ეგრისი და სვანეთი ამ პერიოდში ბერძნული ეკლესიის მიტროპოლიტებს (ფაზისის, სებასტოპოლის და ა. შ.) ექვემდებარებოდნენ (ამ საკითხზე დაწერილებით სათანადო თავში იქნება მსჯელობა).

ქართულ საეპისკოპოსოთა სისტემა ტერიტორიული განლაგების პრინციპით სრულიად ანალოგიური იყო ბიზანტიაში გაბატონებული წესისა: აქაც და იქაც საეკლესიო საზღვრები ემთხვეოდა სამოქალაქო – ადმინისტრაციულ საზღვრებს და ტერმინებიც საერო ადმინისტრაციიდან გადავიდა საეკლესიოში. აღმოსავლეთის ეკლესია განსაკუთრებულად სავალდებულოდ ზდიდა სამოქალაქო-საერო დაყოფის გადაღებას საეკლესიოში, ასე რომ ყოველ ცვლილებებს საეროში შესაბამისი ცვლილებები უნდა მოჰყოლოდა საეკლესიოში (ქალკიდონის IV მს. კან. 13, 17 და სხვ.).

ქართული საეკლესიო ადმინისტრაციული სტრუქტურა არ იმეორებს ბიზანტიურს, რადგან ქართული საერო ადმინისტრაციული დაყოფა განსხვავდება ბიზანტიურისაგან. ჯერ ერთი, ბიზანტიური იცვლებოდა, მაშინ როცა ქართული დიდი ხნის განმავლობაში ერთნაირი დარჩა, ერთსაფეხურიანი.

ბიზანტიაში თუ ადრე, პატრიარქატის საბოლოო გამარჯვებამდე (V ს.), საეკლესიო კავშირის უმაღლესი საფეხური იყო მიტროპოლია, ე. ი. იყო ერ-

31 იხ. აქვე ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა.

32 ვახუშტი. აღწერა საქართველოსი, 1941, გვ. 160.

33 შემდგომად მისსა აღუგნა ეკლესია ნიქოზისა და საგებებულსა თანა ცეცხლისასა და დასუ ეპისკოპოსის, სადა იყო ეკლა გუამი წმიდისა რაფელისი, რომელი იწამა სპარსთა მიერ წიობასა ვახტანგისსა“. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 199.

თი საფეხური, პატრიარქატის ჩამოყალიბების დროიდან ორი საფეხური გაჩნდა: პატრიარქია და მასზე დამოკიდებული მიტროპოლია.

ქართული საეკლესიო სისტემა ერთ-საფეხურიანი იყო იმიტომ, რომ სამოქალაქო ადმინისტრაციაც ასეთი იყო. V ს. ვახტანგ მეფის დროს, ერისთავები (მთავრები), როგორც ადგილობრივი ხელისუფალნი, ექვემდებარებოდნენ მთელი სახელმწიფოს მასშტაბით ერთ ხელისუფალს — ქართლის სპასპეტს, რომელიც იყო „მპყრობელი ერისთავთა“. შესაბამისად ამისა, ქართულ საეკლესიო წყობი-

ლებაში ადგილობრივი ეპისკოპოსები (ჯერ 12, შემდეგ მათი რიცხვი გაიზარდა) ანუ საეკლესიო ერისთავები, ექვემდებარებოდნენ ერთ მაღალ საეკლესიო ხელისუფალს — „კათალიკოსს“ (როგორც „სპასპეტს“). საქართველოში საეპისკოპოსოები თავის მხრივ არ აერთიანებდნენ ხელქვეით ეპისკოპოსებს (როგორც ბიზანტიაში მიტროპოლიტები აერთიანებდნენ ხელქვეით ეპისკოპოსებს). ამრიგად, ქართული საკათალიკოსო მთლიანად, სახელმწიფოს მასშტაბით, წააგავდა ბერძნულ დიდ საეკლესიო ეპარქიას (პროვინციას).

### § 5. ანტიოქიის საპატრიარქოს მიერ სელასალი დადასტურებაში საქართველოს ავტოკეფალიისა

(VIII და XI სს.)

მას შემდეგ, რაც ქართულმა ეკლესიამ V ს-ში ავტოკეფალია მიიღო, ანტიოქიის ტახტს არაერთხელ უცდია ისევ მოექცია ის თავის უფლებაში, მაგრამ ყოველთვის, რაკი მიზანს ვერ აღწევდა, იძულებული ხდებოდა კვლავ და კვლავ დაემტკიცებია არსებული ავტოკეფალია.<sup>1</sup> გასაგებია, რომ ანტიოქიის საპატრიარქოში ყოველივე ეს ფორმდებოდა გარეგნულად როგორც ავტოკეფალიის ახალი ბოძებულობა. ამგვარი ვითარების აქტობრივი დადასტურება დღეს ჩვენს ხელთ არსებული ორი ერთმანეთის გამომრიცხავი ანტიოქიური ცნობა, რომელთაგან ერთის მიხედვით ქართული ავტოკეფალია სათავეს იღებს VIII ს-ში, მეორის მიხედვით — XI ს-ში.

ანტიოქიის საპატრიარქოში საკითხის კვლავ და კვლავ წამოჭრა, უძველესია, მჭიდროდ უკავშირდებოდა ზოგადად ბიზანტია — საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობას, რომელიც თავის ასახვას პოუვდა საეკლესიო სფეროში. საბოლოოდ ეს იყო ჭიდილი ორ დიდ ეკლესიას შორის არა დოგმატური, არამედ იერარქიულ-ადმინისტრაციული წყობილების ირგვლივ.

XI ს-ის მეორე ნახევრის ქართველ მეცნიერსა და მწერალს. ანტიოქიაში შავიმაზე მოღვაწე ევრემ მცირეს თავის ნაშრომში გადმოღებული აქვს ანტიოქიაში შედგენილი „ქრონოგრაფიდან“ ცნობები, რომლებიც საქართველოსათვის ავტოკეფალიის ბოძებას შეეხება VIII ს-ში. ეს „ქრონოგრაფი“ (ბერძ-

<sup>1</sup> ანტიოქიის ეკლესიის ისტორიიდან ცნობილია მსგავსი სხვა მაგალითიც V ს-ში ანტიოქიის ეკლესია ცდილობდა კვიპროსის ავტოკეფალური ეკლესიის დაქვემდებარებას. საკითხი კვიპროსის სასარგებლოდ სრულიად მკაფიოდ გადაწყვიტა ეფესოს III მს. კრებამ (431 წ.) რომელმაც ცნო კვიპროსის ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერება და მისცა მას მტკიცე გარანტია. ამ კრებაზევე საერთოდ ავტოკეფალური ეკლესიების ძალათ დამორჩილება უკანონოდ იქნა მიჩნეული ამ საუკუნეებზე გარანტია მიეცით. სხვა მოქმედ ავტოკეფალურ ეკლესიებსაც (კან 8). ამის მიუხედავად, იმავე საუკუნის 80-იან წლებში და XVI ს-ში ანტიოქიის საპატრიარქო კვლავ შეეცადა კვიპროსის დამორჩილებას, მაგრამ პრეტენზია უარყოფად იქნა.

ნულ ენაზე) მოღწეული არ არის, მაგრამ მისი არსებობა ეჭვს არ იწვევს, რადგან იმავე „ქრონოგრაფიდან“ იგივე ცნობები თავის „პანდექტებში“ გამოყენებით იქვე მოღვაწე ევრემ მცირის თანამედროვეს ნიკონ შავმთელს. „პანდექტების“ სლაურმა თარგმანმა (შეს-

რულებულია XII-XIII ს-თა მიჯნაზე) მოაღწია ჩვენამდე.

ვიდრე „ქრონოგრაფის ცნობებს გავარჩევდეთ, მოვიტანოთ თვითონ ევრემისეული ქართული და სლაური თარგმანები (იგულისხმება თავისუფალი თარგმანი).

„დღეთა კონსტანტინე სკორის მოსახელისათა ანტიოქიას პატრიარქობასა ნეტარისა თეოფილაქტესა, მოვიდეს ქართლით მოციქულად მონაზონნი ორნი და მოუთხრეს ნეტარსა თეოფილაქტეს, ვითარმედ დიდსა ჭირსა შინა არიან ქრისტიანენი მკვიდრნი ქართველთა სოფლებისანი, რამეთუ დღითგან ნეტარისა ანასტასი მღვდელმთწამისა ანტიოქიელ პატრიარქისა არა კურთხეულ არს მათდა კათალიკოსი მთავარეპისკოპოსი სიმენელისათვის გვისა, რამეთუ აგარიანთაგან ვერვინ იკადრებს სლავდ. ხოლო მან ბჭობითა კრებულისათა მთავარეპისკოპოსთა, მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა თვისთა თანა მისცა ქართველთა პროტრეპტიკონი, რომელ არს გახსნილი, რაითა თვით მათისა საზღვრისა ეპისკოპოსთაგან ხელნი დაესხმოდიან ჟამად-ჟამადსა კათალიკოსსა ქართლისასა, რაიცა საღმრთომან მადლმან უჩინოს უჩუენოს მათ და რომელი გამოირჩიონ მოყუსთა მის ეკლესიისათა თანადგომითა და წამებითა ერისთაითა წესთაებრ საეკლესიოთა, და შეექმნა მათ აღწერით მოსახსენებელი თავისა თვისისათვის და მუნ შემოკრებულისა კრებისათვის და ხელთ დასხმული იყო ერთი-ორთა მათ მისაა მიკლინებულთა მონაზონთაგანი სახელით იოანე მის ჟამისა კათალიკოსად მათდა. და შემო ხსენებულისა მის წილ ათასისა კუამლისა და დაუწესა მათ, რაითა წლითწილად მისცემდნენ ჟამად ჟამადთა პატრიარქთა ანტიოქიისათა ათასსა დრაჰკანსა, რომელ იგი მიეცემოდა ვიდრე დღეთამდე იოანე წმიდისა და პატრიარქისათა. რამეთუ

«Яко при Константине Царе Копрониме, Патриарху сушу блаженному Феофилакту, яко в нужди суть христиане сел Иверских, не имуща соборного Епископа от дний блаженнаго Анастасия священномученика Патриарха Антиохийского не поставлен бысть им Архиепископ соборный, остроты ради путных, и за еже не смети кому Агарян ради мимо ходити. И сборным судом своим Митрополит и Архиепископ и Епископ повелительное писание дасть Иверам, поставляться от Епископа предала его, иждни тыя соборному Архиепископу Иверскому. По еже быти избранию от них, и сотворити и жребни и по жребию, идеже божественная благодать объявит поставити того по церковному уставу, и сотворша написание воспоминание о том сшедший собор и запечатлев дасть им, и постави единого от единого от обою посланию монаху Ивана именем. Бяху же села Патриархови в Иверии тысяча изначала устанovelena, и устава даяти на каждо лето по времени Патриархом дан от тех сел его златник тысячу окупления ради ароматом святого ми-

მან ანიჭა იგი ორესტის წმიდასა პატრიარქსა იერუსალიმისასა, რომელი მივიდოდა მოციქულად ბასილის თანა მეფის ბერძენთასა, რაითა მისსა საყდარსა მიეცემოდის ქართველთა მიერ. და მიერ დლითგან დაეწესა, რაითა მოხსენებაი ოდენ სახელისა აქუნდეს ქართველთა შორის ანტიოქელსა პატრიარქს. და უკეთუ ოდესმე გამოჩნდეს წვალებაი, მაშინდა მიაკლინებდეს მუნ ეგზარხოსსა განხილვად და განმართვად წვალებათა და ხდომათა სულიერითა. ვითარ იგი ნეტარისა თეოდორე პატრიარქისა დღეთა წარივლინა ბასილი დრამატიკოსი წვალებისათვის აკაკითასა“.<sup>2</sup>

ისტორიოგრაფიულმა კვლევამ ჯერ კიდევ XX ს-ის დასაწყისში გაარკვია, რომ ანტიოქიური ცნობების სიტყვასიტყვით ჭეშმარიტებად მიღება არ შეიძლება. მანვე მართებულად დაინახა ამ ცნობების მთავარ ღირებულებად ის, რომ ისინი ადასტურებენ ანტიოქიის საპატრიარქო კრების დადგენილების არსებობას ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაზე (ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ადასტურებენ დადგენილებას ავტოკეფალიის კანონიერებაზე). ყოველივე ეს დღესაც მისაღებია.<sup>3</sup>

„ქრონოგრაფის“ ცნობები დეტალურად განიხილა ნ. მარმა, რომელმაც დაასაბუთა, რომ ამ წყაროში ბევრი რამ ტენდენციურია, ანაქრონიზმებია, დამატებებია, და ა. შ. მხედველობაშია მისაღები ის, რომ ეს ძეგლი 300 წლით მაინც შორავს აღწერილ ფაქტს, მოგვიოხრობს აგრეთვე საქართველოს ეკლესიის ამ-

რა. И на всяко лето даяхуся, даждь до Ивана святого Патриарха Иерусалимскаго при Оресте Святейшем Патриархе Антиохийском, идушу ему на моление Кир Василию. Установлено бысть воспоминание имени Патриарху Антиохийскому единому в Иверии, и посылать Екзарха на посещение о ересах и истязание о душевных соблазнах и взимать ураждена от сей онохъ.“<sup>2</sup>

ბებს, რომლებიც თითქოს X-XI ს-თა მიჯნაზე მოხდა. აქ ჩვენ მოკლედ გადმოვცემთ ნ. მარის მიერ ჩატარებულ ისტორიულ-კრიტიკულ მიმოხილვას, რომელსაც ბევრს ვერაფერს დაუშვამებთ.

„ქრონოგრაფის“ ცნობა იმის შესახებ, რომ ანტიოქიის პატრიარქის ანასტასის (602-610) დროიდან ქართველების გამგზავრება ანტიოქიაში შეწყვეტილი იყო „აგარიანთაგან გზის სიმძნელის“ გამო, სინამდვილეს არ შეესაბამება. რადგან არაბებმა ანტიოქია დაიპყრეს 638 წლიდან, ხოლო საქართველოში არაბები გამოჩნდნენ 642-643 წელს. ამრიგად, ამ ცნობაზე დამოკიდებული ის ცნობაც, რომ ანასტასიდან მოყოლებული ვიდრე თეოფილაქტემდე (ე. ი. ას წელზე მეტი ხნის განმავლობაში) ანტიოქიაში კათოლიკოსები არ კურთხეულან, მანამდე კი იკურთხებოდ-

<sup>2</sup> Православный палестинский сборник, 16-й выпуск, СПб, 1889, ст. 47—48.

<sup>3</sup> ვფრემ მცირე, უწყობა მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მიხსენების, ტექსტი გამოისცა. შესავალი და ლექსიკონი საძებლებით დაურთო თ. ბრეგვაძემ. თბილისი, 1959, გვ. 9-10.

<sup>4</sup> მკვლევართა სხვა დასკვნები გასაზიერებელი არ არის. მაგალითად ნ. მარი თვლიდა, რომ ქართულ ეკლესია თავისი მდგომარეობით ავტოკეფალური გახდა VI ს-ის ბოლოს, მაგრამ სამშპერთი ეკლესიური თვალსაზრისით მან ავტოკეფალა მიიღო მხოლოდ VIII ს-ში კრების დადგენილების ძალით; კ. ცინცაძე ამტკიცებდა, რომ ავტოკეფალა ქართულმა ეკლესიამ პირველად მიიღო VIII ს-ში, ზოგიერთი მკვლევარი XI ს-დან იწყებდა და ა. შ.



ნენო, სინამდვილეს არ შეეფერება და უკუგადასვლი უნდა იქნეს.

ტექსტის თხრობა წინააღმდეგობრივია იმ მხრივ, რომ თუკი თეოფილაქტემ ქართლში კათოლიკოსის კურთხევის წესი დააკანონა და ამაზე დადგინდება გამოიტანა, თვითვე იქვე დარღვია იგი, რადგან მან ქართლის კათოლიკოსი ამ კრებაზე აკურთხა, რის საჭიროება სრულებით არ იყო. „ქრონოგრაფში“ მცდარად არის გადმოცემული მირონის საკითხი, რადგან, როგორც ქართული წყაროებით გამოჩნდება, ქართლი მირონს იღებდა იერუსალიმიდან და მხოლოდ IX ს-ის 40-იან წლებიდან მიიღო მისი დამხადების უფლება იერუსალიმის პატრიარქისაგან, რისი ინიციატორი და საქმის მომკვარებელი იყო აწყურის ეპისკოპოსი ეფრემი. ყოველივე ამის გამო უკუსაგდება „ქრონოგრაფის“ ყველა ცნობა, რაც მირონთან არის დაკავშირებული: თითქოს საქართველო ანტიოქიას უხდიდა მირონისთვის 1000 დრაკანს და ა. შ. არც ის მართლდება, თითქოს ანტიოქიის პატრიარქის მოხსენიება დაწესდა და მას იხსენიებდნენ საქართველოში წირვა-ლოცვაში. ვერავითარ დოკუმენტურებას ვერ პოულობს „ქრონოგრაფის“ ცნობა, თითქოს საქართველოში ერესების წარმოშობის შემთხვევაში ანტიოქიიდან ეგზარქოზების გამოგზავნა დაადგინეს და ა. შ.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ „ქრონოგრაფის“ ცნობებში რჩება მხოლოდ მთვარი ბირთვი, რომელიც ნ. მარმა შემდეგნაირად ჩამოაყალიბა:

Во дни (императора) Константина Копронима (741—775) в патриаршество Феофилакта (745—751) в Антиохию явились грузинские послы (по вопросу о католикосе), а Антиохийский Патриарх Феофи-

лакт, на основании решения собора, вместе с своими Архиепископами и Митрополитами и Епископами дал грузинам «протрептикон», т. е. разрешительную грамоту, чтобы епископами из их пределов рукополагался, смотря на потребности времени. Католикос Грузии, тот, кого укажет им Божья благодать и кого выберут друзья той церкви с помощью и свидетельством епископом по церковным канонам».<sup>5</sup>

ძნელია ამ ცნობების ისტორიულობაში ეჭვი შევიტანოთ. აქ მაინც — თხრობა საკმაო ნიშანდობლივობით არის გადმოცემული, რომელშიც მხოლოდ ის შეიძლება დავინახოთ, რომ VIII ს-ში ანტიოქიის საეკლესიო კრების დადგენილებით დადასტურდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალური უფლებები. კონკრეტულად რაზე ცნობა იმის შესახებ თუ რატომ, რასთან დაკავშირებით და ისეა აღნიშნული საკითხი VIII ს-ში, არც „ქრონოგრაფში“ და არც სხვა წყაროში არა გვაქვს. აქ მხოლოდ შეიძლება ვარაუდი გამოითქვას, რომელზეც სიტყვას აქვთ გავაგრძელებთ.

ცნობილი კანონისტი-იურისტი თეოდორ ბალსამონი კონსტანტინოპოლის მეორე მსოფლიო საეკლესიო კრების მეორე კანონის კომენტარში წერს:

«Если же находишь и другие независимые (автокефальные) церкви, как-то: болгарскую, кипрскую и иверскую, не удивляйся этому... А Архиепископа иверского почтило определение антиохийского собора. Говорят, что во дни господина Петра, святейшего патриарха Феополя, т. е. великой Антиохии, было соборное распоряжение о том, чтобы церкви иверския, подчиненныя тогда патриарху антиохийскому,

<sup>5</sup> Н. И. Марр, Исторический очерк Грузинской Церкви, Журналы и протоколы заседаний Предсоборного присутствия. Том III, СПб, 1907, Журнал; № 5, 1 дек., 1906, ст. 130—133.

ныя свободною и независимою (автокефальною)».<sup>6</sup>

თ. ბალსამონის ცნობით საქართველოს ეკლესიამ „ავტოკეფალია“ მიიღო ანტიოქიის პატრიარქის პეტრეს დროს (ივლინსხმება პეტრე III 1052-1056), კრების დადგენილებით; ამ დრომდე საქართველოს ეკლესია ექვემდებარებოდა ანტიოქიას. ბალსამონის ეს ცნობა თუმცა დოკუმენტური მნიშვნელობისაა, მაგრამ მისი ჭეშმარიტება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ დადასტურებულია ფაქტი ანტიოქიის კრების დადგენილებით ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დამტკიცებისა. შემონახული გვაქვს ქართული წყაროები, რომლებიც დოკუმენტური კონკრეტულობით ავსებენ ბალსამონის ცნობებს იმ საკითხზე, თუ რა ნიადაგზე, როდის და სად წარმოიშვა ანტიოქიის საპატრიარქოს პრეტენზიები ქართული ეკლესიის დასამორჩილებლად.

რაც შეეხება ბალსამონის მცდარ განცხადებას, პეტრემდე (XI ს.-მდე) საქართველოს ეკლესია ანტიოქიის ეპორჩილეობდაო, იგი კარგად ასახავს ანტიოქიის მმართველთა მისწრაფებას დაექვემდებარებინათ საქართველოს ეკლესია. ამ წრის თვალსაჩინო წარმომადგენელი ზომ თვითონ ბალსამონი იყო, როგორც ანტიოქიის პატრიარქი (1185-1191).

ქართველი მოღვაწეები მრავლად იყვნენ ანტიოქიის მახლობელ სავანეებში. XI ს. ნახევარში განსაკუთრებით დაძაბული ურთიერთობა შეიქმნა ქართველ და ანტიოქიელ ბერებს შორის. საქ-

მე იქამდე მივიდა, რომ უნდოდათ 60 ქართველი ბერი სრულიად გამოეძევინათ სვიმონწმიდის მონასტრიდან, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. მიზნის მისაღწევად ბერძენმა სამღვდლოებამ იმ დროისათვის მეტად მკვეთრ საშუალებას მიმართეს. ქართველებს არამართლმადიდებლობაში დასწამეს ცილი, მწვალებლად გამოაცხადეს და დაპირისპირებულიობა კიდევ უფრო გააღრმავეს.

სრულიად ნიშანდობლივი გარემოებაა იმ პერიოდში ქართველებისათვის ასეთი ბრალდების წაყენება, რადგან ეკლესიების გათიშვა დასავლეთ და აღმოსავლეთ ეკლესიებად უკვე დაწყებული იყო. ანტიოქიის პატრიარქი თევდოსი, როგორც მოთხრობილია ამ ამბის თვითმხილველის, ქართველი გიორგი მცირის ნაშრომში, მალე დარწმუნებულა ბრალდების უსაფუძვლობაში. მას თავისთან მოუხშია იქ მყოფი ქართველი გიორგი მთაწმინდელი, რომელსაც თავისი მართლმადიდებლობის დასამტკიცებლად „მრწამსიც“ კი უთქვამს მის წინაშე<sup>7</sup>.

მოწინააღმდეგე მხარემ ბოლოს დააქართული ეკლესიის ავტოკეფალიის არაკანონიერების მტკიცებაზე გადაიტანა. გიორგი მცირის ნაშრომში, სადაც ამ ამბების შესახებ მხოლოდ ცალკეული ეპიზოდებია მოთხრობილი (ის ეპიზოდები, რომლებიც გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული), კარგად ჩანს, რომ ქართული ეკლესიის უფლებრივობაზე იქ ატეხილი დაა დიდი ხნის მომზადებული პრობ-

<sup>6</sup> Правила святых всеявских соборов с толкованиями, часть I, Москва, 1877, ст. 85-87.

<sup>7</sup> „ნუ ვაიკვირებთ; თუ სხვა ეკლესიებზეც იმავე ავტოკეფალურად, როგორც მაგალითად: ბულგარეთის ეკლესიას, კეპროსის და იბერიისას... ხილო იბერიის არქიეპისკოპოსი პატიეში აიყვანა ანტიოქიის კრების დადგენილებაში. ამბობენ, რომ მაშინ როდესაც ღვთაებრივა ქალაქის ღლი ანტიოქიის უწმიდეს პატრიარქად იყო უფალი პეტრე, გამოტანილ იქნა კრების დადგენალება, რომ იქნეს თავისუფალი ეს ავტოკეფალური ეკლესია იბერიისა, რომელიც მაშინ ექვემდებარებოდა ანტიოქიის პატრიარქს“. ვეორგია, 8, თბილისი, 1970, გვ. 18.

<sup>7</sup> გიორგი მცირე, ცხოვრებაი გიორგი მთაწმინდელისაი. ძველი ქართული ავთოგრაფიული დიტერატურის ჰეგლები, II, თბ., 1967, გვ. 150-153

ლემა იყო და მოდავენიც ყოველმხრივ მზად იყვნენ მისთვის.

საქართველოს ავტოკეფალიის მოწინააღმდეგე დასმა ანტიოქიის პატრიარქს თეოდოსს (1057-1059) მოახსენა, „ვი-თარ ასე, მეუფო, რომელ ეკლესიანი და მღუდელ-მომღუარნი ქართლისანი არა რომლისა პატრიარქისა ზელმწიფე-ბასა ქუეშე არიან და ყოველნი საეკლე-სიონი წესნი მათ მიერ განეგებიან და თვით დაისუმენ კათალიკოსთა და ეპის-კოპოსთა, და არა სამართალ არს ესე, რამეთუ ათორმეტთა მოციქულთაგანი არავინ მისრულ არს ქუეყანასა მათსა-და ჯერ არს, რათა ქალაქსა ამას ღმერ-თისა და საყდარსა დაემორჩილნენ... რამეთუ ნათესავი არს უმეცარი... და ჩუენდა მახლობელად არიან და ჯერ არს, რათა ზელმწიფეობასა ქუეშე ანტი-ოქელი პატრიარქისა იმწყესებოდინ და აქა იკურთხებოდის კათალიკოსი მათი“.<sup>8</sup>

ანტიოქიის პატრიარქმა ქართული ეკლესიის დაქვემდებარება მშვიდობიანი და შეთანხმების გზით აირჩია. ამისათვის მან თავისთან დაიბარა გიორგი მთაწმინდელი და კეთილად ურჩია მას ჩაე-გონებინა საქართველოს მეფისათვის ამ საქმის ასე გადაწყვეტა. წინააღმდეგ შემთხვევაში პატრიარქი გიორგის დაე-მუქრა, ამ თქვენს ურჩობას ვაცნობებ ოთხ მსოფლიო პატრიარქს, რომ თქვენ „სამოციქულო კანონების“ წინააღმდეგ, თვინებურად გაქვთ „თვითმწყსობა“ (ავტოკეფალია) და იმდენს ვიზამ. თქვე-ნი მეფე თავის ფეხით აქ ჩამოვიდეს და ამაზე შემომეხვეწოსო.

საქართველოსათვის და ქართული ეკლესიისათვის წაყენებული ბრალდება მეტად მძიმე იყო, რადგან „სამოციქუ-ლო კანონების“ გარეშე ეკლესიის გა-მართვა მწვალებლობას და კათოლიკე ეკლესიისაგან ჩამოშორებას ნიშნავდა. ქართველთა მხარეც, ჩანს, სათანადოდ იყო მომზადებული ბრალდების უკუსაგ-

დებად. საკითხის განხილვა საპატრიარ-ქო კრებაზე მოხდა, სადაც გიორგი მთა-წმინდელმა ბრწყინვალედ დაიცვა ქარ-თული ეკლესიის ავტოკეფალიის კანო-ნიერება.

კრებები მიმდინარეობდა პეტრესა (1052-56) და თეოდოსის (1057-1059) პატრიარქობის დროს. გიორგი მთაწმინ-დელთან, როგორც მისი ბიოგრაფიიდან ვიცით, ორთავე პატრიარქს არაერთხელ ჰქონია საუბარი ქრისტიანულ დოგმებსა და ქართული ეკლესიის საკითხებზე. ერთ-ერთი ოფიციალური საპატრიარქო კრების დროს გიორგიმ წიგნიდან „წმი-და აპოსტოლთა მოგზაურობა“ დამს-წრეთ წაუკითხა ადგილი საქართველო-ში ანდრია პირველწოდებულისა და სვი-მონ კანანელის მოგზაურობის შესახებ, და დაუმტკიცა, რომ ქართველები „ან-დრია პირველწოდებულის მოქცეულნი და განათლებულნი“ ვართო და ამასთან ათორმეტ მოციქულთაგანი სვიმონ კა-ნანელი „ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწო-დების“, გარდა ამისა, გიორგი მთაწმინ-დელმა დამსწრეთ მოაგონა ის ფაქტიც, რომ როცა მთელს საბერძნეთში მართლ-მადიდებლობა შერყეული იყო ხატმე-ბრძოლობით. მაშინ „იოვანე გუთელი ეპისკოპოსი მცხეთას იკურთხა ეპისკო-პოსადო“. გორგამ დამსწრეთ გაბედუ-ლად უთხრა: „თქვენ თქვენი თავი „ბრ-ძენ და მძიმედ შიგაჩნიათ! ჩვენ კი „მსუ-ბუქად“ და „უმეცრად“ გოყურებთ, მაგ-რამ არც ასეა საქმეო“. როგორც კრებას თავმჯდომარის ანტიოქიის პატრიარ-ქის საბოლოო სიტყვებიდან ჩანს, კრე-ბას ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერება დაუდასტურებია. პატრი-არქი იმდენად ზედმიწევნით დარწმუნე-ბულა გიორგის დასაბუთებაში, ნახევ-რად ზუმრობით განუცხადებია: საკმარი-

<sup>8</sup> ძველები. II, გვ. 152

სია, თავი დაეანებოთ ამ ბერს, რათა ჩვენ კი არა, პირიქით, მან არ დაიქვემდებაროს და დაიმრევლოს ჩვენი ეკლესია<sup>9</sup>.

აი, სწორედ ეს კრება უნდა ვიგუ-

### § 6. საპართველოს საპატრიარქო და მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის მიხი ადგილი (XI ს.)

საქართველოს ეკლესიის პირველი მამამთავარი, რომელსაც ეწოდა „კათალიკოს-პატრიარქი“, იყო მელქისედეკ I (1010-1033).

მელქისედეკ კათალიკოს-პატრიარქი მცხეთის სვეტიცხოვლისადმი ბოძებულ შიშნულობის სახუთში წერს:

„ესე დაწერილი მოვახსენე და შეეწირე ყოველთავე ჩრდილოეთისა კედართა შორის უადრესსა და უადმატებულესს-უდიდებულესსა წმიდასა და კათოლიკე და სამოციქულოსა საყდარსა მცხეთისასა... ჩუენ ქრისტეს მიერ კურთხეულჳნ ქართლისა კათალიკოს-პატრიარქჳნ მელქისედეკ...“<sup>1</sup> საქართველოს ეკლესია ეს კათალიკოს-პატრიარქს მსოფლიო პატრიარქთა შორის ეჭირა მეექვსე ადგილი (იგულისხმება რომის პაპის ჩივილით). დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიათა გამოყოფის შემდეგ (XI ს.) საქართველოს ეკლესიას ეკავა მე-5 ადგილი, ხოლო XVI ს. დასასრულს, როდესაც აღმოსავლეთის პატრიარქებმა რუსეთის ეკლესიას მიანიჭეს მე-5 ადგილი, საქართველოს ეკლესიამ დაიკავა მე-6 ადგილი, რომელიც უჭირავს დღემდე.

საქართველოს ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქის მეექვსე ადგილის შე-

ლისხმობთ ბალსამონის მიერ მითითებულ პატრიარქ პეტრეს დროინდელ კრებაში, რომელმაც ბალსამონის თქმით, საქართველოს ავტოკეფალია მისცა<sup>2</sup>.

სახებ ცნობა დაკუთვლია XIII ს-ის ერთ დოკუმენტში (1259 წ.):

„... ჩვესცა გლახაკი ქრისტეს მიერ შემდგომად ხუთთა პატრიარქთა... და სუეტის ცხოველის მეექვსისა პატრიარქისა და ქრისტეს მიერ ყოვლისა საქართველოის კათალიკოზი ნიკოლოზ ვამტიციცებ და წარეწერ“<sup>2</sup> ქართული ეკლესიის უმაღლესი საჭეთმპყრობელის მიერ „პატრიარქის“ წოდებულობის მიღების რამე ოფიციალური გადაწყვეტილების შესახებ ცნობა შემონახული არ არის და არც არის მოსალოდნელი, რადგან მაშინ, არსებული პრაქტიკის მიხედვით, ასეთი რამ არ ხდებოდა. „პატრიარქის“ სახელით შეიძლება ესარგებლათ, ამით არ მოხდებოდა კანონის რამე დარღვევა. ბიზანტიაში „პატრიარქის“ ტიტული თანდათან დაისაკუთრა ითხმა ავტოკეფალურმა ეკლესიამ: კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის და იერუსალიმის; მხოლოდ გვიან შემოვიდა წესად კრების გადაწყვეტილებით პატრიარქის სახელის მიღება.

„პატრიარქის“ ტიტული მცხეთის საკათოლიკოსომ მას შემდეგ დაიმკვიდრა, რაც საქართველოს ეკლესია გაფართოვდა და შეიძინა ბერძნული საპატრიარ-

<sup>9</sup> ძეგლები, II, გვ. 154-155.

<sup>10</sup> საყურადღებოა, რომ ამ პაექრობის დროს ქართველებს მიერ გამოყენებული არ ყოფილ „ქრონოგრაფის“ ცნობები. როგორც ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს, ეს ან იმით უნდა აიხსნას, რომ მაშინ მათთვის ცნობილი არ იყო ეს ძეგლი და არც იცოდნენ წარხულის ამბავი (ან იცოდნენ, მაგრამ განგებ მოერიდნენ, რათა თვით ანტიოქელთა სასარგებლოდ არ გამომდგარიყო).

ზოგიერთ ისტორიკოსს (მ. თამარაშვილი) თ ბალსამონს პეტრე შეცდომით მიანიჭა V ს-ის ანტიოქიის პატრიარქად, პეტრე ფულონად.

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 18.

<sup>2</sup> ძეგლები, ტ. II, გვ. 66.



ქოს გარეგნული ნიშნები. როგორც ჩანს, ეს არ იყო უცხო და საპრეტენზიო არც ბიზანტიის იმპერატორებისა და პატრიარქებისათვის. მელქისედეკ I, რომელმაც პირველმა ისარგებლა ამ წოდებით, ბიზანტიაში იმპერატორის კარზე: ბასილთან (970-1025), კონსტანტინესთან (1025-28) და რომანოზთან (1028-34) მიღებული და დაფასებული პიროვნება იყო, მათგანვე მელქისედეკმა მიიღო მატერიალური დახმარება და შეწირულებანი მცხეთის სვეტიცხოვლის მშენებლობისათვის, მიიღო სოფლები ბიზანტიის ტერიტორიაზე და სხვა.

საქართველოს საპატრიარქოს დაარსება დაემთხვა საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას X ს-ის დასასრულს, როცა ჩამოყალიბდა „ქართლის“ მაგიერ „ყოველი საქართველო“, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი „ყოველი საქართველოს“ ეკლესიური გამგებელი იყო. საქართველოს საკათოლიკოსო ემყარებოდა ეთნიკურ-პოლიტიკურ პრინციპს. საპატრიარქო კი დაემყარა ტერიტორიულ-პოლიტიკურ პრინციპს. ქართველი პატრიარქის ტიტულატურაში გაჩნდა ისეთივე ფორმულა. როგორც ქართველ მეფეთა ტიტულატურაში – მამამთავარი „აღმოსავლეთისა“. ქართველი პატრიარქი XI-XIII სს-ში ახორციელებდა ერთიან ქართულ სახელმწიფოში ერთიანი ქართული ეკლესიის მესა-

ჭეობას „ნიკოპსიიდან (სოჭასა და ტუაფსეს შორის) დარუბანდამდე (კასპიის ზღვამდე)“ მას ეკლესიურად ექვემდებარებოდა საქართველოს პოლიტიკურ საზღვრებს გარეთ მყოფი ქვეყნებიც: დასავლეთ ალანია (ოსეთი).

საქართველოს პატრიარქის იურისდიქციაში შედიოდა მართლმადიდებელი სომხური ეპარქიები, „სომხეთის მიტროპოლიტის“ მეთაურობით, „აფხაზეთის“ (დასავლეთ საქართველოს) ანუ „ბიჭვინთის კათოლიკოსი“, რომელიც თავის მხრივ დასავლეთ საქართველოს ცალკეულ საეპისკოპოსოებს იქვემდებარებდა. მცხეთის პატრიარქი აფხაზეთის კათოლიკოსისათვის გახდა „მამა“, თვით აფხაზეთის კათოლიკოსი „უმრწემესი“ (უმცროსი) კათოლიკოსი. ამთ გარდა, მთლიანად, საქართველოს საპატრიარქოში XI ს-დან შედიოდა შემდეგი ცალკე საეპისკოპოსოები: ბოლნისის, დმანისის, რუსთავის, თბილისის, სამთავროს, წილქის, სამთავისის, ნიქოზის, ურბნისის, რუისის, წაღვის, ჩელთის, გიშის, ბოდბის, ნინოწმინდის, ნეკრესის, ალავერდის, კუმურდოს, ერუშეთის, ანისის, დაღესთის, ტბეთის, იშხანის, აწყურის, წყაროსთავის, ბანას, ანისის, ვალაშკერტის, კარის, ქუთაისის, ნიკორწმინდის, ჭყონდიდის, ბედიის, მოქვის.

## § 7. სამართლებრივი საპატრიარქო XIX საუკუნიდან დღემდე

XIX ს-ის დასაწყისში საქართველო შეუერთდა რუსეთის იმპერიას, შერეუბის ფაქტი დაადისტურა რუსეთის იმპერატორების პავლე I-ის 1801 წლის 18 იანვრისა და ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტებმა. 10 წლის შემდეგ, 1811 წელს, რუსეთის იმპერატორის ბრძანებით ქართულ ეკლესიას წაერთვა დამოუკიდებლობა და დაქვემდებარებულ იქნა რუსული ეკლესიის

სიის „უწმიდესი და უმართებულესი ხინოღისადმი“, ეს აქტი კანონიკურად გამართლებული არ იყო. აქედან მოყოლებული საქართველოს ეკლესიურად მართავდნენ რუსი ეგზარქოსები.

საკითხი გადაიჭრა 1917 წელს, თებერვლის რევოლუციის შემდეგ 1917 წლის 12 მარტს მცხეთის საკათედრო ეკლესიაში აღდგენილი იქნა ქართული ეკლესიის კანონიერი ავტოკეფალია და

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად არჩეულ იქნა კირიონი (სამაგლიშვილი).

ამჟამად საქართველოს საპატრიარქო შედგება 15 ეპარქიისაგან, რომელთაც მართავენ მიტროპოლიტები, არქიეპისკოპოსები და ეპისკოპოსები. დღეს საქართველოში არის ხუთი მიტროპოლიტი, 4 არქიეპისკოპოსი და 5 ეპისკოპოსი. ყველა მმართველი მღვდელთმთავარი ათელება „წმიდა სინოდის“ წევრად. „წმიდა სინოდის“ თავმჯდომარეა უწმიდესი და უნეტარესი კათოლიკოს-პატრიარქი. უმაღლეს საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეკლესიის ადგილობრივი კრება, რომლის კომპეტენციაში შედის საქართველოს ახალი კა-

თოლიკოს-პატრიარქის არჩევა. საქართველოს საპატრიარქოს ლიტურგიკულ-კანონიკური და ექვარისტიული ძმური კავშირი აქვს ყველა მართლმადიდებელ ავტოკეფალურ და ავტონომიურ ეკლესიასთან და ძმური მეგობრული კავშირი აქვს სხვა ქრისტიანულ ეკლესიებსა და გაერთიანებებთან.

საქართველოს საპატრიარქო ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს, ევროპის ეკლესიათა კონფერენციისა და ქრისტიანთა მშვიდობის კონფერენციის წევრია.

სრულიად საქართველოს უწმიდესი და უნეტარესი კათოლიკოს პატრიარქი ილია II არის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ექვსთაგან ერთ-ერთი პრეზიდენტი.

**ბაბილინა ლომინაძე**



## ბიბლიის შემსწავლელი საზოგადოება

1991 წლის 25 ოქტომბრიდან წლის ბოლომდე ბიბლიის შემსწავლელ-მა საზოგადოებამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 107-ე აუდიტორიაში გამართა ცხრა შეხვედრა, რომლებსაც მეტწილად სტუდენტობა ესწრებოდა. ეს არის თავისუფალი საზოგადოება, რომლის წევრი ყველა შეიძლება იყოს, ვისაც კი სურს გაიგოს რა არის ბიბლია ან სურს იცოდეს იმაზე მეტი, რაც იცის. არა გვკონია, აუცილებელი იყოს ბიბლიის განსაკუთრებული პრობაგანდა საქართველოში, მით უმეტეს უნივერსიტეტის კედლებში. არც მისი შესწავლის აუცილებლობას დასჭირდება აპოლოგია, თუ გავიაზრებთ იმ ისტორიულ ფაქტს, რომ ქართული ერის ეთნოგენეზის პროცესი, რომელიც დღესაც არ შემწყვდარა, ქართული კულტურა, რომლის ქმნალობა დღესაც გრძელდება, ქრისტიანობის წიაღში მიმდინარეობდა. ბიბლია კი, ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, ანუ წმიდა წერილი ის წყაროა, საიდანაც დასაბამს იღებს ქრისტიანული მოძღვრება. მასზე აფუძნებდნენ ეკლესიის მამები თავიანთ სწავლას და მასვე უბრუნდება ყოველი ქრისტიანი, ღვთისმეტყველი იქნება ის თუ რიგითი მორწმუნე.

ბიბლიის შემსწავლელი საზოგადოების დევიზია დღესდღეობით უსამართლოდ მივიწყებული სიტყვები, რომლებიც საფუძვლად უნდა ედოს საუნივერსიტეტო სწავლებას, რამდენადაც უნივერსიტეტი არის universitas magistrorum et scholarium, ანუ ერთიანობა მოძღვართა და დასამოძღვრთა, ეს სიტყვები docendo discimus სწავლებით ვსწავლობთ. რას გვაკვალბენ ისინი? გვაკვალბენ, არ ვიფიქროს, თითქოს ადამიანს შეეძლოს დასრულება რაიმე საგნის შესწავლისა, რათა ამის შემდეგ შეუდგეს მშვიდად და დარწმუნებით სწავლებას. სწავლა და სწავლება ერთიანი, განუწყვეტელი პროცესია, ისინი ერთმანეთს აპირობებენ: ვსწავლობთ, რომ ვასწავლოთ და ვასწავლით, რომ ვისწავლოთ. ცოდნა მხოლოდ სწავლებებისას მტკიცდება და ღრმავდება. სწავლებისას იბადება ახალი ცოდნა, ჩნდება ჭეშმარიტების ახალ-ახალი წახნაგები, და ამ ჩენაში არანაკლები წვლილი მიუძღვის მას, ვისაც ვასწავლით, ვინც ისმენს თუნდაც მღუმარედ და მხოლოდ სწავლობს. თუ ასე ითქმის რაიმე საგანზე სამეცნიერო საგანთა შორის, მით უფრო გვეთქმის ეს წიგნთა წიგნზე, როგორც არის ბიბლია, რომლის ამოურწყავი სიბრძნის სწავლებისას უნდა უკუუვადლოთ თვითდაჯერება, რომ ცოდნამ კარი არ დაუხშოს ახალ ცოდნას და არ ჩაკედეს. ბიბლიის ცოდნას არა აქვს საზღვარი, ის სიკვდილამდე გრძელდება, უფრო მეტიც: მისი ცოდნის ცხოველმყოფელობა სიკვდილის შემდეგაც გასტანს და გამოიღებს ჭეშმარიტ ნაყოფს.

შეხვედრათა მიმდინარეობისას მსმენელთა წინაშე გამოყენილია თეთრ ჩუყაოზე წარწერილი ორი ბერძნული ასონიშანი: α, ω. ეს ორა ასო — ალფა და ომეგა იმარხავს სიტყვებს, რომლებიც მოესმა ხილვაში იოანე ღვთისმეტყველს იესო ქრისტესგან: „მე ვარ ანი და პოე [ალფა და ომეგა] პირველი და უკანასკნელი, დასაბამი და დასასრული“ (გამოცხ. 22, 13).

მაცხოვარი დგას ჩვენი წუთისოფლის მიჯნებზე. დასაწყისისა და დასასრულის მაუწყებელ ამ ორ ნიშანს ბიბლიის შემსწავლელი საზოგადოებისათვის ის მნიშვნელობაც აქვს, რომ ისინი გამოხატავენ ბიბლიური წიგნების თანაზიარობას სამყაროსთან: ბიბლია იწყება სამყაროს შექმნით („დასაბამად ქმნა ღმერთმან ცა და ქუეყანა“, (დაბ., 1, 1) და მთავრდება მისი დასასრულით („პირველი იგი ცა და პირველი ქუეყანა წარხდეს“. გამოცხ., 21, 1). ჭეშმარიტად, ა და ა, ანი და ჰოე, ბიბლიის როგორც სამყაროს წიგნის სიმბოლოა.

ა და ა ანბანის ნიშნებია და ჩვენც ვსწავლობთ ბიბლიური სიბრძნის ანბანს.

### რა არის ბიბლია და როგორ უნდა ვსწავლობდეთ მას

ბიბლია ღმერთკაცებრივი ქმნილებაა.

რას ნიშნავს ეს?

მის შექმნაში მონაწილეობენ ღმერთი და ადამიანი.

ღმერთი ამბობს თავის სიტყვას ადამიანის, დაცემული ადამის ძის სიტყვის მეშვეობით.

ადამიანი ატარებს ღვთის სიტყვას თავისი შეძლებისამებრ, რადგან დაცემული ადამიც ატარებს ღვთის ხატს, შეცდენილ ადამიც არის სხოვნა შეუცდენელი ადამისა.

ბიბლიაში დაუსაბამო და უსასრულო დასაბამიერსა და სასრულშია მოქცეული. ეს თითქმის ისეთივე სასწაულია, როგორც ქრისტეშობის, ღვთის სიტყვის განხორციელების სასწაული.

როგორც ვისმენთ საშობაო საგალობელში, რომ „ცათა დაუტყენელი ღმერთი შეგიცვალა დღეს ბავაძან ხორციითა ვითარცა კაცი...“

როგორც ქრისტეა „უჟამო, ჟამიერად შობილი“, ასევე ბიბლია არის დროჟამში წარმოთქმული სიტყვა ღვთისა და ის, ცხადია, ატარებს თავისი დროის ნიშნებს, თუმცა ამ წარმავალ ნიშნებში კიაფობს მარადიული სხივი.

„ძველ აღთქმაში დაფარულია ახალი აღთქმა და ახალ აღთქმაში გაცხადებულია ძველი“ (ნეტარი აეგუსტინე).

„მე ვარ ანი და ჰოე, პირველი და უკანასკნელი, დასაბამი და დასასრული“, — ამბობს მაცხოვარი.

ბიბლია იწყება სოფლის დასაბამით და მთავრდება დამველებული სოფლის დასასრულით, რომელსაც განახლება უნდა მოჰყვეს.

ამ ორ სამანს შორის არის მოქცეული ადამის ძეთა ცხოვრება, ჩვენი წუთისოფელი. ადამის დაცემიდან განახლებულ ადამამდე.

აქ არის ჩვენი ცხოვრების დილა. შუადღე და მწუხრი, და კვლავ დილა.

ბიბლიის შესწავლა თანაბრად აუცილებელია როგორც მორწმუნეთათვის, ასევე ურწმუნოთათვის. მორწმუნე განიმტკიცებს რწმენას მისი ცოდნით, ურწმუნო ისწავლის იმას, რისიც არ სწამს და რასაც უარყოფს, ვინაშლი იწამოს, როგორც თომამ, რომელმაც აღმდგარი მაცხოვრის ჭრილობას შეახო ხელი.

ბიბლიის სიტყვა ნაკვერცხალია, რომელიც შეეხო ესაიას ბავეს.

ის არის აალებული მყველის ბუნჯი, რომელიც იხილა მოსემ.



ის არის გავარკვრებული შანთი, რომელსაც მხოლოდ მარწუხით თუ დაიჭერ ხელში.

შეუდგებით ბიბლიის შესწავლას იმ რწმენით, რომ ბიბლია ადამიანური ენით გვამცნობს ღვთიურ ჭეშმარიტებას, და საღვთო შიშით, როგორც მოსე იმ მაცელოვანთან მიახლებისას..

და ჩვენც ჩამოვიფრთხავთ წუთისოფლის მტვერს, როცა მივეახლებით მას, როგორც სიცოცხლის ხეს, არა თვითნებობით, არა ურჩობით, არამედ უცლომელი და უცოდველი ადამის გაციებით ჩვენს შეგნებაში.

ავივსებით იმ შეგნებით, რომ ბიბლიის სიტყვებით ღმერთი გველაპარაკება, გვეძახის „აჰამ, სადა ხარ“, რომ გვესმოდეს ეს ხმა და არ ვემალებოდეთ.

+

გთავაზობთ ბიბლიის შესწავლელი საზოგადოების შეხვედრებზე წაკითხული მოხსენებების მოკლე ანოტაციებს (ზოგიერთი მათგანის სრული ტექსტი დათბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე).

ზურაბ კიკნაძე (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) – რწმუნა ვრი (25.X.1991): ხშირად დასმის ხოლმე კითხვა: რატომ მაინც და მაინც ეს, იმეამინდელ სამყაროში უჩინო ერი გამოარჩია ქვეყნიურების შემოქმედმა? ამ კითხვას მიუვყავართ აბრაამამდე. რადგან ამორრეუა აბრაამიდან, უფრო სწორად, იმ საგვარეულოდან დაიწყო, რომელსაც აბრაამი (მამის აბრაამი) ეკუთვნოდა. ღმერთს ხალხი არ ამორრევიდა. მან ხალხი გამოიყვანა აბრაამის წიადიდან, რათა შეექმნა მისგან რელიგიური ერი, რომელიც კვამარატი ღმერთის ადვს შეისისხლხორციელდა და თავის ფოფერებას გასშვკალავდა მით. ღვთიური ჰროვიდენციით, ამ ერის წიადში უნდა შობიდიყო ევას ნაშვირი, რომელიც გველს გაუქმვკალავდა თავს.

რაკი ადამიანის ხსნა საღვთო განგებულებაში იყო გადაწყვეტილი, წმიდა სამების მარადიულ თათბირში იყო „ნათქვამი“. შეიძლება ითქვას, რომ ამორრევის აქტი უფრო ადრე მოხდა, ვიდრე აბრაამი და მისი საგვარეულო განდებოდა. შემოქმედმა ჯერ მიწა („ქუყანა“) ამოარჩია თავის ქმნილებათაგან, მიანიჭა რა მას უკირატესობა ანგლოსური სამყაროს (ცის) წინაშე. ეს ჩანს ბიბლიის პირველივე მუხლებში: „დასაბამად ქმნა ღმერთმან ცა და ქუყანა, ხოლო ქუყანა იყო...“ შემოქმედის მთელი გულისყური ქუყანაზე, მიწაზე ვადაღის. ის, რაც გვიან იქმნება, გამოირჩეულია. ეს პირველი გამოირჩევა, მეორე გამოირჩევა მოხდა ადამიანის შექმნით, რა-

მაც დაავიგვრვინა ყოველთა მიწიერთა და სუღიერთა, ყოველი ქმნილების, ანგლოსთაც კი, შესაქმე ვეღაზე გვიან რაც აქმნება, ის არის მთელი შემოქმედების წიხანი. ადამი გამოირჩეულია ყოველი ქმნილებისგან. სწორედ ის ატარებს, სხვა არავინ და არაფერი. ღვთის ზატს და მის მსგავსებას პორტენციაში, რა ღირსებისთვის ამოარჩია? დასმის ასეთი კითხვა. მაგრამ განა ჰქონდა რამე ღირსება არარაობას, რისგანაც ღმერთმა ყოველი არსებული შექმნა? ან რა ღირსება უნდა ჰქონოდა იმას, რაც ჯერ არ არსებობდა?

რისთვის ირჩევს ღმერთი – მისი არჩევანი ჩვენი ვონებისთვის მიუწვდომელია. მისი არჩევანი რწმუნად, სარწმუნოდ უნდა მივიღოთ, როგორც აბრაამი ერწმუნა უფალს, რომლის თითქოსდა გაუმართლებელ ძახილს უფოყმანოდ გააჟი უცნობი ქვეყნისკენ. მთელი საიღუმლო რწმუნობისა ესაიას ამ სიტყვებშია ჩადებული: „შენ კი, ისრაელ, ჩემო მსახურო, იაკობ, რომელიც ამოგარჩიე, ჩემი საგვარელი აბრაამის თესლო, რომელიც წაროვიყვანე ქვეყნის კიდებებიდან და მისი შორეული კუთხუებიდან გამოვიხმე, ვითხარი: ჩემი მსახური ხარ შენ, ამოგარჩიე და არ უაუგაგლებ-მეთქი. ნუ გემინია, რადგან შენთან ვარ; ნუ დაფრთხები, რადგან შენი ღმერთი ვარ მე... ნუ გემინია, მატლო იაკობ, ერთი ბეწვა ისრაელი. მე შეგეწევი ამბობს უფალი...“ (41, მ-14). ესაიას თანახმად, რაც მთელს ბიბლიურ ისტორიას ვასდევს, რწმუნობა არ არის პრივილეგია ერისა. ეს არის, უპირატესად, სამსახუ-

რი, მოკლეობა, მძიმე ტვირთი ღვთის მცნებათა აღსრულებსა და ღვთისშემეცნების გზაზე სიარული. „წმთვის გამოვსახე ეს ერი“ (ესაია, 43, 21) – ამ სიტყვებით გამოხატულია ის სასუნისშეგებლობა, რაც ერს დააკისრა ღვთის რჩეულობა.

რჩეული ერის ისტორიული პედი თავის წინასახეს პატრიარქთა ცხოვრებაში პოულობს. აბრაამი, ისაკი, იაკობი ის პიროვნებანი არიან, რომელთა ცხოვრების გზაზე საუფუძლიანი გარდატეხა-გარდაქმნები ხდება. თუშეა ჯერ მათი შორეული (ექვსი თაობისწინანდელი) წინაპარი ებრაი, რომლის სახელითაც ებრაელობა იწოდება, ვადაღახავს მიჯნას, რაც ახალ ცხოვრებაში შეუღლის საწინდარია: სახელი ებერ მდინარის წიდაშველელს ნიშნავს, ეს აქტი კი – მდინარის გადაღახვა – მეორდება როგორც მათიველი პატრიარქის, ასევე მთელი ერის ცხოვრებაში. აბრაამი ქანაანში მისასვლელად გადაღახავს ეფრატს, რათა დიწყოს ახალი ცხოვრება და სახელიც გამოეცვალოს ამის ნიშნად (აბრაამს ეწოდოს აბრაამამ მამა შრაელისა); ხარანიდან დასრულებული იაკობი იაბოკის ხევის გადაღახვისს იძენს ახალ სახელს – ისრაელს ნიშნად უღლის ანგელოსთან შერკინებისა, რაც შეეხება ისაკს, შუალედურ თაობას აბრაამსა და იაკობს შორის, მისი განსაცდელი უნიკალურია მიუღს ბაბილონის ისტორიაში და მოახწყავებს შორეულ პერსექუტიაში გოლგოთის მსხვერპლს, ხოლო ერის მასშტაბით – სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე გაშავალ გზას, რაც ერმა გაიარა ეგვიპტიდან აღქმულ ქვეყანამდე. ძირითადი აქტი, რომელიც ძვეს ხალხის ვრად ქვეყის საუფუძელში, არის გამოხელა კლავ წყლების (გეწახული ზღვის) ან ხახწყალუგბრვი გადაღახვით. გამოხელას ვადსტრუბრები აბრაამის ცხოვრებაშიც, თუ უფალე მიმართავს მთელს ერს, ასე აცნობს თავს: „შე ვარ უფალი თქვენი, ეგვიპტიდან თქვენი გამოშვებანი“, აბრაამსაც აძეკარად მიმართავს: „შე ვარ უფალი, რომელმაც გამოგადანე ქალღველთა ურიდან“, ირავე ეს ქვეყანა – ქალღველთა ური და ეგვიპტი – ის ქვეყნებია, რომელთაც თავი უნდა დააღწიოს წინაპარმა და შერე იმ ხალხმა, რომელიც ამ წინაპრის წიაღიდან არის გამოსული. ქანაანი, სადაც ჯერ აბრაამი მღვებურობდა და შერე მისი მოღვმა დასახლდა, ამ ორ

ქვეყანას შორის მღებარეობდა და ისრაელის ტომის სულიერი ბუნება, ეს ხალხი, როგორც gens religiosa, მათთან დაპირისპირებაში იკვეთებოდა, საცნაურია, რომ ჰოლოციტურ-კრძათაყვანისმცემლურ გარემოცვაში რჩეული ერი არ გაისრისა სულიერად და ბოლომდე შეინარხუნა ერთადერთი ქეშმარატი ღვთის შემეცნება და რწმენა. შეინარხუნა ექვლაფერი ის, რაც მან მიიღო უდაბნოში მოსეს სჯლამ და შეითვისა აბსოლუტურ სიძარტოვში საკუთარი თავისა და ღვთის წინაშე. აქ განმტკიცდა მისი რჩეულობა და ერთადერთობა: „...ცხოვრობს ერი განმარტოვებთა და ხალხებში არ ირიცხება“ (რიცხვ., 23,9).

უღიმურ ჭედიძე (ხელნაწერთა ინსტიტუტი) – ბიბლიის ეგზეგეტიკის საკლესიო ტრადიციაში (I, XI): საკლესიო მწერლობა, გარკვეული აზრით, სხვას არაფერს გულისხმობს, თუ არა ბიბლიის (ძველი და ახალი აღთქმის წიგნების), მისი მუხლებს, ეპიზოდებს, მისი ეგვიპტიული შინაარხის ვრცელ განმარტებას. I-II სს-ის მიჯნაზე ეკლესიის წიაღში არსებითი იყო საღვთო წერილის სამოციქულო აღქმა, რაც ნიშნავს ბიბლია სამოციქულო ეპოქის მამათა მიერ უშთაქრებად განიჭვირებშიდა როგორც სამახარობლო წიგნი, როგორც მსმენელთა წინაშე უშუალოდ, ცოცხლად, ძირისპირ საქადაგებელი და განსამარტავი სიტყვა ღვთისა (მაგ., „ღიდაქე“, „ბარნაბას ეპისტოლე“, წმ კლემენტე რომაელი, წმ ეგნატე ანტიოქიელი და სხვა). II ს-ში ნიშანდობლივია ბიბლიის აპოლოგეტურა წერილი, ანუ ცალკეული ბიბლიური მუხლების განმარტება საკუთრე ეკლესიური მოძღვრების ქეშმარტების დამტკიცების მიხნით, მოძღვრების შეუმდარობის წარმოსაქმნად (არისტიდე, აფნაგორა, წმ იუსტინე, წმ თეოფილე ანტიოქიელი და სხვა). II-III სს-ის მიჯნაზე და ფაქტობრივად III ს-დან თავს იჩენს ფილოსოფიურ-მეტეფიურული ეგზეგეტიკა, ფუნდებდა ორი ძირითადი ხადვთისმეტეფელო სკოლა: ალექსანდრიული და ანტიოქიური. ნეტარი კლიმენტი ალექანდრიელის მოძღვრის პანტენონის მიერ დაარსებული სასულიერო სასწავლებელი დადასკალონი სათავეს უღებს საეკლესიო ეგზეგეტიკის სხვებულ ალექანდრიულ სკოლას, რომლისთვისაც ნიშანდობლივია ბიბლიის როგორც საიდუმლო მოძღვრების, როგორც ღვთის მიერ იგავურად ნაუწყება ქეშმარტების სიმბოლურ-

ალეგორიული განმარტება, ანუ ბიბლიის აღქმა წმიდა ცოდნად („აქიეროგნოსია“) და ამგვარი აღქმის საფუძველზე საეკლესიო ცოდნის ჩამოყალიბება, რათა ამ გზით სრულიად გაქარწყლებულიყო ის ცრუ ცოდნა, რომელსაც II-III სს-ს გნოსტიკოსები ქადაგებდნენ, ანტიოქიურა საღვთისმეტყველო (ეგზეგეტიკური) სკოლისთვის ნიშანდობლივია პირდაპირი განმარტება ბიბლიისა, ანუ მისი აღქმა როგორც ყოველსრული ზეობრივი წინამძღვრისა ქრისტიანის სათნო ცხოვრების და ასკეტური მოღვაწეობის გზაზე. ამ მთელი სირთულით ეღიწება ბიბლიას როგორც საღვთო ისტორიის მეცნიერულ-არქეოგრაფიული კერძმსკერძა და ეთიკური ალგორითმი, რამაც მოგვიანებით წმ. იოანე ოქროპირის შრომებში პოვა დაკვირვებება.

საეკლესიო ეგზეგეტიკის ექაქალურ ტრადიციებს VI ს-მდე ფარული, ხოლო VI ს-დან ცხადწერილი ცხოველმყოფელობით მსჭვალავდა წმ. დიონისე არეოპაგელის მკვრეტელობითი მეცნიერება, რომლის თანახმადაც ბიბლიის (საღვთო ცოდნის) განმარტებელი არიან ზეციური ძალები (ანგელოზები), რომლებიც ეკლესიასა და ცალკულ ადამიანებს აუწყებენ ამ განმარტებებს. ბიბლიის ამგვარ წვდომას წმ. დიონისე ანგელოზურ გამოცხადებას უწოდებს.

**ნიღარ ლაღარია** (სახულიერო აქაღმეძა) — „იობის წიგნი“ (8.XI): კონფლიქტი, რომელიც იობის წიგნიშა ასახული, არსებითად სამშრბრია. უკიდურესი დაძაბულობის წვერებზე ხელეზიან ერთმანეთს ღმერთი, აცვი და ტყვილი — ამქვენიერ ცხოვრებაში გაძუებული. ზშირად თითქოსდა უმიზნო ტანჯვა. ამის გამო გამართლებულია იობის წიგნის ტექსტში სამი არსობრივი ფენის გამოყოფა.

**თეოლოგია:** იობი ცდილობს იქონიოს პირიწერილი ურთიერთობა პირიწერილ ღმერთთან. იგი უარყოფს თავისი შეგობრების რაციონალისტურ (გონებისშიერ) ეთიკას, რადგან შორალი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ღვთის შემტყენების გზად.

**ანთროპოლოგია:** ძირითადი მახვილი ვაღატანილია კაცობრივი ყოფის ამოებაზე. მსვავსი თანამიმდევრობით ბიბლიაში ეს მომენტი შოლოდ ორგან ვებეღება — იობის წიგნსა და მკლესიასტში, სადაც ადამიანი არღვევს ფსიქო-ფი-

ზილოგიური არსებობის საზღვრებს. ცხოვრების ამოების შეგნება საბოლოო არსამდე დაყვანილი ადამიანის განცდაა.

**ტანჯვის საიდუმლო:** მას ფარდა მხოლოდ ახალ აღმტქმში ეხებება. სადაც ტყვილი ერთადერთი ასპარეზია (განსაცდელია). სადაც ზღება შემოქმედისა და ქმნილების, მარადიულისა და წარმავლის ურთიერთშეხება, შეხვედრა, დაახლოება. ქრისტეს ვნებათა შექმე მართალი იობი წარმოვედიგება როგორც ახალი ადამიანის — მიწამისა და აღმსარებლის — წინასახე.

**ზურაბ კენამე** — კენი და აბელი (15.XI): ამ ტრაგიკულ ამბავში, რომელიც ელემს გარეთ მოხდა, მთელი ძალით იჩინა თავი ცნობადის ხესთან ჩადენილმა ცოდვამ. ცოდვის ხასჯელად შემოსული სიკვდილი ამ პირველად აღასტურებს თავის ძალას და ეს ხასჯელი კვლავ ცოდვის ხახვს იღებს — სიკვდილი მკვლელობის სახით პოულობს პირველ რეალიზაციას.

**აბელ-კენის ამბავი შეიძლება შეიღი ასპექტით განვიხილოთ:** 1. **სამურწნო.** საქმიანობის ეს ორი სახე დასაბამს ეღმმმევე იღებს: ღმერთმა ადამი დააფნა პირიტყვის პატრონად და მიწის სამსახურად. ადამის მიმართება მიწსადმი იმთავითვე რელიგიური უნდა ჭოფილიყო და არა უტილიტარული, როგორც ელემს გარეთ გახდა და საბოლოო განსრულება კენის ხელში მიიღო, ადამის დაცემის გამო მოხდა, რომ ერთ ხელში (ადამის ხელში) მოქცეული ეს ორი სახე საქმიანობისა განაწილა მის ორ ნაშიერს შორის, რაც ტრაგიკული კონფლიქტის საბაბი შეიქნა. თუ ადამის ცოდვის მიზეზით მიწა დაიწყველა (ადამა ტანჯვით უნდა შოიპოვოს სარჩო), კენის ცოდვის მიზეზით თავად კენი დაიწყველა მიწისაგან, რადგან ის ვერ ემსახურა მიწს, ვერ დაიცვა მისი სიწმიდე. ამიერიდან მიწა სრულყოფილებით არ გამოავლენს თავის ძალას, ადამიანი დაკარგა მასზე პატრონობის უფლება. 2. **რიტუალური.** წარმოდგენილია ორი სახე-მიხერპლისა — სისხლიანი და უსისხლო — და უპირატესობა ენიჭება სისხლიანს, როგორც მსხვერპლის უმადლეს სახეს, რამაც თავისი დასრულება გოლოგოთაზე პოვა. ძველი აღმტქმის ხანაში დასტურდება სისხლიანი მსხვერპლის უპირატესობა მტენარეული შესწანიარავის მიმართ. 3. **ზენე-**

აბრევი. ისმის კითხვა, თუ ვინ განიცდის ვნებას - მსხვერპლი თუ ბოროტმოქმედი? მოკლედი თუ მკვლედი? იოანე ოქროპირი ამბობს: „ვინ განიცადა ვნება-მკვლელობა თუ მოკლულმა? მკვლელობა, ცხადია, რატომ? რაგან მოკლედი დღემდე ივალბება ვველას შიერ. ნეტარია და დავიერგეინებული, როგორც პირველმოწამე ჰუმარიტებისთვის, როგორც პაველ ამბობს. მოკლედი აბელი კვლავ ლაპარაკობს (ებრ., 11,4). მკვლედი კი ვველა აღამიანზე უბედურია, დანჯვლილი და განიცხვულია ღვთის შიერ“. 4. **ეთნიურ-კულტურული**. რჩეული კრი (ძველი აღთქმის სუბიექტი) თავის გარემომცველ ხალხებს ევაიბტესა და ქანანში უპირისპირდება როგორც მწვემსური კულტურის მატარებელი ხამინათმოქმედი კულტურის მატარებელი. ასრავლიანათთვის უცხოა და რელიგიური თვალსაზრისით სიბილწეა ბაალიზში, ქანანური ტომების ორგანისტული ხამინათმოქმედი კულტი. მწვემსები იყენებ პატრიარქები - აბრაამი, ისაკი, იაკობი და მისი თორმეტი ძე, თორმეტტომოვანი ხალხის წინაპრები. ნიშნდობლთეა, რომ მინათმოქმედი კენია კაციმკვლედი, რომლის შთამომავლობა ინდუსტრიულ ცივილიზაციას აფუძნებს, რომელიც არსებითად უღეთი ცივილიზაციაა და დახადუქმალ არის განწირული. 5. **რელიგიური**, კენიანლუბა, რომლითაც მათი წინაპარი სწირავს თავის ნაშუავეს. ღმერთმა დიწუნა არა თავად სახე მსხვერპლისა ან ხარისხი მისი, არამედ შემწირველის სულიერი მჯგომარეობა მსხვერპლთმეწირვისას, მისი არასამარისი რელიგიურობა, განსხვავებით აბელისაგან. ნეტარი ავეუსტინე წერს „ღვთის ქალაქში“: „კაცთა მოღვმის წინაპართავან პირველად დაიბადა კენი, რომელიც ეკუთვნის აღამიანურ ქალაქს, შემდეგ კი აბელი, რომელიც ეკუთვნის ღვთის ქალაქს“; „კენიზე ნაოქეპამია, რომ მან ააშენა ქალაქი, აბელს კი ქალაქი არ აუშენებია, რადგან წმინდათა ქალაქი უზენაესი ქალაქია...“ 6. **სამართლებრივი**. ღვთის სამართალს არ დაუშვია მკვლელობისთვის არც შურისგება (სისხლის ძიება) და არც სიკვდილით დასჯა. მან პირველ კაცისმკვლელს დაადონიშანი, რომ არ მოკვლა იგი პირველ შემხვედრს. კენი თავის თავმევე; თავის სულიერ-მშინეიერ სამყაროში ატარებს სასჯელს. 7. **ეგზისტენცი-**

**ალური**. კენის ყოფა დახასიათებულია როგორც ღვთის პირისგან მოშორება, როგორც გადაღებულიობა სამყაროში. დევნილობა და მიუსჯირობა, შიში და ძრწოლა. რასაც მისი ადგილსამყოფელის სახელწოდებაც გამოხატავს ნოდ „ხეტიალის“. „ძრწოლის“ (სულიერი და სიერცული გაგებით) მნიშვნელობას შეიცავს. კენიანები ძრწიან, ღმერთიან, თუმცა უქმირებული არიან სიერცეში. აშენებენ გოლაენიან ქალაქებს ღია სიერცისადმი შიშით და სხვა.

საბოლოოდ, აბელ-კენის ამბავზე დაურდნობით და მთელი ბიბლიური ისტორიის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ღმერთი დასტურს სცემს მწვემსურ ცხოვრებას. მწვემსურ ყოფას და კულტურას. აბელი კი აღარ არის, და არ იწონებს ურბანისტულ-ინდუსტრიულ ცივილიზაციას, მაგრამ ცოცხალია კენი როგორ ავხსნათ ეს პარადოქსი? გამტკუნდა უულის დასტური და მოწინება? თუ კვლავ აღდგება აბელური ყოფი, თუნდაც გარდაქმნილი სახით? და აქვე, ამ მიწაზე, ამ წუთისოველში? ესეც აღამიანური ყოფის ერთი საიდუმლოა.

✦ **შამა ანდრია კურავევი**, დოკონი (მოსკოვის საპატრიარქო) - **ადამის ცოდვა** (22 XI): 1. ღვთის ყოვლისშემძლეობა, მისი თავისუფლება აღამიანის თავისუფლებით არის შეზღუდული; ამიტომაც ვახად შესაძლებელი აღამის დაცემა, რაც არსებითად მისმა თავისუფალმა ნებამ, მისმა თავისუფლამ არჩევანმა განაპირობა. ღვთის ჩარევა ამ არჩევანში აღამიანის ნების იძულება და, საბოლოოდ, მისი პიროვნების ხეკუდებულყოფა იქნებოდა. 2 რას წარმოადგენს ხეკუდებულისა და ბოროტის შეცნობისა? და ჰქონდა თუ არა აღამს ცოდნა კეთილისა და ბოროტისა ამ ხის ნაყოფის შეჭმამდე? ჰქონდა, და ეს ბიბლიაში ჩანს: ღმერთმა რაც შეჭმნა, კეთილად (კარგად) შეჭმნა. მან დასტური დასცა თავის შემოქმედებას, კეთილი თქვა საკუთარ ყოველქმნილებაზე, რომელთა შორის, ცხადია, ის ხეც იგულისხმება, რომლის ნაყოფის ჭამაც აუტრძადა აღამს. „და იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ“ ან გავიხსენით ღვთის ხიტყვები აღამის მარტოობაზე „არა კეთილ არს ყოფად კაცი მარტო“. უნდა დავსკვნათ, რომ აღამში იცოდა, რა არის კარგი. 3. შამ, რაღას უნდა ნიშნავდეს ამ ხის ნაყოფის კვმოს ზილეა?



ეს ხე იგივე ვაზია და მისი ნაყოფის ქაბა არის იგივე ზიარება, რომელიც მოხდა ურჩობით და თვითმებურად, დროზე ადრე, ღვთის კურთხევის გარეშე. არა სიწმინდით, არა წმიდა გულით სიწმიდის, მაცხოვრის სორცისა და სისხლის ზიარების კურნების ნაცვლად სახეული მოიქცა ადამიანისთვის, სიცოცხლის ნაცვლად — სიკვდილი („შეშწიკვლებული სული და ბაგენი მქონან არა წმადანი. და აწ ვერ ძალძიძს მიხალუბად შენდა, ქრისტე“, „ზიარებად სიწმიდეთა შენთა ეთარ ეკადრო არა ღირსძან“, „სადმროსა სორცისა და სისხლისა მოღება, ქრისტე, განსაწმენდელ მექმენ, ნუ დასასჯელ ამით ზიარება“ და სხვა).

**მალაზ სონდულაშვილი** (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) — ბიბლიური წინამძღოლობის ტიპები (29. XI): მოხსენება ძირითადად ეფუძნებოდა მარტინ ბუბერის სტატიას „ბიბლიური წინამძღოლობა“, რომლის თარგმანი დიბეჭდება ჩვენი ჟურნალის რომელიმე ნომერში. მოხსენებაში გაანალიზებული იყო მ. ბუბერის კონცეფცია ზარიზმატული წინამძღოლობის ხუთი ტიპის შესახებ: მატრიარქები (აბრაამი, ისაკი, იაკობი), მოსე, მსახული, მეფე, წინასწარმეტყველი. მომხსენებელი წარმოაჩენს წინამძღოლობის უნივერსალურ ტიპს ქრისტეს სახით, რომელსაც კაცობრიობა ესპატოლოგიური ეპის წიად სასუფიველში შეჰყავს.

**ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი** (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) — რჯული ჰაელე მოციქულის მოძღვრებაში (6. XII): განხილულია ძირითადად ჰაელე მოციქულის ეპისტოლეები რომელიც მიმართ და გალატელთა მიმართ. გამოიყო ხუთი ასპექტი ანუ ხუთი პერიოდი რჯულის ისტორიაში: 1. რჯულის ისტორიული მისია ძველი ქოქმის საღვთო განგებულებაში. ადამიანს, იმის გამო რომ ხორციელია, არ შეუძლია ზედმიწევნით შესარულოს რჯული. რჯული თავისთავად წმიდაა, რამდენადაც ის ანგელოზებისგან მიეცათ ისრაელაანებს მოსხ ხელით, მაგრამ ადამიანი თავისი ცოდვილი ბუნების მიზეზით ვერ ასრულებს რჯულს, ამიტომ ვერ გამართლდება რჯულით. 2. „რამეთუ დასასრული სჯულისა ქრისტე არს მაცხოვრად ყოვლისა მორწმუნისა“ (რომ 10, 4). ღვთის მის მოვლანებით დასრულდა რჯული. უნდა გა-

მოჩენილიყო ისეთი ადამიანი, ყოველმხრივ ჩვენი მსგავსი. გარდა ცოდვილიანობისა, რომელიც იტვირთავდა რჯულის დახსნას. ასეთი სრულყოფილი ადამიანია ქრისტე, რომელმაც გააუქმა რჯული ვითარცა ზნისა და გამართლების საშუალება. ამრიგად, დახასრული და მიზანი (ტილოს—ორივე მნიშვნელობით) ძველი აღქმის რჯულისა არის ქრისტე, სრულყოფილი, უცოდველი ადამიანი. 3. „რამეთუ მე სჯულისათვის სჯულდითა მოვუეღე, რათა ღმრთისა კცხოვნდე“ (გალატ 2, 19). ნაილისღების, ქრისტეში სიკვდილის გზით ღოველი მორწმუნე, ეზიარება რა ქრისტეს, კვდება რჯულისთვის, ანუ აუქმებს რჯულს, როგორც ქრისტემ გააუქმა. 4. ბუნებითი რჯული და რწმენით გამართლება. ბუნებითი რჯულით წარმართის განისჯებოდა, რომელთაც ჰქონდათ ინტუიციის ცოდვისა, იყო ღვთის ნების გამოვლენა ცალკეულ ადამიანებში (მაგ., ისინი რჯულის შიღებადვე ზედბოდა, რომ კაცის კვლა ცოდვაა, და სხვა). რჯულადვე შესაძლებელი იყო მხოლოდ რწმენით გამართლება და ხსნა, როგორც დასტურდება აბრაამის შიგლითზე, რომელიც არ იცნობდა რჯულს (ის წინადაცვეთელი იყო, რწმენით რომ გამართლდა). 5. „დასრულეთ სჯული იგი ქრისტესი“ (გალ 6,2). მართალია, რჯული დახსნა ქრისტეს შემდეგ, რაჟი მან სრულყოფილება პოვა ქრისტეში, რჯული, მისი ზნობრივი იმპერატივეი მაინც არ გაუქმებულა. ის გაერთიანდა ერთ მცნებაში— სიყვარულში. ჰაელეს მოძღვრებით, თუ ადამიანს მოეყვასი უჯვარს, ამით რჯულის გველა მოთხოვნა შესრულებულია. სწორედ ამას ვულისხმობს მაცხოვარი, როცა ორ შთავარ მცნებაზე ლაპარაკობს: ერთია გიჟვარდეს ღმრთი შენი; მეორეა გიჟვარდეს მოეყვასი შენი. ოქრობირის თქმით, ეს ორი მცნება მოიცავს მთელ რჯულს. კაცისთვის, რომელიც არ მრისხანებს, ფუჭია შეხსენება მცნებისა „არა კაც კლა“. ავეუსტინე ამგვარად გამოხატავს ამ ორი მცნების არსს: „გიჟვარდეს უფალი და გააკეთე, რაც გინდა“ (იგულისხმება, რომ უფლის სიყვარული მხოლოდ სიკეთეს გააკეთებინებს კაცს).

ახალი აღქმის რჯული არის სიყვარულის რჯული და, თუ სიყვარული არსებობს ადამიანთა შორის, რჯულიც დასრულებულია.

**ზურაბ კიკნაძე** — შესია ძველ აღქმაში

(13, XII): მეხიის, ანუ ისრაელის (და მოგვიანებით: კაცობრიობის) მსხველმის, ორი განსხვავებული ტაბი შეიქმნა წინასწარმეტყველთა რელიგიურ-ესქატოლოგიურ ხილვებში: ტრიუმფატორი, დაეთ მეფის ორად გახლენილა სამეფოს აღმადგენელი, რომლის სახე ჩანს ესაიას თავდაპირველ ხილვებში („იმ დღეს ხალხთა დროშად იღებთა იესუს ფეხი და მისკენ დაიწვევენ ესენს ტომები“, 11,9; „დაქრავს მიწას თავის ბაგუთა კვერთხს და თავის პირისქართს ბოროტეულს მოაკედინებს“ 11,4). და მორჩილი, მდაბალი და ვეღასაგან დაწუნებული, რომელიც თავისი ნებით ვაიდებს თავს მსხვერპლად, იტვირთავს რა აღმიანთა ცოდვებს, ეს ტაბი შეხიისა, რომელიც წარმოდგენილია ესაიას წიგნის 53-ე თავში, ქრისტეს მოედინების ზედმიწევნითი წინასწარმეტყველებაა. ესაიას ხილვაში ასეთი ნანს შესია-მატხოვარი: „...მან იკისრა ჩვენი სნებები და იტვირთა ჩვენი სატანჯველი; ჩვენ კი კვევრა, ღუთისგან იყო ნაკვეპ-ნაკეცი და დაძირებული. მაგრამ ის ჩვენი ცოდვებისთვის იყო დაჭრილი, ჩვენი უკეთურობებისთვის დაღწილი; მისზე იყო სასჯელი ჩვენი სიმრთე-ლისთვის და მისი წყლულებით ჩვენ განვიკურნეთ. ვედანი ცხვრებით დაეხეტებოდით, თითოეული ჩვენ-ჩვენ გზას ეძებით, უფალმა კი მას შეკვარა ყოველი ჩვენგანის უკეთუროება, ვერო და ეწამა, მაგრამ არ დაუძრავს ბაგე; კრავით დასაკლავად მიიფანეს და, როგორც კრავი ხელშის მარსველთა წინაშე, მისაც არ დაუძრავს ბაგე...“ (53,4-7). ჰუმბარტად, ამის მხილველი ესაია უფრო მახარებელია, ვიდრე წინასწარმეტყველი, როგორც ნეტარი იერონიმუსი წერს მისზე: ქრისტეს ხანის აუღველობას დაეწინებულნი ჰქონდა ესაიას ეს წინასწარმეტყველება; მხოლოდ მაცხოვრის ვერსების შემდეგ, როცა ყოველი წერილი აღსრულდა, შესაძლებელი შეიქმნა ამ თავში ქრისტეს ენებთა ამოცნობა (საქმე, 8, 30-35).

მატა ზაქარიული (სასულიერო აკადემია) — „ბოროტების წარმოშობა და მისი არსი“ (20, XI): ბოროტების შემცენება ბოლომდე შეუძლებელია, თუნდაც იმის გამო, რომ ის საიდუმლოებრივი წარმოშობისაა; ის წარმოიშვა ანგელოზთა შორის და, რაკი ჩვენ არ ძალ-

გვიძს უხორცო არსებთა ბუნების სრული გააზრება, ამიტომ ბოროტების რაობაც აღმიანური გონებისთვის მიუწვდომელია. ბოროტების ქვაკუთხედად ეკლესია მიიჩნევს ამარტაუნებას, სიამაგეს. უმაღლესი ანგელოზის დაცემის მიხედვად სახილვებენ არა უნეტრებას ან არასრულყოფილებას მისი ბუნებისა, არამედ იმ ცოდნისა და სრულყოფილების მიჯნას, რომელიც იძლევა სამმარტუნის ცდუნების საშუალებას ვინც არ უნდა იქოს სატანა. იგი ითვლებოდა ღვთის საუკეთესო ქმნილებად, იგი საქმოდ მღიერი და ბრძენი კი იყო და იმდენად ღვთიური, რომ სცოდნოდა ღმერთი და სწორედ ეს ცოდნა გამხდარიყო იმის მიზეზი, რომ აჯანყებოდა მას. ანუ აერნია ღვთისგან თავისუფლება. ანუ, რაც იგივეა, თავად გამხდარიყო ღმერთი, ძნელია, თითქმის შეუძლებელი, იმ ტრაგედიის წარმოდგენა აღმიანისთვის მისაწვდომი ხატებითა თუ სიმბოლოებით, რაც სულიერ სამყაროში მოხდა აღმიანის გაჩენამდე რის შედეგადაც დამკვიდრდა სრულიად უცხო რეალობა, რომელიც არ იყო შექმნილი ღვთის მიერ, არ გამოხატავდა მის ნებას, არ შედიოდა მას განვებულებაში ის, რაც მოხდა ცაში, განმეორდა მიწაზე სამოთხეში. ახლა ღვთის გაჩენილი ადამი აუჯანყდა თავის გამწენს; სატანის მიერ შთაგონებული ურნობის მიზეზით ადამი დაეუფლა ბოროტება. თუ ჩვენ რაიმე ვიცით ბოროტების შესახებ, ეს არის შედეგი ჩვენი შინაგანი გამოცდილებისა, რომელიც ყოველ ჩვენგანს აქვს მიღებული როგორც ადამის ძეს. ეს გამოცდილება აღიქმება როგორც დაცემა. ანუ უარყოფა ყოველივე ღმრებულისა და სრულყოფილისა. რაც კი არის თავად ჩვენში და ჩვენს გარეთ, როდესაც ჩვენ განვიცდით ბოროტებას ჩვენში და ჩვენს გარშემო, სწორედ მაშინ ვგრძნობთ, თუ რაოდენ უხეხური ვართ მის აღქმასა და შეუახებაში. მაშინ ეხვებით, რომ ბოროტება განკუთვნილია საიდუმლოებათა რიგს; ეხვებით, რომ იგი არ არის თანდაყოლილი ბუნებრივი თვისება აღმიანისა, არამედ შექმნილია და ამიტომაც უცხო, ამიტომ უნდა ამოიბღეს იოანე ღვთისმეტყველი, რომ ყოველი სოფელი ბოროტსა ზედა ღვთს (1 იოანე, 5,29), სადაც ღვთს (ღვთაწმიდ ქვეს) უნდა გული-სხიბოდეს, რომ ბოროტება სოფლის, ანუ აღმიან-



ნის მიმართ გარეშე მოვლენა: სოფელი შეიძლება ჩაფლული იყოს ბოროტებაში. მარამ ბოროტება არა მსჭვალავს მას.

ბოროტების წარმოშობის მიზეზად ქრისტიანული ეკლესია თვლის ღვთისგან, მისი მადლისგან დაშორებას. ბოროტების წყაროა აღამიანის თავისუფალი ნება, მისი თავისუფალი არჩევანი-იყოს ღმერთთან თუ არ იყოს ღმერთთან, ბიბლიის, წმიდა გარდამოცემისა და ეკლესიის მიმართ ავტორიტეტზე დაყრდნობით ეკლესია გვასწავლის, რომ ბოროტების არსებობას სიკეთის მოკლება აპირობებს: სადაც სიკეთე კლებულობს, იმ ნაკლულის ადგილს ბოროტება იკავებს. ბოროტება არის ის, რაც არ უნდა არსებობდეს აუცილებლობით და ჰუმანიტარად არსებულის, ანუ სიკეთის ფონზე, რადგან რაც კი ღმერთმა შექმნა, კეთილად შექმნა („და იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ“; ლბ., 1, 4).

• • •

ა. წ. თებერვლის მეორე ნახევრიდან მაისის ბოლომდე ბიბლიის შემსწავლელი საზოგადოების შეხვედრებზე წაყთხული იქნება შემდეგი მოხსენებები: ბიბლიის თარგმანთა და ეროვნულ დამწერლობათა შექმნა აღმოსავლეთის სპირიტუალში (თ. გამყრელიძე), ამრაამის განხაცდელი (თ. ბუანიძე), „ხულითა და ჭეშმარიტებითა“, ი. 4,23 (ლ. აბაშიძე), იორდანე-თაბორი-გეთსიმანია (ზ. კიკნაძე), უნივერსალური და ინდივიდუალური ქრისტიანულ ხელოვნებაში (დ. თუშანიშვილი), იონას წიგნი (ნ. პაპუაშვილი), ძველი აღთქმის რელიგიურ-საკრალური კატეგორიები (ზ. კიკნაძე), ღვთის სახელი (მ. სონდულაშვილი), შეფობა ძველ აღთქმაში (ზ. კიკნაძე), იუდეველობა ახალი აღთქმის ხანაში (ნ. ნიკოლოზიშვილი), „სოფელი ვსუ“ (ლ. აბაშიძე), შერვე ღღე (ლ. პატარიძე), ბიბლიური დასაბამის დრო და სივრცე (ე. შელიძე), „ქებათა ქება“ (ზ. კიკნაძე), მეღვთისმეტყვე (გ. აჯიაშვილი, პ. ზაქარეიშვილი).

ზ. ზ.



თეიმურაზ ბატონიშვილი (1782-1846), მე-  
ორგი XII-ისა, თვალსაჩინო ფიგურას წარმო-  
ადგენს ქართული მეცნიერების ისტორიაში. სა-  
კმარისად ითქვას, რომ აკად. მ. ბროსე მის მო-  
წაფედ თვლიდა თავს. რაც შეეხება ბატონიშვი-  
ლის პატრიოტიზმს, აქაც იმისი აღნიშვნა იწვე-  
ვა საკმარისი, რომ იგი უკვე ცაშტები წლისა  
მონაწილეობდა კრწანისის ბრძოლაში 1795  
წელს (იხ. ქსე, ტ. 4, გვ. 642).

თეიმურაზ ბატონიშვილის ავტოგრაფი, რომე-  
ლიც დაცულია მეცნიერებათა აკადემიის აღმო-  
საულებამცოდნეობის ინსტიტუტის პეტერბურგის  
განყოფილების ქართულ ხელნაწერთა ფონდში  
(C 47), ჩვენ კარგა ხნის წინ მოგვარდა ფი-  
ლოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა გ. შარა-  
ძემ. აქ თეიმურაზ ბატონიშვილი აღწერს მისი  
ამაღის ერთ-ერთი წევრის, იოსებ ბოსტოღანა-  
შვილის სიზმარს, რომელიც, კვიქრობთ, მკითხ-  
ველთათვის უინტერესო არ უნდა იყოს. მოუკ-  
ყავს ავტოგრაფი მთლიანად.

„წელს 1819. აპრილის 27 რომ თენდებოდა  
და განრდევულს კვირა იხილა იოსებ ბოსტო-  
ღანაშვილმა მიღს შორისი რ'დელაკაცი ნათ-  
ლით შემოსილი და ბრწინვალე და ფ'დ ღი-  
დებულ რომელსა მზე გარემო უვლიდა და ვრმა  
მასთანა ფ'დ შუენიერი და შუენიერქონროვანი  
და ფ'დ შუენიერი და ბრწინვალე და ეპვრა  
ხელთა მისთა ვრმასა მას კვერთხი ხოლო იტე-  
სა მას კვერთხისასა იფო ჯ'უარი. ხ'წინაშე ღი-

დებულსა მის დედოფლისა იფო დანიქილი დედა-  
კაცი ეინმე, რომელსა ვული გარდახსნილ და  
ძუძური ჩენილ აქუნეს და წყულულებანი და ხის-  
ხლნი ახილუბოდნენ ხორცთა მისთა ზედა. ხ'  
თუაღნი მისნი დამოადინობდენ ცრემლთა და  
ვევდრებოდა მის უდლიდებულსა დედოფალსა  
ხ'ყრმა იგი მოვიდა იოსებისსა და რქვა იოსებს  
დაინოქე შენცა და ვევერე რ'ესე არს დედა  
ხ'ისა და ვევერების მას დედოფალ ვესე საქართ-  
ველოსა საქართველოსათვის. რათა იხსნას საქარ-  
თველო და სახლი მეფეთა საქართველოსთა ბაგ-  
რატოვანთა და ამა მცირესა ჟამსა იხსნება და  
ამა გონებისა და შეჭარვებისაგან რომელსა შ'ნა-  
ცა არიან ივინი.

ესე კვირიაკესა წირვის შემდგომად მამბო  
იოსებმან რომელიც აღესწერე რათა წ'ისა დე-  
დოფლისა ქეთევანისა მადლითა იფოს ხსნა ჩვენ  
(ი) შეილიშვილთა მისთა და ერისა ჩვენისასა  
რომელიც არს წიღხდომილ საუკუნეთა მის დე-  
დოფლისა და ვოვლად დიდებულის, რომლისა  
მადლი და მოწყალება მეოხებოთა წ'ისა დიდისა  
მოწამისა ქეთევან დედოფლისათა იფოს ჩვენზე-  
და მანუეშებლად სულით და ხორციით ამინ.

ქ'ე აღსდგა მკედრეთით სიკვდილითა სიკვდი-  
ლისა ღმირგუნველი და საფლავების შინათა  
ცხოვრების მომნიჭებელა

წ'დ წ'არ ღ'ის მშობელი  
გუაცხოვრენ ჩვენ"





სადაც რელიგია სუფევს, იქ ადამიანები უყვართ,  
უყვართ ცხოველებიც და მთელი სამყაროც.  
ყოველი სიცოცხლე მოძრავე ტაძარია უსასრულოსი

შ ა ნ კ ა უ ლ ი

ვედრება ღვთისა დიდი საქმეა,  
განმწმენდელია გულ-გონებისა,  
წამალი არის საუკეთესო,  
გულის ტკივილის, დაღონებისა.

ვაჟა-ფშაველა